

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი


ბესიკ მეურმიშვილი

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და
განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის
პროცესში

(გამოძიების სტადიაზე)

ხელმძღვანელი: ლალი ფაფიაშვილი,
სამართლის დოქტორი,
პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



თბილისი 2014

ს ა რ ჩ ე ვ ი

გამოყენებული აბრევიატურა	7
ზოგადი შესავალი	9
კარი I. სისხლისსამართლებრივი დევნის ისტორიული წანამძღვრები	12
თავი I. ოფიციალური დევნის პრინციპი ძველ ქართულ სამართალში	12
§1 შესავალი	12
§2 „სამპარავთმძებლო“ დაწესებულება, როგორც დევნის განმახორციელებელი ორგანო	14
§3 „მეკობართმძებელი“, როგორც ოფიციალური დევნის სუბიექტი	17
§4 დევნის პრინციპი ვახტანგ VI კანონების მიხედვით	18
§5 სისხლის სამართლის პროცესი XVIII საუკუნის II ნახევარის საქართველოში	20
§6 შეჯამება	20
თავი II. ოფიციალური დევნის პრინციპის წარმოშობა და განვითარება (მოკლე ისტორიული ექსკურსი)	23
§1 შესავალი	23
§2 ათენის სისხლის სამართლის პროცესი	24
§3 ოფიციალური დევნის პრინციპი რომში	25
§4 ოფიციალური დევნის პრინციპის განვითარება საფრანგეთში	28
§5 შეჯამება	31
თავი III. ოფიციალური დევნის პრინციპი რუსეთში (მოკლე ისტორიული ექსკურსი)	31
§1 ოფიციალური დევნა რევოლუციამდელ რუსეთში	31
§2 სისხლისსამართლებრივი დევნა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში	34
თავი IV. სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით	37
§1 შესავალი	37
§2 სისხლისსამართლებრივი დევნის კოდექსისეული განმარტება	41
§3 საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა	41
3.1. საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით	43
3.2. საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების შესახებ	44
§4 სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა	45

§5 კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა	46
§6 კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა	48
§7 სისხლისსამართლებრივი დევნისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თავისებურებანი	49
კარი II. სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება, არსი და მისი მიმართება სისხლის სამართლის პროცესის ცალკეულ ინსტიტუტებთან	52
თავი V. სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება	52
§1 შესავალი	52
§2 მოსაზრებები სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების, მისი არსის შესახებ	55
2.1. სისხლისსამართლებრივი დევნისა და ბრალდების თანაფარდობა	64
2.2. სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება	68
2.2.1. გამოძიების ცნება	68
2.2.2. სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების გამიჯვნის პრობლემა	72
2.2.3. გამოძიებლის სტატუსი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში	75
§3 შუალედური დასკვნა	77
თავი VI. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დაკავებით და მასთან დაკავშირებული პრობლემები	81
§1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პირის დაკავებისთანავე	81
1.1. პირის დაკავება სასამართლოს განჩინებით	83
1.2. პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე	89
1.3. პირის დაკავებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკანონმდებლო ვერსია	92
1.4. სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყები სუბიექტის პრობლემა	93
§2 სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც სისხლის სამართალწარმოების საწყისი ეტაპი	95
2.1. სისხლის სამართალწარმოების დაწყების თავისებურებანი ამერიკულ და ქართულ სისხლის სამართლის პროცესებში	95
2.1.1. ამერიკული მიდგომები	95
2.1.2. სისხლის სამართალწარმოების დაწყება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში	96
2.1.3. გამოძიების დაწყების შესახებ შეტყობინების ვალდებულების აუცილებლობა	99

2.2. სისხლის სამართლის პროცესის დაწყება სისხლისსამართლებრივი დევნით	100
2.3. დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციამდე ჩატარებული საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების უარყოფითი მხარეები	102
§3 შეჯამება	105
თავი VII. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პირის ბრალდებულად ცნობისთანავე	106
§1 პირის ბრალდებულად ცნობა	106
1.1. ბრალდების შესახებ დადგენილება	106
1.2 ბრალის (ბრალდების) წაყენება	112
§2 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მიმალვაში მყოფი ბრალდებულის მიმართ	116
§3 სისხლისსამართლებრივი დევნის დროული დაწყებისა და განხორციელების აუცილებლობა	118
§4 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თავისებურებანი ინგლისში და საფრანგეთში (მოკლე მიმოხილვა)	119
4.1. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ინგლისში	119
4.2. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება საფრანგეთში	123
4.2.1. სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა (დაწყება) წინასწარი გამოძიების წარმოების შესახებ მოთხოვნის შედგენის გზით (Le réquisitoire introductif)	125
4.2.2. სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა (დაწყება) სასამართლოში უშუალო გამოძახებით (La citation directe)	126
4.2.3. სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის (დაწყების) გამარტივებული ფორმები	127
4.2.4 დაზარალებულის უფლება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით	127
§5 შეჯამება	129
თავი VIII. პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი	130
§1 შესავალი	130
§2 პროკურორის როლი გამოძიების სტადიაზე	132
2.1. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის გამიჯვნა	134
2.2. პროკურორი – გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი	137
2.3. პროკურორის მოქმედებები სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას	146

2.4. პროკურორის მიერ გამოძიების სრული მოცულობით ჩატარება	155
§3 სისხლისსამართლებრივი დევნისა და სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერის თანაფარდობა	158
§4 შეჯამება	165
თავი IX. სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა	165
§1 შესავალი	165
§2 დისკრეციის ცნება	166
2.1 კანონიერების პრინციპი	170
2.2. მიზანშეწონილობის პრინციპი	170
§3 მიზანშეწონილობის პრინციპი ფრანგულ სისხლის სამართლის პროცესში	171
3.1. უარი სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე (classements sans suite)	172
3.2. პირობითი უარი სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე (classement sans suite sous condition)	172
3.3. სისხლისსამართლებრივი მედიაცია (mediation penale)	173
3.4. სისხლისსამართლებრივი ჯარიმა შეთანხმებით (composition penale)	174
§4 პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას	175
§5 სრული ტესტი და მისი განმსაზღვრელი კომპონენტები	179
5.1. მტკიცებულებითი ტესტი	180
5.2. საჯარო ინტერესის ტესტი	181
§6 სრული ტესტი და მისი განმსაზღვრელი კომპონენტები ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში	186
§7 სუბიექტივიზმის საფრთხე დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას	188
§8 სასამართლო კონტროლი - სუბიექტივიზმის საფრთხის გამორიცხვის ეფექტური გზა	189
§9 დაზარალებულის უფლებები სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით	192
§10 ქმედების მცირე მნიშვნელობა და მისი მიმართება სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობასთან	195
§11 შეჯამება	196
თავი X. სახელმწიფო თანამდებობის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განხორციელების თავისებურებანი	198

§1 შესავალი	198
§2 სახელმწიფო თანამდებობის პირები და კორუფცია	200
§3 თანამდებობის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების წინაპირობები	201
§4 თანამდებობის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პრობლემები	206
§5 თანამდებობის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება	208
§6 თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილების დელეგირების აუცილებლობა	210
§7 შეჯამება	212
დასკვნა	214
ბიბლიოგრაფია	225

გამოყენებული აბრევიატურა

ა.შ.	– ასე შემდეგ;
ნაწ.	– ნაწილი;
დასახ. ნაშრ.	– დასახელებული ნაშრომი;
ე.წ.	– ეგრეთ წოდებული;
ე.ი.	– ესე იგი;
შეად.	– შეადარე;
იხ. დასახ. ნაშრ.	– იხილეთ დასახელებული ნაშრომი;
იხ.	– იხილეთ;
რედ.	– რედაქტორი;
რსფსრ	– რუსეთის საბჭოთა ფედერალური სოციალისტური რესპუბლიკა;
მუხ.	– მუხლი;
უზენაესი სასამართლო	– საქართველოს უზენაესი სასამართლო;
სსსკ	– სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
სსგ.	– სსგა;
par.	– paragraphe;
art.	– article;
Изд-во	– Издательство;
СПб.	– Санкт-Петербург;
С.	– Страница;

- М. – Москва;
- Л. – Ленинград;
- ЛГУ. – Ленинградский Государственный Университет.

ზოგადი შესავალი

კვლევის აქტუალობა. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განხორციელების თავისებურებებს ქართულ სისხლის სამართლის პროცესში. ნაშრომში განხილულია სახელმწიფოს ისეთი პროცესუალური მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების წინაპირობებს.

ნაშრომი მოიცავს ერთობ საინტერესო და ამასთანავე, ზოგიერთ განსხვავებულ მოსაზრებას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, მისი განხორციელების პრობლემატურ საკითხებზე, რაც დაფუძნებულია მრავალი მეცნიერული ნაშრომის და საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის ღრმა ანალიზზე.

სამართლებრივი თვალსაზრისით, კვლევის აქტუალობა საკმაოდ დიდია არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული კუთხითაც. იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე არ არის ერთიანი მოსაზრება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების და მისი მასშტაბების, ასევე დევნის განმახორციელებელ სუბიექტთა წრის შესახებ.

დასახელებული თემის შესახებ ქართული იურიდიული ლიტერატურის სიმწირის მიუხედავად, წარმოდგენილ დისერტაციაში კომპლექსურად ძირითადი, პრინციპული დებულებებია გადმოცემული. თემის მრავალასპექტიანობის გამო ცალკეული პრობლემების ზედმიწევნით განხილვა დისერტაციაში შეუძლებელია. მაგრამ წარმოდგენილი პრობლემატური საკითხების ანალიზი, გარკვეულწილად გაუადვილებს საკითხით დაინტერესებულ პირებს უფრო სწორად და დეტალურად წარმართონ ამ მიმართულებით მეცნიერული თუ პრაქტიკული საქმიანობა.

დისერტაციაში გამოთქმული მოსაზრებები, საკითხით დაინტერესებულ პირებს, უპირველეს ყოვლისა დაეხმარება სისხლისსამართლებრივი დევნის არსის სწორად განსაზღვრაში, რაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში.

დისერტაციის მეცნიერულ სიახლეზე საუბრისას ხაზი უნდა გაესვას შემდეგ საკითხებს:

– პირველად ქართული სისხლის სამართლის პროცესის ისტორიაში, დისერტაციაში მოცემულია ოფიციალური დევნის პრინციპისა და თანამედროვე სისხლისსამართლებრივი დევნის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი;

– განსაზღვრულია სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელი ელემენტების ახალი სტრუქტურა;

– გადმოცემულია სისხლისსამართლებრივი დევნისა და ბრალდების, ასევე დევნისა და გამოძიების თანაფარდობის ახლებური გააზრება;

– წარმოჩენილია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან და მის განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები და მოცემულია მათი გადაჭრის ახალი გზები;

– გამოყოფილია ის საპროცესო მოქმედებები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა;

– მოცემულია მიდგომები სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყები სუბიექტების პრობლემის აღმოსაფხვრელად;

– განსაზღვრულია პროკურორის როლი დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას.

კვლევის მიზანი. როგორც ზემოთ აღინიშნა სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების, მისი არსის სწორად განსაზღვრას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ეს განაპირობებს სისხლისსამართლებრივი დევნის ირგვლივ არსებული პრობლემატური საკითხების გადაჭრის გზების მოძიებას. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო კვლევის მიზანია იურიდიული ლიტერატურაზე დაყრდნობით შექლებისდაგვარად ზედმიწევნით დეტალურად აიხსნას სისხლისსამართლებრივი დევნის ბუნება, მისი დაწყებისა და განხორციელების თავისებურებანი, რაც უდაოდ შეუწყობს ხელს ამ ინსტიტუტის მიმართ ერთგვაროვანი აზრის ჩამოყალიბებას.

უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, ეს არის მცდელობა სისხლისსამართლებრივი დევნის არსის, მისი ბუნების იმდენად ზუსტად განსაზღვრის, რომლის შემდეგ ამ ინსტიტუტის ირგვლივ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები სავარაუდოდ უნდა შემცირდეს.

ამასთან, კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ პრაქტიკაში დაგროვებული პრობლემატური საკითხების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული თემის სადამსჯელო ხასიათიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიების წინა პლანზე წამოწევის აუცილებლობას. „ადამიანის უფლებების მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში არ საჭიროებს ზედმეტ კომენტარს ან განმარტებას. სისხლის სამართლის პროცესი არის სფერო, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდება საზოგადოებისა და ეჭვმიტანილი ინდივიდის სასიცოცხლო ინტერესები. რისკის ქვეშ დგება ადამიანის რეპუტაცია, ფინანსური მდგომარეობა, პირადი თავისუფლება და თვით სიცოცხლე (არა მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა არსებობს, არამედ იქ, სადაც უვადო თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება სასჯელად). საზოგადოებას, მეორე მხრივ, გააჩნია მნიშვნელოვანი ინტერესი წესრიგის, მშვიდობიანი თანაცხოვრების, ეროვნული უშიშროების, ფიზიკური ხელშეუხებლობის და პოტენციურ მსხვერპლთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართ.“¹

კონფლიქტის ორი მხარე – ინდივიდი და საზოგადოება აშკარად არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. ბრალდებულის მოწინააღმდეგე არა მხოლოდ კარგად ორგანიზებული და აღჭურვილია, არამედ დიდ მორალურ უპირატესობასაც ფლობს. ყველა ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. თუმცა „ხალხი“ ბრალდებულს დამნაშავედ მიიჩნევს. დანაშაული კი მოითხოვს შურისძიებას,

¹ ტრეჩხელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 27.

იმის მიუხედავად, რომ საქმეში ჩახედული და კეთილი განზრახვის მქონე ადამიანები უარყოფენ ამას და სისხლის სამართლის კანონის გამოყენებას ამართლებენ კრიმინალის გარდაქმნის მიზნით.²

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს ადამიანის უფლებების ადგილი სისხლის სამართლის პროცესში და მათი გამოყენება მოხდეს თანმიმდევრულად, პრაგმატულად და თავშეკავებულად. კანონის უზენაესობაზე დამყარებულ, დემოკრატიულ საზოგადოებაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ორიენტირებულია არა მხოლოდ მსჯავრდებათა მაქსიმალური რაოდენობის მიღწევაზე, არამედ მისი დანიშნულებაა სამართლიანობის აღდგენა. ამ თვალსაზრისით, საპროცესო მართლმსაჯულება ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც შედეგზე ორიენტირებული მართლმსაჯულება.³

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი. კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, ფორმალურ-ლოგიკური, დოკუმატური, შედარებით-სამართლებრივი და სხვა მეთოდები.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა. ნაშრომი შედგება შესავლის, 2 კარის, 10 თავის, 53 პარაგრაფის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. ნაშრომის მოცულობა სულ შეადგენს 243 გვერდს.

² იხ. *ტრექსელი შ*, დასახ. ნაშრ., 28.

³ იხ. იქვე.

კარი I. სისხლისსამართლებრივი დევნის ისტორიული წანამძღვრები

თავი I. ოფიციალური დევნის პრინციპი ძველ ქართულ სამართალში

§1 შესავალი

სისხლისსამართლებრივი დევნის, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო ინსტიტუტის წარმოშობის და განვითარების ისტორია ერთობ საინტერესოა. აღნიშნული საპროცესო ტერმინი იმ ფორმით და შინაარსით, როგორც დღეს არის ჩამოყალიბებული და ასახული ქართულ მეცნიერებასა და კანონმდებლობაში, ძველ ქართულ სამართალში, ცხადია არ იქნებოდა. ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბებას, განვითარების გარკვეული ეტაპების გაგლა და არაერთი ქვეყნის გამოცდილების გაზიარება დასჭირდა.

დღეს, სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოქმედებათა ერთობლიობას, რომელსაც ახორციელებენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად.⁴ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმართულია დანაშაულის ჩამდენი პირის წინააღმდეგ⁵ და ემსახურება საჯარო ინტერესის დაცვას. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა იმის დადგენა, ძველ ქართულ სამართალში არსებობდა თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის მსგავსი ინსტიტუტი ან სახელმწიფო დაწესებულება, რომლის საქმიანობას წარმოადგენდა დამნაშავის გამოვლენა და მისი დასჯა.

ტერმინ – დევნასთან დაკავშირებით, საინტერესო ინფორმაციაა თავმოყრილი ძველი ქართული სამართლის ცალკეულ ძეგლებში. „დევნის“ ირგვლივ გარკვეულ ცნობებს შეიცავს ასევე ქართული სამართალწარმოების ისტორიულ ფორმებიც.

ისტორიულად ფეოდალური სახელმწიფოების სასამართლო წარმოებისათვის ცნობილია პროცესის ორი ძირითადი ფორმა. პირველი – საბრალდებო პროცესი, რომელიც არსებობდა ფეოდალური სახელმწიფოების აღორძინების ეპოქაში და მეორე – სამძებრო, იგივე ინკვიზიციური პროცესი, რომელიც დამახასიათებელია ფეოდალიზმის უფრო გვიანდელი პერიოდისათვის.⁶ XIX საუკუნეში აღნიშნული პროცესის ტიპების ზოგიერთი ელემენტის შერწყმის შედეგად კი წარმოიშვა პროცესის მესამე ტიპი, რომელსაც შერეულ პროცესს უწოდებენ.⁷

⁴ იხ.: *სტროგოვიჩი მ.ს.*, სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი 1948, 104; *აბაშიძე გ.*, პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი (გამოძიების სტადიაზე), თბილისი, 2011, 9.

⁵ იხ. *Яковенко В.В.*, Уголовное преследование и роль прокурора в его осуществлении., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2006, 143.

⁶ იხ. *ლეკვეიშვილი მ.*, სასამართლო პროცესი მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, 1963, 3.

⁷ იხ. *ვაჩეიშვილი აღ.*, სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 30.

საბრალდებო პროცესი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე წარმოებდა ერთი და იმავე წესით. თითოეული სასამართლო საქმე წარმოადგენდა საჯარო დავას დაზარალებულსა და ბრალდებულს, ასევე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის. საბრალდებო პროცესი იწყებოდა დაზარალებულის ინიციატივით. რაც შეეხება სასამართლოს, იგი პასიურ როლს თამაშობდა და შემოიფარგლებოდა პროცესის მონაწილე მხარეთა მოქმედებების შეფასებით სამართლის ფორმალურ მოთხოვნათა თანახმად. საქმისწარმოება მიმდინარეობდა ზეპირსიტყვიერად. მხარეებს თანაბარი პროცესუალური უფლებები გააჩნდათ. სწორედ მათი მოვალეობა იყო მტკიცებულებათა შეგროვება და წარმოდგენა. მხარეები თანასწორად იყვნენ პასუხისმგებელი სასამართლოს წინაშე. ბრალმდებლად როგორც წესი, გამოდიოდა დაზარალებული ან მისი უახლოესი ნათესავი. წარმომადგენლობა პროცესის პირადული ხასიათის გამო არ დაიშვებოდა, ხოლო დაცვა ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით არ არსებობდა. ბრალდებულის და ბრალმდებელის ვალდებულნი იყვნენ განსაზღვრული წესით წარმოთქმული სიტყვებით და ფაქტობრივი გარემოებებით დაემტკიცებინათ თავიანთი სიმართლე. ბრალდებულის დუმილი ბრალის აღიარებას ნიშნავდა.⁸

როდესაც ფეოდალურ სახელმწიფოებში დაიწყო ბრძოლა დაქსაქსულობის აღმოსაფხვრელად და მეფის ხელისუფლების გასაძლიერებლად, საბრალდებო პროცესის ფორმა უკვე ნაკლებად შეესაბამებოდა ცენტრალური სახელმწიფოს შექმნის იდეას. ამიტომ პროცესის ამ ფორმამ თანდათანობით ადგილი დაუთმო ე.წ. სამძებრო, ინკვიზიციურ პროცესს, რომელიც მალე პროცესის გაბატონებულ ფორმად გადაიქცა. განვითარდა ე.წ. „ოფიციალური დევნის პრინციპი“, რა დროსაც „სისხლის სამართლის დევნის აღძვრა“ კერძო პირის უფლებიდან სახელმწიფოს პრეროგატივად გადაიქცა. სახელმწიფომ სპეციალური მოხელეების საშუალებით, თავისი ინიციატივით დაიწყო სისხლის სამართალწარმოება. სამძებრო პროცესმა განსხვავებით საბრალდებო პროცესისაგან, უარყო შეჯიბრებითობის პრინციპი, სამართალწარმოებამ საიდუმლო და წერილობითი ხასიათი მიიღო. მხარეები პროცესის თანასწორუფლებიანი სუბიექტები აღარ არიან. პროცესი ორ სტადიად დაიყო. წინასწარ გამოძიებას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა, რა დროსაც ხდებოდა მტკიცებულებების შეკრება. მოსამართლეს, რომელსაც საქმის გამოძიება დაეკისრა, განუსაზღვრელი უფლებები გააჩნდა. სამძებრო პროცესის დამახასიათებელი ელემენტი იყო ასევე, საქმის დახურულ სხდომაზე განხილვა და განაჩენის საჯაროდ გამოცხადების უარყოფა. მტკიცებულებათა შორის პირველი ადგილი დაიკავა ბრალდებულის აღიარებითმა ჩვენებამ, რომელსაც „მტკიცების დედოფალი“ ეწოდა. სამძებრო, იგივე ინკვიზიციური პროცესისათვის ცნობილია განაჩენის სამი სახე: გამამტყუნებელი, გამამართლებელი და ბრალდებულის ეჭვის ქვეშ დატოვება. განაჩენის ამ უკანასკნელ სახეს ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც სასამართლოს მიერ შეკრებილი მტკიცებულებანი საკმარისი არ იყო ბრალდებულის არც გასამართლებლად და არც გასამტყუნებლად, საქმე

⁸ იხ. *ლეკვეიშვილი მ.*, დასახ. ნაშრ., 3-4.

გადაუწყვეტელი რჩებოდა განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით, ახალ გარემოებათა აღმოჩენამდე.⁹

რაც შეეხება შერეული პროცესის ტიპს, იგი დამყარებულ იქნა ორ სხვადასხვა პრინციპზე: წინასწარი გამოძიება – სამძებრო, იგივე ინკვიზიციურ საწყისზე, ხოლო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა – შეჯიბრებითობის პრინციპზე.¹⁰

ამდენად, როგორც ჩანს, სამართალწარმოებისათვის ცნობილი იყო პროცესის სამი ფორმა: საბრალდებო, სამძებრო, იგივე ინკვიზიციური და შერეული პროცესი. ამასთან, სამართლის განვითარების დაბალ საფეხურზე როგორც სისხლის ასევე სამოქალაქო სამართალწარმოება ხორციელდებოდა უშუალოდ სასამართლოს მეშვეობით. განვითარების შემდგომ ეტაპზე, საჯარო საწყისი სისხლის სამართლის პროცესში სამძებრო, იგივე ინკვიზიციურ პროცესს შემოაქვს. ჩნდება ახალი ინსტიტუტები ე.წ. „ოფიციალური დევნის პრინციპი“, „წინასწარი გამოძიება“, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის აუცილებელი ელემენტებია. ყალიბდება სახელმწიფო ორგანოებიც, რომლებიც აღნიშნულ ფუნქციებს ახორციელებენ. ეს ორგანოები მოიაზრებიან სასამართლოს შემადგენლობაში ან სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებულ ეფექტურ მექანიზმებად, რომლებიც ემსახურებიან ვიწრო ფეოდალური ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლას და ძლიერი, ერთიანი ხელისუფლების შექმნის იდეას. ამ კუთხით ძველი ქართული სამართლის ძეგლებიც არ წარმოადგენენ გამონაკლისს და შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას „ოფიციალური დევნის პრინციპის“ შესახებ.

§2 „სამპარავთმეძებლო“ დაწესებულება, როგორც დევნის განმახორციელებელი ორგანო

ქართული სამართლის პირველი წყარო, რომელშიც ტერმინი - *დევნა* მოხსენიებულია, არის „[მაშულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა შიომღვიმისადმი] [1170 წ.]“¹¹ აღნიშნულ სიგელში საუბარია „სამპარავთმეძებლო სასამართლოზე“¹². აღნიშნულ დოკუმენტში ნათქვამია: „სამართალი სამპარავთ-მეძებლო არცარაი წინაის შესრულა, ნუცა სადა აწ შევლენ ჩუენნი მპარავთ-მეძებელნი, თუინიერ, თუ გარეთი ნაპარევი შე ღა-კდეს მღუიმისა გლესსა. თუ მრავალჯერ ეპაროს მას კაცსა, ანუ ჩამოარჩონ ჩუენტა ჩენილთა, ანუ გაპატიჟონ. და თუ გარდაიხუეწოს სხუაგან, სდევდნენ ჩუენნი ჩენილნი. და მისსა საქონელსა თანა არაი საქმე უც ჩუენტა მპარავთ-მეძებელთა, თუით მემღუიმისა ჳელისუფალმან თაენი ნაპარევისა პატრონსა შეუქცივნეს და სამართალი

⁹ იხ. *ლეკვიშვილი მ.*, დასახ. ნაშრ., 6-8.

¹⁰ იხ. *ვაჩიშვილი აღ.*, დასახ. ნაშრ., 126; *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 47-50.

¹¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *დოლიძე ი.*, თბილისი, 1965, 20.

¹² იხ. *ჯავახიშვილი ივ.*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისი, 1984, 343.

წმიდისა უდაბნოსათუის აილოს.“¹³ სიგელის ზემოთ მითითებული მონაკვეთიდან ნათლად ჩანს, რომ იმ პერიოდში საქართველოში არსებობდა „სამპარავთმეძებლო“ სახელმწიფო დაწესებულება, რომლის მოვალეობას მპარავთა ძებნა, აღმოჩენა, დევნა და გასამართლება წარმოადგენდა.¹⁴

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, *ივ.ჯავახიშვილი* მიუთითებს შემდეგს: „გიორგი III-ის სიგელში მოყვანილი ცნობა ცხად-ჰყოფს, რომ „სამართალი სამპარავთ-მეძებლო“ 1170 წ. არ ყოფილა შექმნილი, არამედ წინათაც არსებულა.“¹⁵ „თუ მპარავთ-მეძებელნი წინათაც შიომღვიმის სამფლობელოში არ შესულან, რათგან ამ მონასტერს შეუვალობა ჰქონდა, ცხადია, რომ მპარავთ-მეძებელნი წინათაც უნდა ყოფილიყვნენ და სხვაგან ყველგან ძებნა-შეპყრობის უფლება ჰქონიათ“¹⁶. *ივ.ჯავახიშვილი* ასევე აღნიშნავს, რომ 1170 წელს მეკობრეებისა და გამოუსწორებელი ქურდებისათვის მკაცრი სასჯელი დაუწესებიათ და ამ დანაშაულთა აღმოსაფხვრელად და დამნაშავეთა დევნის გასაადვილებლად „სამპარავთ-მეძებლო სამართლის“ თანამდებობის პირთა უფლებები გაუფართოვებიათ.¹⁷

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუ *ივანე ჯავახიშვილის* აზრს დავეყრდნობით, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ სამძებრო პროცესის ელემენტი „ოფიციალური დევნის პრინციპი“ მანამდეც ყოფილა ქართულ სამართალში, მაგრამ ამის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი ისტორიული წყაროებით არ მოიპოვება. *ივ.ჯავახიშვილი* სწორედ მითითებული სიგელის ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე მსჯელობს „სამპარავთმეძებლო“ დაწესებულების უფრო ადრეულ პერიოდში არსებობის შესახებ.

მპარავთმეძებნელთა საქმიანობა ძირითადად იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლა. სამპარავთმეძებნელო ორგანო მიზნად ისახავდა მკაცრი ზომებით დაეთრგუნა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენი. მპარავთმეძებნელი იძიებდა ასეთი კატეგორიის საქმეებს და დანაშაულის ჩამდენთა გასამართლების ფუნქციაც ჰქონდა. მოგვიანებით მპარავთმეძებნელი შეცვალა მეკობრეთმეძებნელმა, ხოლო „დასტურლამალის“ მიხედვით ამ ფუნქციით მეკობრეთმეძებნელის მაგიერ ხვევისთავი გვევლინება¹⁸.

ამასთან, „მპარავთ-მეძებლის“ გარდა, ამავე საქმეებისათვის დანიშნულნი ყოფილან „ჩენილნი“ და ამ უკანასკნელთა მოვალეობა, ერთი მხრივ, მპარავთა ძებნა და შეპყრობა, მეორე მხრივ, მათი გასამართლების შემდგომ განაჩენის აღსრულება იყო.¹⁹ „მპარავთ-მეძებელნი“, როგორც უფროსი თანამდებობის პირები სავარაუდოდ სამოსამართლეო ფუნქციებს

¹³ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *დოლიძე ი.*, თბილისი, 1965, 22-23.

¹⁴ იხ. *ჯავახიშვილი ივ.*, დასახ. ნაშრ., 343.

¹⁵ იქვე, 344.

¹⁶ იქვე.

¹⁷ იხ. იქვე.

¹⁸ იხ. *სურგულაძე ივ.*, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, ტომი I, 2000, 24-25; ავტორი „სამპარავთმეძებლო“ დაწესებულებას მოიხსენიებს „სამპარავთმეძებნელო“ ორგანოდ.

¹⁹ იხ. *ჯავახიშვილი ივ.*, დასახ. ნაშრ., 343.

ასრულებდნენ, ე.ი. უშუალოდ ასამართლებდნენ, ხოლო „ჩენილნი“ სასამართლო-ადმინისტრაციული ხასიათის ორგანოს ფუნქციით იყვნენ აღჭურვილნი. მათ დაკისრებული ჰქონდათ დამნაშავეთა დევნა, შეპყრობა და განაჩენის სისრულეში მოყვანა.²⁰

აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდის სისხლის სამართლის პროცესი აგებული იყო „საბრალმდებლო“ პრინციპზე, რაც გულისხმობდა იმას, რომ კერძო პირები წარმოადგენდნენ ბრალმდებლებს, მათი თაოსნობით და აქტიურობით ხდებოდა სამართალწარმოება. მაგრამ სასამართლო სისტემის ერთ რგოლში, რომელიც მიზნად ისახავდა ქურდების წინააღმდეგ ბრძოლას, კანონმდებელმა საჭიროდ მიიჩნია სპეციფიკური საპროცესო წარმოების შემოღება. ეს ფორმა როგორც უფრო მკვეთრი და მოქნილი, სახელმწიფოს დასჯირდა მზარდ დანაშაულთან წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც მომეტებული საშიშროების გამო ემუქრებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებს. ხელისუფლება იმ კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც მის მიერ დამყარებულ მართლწესრიგს არღვევენ, სხვადასხვა მეთოდებს იყენებს, რომელთა შორის ერთ-ერთს სისხლის სამართლის პროცესი წარმოადგენს.²¹

აღვაჩეიშვილის აზრით, სასამართლოებში მიღებული და გაბატონებული იყო „საბრალმდებლო“ პროცესი, რომელიც შესაძლებელია ჩაითვალოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარების პირველი საფეხურის დამახასიათებელ საპროცესო ფორმად. მაგრამ ისტორიული წყაროებით უდავოა, რომ იმ პერიოდის ქართულ საპროცესო სამართალში იყო ერთგვარი ჩანასახი სამძებრო პროცესის, რასაც ამტკიცებს „სამპარავთ-მძებნელო სასამართლოს“ არსებობა. ამ ორგანოს სახით, იმ პერიოდის ქართული პროცესი, რომელიც განმსჭვალულია „საბრალმდებლო“ პრინციპით, მიდის ახალი მიმართულებით – ითვისებს სამძებრო წარმოების ელემენტებს. „ძველი საბრალმდებლო პროცესი გულისხმობს კერძო პირთა ინიციატივას სისხლის სამართლის დევნის აღძვრის საქმეში, საქმის წარმოება მხარეთა აქტიუობაზეა დამყარებული. „სამპარავთ-მძებნელო“ სასამართლოს წარმოება საწინააღმდეგო პრინციპზეა აგებული: სასამართლო ex officio იწყებს სისხლის სამართლის საქმეს, მის განკარგულებაში არიან სპეციალური ფუნქციების მქონე პირები „ჩენილნი“, რომელთა მოვალეობას შეადგენდა დამნაშავეთა დევნა და შეპყრობა. სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყება და დევნა უკვე კერძო პირთა ინიციატივაზე, მათ ნება-სურვილზე დამოკიდებული არაა.²²“

ისტორიული მასალებით მტკიცდება, რომ იმ პერიოდში ხელისუფლებას ფეოდალურ სასამართლოთა საერთო სისტემიდან, მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით, გამოუყვია სპეციალური სახის სასამართლო, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა საჯარო ე.ი. ოფიციალური პრინციპით, ვინაიდან სისხლის სამართლებრივი დევნა

²⁰ იხ. *ვაჩეიშვილი აღ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტომი II, თბილისი, 1948, 31.

²¹ იხ. იქვე, 32.

²² იქვე, 33.

თვით სახელმწიფო ორგანოს თაოსნობით იწყებოდა.²³ „სამპარავთ-მეძებლო“ სასამართლოს პირველად ექვემდებარებოდა სისხლის სამართლის საქმეების ვიწრო წრე, რაც შემდგომ გაფართოვდა. როგორც ჩანს, მისი ქვემდებარეობა ქონებრივი ხასიათის დანაშაულით განისაზღვრებოდა. მაგრამ დანაშაულთა სახეები ამით არ ამოიწურებოდა. არსებობდა კიდევ სხვა მრავალი ფორმა დანაშაულებისა, რომლებსაც იხილავდნენ ჩვეულებრივი ტიპის სასამართლოები.²⁴

გარდა ჩვეულებრივი ტიპის სასამართლოებისა, რომელიც ყველას საქმეს იხილავდა, ისეთი სასამართლო ორგანოს არსებობა, რომლის მოვალეობას მპარავთა ძებნა, აღმოჩენა, დევნა და გასამართლება შეადგენდა, იმის მაუწყებელია, რომ სახელმწიფო დანაშაულის ჩადენას უყურებს, როგორც მთელი საზოგადოების ინტერესის საზიანო ფაქტს, რომელიც სახელმწიფოში დამკვიდრებულ სოციალურ ურთიერთობებს არღვევს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო თავისი ორგანოს მეშვეობით კისრულობს დამნაშავეთა დევნას. მაშასადამე, შესაძლებელია ვისაუბროთ აღნიშნულ პერიოდში ოფიციალური დევნის პრინციპის მოქმედების შესახებ.²⁵ კერძოდ, სახელმწიფო თავის მხრივ ქმნის მძლავრ მექანიზმს, რომელიც საჯარო ინტერესის დაცვის სამსახურში ღვება.

§3 „მეკობართმძებნელი“, როგორც ოფიციალური დევნის სუბიექტი

კიდევ ერთი ქართული სამართლის ძეგლი, რომელშიც საუბარია „სამპარავთმეძებლო“ დაწესებულების მსგავს ორგანოზე არის სვიმონ მეფის 1590 წლის სიგელი მეკობართმძებნელთა შესახებ.

სვიმონ მეფის სიგელის მიხედვით, მეკობრეთმძებნელთა კომპეტენცია გაცილებით უფრო ფართოა ვიდრე „მპარავთმეძებელთა“. სახელდობრ, მათ მთელი „სასისხარი საქმე“, ანუ სისხლის სამართლის საქმეები ჰქონიათ დაქვემდებარებული. ამდენად, საქართველოში სისხლის სამართლისათვის განსაკუთრებული სასამართლო ყოფილა შექმნილი, რაც სამართლის ისტორიის თვალსაზრისით, რასაკვირველია, მნიშვნელოვან „დანაწესებს“ წარმოადგენს.²⁶ თუ გიორგი III-ის სიგელში მპარავთმძებნელი იყო, სვიმონ მეფის სიგელში ნაცვლად ამისა „მეკობარის მძებნელი“-ა დამკვიდრებული, მაგრამ შინაარსი და ფუნქცია ამ სახელმწიფო მოხელისა იგივე დარჩა. უფრო მეტიც, სიგელის შინაარსის მიხედვით მეკობართმძებნელის საქმეა პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ისეთი მძიმე დანაშაულიც, როგორც არის მკვლელობა. აღნიშნული კატეგორიის საქმე სიგელში მოხსენიებულია „სასისხარ საქმე“-დ.²⁷ „ვისცა სასისხარი საქმე ჰქონდეს, ჩუენს კარზედ მოვიდეს და რარიგადცა კარისა ჩუენისა სამართალი იყოს, ისრე

²³ იხ. ვახეიშვილი აღ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტომი II, თბილისი, 1948, 35-36.

²⁴ იხ. იქვე.

²⁵ იხ. იქვე, 95.

²⁶ იხ. ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშრ., 344-345.

²⁷ იხ. სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბილისი 1963, 46, 51.

გარდასწყვიტონ.“²⁸ აღნიშნული ფრაზიდან ნათლად ჩანს, რომ ზემოთ მითითებული კატეგორიის საქმეების გადაწყვეტას სვიმონ მეფე „მეკობართმძებნელთა“ სამსახურს ავალებს. გარდა ამისა, ამ ორგანოს ევალება სხვა სახის დანაშაულებზე გადაწყვეტილებების მიღებაც.

ამრიგად, მომდევნო საუკუნეებში „ოფიციალური დევნის პრინციპი“ სახელმწიფო ხელისუფლების დასუსტებასთან ერთად უნდა დაკნინებულიყო, მაგრამ როგორც ჩანს XVI საუკუნის დამლევეს, იგი კვლავ ძალაშია და აფართოვებს მოქმედების სფეროს.²⁹ ამდენად, აშკარაა, რომ „ოფიციალური დევნის ფუნქცია“ ეფექტური მექანიზმია სახელმწიფოს ხელში, დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად და მისი მოქმედების არეალის გაფართოებას მიზანშეწონილად მიიჩნევს ცენტრალური ხელისუფლება.

§4 დევნის პრინციპი ვახტანგ VI კანონების მიხედვით

მითითებული სამართლის ძეგლების და მათთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევების გარდა, სამართლის ისტორიის სხვა წყაროებში პირდაპირ აღარ არის მითითებული „ოფიციალური დევნის პრინციპის“ შესახებ. თუმცა ზოგიერთ სამეცნიერო ნაშრომში დასახელებულია ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა მაგალითად წინასწარი გამოძიება, ხვეისთავის თანამდებობა და ა.შ., რაც მიუთითებს იმ პერიოდის სამართალწარმოებაში სამძებრო, იგივე ინკვიზიციური ტიპის პროცესის და მისი დამახასიათებელი ელემენტის – დევნის პრინციპის არსებობას.

ამ მხრივ საინტერესოა სასამართლო წყობილება ვახტანგ VI კანონების მიხედვით. ვახტანგის სამართლის წიგნის თანახმად, არსებობდა მდივანბეგის ინსტიტუტი, რომელიც იხილავდა როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო საქმეებს. იგი იყო მსაჯულთუხუცესი ანუ სასამართლოს თავმჯდომარე. მას ჰყავდა მოსამართლეები, იგივე მსაჯულები, მდივანი, ასევე იასაულნი, რომლებიც იყოფოდნენ ორ ჯგუფად: ა) „მართლის მთქმელნი უქრთამო იასაულნი“, რომლებსაც ევალებოდათ საგამოძიებო ფუნქციის შესრულება და ბ) „გაწყრომისა და დაჭერის იასაულნი“, რომლებსაც ევალებოდათ დამნაშავეების შეპყრობა და განაჩენის სისრულეში მოყვანა.³⁰

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი თანამდებობა, რომელსაც „ეშიკაღასბაში“ ეწოდებოდა. მის მოვალეობას შეადგენდა მეფის ან მდივანბეგის განაჩენის სისრულეში მოყვანა. მას „დანისტრად სამსახური“ ევალებოდა და „დანისტრებად“, ანუ საქმის გამოსაძიებლად ხელქვეითებს ყაფიჩებსა და იასაულებს ნიშნავდა. „ბოქაულთხუცები“, რომლებიც იმავე

²⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დოლიძე ი., თბილისი, 1965, 204.

²⁹ იხ. ვახიშვილი აღ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტომი II, თბილისი, 1948, 95.

³⁰ იხ. იქვე, 42; წყაროდ მითითებული აქვს გაბაშვილი ვ., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, აკად. ნ.მარის სახელ. ენის, ისტორიისა და მატერ. კულტ. ინსტ. მოამბე, XIII, 1943.

ფუნქციებს ასრულებდნენ, რასაც ეშიკადასბაშები, ასევე იასაულები და ყაფიჩები საპოლიციო ხასიათის ორგანოებს წარმოადგენდნენ და იგზავნებოდნენ ადგილებზე კონკრეტული საქმეების გამოსაძიებლად: „გასინჯე, მოკითხული ქენი და მართალი ამბავი მოგვიტანე“-ო.³¹ „თბილისში იყო სპეციალური საისაულო სახლი, სადაც დასაკითხავად მოჰყავდათ დაპატიმრებულები.“³²

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ იმ პერიოდისათვის არსებობდნენ საგამოძიებო ფუნქციების მქონე სახელმწიფო მოხელეები, რომლებსაც გამოძიების უფლება ჰქონდათ. ე.ი. სასამართლოში საქმის განხილვამდე ყაფიჩებსა და იასაულებს შეეძლოთ შემთხვევის ადგილზე გასვლა, საკითხის გარკვევა და ა.შ. თუ ვინ გამოდიოდა ამ შემთხვევაში სახელმწიფო ბრალმდებლად სასამართლო პროცესზე კანონმდებელი სამწუხაროდ არ მიუთითებს.³³ თუმცა უნდა ითქვას, რომ ინკვიზიციური პროცესის მოქმედების პერიოდში ბრალდების და საქმის გადაწყვეტის ფუნქცია შერწყმული იყო და ბრალდების მხარესაც სასამართლო წარმოადგენდა. მდივანბეგი იყო მოხელე, რომელსაც მართლმსაჯულების განხორციელება და სიმართლის გარკვევა ევალებოდა და უპირველესად იგი უნდა ყოფილიყო ბრალმდებელიც. ეშიკადასბაშები, ბოქაულთხუცები, ყაფიჩები და იასაულები მდივანბეგის ე.წ. დამხმარეები იყვნენ. მათ მხოლოდ ამბის გარკვევა, მტკიცებულებათა შეგროვება და განაჩენის სისრულეში მოყვანა ევალებოდათ. მათი სასამართლო პროცესზე ბრალმდებლის როლში გამოსვლა ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ისინი იყვნენ თანამედროვე გაგებით ბრალდების მხარის წარმომადგენლები.

კიდევ ერთი მოხელე, რომელსაც გამოძიების და დამნაშავის დევნის ფუნქცია აქვს დაკისრებული ხევისთავია. „ისტორიული თანმიმდევრობით ხევისთავი წინა პერიოდის „მპარავთ მძებნელის“ და „მეკობართ მძებნელის“ მონაცვლე უნდა იყოს.“³⁴ „დასტურლამალის“ მიხედვით ხევისთავის ფუნქცია ქურდების დევნაში გამოიხატება. მას აქვს როგორც საგამოძიებო, ისე სასამართლო ფუნქციები. ხევისთავის საგამოძიებო ფუნქცია დამნაშავის დევნა და აღმოჩენაა. მას უნდა ეპოვნა ქურდი, შეესწავლა და გაერჩია მისი საქმე, დაეკითხა მოწმეები და ბრალდებული.³⁵

ამდენად, „დასტურლამალის“ მიხედვით ადგილობრივ დონეზე ხევისთავს ბოროტმოქმედთა ოფიციალური დევნის უფლებამოსილება გააჩნია. მის უფლებასილებასა არა მხოლოდ ქურდების დევნა, არამედ

³¹ ვახეიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტომი II, თბილისი, 1948, 43, 93; წყაროდ მითითებული აქვს ვაბაშვილი ვ., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, აკად. ნ.მარის სახელ. ენის, ისტორიისა და მატერ. კულტ. ინსტ. მოამბე, XIII, 1943.

³² სურგულაძე ივ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში, ტომი I, თბილისი, 1952, 284.

³³ იხ. ლეკვეიშვილი მ., დასახ. ნაშრ., 39.

³⁴ სურგულაძე ივ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში, ტომი I, თბილისი, 1952, 339.

³⁵ იხ. იქვე, 340, 344.

გამოძიების და საქმის გადაწყვეტის ფუნქციაც. დევნის ფუნქციაში მოიაზრება, არა მხოლოდ ფიზიკური განდევნა, აღმოჩენა და დასჯა, არამედ იმ სავალდებულო მოქმედებების შესრულება, რაც თანამედროვე სისხლისსამართლებრივ დევნას ახასიათებს.

§5 სისხლის სამართლის პროცესი XVIII საუკუნის II ნახევარის საქართველოში

ქართული სასამართლო პროცესი XVIII საუკუნის II ნახევარში ძირითადად სამძებრო, იგივე ინკვიზიციური ხასიათისაა, თუმცა შეიმჩნევა საბრალდებო პროცესის ელემენტებიც. ამ პერიოდში წინასწარ გამოძიებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეებზე აწარმოებენ როგორც მეფე, ასევე მეფის დავალებით ფეოდალები, სხვა დანარჩენ შემთხვევებში – მდივანბეგები. აღსანიშნავია, რომ მდივანბეგის იასაული, რომელსაც საგამოძიებო ფუნქცია აქვს მინიჭებული ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, XVIII საუკუნის II ნახევარში არ ჩანს.³⁶ თუმცა, ზოგადად, იასაულის თანამდებობა იმ პერიოდისათვის არსებობდა.³⁷ მდივანბეგთა სასამართლოში იასაულის ფუნქცია ცალკეულ საქმეებზე შეიძლება დაკისრებოდა პირთა ფართო წრეს. ეს უკანასკნელნი დავალების შესრულების შემდგომ იასაულის ფუნქციას კარგავდნენ.³⁸

ჩატარებული კვლევების საფუძველზე *მ.ღეგვიშვილი* მიიჩნევს, რომ მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში საბრალდებო პროცესის ტიპი იყო გავრცელებული. თუმცა სამძებრო ე.წ. ინკვიზიციური პროცესისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც შეიმჩნეოდა. პროცესის ეს ტიპი გამოიყენებოდა მაშინ, როდესაც ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს ან მეფის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიებას. საქმეს იძიებდნენ ასევე სასამართლოსთან არსებული სპეციალური მოხელეები – იასაულები. მათ გარდა საგამოძიებო ფუნქცია შესაძლოა სხვა პირებსაც დაკისრებოდათ.³⁹

§6 შეჯამება

ამრიგად, ქართული სამართალწარმოების ისტორიული ტიპებისა და ქართული სამართლის ძეგლების გაცნობით დგინდება, რომ საქართველოში არსებობდა „ოფიციალური დევნის პრინციპი“, რომელიც, რა თქმა უნდა, განსხვავდება თანამედროვე სისხლისსამართლებრივი დევნისაგან, მაგრამ იგი მიჩნეულ უნდა იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნის წინამორბედად,

³⁶ იხ. *კეკელია მ.*, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I, თბილისი, 1970, 272.

³⁷ იხ. *სურგულაძე ივ.*, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში, ტომი I, თბილისი, 1952, 283-287.

³⁸ იხ. *კეკელია მ.*, დასახ. ნაშრ., 272.

³⁹ იხ. *ღეგვიშვილი მ.*, დასახ. ნაშრ., 108-109.

ჩანასახად. სამართლის ისტორიული წყაროების მიხედვით, „საბრალმდებლო“ პროცესისათვის დამახასიათებელია კერძო პირთა მხრიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, მტკიცებულებათა შეკრების თავისებურებანი. აღნიშნული პროცესის ელემენტები – მისი დაწყების ანუ აღძვრის მომენტის გათვალისწინებით, მსგავსია კერძო სისხლისსამართლებრივი დევნისა, რომელიც ასახული იყო საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. „ოფიციალური დევნის პრინციპი“, რა დროსაც სახელმწიფო ხელისუფლება დაინტერესებული გარკვეული კატეგორიის დანაშაულებზე სპეციალურმა სახელმწიფო ორგანოებმა დაიწყონ სისხლისსამართლებრივი დევნა, ინკვიზიციური, იგივე სამძებრო პროცესის პირმშოს წარმოადგენს. იგი შეიძლება შედარდეს თანამედროვე სისხლისსამართლებრივ დევნას, რომელიც ემსახურება საჯარო ინტერესის დაცვას. როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან ჩანს, საქართველოში „ოფიციალური დევნის პრინციპის“ წარმოშობა და განვითარება განაპირობა ერთიანი, ძლიერი, ცენტრალური ხელისუფლების შექმნისა და სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სურვილმა. ამასთან, ისტორიული წყაროების შესწავლით დგინდება, რომ ეს ინსტიტუტი სახელმწიფოს ხელში იმდენად მძლავრი იარაღია, რომ სახელმწიფო ხელისუფლება მისი მოქმედების საზღვრებს უფრო აფართოებს.

რა თქმა უნდა იმ პერიოდის სამძებრო პროცესის ძირითადი ელემენტის – *„ოფიციალური დევნის პრინციპისა“* და *თანამედროვე სისხლისსამართლებრივ დევნას შორის ზუსტ იდენტურობაზე ძნელია საუბარი*, ვინაიდან მათი იგივეობა დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემასა და მოწყობაზე, სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სამართალგანვითარებაზე და ა.შ. მაგრამ მათ შორის მაინც შეიძლება პარალელების გავლება. კერძოდ:

სამძებრო პროცესის მოქმედების დროს „ოფიციალური დევნა“ იწყება ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივით; თანამედროვე სისხლისსამართლებრივი დევნაც სახელმწიფოს ინიციატივით ხორციელდება, სპეციალური წარმომადგენლის – პროკურორის მეშვეობით.

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება ემსახურება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის იდეას და საჯარო ინტერესის დაცვას; ქართული სამართლის წყაროებში ასახული სამძებრო პროცესის დროს მოქმედი „დევნის პრინციპიც“ ორიენტირებულია სახელმწიფოსა თუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად, რასაც იმ პერიოდის ცენტრალური ხელისუფლება მთელი საზოგადოების ინტერესის საზიანოდ მიიჩნევს.

თანამედროვე სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებათა ერთობლიობაა, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩამდენი პირის აღმოჩენისა და მის მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენების უზრუნველყოფისაკენ.⁴⁰ როგორც ისტორიული წყაროებიდან

⁴⁰ იხ. 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის 44-ე მუხლის 43¹ ნაწილი, 2009 წლის 1 აპრილის მდგომარეობით.

ჩანს, „ოფიციალური დევნის პრინციპიც“ ერთჯერადი მოქმედების ხასიათს არ ატარებს, იგი კომპლექსური ხასიათისაა და დანაშაულის ჩამდენის დასჯის მიზნისაკენ მიისწრაფვის.

ძველ ქართულ სამართალში არსებულ სამძებრო პროცესის ელემენტის – „დევნის პრინციპსა“ და სისხლისსამართლებრივი დევნას შორის არსებულ მსგავსებაზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტორიც, რომ ფეოდალური სახელმწიფო ხელისუფლება სპეციალურ წარმომადგენელს, რომელსაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებდა, (მაგალითად, მპარავთმძებნელი, მეკობართმძებნელი ხევისთავი და ა.შ) დევნის ფუნქციასთან ერთად, საქმის გადაწყვეტის, იგივე მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილებასაც ანიჭებს, რაც მიუღებელია თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის პროცესისათვის. გამოძიების, ბრალდებისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქცია იმ პერიოდში ფაქტობრივად გამიჯნული არ არის. აქედან გამომდინარე, სამძებრო პროცესის მოქმედების დროს, ზედმეტი მსჯელობა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვაზე, განსხვავებით „საბრალმდებლო“ პროცესისაგან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამართლის ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ფეოდალურ საქართველოში მოქმედი „საბრალმდებლო“ პროცესისათვის დამახასიათებელი იყო კერძო პირთა მხრიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თავისებურებანი, რომელიც მსგავსია 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული სისხლისსამართლებრივი დევნის, რადგან ორივე შემთხვევაში დევნის დაწყების ინიციატორად კერძო პირი – დაზარალებული ან მისი უახლოესი ნათესავი გვევლინება. ამრიგად, პროცესის ამ ტიპისათვის დამახასიათებელია დისპოზიციურობა.

როდესაც საუბარია ფეოდალურ საქართველოში მოქმედ „ოფიციალური დევნის პრინციპზე“ დასკვნის სახით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოში იყვნენ ისეთი სახელმწიფო თანამდებობის პირებიც, რომლებიც უშუალოდ არ ახორციელებდნენ სისხლისსამართლებრივ დევნას, მაგრამ თავიანთი ფუნქციებით, წარმოადგენდნენ ბრალდების მხარეს. მაგალითად, ასეთი მოხელეები იყვნენ: „ჩენილნი“, „ყაფიჩი“, „იასაული“ და ა.შ.

ამასთან, საინტერესოა ჯერ კიდევ რომის სამართალში ცნობილი სამძებრო პროცესისა⁴¹ და მისი ძირითადი ელემენტის – ოფიციალური დევნის პრინციპის საქართველოში შემოსვლის გზები, რაც ძველი ქართული სამართლის ისტორიული წყაროების შესწავლით ვერ დგინდება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყანა იყო ბიზანტია – აღმოსავლეთ რომის იმპერია, ადვილი შესაძლებელია ვივარაუდოთ სამძებრო პროცესისა და მისი დამახასიათებელი ელემენტის – ოფიციალური დევნის პრინციპის ბიზანტიიდან გადმოღება.

⁴¹ იხ. *ვაჩიშვილი აღ.*, სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 31-32.

თავი II. ოფიციალური დევნის პრინციპის წარმოშობა და განვითარება (მოკლე ისტორიული ექსკურსი)

§1 შესავალი

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ თუ როდის წარმოიშვა ოფიციალური დევნის პრინციპი და რა კავშირი აქვს მას თანამედროვე სისხლისსამართლებრივ დევნასთან, აუცილებელია ყურადღება მიექცეს სისხლის სამართლის პროცესის ისტორიული განვითარების მთავარ მომენტებს.

ისტორიულად, სამართლის განვითარების დაბალ საფეხურზე სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმების განსხვავება მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული. ყველა საქმის განხილვა ერთი და იმავე საპროცესო წესებით მიმდინარეობდა. მხოლოდ ხანგრძლივი განვითარების შედეგად იქნა ცალკე გამიჯნული სისხლის სამართლის პროცესი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი.⁴²

ამჟამად, სისხლის სამართლის პროცესი აღიარებულია სამართლის იმ დარგად, სადაც ბატონობს ოფიციალობის საწყისი, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმისწარმოება, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სახელმწიფო ორგანოებზეა დამოკიდებული.⁴³

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამართლის განვითარების მთელ მანძილზე არსებობდა სისხლის სამართლის პროცესის ორი ძირითადი ფორმა – *საბრალდებო*, რომელიც მხარეთა შეჯიბრებითობაზე იყო დაფუძნებული და *ინკვიზიციური*, ანუ სამძებრო პროცესი. მოგვიანებით ჩამოყალიბდა მესამე საპროცესო ფორმა, ე.წ. შერეული პროცესი, რომელიც არის სამძებრო და საბრალდებო პროცესის სინთეზი. ამასთან, ძველი ქართული სამართლის ზოგიერთი ძეგლის და მასთან დაკავშირებული კვლევების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ ოფიციალური დევნის პრინციპის საწყისი ელემენტები მომდინარეობს სამძებრო, იგივე ინკვიზიციური პროცესიდან.

საერთოდ, გაბატონებული აზრით, ინკვიზიციური პროცესი საერო სამართალმა საეკლესიო სამართლიდან შეითვისა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საერო სამართალი იცნობდა სამძებრო პროცესის გარკვეულ ფორმებს.⁴⁴

სამართლის ისტორიის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ინკვიზიციური წარმოება - „per inquisitionem“, ჯერ კიდევ ფრანკების მონარქიის ეპოქაში არსებობდა.⁴⁵

ალ.ვაჩიშვილის აზრით, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს სამძებრო პროცესის ფორმების არსებობა რომაულ სისხლის სამართლის პროცესშიც: „ჩვენ აზრით, საბოლოო წყარო სამძებრო პროცესის შემოდგომისა

⁴² იხ. *ვაჩიშვილი ალ.*, სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 6.

⁴³ იხ. იქვე, 18.

⁴⁴ იხ. იქვე, 31; შეად. *Чельцов М.А.*, Уголовный процесс, Москва, 1948, 59-60.

⁴⁵ იხ. *ვაჩიშვილი ალ.*, სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 31.

დასავლეთ ევროპის ხალხთა იურიდიულ ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ – რომის სამართალში, რომელიც თუმცა მეტად სუსტი, დაკნინებული სახით, მაგრამ მაინც განაგრძობდა მოქმედებას და ახდენდა გავლენას საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მთელ შუა საუკუნეების განმავლობაში. რასაკვირველია, როცა ვლავარაკობთ სამძებრო პროცესზე რომაულ სამართალში, ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ ამ პროცესის ზოგიერთ ცალკეულ ელემენტს.⁴⁶

თუ *ალ. ვახეიშვილის* აზრს დავეყრდნობით და სამძებრო პროცესის გარკვეულ ელემენტებს რომის სამართლის გადმონაშთად განვიხილავთ, მაშინ ადვილი შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ სამძებრო პროცესის თანმდევი ელემენტი – ოფიციალური დევნის პრინციპიც რომის სამართლიდან მომდინარეობს. ამის დასადასტურებლად საჭიროა, მოკლედ, მაგრამ ქრონოლოგიურად განვიხილოთ სამძებრო პროცესის წარმოშობისა და განვითარების ისტორია.

§2 ათენის სისხლის სამართლის პროცესი

ძველი საბერძნეთის სახელმწიფო - ათენში სასამართლო ფუნქციებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები ასრულებდნენ. მათ შორის ერთ-ერთი უძველესი იყო *არეოპაგია*, რომელიც იხილავდა განზრახ მკვლელობის, ცეცხლის წაკიდების და მოწამვლის საქმეებს. არსებობდა ასევე სახელმწიფო ორგანო *ჰელიია* – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და *ფეგტების* სასამართლო, რომელიც იხილავდა სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის, სხეულის დაზიანების და სხვა საქმეებს.⁴⁷

ზემოთ დასახელებულ სასამართლოებში საბრალდებო ფუნქციებს ასრულებდნენ დაზარალებულები, მაგრამ ბრალდებლად შეეძლო გამოსულიყო ყოველი მოქალაქე, რომელიც შეიტანდა საჩივარს საჯარო, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიზნით. ბრალდებულს პირადად უნდა დაეცვა თავი, მაგრამ შეეძლო ესარგებლა წარმომადგენლითაც.⁴⁸

მაშასადამე, გარდა იმისა, რომ დაზარალებული – კერძო ბრალდებელი ორიენტირებული იყო საკუთარი უფლებების დაცვაზე, მას საზოგადოებრივი ინტერესის გამოც შეეძლო სასამართლოში საჩივრის შეტანა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ოფიციალური დევნის ფუნქცია ათენში ჯერ კიდევ არ იყო სახელმწიფო ინტერესის საგანი და სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.

ამდენად, სახელმწიფოს მისი განვითარების პირველ საფეხურზე არ შესწევს ძალა, ან არა აქვს სურვილი, საკუთარი თაოსნობით დაიწყოს და წარმართოს საქმის გამოძიება. ძველი საბერძნეთის სისხლის სამართლის პროცესი საბრალდებო ტიპისაა, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ სამართალწარმოება იწყება კერძო პირთა ინიციატივით და მხარეთა როლი

⁴⁶ *ვახეიშვილი ალ.*, სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 31-32.

⁴⁷ იხ. იქვე, 35-36.

⁴⁸ იხ. იქვე, 36.

არსებითია; ისინი აქტიურ როლს თამაშობენ.⁴⁹ თუმცა შეიძლება ითქვას, რომ დანაშაული, რომელიც ხელყოფდა საჯარო ინტერესს, მოქალაქეებს აიძულებდა ეტვირთად ე.წ. საჯარო ბრალმდებლის ფუნქციაც.

მ.ს.სტროგოვიჩი თავის კვლევაში აღნიშავს, რომ ათენში სახელმწიფო დანაშაულებზე ბრალდებას მხარს უჭერდა პირი, რომელსაც ხალხი ირჩევდა. მას *საჯარო ბრალმდებელი ეწოდებოდა*.⁵⁰ ანუ ათენში იცნობდნენ საჯარო ბრალმდებლის ინსტიტუტს, თუმცა იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საჯარო საწყისის გამოსატულება. ათენში ძირითადად მოქმედებდა საბრალდებო პროცესი შეჯიბრებითობის ფართოდ გაშლილი ფორმებით.⁵¹

§3 ოფიციალური დევნის პრინციპი რომში

მონათმფლობელურ სახელმწიფოთა შორის რომის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია მეტად საინტერესოა. სწორედ ამ სახელმწიფოს განვითარების შედეგად შემუშავდა სამართლის სისტემა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა იურიდიული შეხედულებებისა და ინსტიტუტების შემუშავებაში. საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის და სხვა სახელმწიფოთა საკანონმდებლო სისტემების საერთო საფუძველს რომის სამართალი წარმოადგენს. სისხლის სამართლის პროცესის მიმართულებით, მრავალი ქვეყნის სამართალმა რომის სამართლიდან ისესხა და განავითარა სამძებრო პროცესის ის ელემენტები, რომლებიც ნამდვილად არსებობდა საიმპერიო პერიოდის სასამართლო პრაქტიკაში.⁵²

რომის სახელმწიფოს განვითარების თავდაპირველ ეტაპზე არ არსებობდა განსხვავება სისხლის და სამოქალაქო დარგებს შორის, მაგრამ რესპუბლიკური პერიოდის დასაწყისში მკვეთრად გაიმიჯნა სამართლის დარგები; მათ შორის სისხლის და სამოქალაქო პროცესები. ყველა დანაშაული დაიყო ორ ჯგუფად, რომელთაგან ერთ-ერთი მოთავსებულ იქნა სამოქალაქო სამართალში. ამ დარგს მიეკუთვნა ისეთი დანაშაულები, რომლებიც არღვევდნენ კერძო პირთა ინტერესებს და ცნობილია *delicta private*-ს სახელწოდებით. ამ დანაშაულთა დევნა წარმოებდა სამოქალაქო სამართლის პროცესის ნორმების მიხედვით. მეორე ჯგუფი დანაშაულებისა მიმართული იყო *საჯარო ინტერესის წინააღმდეგ* – *delicta publica* და *იდევნებოდა სისხლის სამართლის საპროცესო წესების საფუძველზე*. ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა განსხვავებით *delicta private*-საგან, გამოიხატებოდა არა ქონებრივი საზღაურით, არამედ სასჯელით.⁵³

რომის სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარების მანძილზე, რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის პროცესიც ერთგვაროვანი აგებულებისა

⁴⁹ იხ. *ვაჩიშვილი აღ.*, სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 36-37.

⁵⁰ იხ. *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 38.

⁵¹ იხ. იქვე.

⁵² იხ. *ვაჩიშვილი აღ.*, სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 38-39.

⁵³ იხ. იქვე, 38-44.

და ფორმის არ იყო. სისხლის სამართლის პროცესი სახელმწიფოებრივი სისტემის ურთიერთობათა ერთ-ერთი დარგია და მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს ცხოვრებასთან, მის ზრდასთან, საერთო განვითარებასთან.⁵⁴

რომის სისხლის სამართლის პროცესის განვითარებაში შეიმჩნევა ორი ძირითადი მიმართულება *საბრალოდობა და კოგნიციური* – cognition წარმოება. პროცესის პირველი სახე, გამოიჩინა ტიპური საბრალოდობა პროცესისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. კერძოდ, ამ შემთხვევაში სამართალწარმოება ხორციელდება მხარეების მიერ. ისინი აგროვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს. სასამართლო თამაშობს პასიურ როლს. თავმჯდომარე quaesitor-ს ევალება დაიცვას სასამართლო წარმოების წესები, მაგრამ მას არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს საქმის გამოძიებაში. ბრალოდობის ფუნქცია შეუძლია იკისროს რომის ნებისმიერმა მოქალაქემ.⁵⁵

ამდენად, რომში პროცესის ეს ფორმა საბრალოდობა, რომელსაც „ქვესტიურ პროცესს“⁵⁶ უწოდებენ. მაგრამ პრინციპატის დამყარების შემდეგ მისი გამოყენება თანადათანობით კლებულობს და სულ უფრო ძლიერდება მაგისტრატის ფუნქცია. მას უკვე უფლება აქვს კერძო ბრალოდობის გარეშეც აწარმოოს სისხლის სამართლის საქმე და გამოიტანოს განაჩენი.⁵⁷ ეს კი უკვე რომის სამართალში ოფიციალური დევნის პრინციპის ჩანასახად უნდა იქნეს განხილული.

„რომის იმპერატორულ პერიოდში“ საბრალოდობა პროცესს სცვლის სამძებრო პროცესის ელემენტები. სისხლის სამართლის საქმეთა წარმართვა კერძო პირთა ხელიდან სახელმწიფოს ხელში გადადის.⁵⁸ ანუ რომში საბრალოდობა პროცესის გვერდით ვითარდება პროცესის ახალი ფორმა, რომლის მნიშვნელოვანი ელემენტია საჯარო საწყისი.

სისხლის სამართლის პროცესის მეორე ძირითადი ფორმა არის *კოგნიციური* – cognition, რა დროსაც *სისხლის სამართლებრივი დევნა და საქმის გამოძიება დამოკიდებული აღარ არის კერძო პირთა ინიციატივაზე*. იგი შეადგენს სახელმწიფოს წარმომადგენლის, მაგისტრატის მოვალეობას. მაგისტრატს ყოველთვის შეუძლია შეწყვიტოს ან განაახლოს სამართალწარმოება. imperium-ის მატარებელ მაგისტრატს ნებადართული აქვს მიიღოს პირვანდელი მასალები დასმენის გზით. ამ შემთხვევაში დაცვა დაშვებულია იმდენად, რამდენადაც ეს მაგისტრატს საჭიროდ მიაჩნია.⁵⁹ ბრალოდობის და მოსამართლის ფუნქცია ერთი და იგივე პირს – მაგისტრატს აქვს.⁶⁰

⁵⁴ იხ. ვახეიშვილი აღ., სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 51.

⁵⁵ იხ. იქვე, 56-57.

⁵⁶ იხ. იქვე, 32.

⁵⁷ იხ. იქვე, 55.

⁵⁸ იხ. სტროგოვიჩი მ.ს., დასახ. ნაშრ., 39.

⁵⁹ იხ. ვახეიშვილი აღ., სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 56-58.

⁶⁰ იხ. იქვე, 52.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდა პროცესის დასახელებული ფორმებისა, რომის სახელმწიფო ხანგრძლივი არსებობის მანძილზე იცნობდა პროცესის სხვა ფორმებსაც.⁶¹

სამძებრო პროცესის წარმოშობისა და მისი განვითარების კვლევისას *ალ.ვაჩეიშვილი* მიდის იმ დასკვნამდე, რომ ინკვიზიციური პროცესი განვითარდა შემდეგნაირად:

ა) *რომაული სისხლის სამართლის პროცესის ის ფორმა, რომელიც გაბატონდა იმპერიის ხანაში (იგულისხმება კოგნიციური პროცესი – ხაზგასმა ჩემია, ბ.მ.)* და სამძებრო პროცესის ნიშნებს ატარებს;

ბ) ფრანკთა ეპოქის პროცესი, რა დროსაც შემოდებულ იქნა ოფიციალური დევნის პრინციპი;

გ) ოფიციალური დევნის პრინციპის ნორმანების მიერ შეთვისება და მისი გადატანა სიცილიის სამეფოში;

დ) *იტალიის ქალაქებში პროცესის ახალი სახის შემოღება (იგულისხმება პროცესი სამძებრო ელემენტებით – ხაზგასმა ჩემია, ბ.მ.);*

ე) კათოლიკური ეკლესიის მიერ სამძებრო პროცესის შეთვისება, მისი განვითარება და საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება;

ვ) ხელისუფლების გაძლიერების მიზნით, ფეოდალური სახელმწიფოს მიერ უკვე დამუშავებული ინკვიზიციური წარმოების კანონიკური სამართლიდან გადმოღება და გამოყენება.⁶²

ალ.ვაჩეიშვილის მიერ ქრონოლოგიურად ჩამოყალიბებული სამძებრო პროცესის წარმოშობისა და განვითარების საფეხურები ფაქტობრივად ოფიციალური დევნის პრინციპის წარმოშობისა და განვითარების ისტორიადაც უნდა იქნეს განხილული, ვინაიდან ოფიციალური დევნა ხომ სამძებრო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი და თანმდევი ელემენტია?!

გარდა ამისა, *მ.ჩელცოვიც* აღნიშნავს თავის კვლევაში სამძებრო პროცესის ელემენტების რომის სამართალში არსებობის შესახებ⁶³, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ რომის სამართალი ნამდვილად ითვალისწინებდა სამძებრო პროცესის ელემენტებს და ამის მკაფიო გამოხატულებაა სისხლის სამართლის პროცესის კოგნიციური ფორმა. სამართალწარმოების ეს სახე პირდაპირ განსაზღვრავს დანაშაულებზე არა კერძო პირთა, არამედ სახელმწიფო ორგანოთა რეაგირებას აუცილებლობას, რაც ნიშნავს საჯარო საწყისს, სახელმწიფოს მხრიდან ოფიციალური დევნის განხორციელებას.

ამასთან, ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანია ოფიციალური დევნის პრინციპის განვითარების ბოლო საფეხური - ფეოდალურ სახელმწიფოში ცენტრალური ხელისუფლების შექმნის მიზნით, ამ მძლავრი მექანიზმის გამოყენების ისტორია. სწორედ ამ პერიოდში მოხდა სამძებრო პროცესის კიდევ უფრო დახვეწა და პრაქტიკაში მისი სრულყოფილი რეალიზაცია.

⁶¹ იხ. *ვაჩეიშვილი ალ.*, სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 52.

⁶² იხ. იქვე, 152.

⁶³ იხ. *Челцов М.А.*, დასახ. ნაშრ., 56-60.

§4 ოფიციალური დენის პრინციპის განვითარება საფრანგეთში

სისხლის სამართლის პროცესის განვითარების გამოკვლევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საფრანგეთის ისტორიას, რადგან სწორედ ამ ქვეყანაში დაიწყო სისხლის სამართლის პროცესის ერთი ტიპის შეცვლა მეორეთი: საბრალდებო პროცესის ადგილი დაიკავა ინკვიზიციურმა ანუ სამძებრო პროცესმა. კერძო საწყისზე დამყარებული პროცესის მაგიერ შემოვიდა საჯარო საწყისზე ორიენტირებული პროცესი. ეს ცვლილება სისხლის სამართლის პროცესში თანდათანობით ვითარდება. თავდაპირველად საფრანგეთში საბრალდებო და სამძებრო პროცესები პარალელურად მოქმედებენ. მაგრამ საბოლოოდ სამძებრო პროცესი საბრალდებო სამართალწარმოებას სრულად განდევნის და სასამართლო წარმოების ერთადერთ წესად რჩება.⁶⁴ ეს გამომდინარეობდა იქიდან, რომ საბრალდებო პროცესი დაუსჯელად ტოვებდა ბევრ დანაშაულს. ჯერ კიდევ არ იყო შეგნებული, რომ დანაშაული მიმართული იყო არა მხოლოდ კერძო პირის წინააღმდეგ, არამედ იგი არღვევდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს.⁶⁵

სანამ ინკვიზიციური პროცესი საბოლოოდ დამკვიდრდებოდა, საბრალდებო პროცესის გვერდით არსებობდა სპეციალური წესები, რომელიც შეიძლება ითქვას, მსგავსი იყო სამძებრო პროცესის, მაგრამ მტკიცება იმისა, რომ ეს წესები ნამდვილად შეიცავდნენ ამ ტიპის პროცესის ელემენტებს შეუძლებელია. ასეთი იყო მაგალითად, *საქმის წარმოება დანაშაულზე წასწრების დროს*. ამ დროს საჭირო არ იყო ბრალმდებელი. მოსამართლე დანაშაულის ჩამდენ პირს ასამართლებდა იმ პირთა ჩვენების საფუძველზე, რომლებმაც იგი დააკავეს. ფრანკების ეპოქაში არსებობდა ასევე დანაშაულზე წასწრებული *პირის დევნა ყვირილით*, რასაც „haro“-ს, იგივე „harou“-ს უწოდებდნენ, მაგრამ იგი ნაკლებად იყო საჯარო დენის პრინციპის გამოხატულება.⁶⁶

საბრალდებო პროცესის თავისებურებიდან გამომდინარე, ბრალდების წარდგენის უფლება ჰქონდა დაზარალებულს ან მის ახლო ნათესავს, მაგრამ რა ხდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც მოკლულს არ ჰყავდა ნათესავები?⁶⁷

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში უნდა ჩარეულიყო საჯარო ხელისუფლება, ანუ ნელ-ნელა ყალიბდებოდა ახალი პრინციპი – დევნა, რომელიც ჯერ კიდევ სუსტი და მკრთალი იყო, მაგრამ ვითარდებოდა: თუ დაზარალებული ან მისი ნათესავები არ აღძრავდნენ დევნას, მოსამართლე საქმისწარმოებას ვერ დაიწყებდა, ანუ საჯარო ხელისუფლება ვერ განახორციელებდა დამოუკიდებლად სისხლისსამართლებრივ დევნას, მაგრამ უფლება ჰქონდა თვითონ შეეპყრო ბოროტმოქმედი და მოეწოდებინა დაზარალებულისათვის დენის განხორციელება. გარკვეული პერიოდის

⁶⁴ იხ. *ვაჩიშვილი აღ.*, სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 68-69.

⁶⁵ იხ. იქვე, 77.

⁶⁶ იხ. იქვე.

⁶⁷ იხ. იქვე.

შემდეგ, თუ არავინ დასდებდა ბრალს დაპატიმრებულს მას თავდებობით ანთავისუფლებდნენ ან გარკვეული ვადით საპყრობილეში ტოვებდნენ, მაგრამ ბრალდების წარუდგენლობის შემთხვევაში დაკავებული საბოლოოდ თავისუფლდებოდა.⁶⁸

უფრო ეფექტური სახე ოფიციალური დევნისა შემოიღო პაპმა ინოკენტი III. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ უამრავ უწესობას ჰქონდა ადგილი ეკლესიის მსახურთა ცხოვრებაში. ეკლესიამ მიზნად დაისახა ბრძოლა გაქაღებინა დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ და ამ მიზნის განსახორციელებლად შემოღებულ იქნა ოფიციალური ხასიათის დევნა. წარმოიშვა სისხლის სამართლის პროცესი, რომელიც ცნობილია ინკვიზიციური პროცესის სახელწოდებით. პროცესის ეს ტიპი მოსამართლეს უფლებას აძლევდა დაეწყო დევნა პირის წინააღმდეგ და გამოეტანა გამამტყუნებელი განაჩენი მაშინაც კი, როცა არ იყო ბრალმდებელი.⁶⁹

ოფიციალური დევნის პრინციპი საფრანგეთში ჩნდება და ვითარდება XIII საუკუნეში „apprise“-ის სახელწოდებით.⁷⁰ ამ პრინციპის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები იღებენ ვალდებულებას დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ აღძრან სისხლისსამართლებრივი დევნა, ანუ კერძო საწყისის ადგილს ამ შემთხვევაში საჯარო საწყისი იკავებს.⁷¹

XIV საუკუნეში ოფიციალური დევნა უკვე ჩამოყალიბებულ ინსტიტუტს წარმოადგენს. ამავე პერიოდში ყალიბდება დევნის სახელმწიფო ორგანო - მეფის პროკურორი, რომლის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს დანაშაულთა დევნის მეთვალყურეობა. ამ საქმიანობას თავდაპირველად ფისკალური ხასიათი აქვს, რადგანაც განაჩენით დადგენილი ჯარიმა და კონფისკაცია, მეფის შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. პროკურორის ამ მოვალეობას შემდგომში სხვა ფუნქციაც დაემატა, იგი როგორც სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს „რეპრესია“. პროკურორს არ შეუძლია ბრალმდებლად გამოსვლა, მაგრამ იგი მოსამართლეს წინადადებას აძლევს ოფიციალურად დაიწყოს საქმე.⁷²

პროკურორების ინსტიტუტის შემოღებამ საფრანგეთის ზოგიერთ რეგიონში წინააღმდეგობები გამოიწვია, მაგრამ იგი დაძლეულ იქნა და XIV საუკუნეში პროკურორები არიან სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები, ისინი მონაწილეობას იღებენ დევნაში ან მარტო ან კერძო პირთან ერთად. 1347 წლის ორდონანსის თანახმად, პროკურორის მოვალეობაა „გამოძიების წარმოების აღძვრა.“⁷³

⁶⁸ იხ. ვახეიშვილი აღ., სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 77-78.

⁶⁹ იხ. იქვე, 85.

⁷⁰ იხ. იქვე, 87; 97, 133; ასევე, „apprise“-ის შესახებ დაწერილებით იხ. *Чельцов-Бегутов М.А., положение личности в уголовном процессе, часть 1, Москва, 1948, 92-133.*

⁷¹ იხ. ვახეიშვილი აღ., სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 79.

⁷² იხ. იქვე, 95.

⁷³ იხ.: ვახეიშვილი აღ., სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 95-96; *Энциклопедический словарь, Томъ*

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1539 წლის ორდონანსი, რომელმაც საბოლოოდ დაადგინა საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები. კერძოდ, ამ ორდონანსის მიხედვით, პროკურორი უკვე პროცესის მონაწილე მხარედ ითვლება. იგი ბრალმდებელია, ხოლო მოსამართლე გამოძიებას აწარმოებს.⁷⁴ 1670 წლის ორდონანსით კი უკვე ნამდვილ და ერთადერთ ბრალმდებლად მიჩნეულია მეფის ან სენიორის პროკურორი. კერძო პირს შეუძლია მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.⁷⁵

ინკვიზიციური, იგივე სამძებრო პროცესის განვითარება და ოფიციალური დევნის პრინციპის ჩამოყალიბება მხოლოდ საფრანგეთისთვის არ იყო დამახასიათებელი. ასეთი ტიპის პროცესი სხვადასხვა სპეციფიკური ნიშნებით, შეითვისეს ასევე ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებმა: იტალიამ, გერმანიამ, ესპანეთმა და ა.შ. მხოლოდ ერთი ქვეყანა, რომელმაც არ მიიღო პროცესის ეს ფორმა, იყო ინგლისი, სადაც მოქმედებდა საბრალდებო პროცესი.⁷⁶

ნაპოლეონ I დროს 1808 წელს მიღებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც შემოიღო ე.წ. შერეული პროცესი. პროცესის ეს ტიპი დამყარებულ იქნა ორ სხვადასხვა პრინციპზე: წინასწარი გამოძიება - სამძებრო საწყისზე, ხოლო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა - შეჯიბრებითობის პრინციპზე.⁷⁷

ამდენად, შეჯიბრებითი პროცესი სამძებრო, ანუ ინკვიზიციურმა პროცესმა შეცვალა. ადრე დანაშაულს უყურებდნენ როგორც კონკრეტული პირის პირადი უფლებების დამრღვევ ქმედებას და შესაბამისად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და წარმოება კერძო პირის უფლებამოსილებას წარმოადგენდა. მაგრამ XIII საუკუნეში პროცესის ამ ფორმასთან ერთად საერო სამართალში შემოდის საჯარო, ანუ ოფიციალური დევნის საწყისი, რომელიც მოგვიანებით სისხლის სამართლის პროცესში მკვიდრდება, როგორც ჩვეულებრივი საპროცესო წესი.⁷⁸ მაგრამ სამძებრო პროცესს აქვს ისეთი ელემენტები, მაგალითად, მხარეების ფუნქციების ერთი თანამდებობის პირის - მოსამართლის ხელში თავმოყრა, სამოსამართლო, ბრალდების და დაცვის ფუნქციების ერთმანეთში აღრევა,⁷⁹ რაც მიუღებელია თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესისათვის.

XXV, Праяга –Просрочка отпуска, Издатели: Брокгауз Ф.А. (Лейпциг), Ефронъ И.А. (С.-Петербург), С.-Петербург; Типо-Литография Ефрона И.А., Прачешный пер., №6, 1898, 395-397.

⁷⁴ იხ. ვახეიშვილი აღ., სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 100-101.

⁷⁵ იხ. იქვე, 104-105; ასევე, საფრანგეთში პროცესის ტიპებისა და სისხლის სამართალწარმოების შესახებ დაწვრილებით იხ. Bouloc B., Stefani G., Levasseur G., Procédure pénale, 23^e édition, Paris, 2012, 48-60.

⁷⁶ იხ. ვახეიშვილი აღ., სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 111-112.

⁷⁷ იხ.: იქვე, 126; სტროგოვიჩი მ.ს., დასახ. ნაშრ., 47-50.

⁷⁸ იხ. ვახეიშვილი აღ., სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955, 127.

⁷⁹ იხ. იქვე, 127, 129-130.

§5 შეჯამება

ამრიგად, ყოველივე ზემოთ აღნიშნული ცხადყოფს, რომ ოფიციალური დევნის პრინციპი სამძებრო, იგივე ინკვიზიციური პროცესის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ელემენტია. იგი მძლავრი მექანიზმია სახელმწიფოს ხელში ხელისუფლების გაძლიერებისა და განმტკიცების მიზნით. ამასთან, დევნა ემსახურება საჯარო ინტერესს, ანუ საჯარო დანაშაულებზე სახელმწიფო იღებს ვალდებულებას თავისი დაწესებულებების მეშვეობით მოახდინოს რეაგირება.

სამართლის განვითარების დაბალ საფეხურებზე სახელმწიფოს არ შესწევს ძალა თვითონ აიღოს საჯარო ინტერესის დაცვის ვალდებულება და ამიტომ ამ ფუნქციას კისრულობს კერძო ბრალმდებელი – პირი, რომელიც უშუალოდ დანაშაულის მსხვერპლია. მას აქვს მტკიცებულებათა მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენის უფლებაც. მაგრამ როგორც ჩანს, სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების შემდგომ ეტაპებზე უკვე სახელმწიფო ხდება საჯარო ინტერესის დაცვის გარანტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უდავოა ის ფაქტი, რომ ოფიციალური დევნის პრინციპი, სამძებრო პროცესის ძირითადი ელემენტია და სათავეს იღებს რომის სამართლიდან; იგი გადის განვითარების გარკვეულ ეტაპებს და საბოლოოდ XIV საუკუნეში იღებს ჩამოყალიბებულ სახეს. იგი ეფექტური იარაღია პროკურორის ხელში საჯარო ინტერესის დაცვის სადარაჯოზე.

ამასთან, ოფიციალური დევნის პრინციპსა და თანამედროვე სისხლისსამართლებრივი დევნას შორის კავშირზე საუბრისას, ცხადია, უნდა აღინიშნოს, რომ დევნის პრინციპი წარმოადგენს თანამედროვე სისხლისსამართლებრივი დევნის ჩანასახს, ვინაიდან ორივე ინსტიტუტისთვის დამახასიათებელია საჯარო საწყისი, *ex officio*. მათ საერთო დამახასიათებელ ნიშნებზე, ძველი ქართული სამართლის ძეგლების შესწავლის დროსაც აღინიშნა. თუმცა თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში, სისხლისსამართლებრივი დევნა უფრო ჩამოყალიბებული და დახვეწილი სახით არის დღეს წარმოდგენილი, ვიდრე ოფიციალური დევნის პრინციპი იყო და ეს ბუნებრივია. მან განვითარების დიდი გზა განვლო. შეიძლება ითქვას, სისხლის სამართლის პროცესი, სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომლის ინსტიტუტები მუდმივ დინამიკაში არიან, იხვეწებიან და იღებენ სრულყოფილ სახეს. ამ მხრივ გამონაკლისი არც სისხლისსამართლებრივი დევნაა.

თავი III. ოფიციალური დევნის პრინციპი რუსეთში (მოკლე ისტორიული ექსკურსი)

§1 ოფიციალური დევნა რევოლუციამდელ რუსეთში

რევოლუციამდელი რუსეთის სისხლის სამართლის პროცესზე საუბრის მიზანია მოკლედ განვსაზღვროთ 1801 წლიდან 1917 წლამდე რუსეთში მოქმედი სისხლის საპროცესო წესები და ოფიციალური დევნის

განმახორციელებელი ორგანოები, ვინაიდან საქართველო ამ პერიოდში და სამწუხაროდ შემდგომშიც, რუსეთის მიერ იყო ანექსირებული. შესაბამისად, რუსეთში მოქმედი საპროცესო ნორმები ავტომატურად საქართველოზეც ვრცელდებოდა.

სისხლის სამართლის პროცესმა რუსეთში თითქმის იგივე გზა განვლო, რაც ევროპის ქვეყნებმა. კერძოდ, რუსეთში არსებობდა საბრალდებო, ინკვიზიციური და შერეული პროცესები.⁸⁰

საბრალდებო პროცესი რუსულ სამართალში ჯერ კიდევ კიევის რუსეთის ეპოქაში მოქმედებდა. ეს იყო მითითებული პროცესის ტიპური ფორმა – მხარეების, როგორც ბრალმდებლის და ბრალდებულის დავა სასამართლოში. სწორედ მხარეების უფლებამოსილება იყო მტკიცებულებების შეგროვება და მათი სასამართლოში წარმართვა. გასამართლებამდე საქმის გამოძიება არ ტარდებოდა, მაგრამ ქურდობის საქმეებზე მიმდინარეობდა გატაცებული ნივთის ძებნა. პირი რომელსაც ეს ნივთი აღმოაჩნდებოდა ვალდებული იყო ეთქვა საიდან მოიპოვა იგი. ანუ ადგილი ჰქონდა ე.წ. «гонение следа» - „კვალის დევნა“-ს.⁸¹

როგორც ჩანს, იმ პერიოდის რუსეთის სისხლის სამართლის პროცესი იცნობდა „კვალის დევნის“ ინსტიტუტს, რომელიც ოფიციალური დევნის პრინციპის გამოხატულებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან იგი ორიენტირებული იყო არა კონკრეტული პერსონის, დანაშაულის ჩამდენი პირის, არამედ უშუალოდ დაკარგული ნივთის აღმოჩენაზე. თუმცა ზოგიერთი ავტორი ამ ინსტიტუტის არსებობას სისხლისსამართლებრივი დევნის წინამძღვრად, ჩანასახად მიიჩნევს.⁸²

XIII–XVI საუკუნეებში მოსკოვის სამთავროში წარმატებულად მოქმედებდა პროცესის საბრალდებო ფორმა. თუმცა XV საუკუნეში წარმოიშვა პროცესის სამძებრო ფორმა, რაც განპირობებული იყო სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციისა და გახშირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობით. XVI–XVII საუკუნეებში რუსეთში სამძებრო პროცესი უფრო გავრცელდა, ხოლო XVIII საუკუნეში მთლიანად განდევნა საბრალდებო პროცესის ფორმა.⁸³

ამრიგად, როგორც ჩანს, სამძებრო პროცესის წარმოშობას ისევე როგორც საქართველოში და ევროპის ქვეყნებში, რუსეთშიც იგივე წინაპირობები აქვს.

რუსეთში სამძებრო პროცესი გამოიყენებოდა „ბოროტ ადამიანთა“ მიმართ ყაჩაღობის, ქურდობის, მკვლელობის და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე.⁸⁴

⁸⁰ იხ. სტროგოვი მ.ს., დასახ. ნაშრ., 58.

⁸¹ იხ.: იქვე, 59; Сапронова Т.П., Особенности процессуального положения лиц осуществляющих уголовного преследования в суде., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Санкт-Петербург, 2005, 13-14.

⁸² იხ.: Ворочихин М.А., Субъекты уголовного преследования (понятие, виды, правовая культура),., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Ижевск, 2002, 15; Шишкина Е.В., Институт уголовного преследования., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Саратов, 2008, 16.

⁸³ იხ. სტროგოვი მ.ს., დასახ. ნაშრ., 59.

⁸⁴ იხ. იქვე, 60.

რუსული სისხლის სამართლის პროცესის ისტორიაში უდიდესი წვლილი მიუძღვის პეტრე I კანონმდებლობას. პეტრე I დროს იქნა შემუშავებული „სასამართლო პროცესების ან სასამართლო დავის მოკლე აღწერილობა“ სადაც საუბარია წინასწარ გამოძიებაზე, დაკითხვაზე, მტკიცებულებებზე და ა.შ. სამძებრო პროცესის წესები თავდაპირველად განკუთვნილი იყო სამხედრო სასამართლოებისათვის, მაგრამ 1723 წლის „ბრძანებულებით სასამართლოს რეფორმის შესახებ“ იგი გავრცელდა ყველა სასამართლოზე. პეტრე I მეფობის დროს სამძებრო პროცესის ფორმა მძლავრი იარაღი გახდა რეაქციულ ბოიარობასთან საბრძოლველად⁸⁵

პეტრე I პერიოდამდე რუსეთში არ არსებობდა საჯარო დევნის განმახორციელებელი განსაკუთრებული სახელმწიფო ორგანო. რეფორმების განხორციელებისას პეტრე ყველგან ხვდებოდა წინააღმდეგობებს რის გამოც, მან საჭიროდ მიიჩნია ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევდა და გააკონტროლებდა სხვადასხვა ახლად შექმნილ დაწესებულებებს. 1711 წელს რუსეთში შეიქმნა ფისკალური სამსახური, მაგრამ იგი ეფექტური არ გამოდგა. 1715 წელს სენატში დაინიშნა მეფის ბრძანებულებების ზედამხედველი, გენერალ-რევიზორი, გრაფი ზოტოვი. 1720 წელს ეს მოვალეობა დაეკისრა სენტის ობერ-მდივანს. 1721 წელს დაწესდა შტაბის ოფიცერთა მორიგეობა სენატში, რის შემდეგაც 1722 წელს პეტრემ გამოსცა ბრძანებულება პროკურატურის დაარსების შესახებ. პროკურორებს დაევალებათ ზედამხედველობის განხორციელება კანონების შესრულებაზე.⁸⁶

გარდა ამისა, პროკურორები ახორციელებდნენ სისხლისსამართლებრივ დევნას, მეთვალყურეობდნენ საპატიმრო ადგილებს, ხაზინას, მონაწილეობდნენ ბრალმდებლებად სასამართლოში საქმის განხილვაში. პროკურორებს ხელმძღვანელობდა გენერალ-პროკურორი.⁸⁷

1864 წლის სასამართლო რეფორმამ რუსეთში გააუქმა ინკვიზიციური პროცესის ფორმა და შემოიღო შერეული პროცესი: არასაჯარო, წერილობითი წინასწარი გამოძიება და საჯარო, შეჯიბრებითი „სამსჯავრო გარჩევა“.⁸⁸ ამ რეფორმამ გარკვეულწილად შეცვალა რუსეთის პროკურატურის ფუნქციებიც. კერძოდ, მას ჩამოერთვა საზედამხედველო ფუნქცია და დაევალა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის

⁸⁵ იხ. *სტროგოვი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 60, 62.

⁸⁶ იხ.: *Энциклопедический словарь, Том XXV, Праяга –Просрочка отпуска*, Издатели: *Брокгауз Ф.А.* (Лейпциг), *Ефронъ И.А.* (С.-Петербург), С.-Петербург; Типо-Литографія *Ефрона И.А.*, Прачешный пер., №6, 1898, 401-402; *Никитин Е.Л.*, Актуальные проблемы прокурорской деятельности при осуществлении уголовного преследования., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Санкт-Петербург, 2000, 53.

⁸⁷ იხ.: *Энциклопедический словарь, Том XXV, Праяга –Просрочка отпуска*, Издатели: *Брокгауз Ф.А.* (Лейпциг), *Ефронъ И.А.* (С.-Петербург), С.-Петербург; Типо-Литографія *Ефрона И.А.*, Прачешный пер., №6, 1898, 401-402; *ვაბახიანი ა.*, პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, (ძირითადი კონცეფტუალური საკითხების შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), თბილისი, 1999, 154-155.

⁸⁸ იხ. *სტროგოვი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 62.

განხორციელება სასამართლომდელ სტადიაზე, ასევე სასამართლოში ბრალდებისათვის მხარდაჭერა.⁸⁹

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის, როგორც ტერმინის განვითარების ეტაპებს, 1864 წლის სისხლის სამართალწარმოების შესახებ წესებში მოხსენიებულია ტერმინი „სასამართლო დევნა“,⁹⁰ ხოლო 1866 წელს *აკვაჩევსკი* უკვე მოიხსენიებს ტერმინ – სისხლისსამართლებრივი დევნას.⁹¹ აღნიშნულ ტერმინებს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს.⁹²

ამრიგად, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთშიც ისევე როგორც საქართველომ და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებმა სისხლის სამართლის პროცესის განვითარების თვალსაზრისით, მცირეოდენი განსხვავებებით, მაგრამ თითქმის ერთნაირი გზა განვლეს. როგორც ჩანს, რევოლუციამდელ რუსეთში სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფო დაწესებულების - პროკურატურის მეშვეობით ხორციელდებოდა და მისი შექმნა დაკავშირებულია პეტრე I-ლის სახელთან. ამდენად, *ex officio*, საჯარო საწყისი, როგორც ყველა სხვა, ასევე ამ ქვეყანაშიც სისხლის სამართლის სამმებრო პროცესის ფორმას უკავშირდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ 1801-1917 წლებში რუსეთის მსგავსად, საქართველოშიც მოქმედებდა სისხლის სამართლის სამმებრო და შერეული პროცესის ფორმები. დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და წარმოება სახელმწიფოს მონოპოლიად იყო მიჩნეული.

§2 სისხლისსამართლებრივი დევნა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს 1921 წლის ოკუპაციამ ქართული სამართლის დარგები საბოლოოდ დააკავშირა საბჭოთა იურისპრუდენციასთან. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ქართული იურიდიული აზროვნება, მეცნიერება თუ კანონმდებლობა ყოველთვის განიცდიდა მის ზეგავლენას. სისხლის სამართლის პროცესიც, როგორც სამართლის დარგი საბოლოოდ გახდა საბჭოთა იდეების მსხვერპლი.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნორმატიული აქტი, რომელიც სისხლის სამართლის პროცესს შეეხებოდა, იყო 1917 წლის 24 ნოემბრის №1 დეკრეტი სასამართლოს შესახებ. იგი ჯერ კიდევ არ განსაზღვრავდა საბჭოთა სასამართლოს საქმიანობის ახალ წესს. დასახელებული დეკრეტი

⁸⁹ იხ.: Энциклопедический словарь, Томъ XXV, Праяга –Просрочка отпуска, Издатели: *Брокгаузъ Ф.А.* (Лейпцигъ), *Ефронъ И.А.* (С.- Петербургъ), С.- Петербургъ; Типо-Литографія *Ефрона И.А.*, Прачешный пер., №6, 1898, 402-403; *გაბოსონია ო.*, დასახ. ნაშრ., 156-157.

⁹⁰ იხ. *Горлова С.В.*, Уголовное преследование как проявление публичности в уголовном процессе., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Челябинск, 2006, 75.

⁹¹ იხ. იქვე.

⁹² იხ.: *Аристархов А.Л.*, Осуществление следователем уголовного преследования., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Санкт-Петербург, 2008, 45; *Крюков В.Ф.*, Правовой статус прокурора в уголовном преследовании (досудебное и судебное производство)., Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2012, 49.

გარკვეულწილად უშვებდა სისხლის სამართალწარმოებას 1864 წლის წესდებით დადგენილი საპროცესო წესებით.⁹³

1918 წლის 22 თებერვალს გამოცემული იქნა №2 დეკრეტი, რომელიც აწესებდა სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობას. დეკრეტი ითვალისწინებდა ბრალდებისა და დაცვის მხარის მონაწილეობას წინასწარი გამოძიებისას და სასამართლოში საქმის განხილვის დროს. ამასთან, ძირითადი ბრალმდებლის და დამცველის გარდა, პროცესზე დამატებით გამოსვლა შეეძლოთ ერთ ბრალმდებელს და დამცველს საზოგადოებიდან. რაც შეეხებოდა მოსამართლეს, ეს უკანასკნელი საქმეს განიხილავდა სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით.⁹⁴

1918 წლის 20 ივლისს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა ახალი, №3 დეკრეტი, რომელსაც სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებული ცვლილებები არ შეუტანია. ეს დეკრეტი ძირითადად მიეძღვნა სახალხო სასამართლოების ქვემდებარეობის გაფართოების საკითხს.⁹⁵

სამხედრო კომუნიზმის პერიოდში საბჭოთა რუსეთში არსებობდა სასამართლო ორგანოთა ორი განცალკევებული სისტემა: სახალხო სასამართლოები და რევოლუციური ტრიბუნალები. მათი საქმიანობა სხვადასხვა კანონით წესრიგდებოდა. კერძოდ, სახალხო სასამართლოების საპროცესო საქმიანობა წესრიგდებოდა 1918 წლის 30 ნოემბრის დებულებით სახალხო სასამართლოების შესახებ. ამ დებულების მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესი შეჯიბრებითი იყო. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას დაშვებული იყო ბრალდების და დაცვის მხარეების მონაწილეობა. დამცველი დაიშვებოდა წინასწარი გამოძიების დროსაც. თუმცა, მათი მონაწილეობა „საგამომძიებლო“ კომისიის დადგენილებით შეიძლებოდა შეზღუდულიყო.⁹⁶

ზემოთ დასახელებული დებულება 1920 წლის 21 ოქტომბერს შეიცვალა ახალი დებულებით, რომლის თანახმადაც, წინასწარი გამოძიების ჩატარება ერთპიროვნულად დაევადა სახალხო გამომძიებლებს, ნაცვლად „საგამომძიებლო კომისიებისა“. დამცველის მონაწილეობა წინასწარ გამოძიებაში არ დაშვებოდა. სასამართლო განხილვა შეჯიბრებითი იყო, მაგრამ სასამართლო განსაზღვრავდა სავალდებულო იყო თუ არა ბრალმდებლისა და დამცველის მონაწილეობა სასამართლო განხილვისას.⁹⁷

რაც შეეხება რევოლუციურ ტრიბუნალებს, 1918 წლის 4 მაისის დეკრეტმა დააწესა ტრიბუნალების ორგანიზაციული პრინციპები, ხოლო 1919 წლის 12 აპრილის დებულებით დადგენილი იქნა სისხლის სამართლის პროცესის დეტალური წესები. ამ წესების თანახმად, წინასწარი გამოძიების წარმოებისას ბრალდებულს არ ჰქონდა ესარგებლა დაცვის უფლებით.

⁹³ იხ.: *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 64-65; საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, რედ.: *ვალდიაშვილი ა., თალაკვაძე ლ.*, თბილისი, 1988, 32-33.

⁹⁴ იხ.: საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, რედ.: *ვალდიაშვილი ა., თალაკვაძე ლ.*, თბილისი, 1988, 33-34; *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 65-66.

⁹⁵ იხ. *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 66.

⁹⁶ იხ. იქვე, 67-68.

⁹⁷ იხ.: იქვე, 68; ასევე საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, რედ.: *ვალდიაშვილი ა., თალაკვაძე ლ.*, თბილისი, 1988, 34.

ამასთან, ტრიბუნალის გადასაწყვეტი იყო სასამართლო განხილვის დროს დაეშვა თუ არა ბრალდებელი და დამცველი. რევოლუციური ტრიბუნალების საპროცესო უფლებამოსილებანი უფრო გაფართოვდა 1920 წლის 18 მარტის დებულებით.⁹⁸

1922 წლის 24 ივნისს მიღებული იქნა რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ეს იყო პირველი საბჭოთა კოდექსი, რომელიც აწესრიგებდა საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების საპროცესო საქმიანობას. 1923 წლის 15 თებერვალს კვლავ იქნა მიღებული ახალი რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 1924-1936 წლებში რსფსრ სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებით, საბჭოთა ხელისუფლებამ კიდევ მიიღო რამოდენიმე კანონი. 1936 წლის 5 დეკემბერს კი, სსრ კავშირის კონსტიტუციის IX თავში „სასამართლო და პროკურატურა“ დადგინდა მთელი რიგი საპროცესო პრინციპები. კერძოდ, სისხლის სამართლის პროცესის საჯაროობა, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და ა.შ.⁹⁹

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საბჭოთა საქართველოში“ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სრულად შეესაბამებოდა რსფსრ-ს საპროცესო კანონმდებლობას.¹⁰⁰ საქართველოში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებული იქნა 1923 და 1960 წლებში.¹⁰¹ ამასთან, საბჭოთა პერიოდში ადგილი ჰქონდა ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიღებას, რაც ზღუდავდა გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დემოკრატიულ პრინციპებს, ბრალდებულის დაცვის უფლებას და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ამარტივებდა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და განხილვის საპროცესო წესებს, რასაც საბოლოოდ მოჰყვა ცალკეულ პირთა რეპრესიები.¹⁰²

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელი იყო პროცესის შერეული ტიპის ნიშნები. კერძოდ, პროცესი იყოფოდა წინასწარ გამოძიებად და სასამართლო განხილვად. გამოძიების, პროკურატურის და სასამართლო ორგანოებს ფართო უფლებამოსილებები გააჩნდათ დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოვლენისა და დასჯის საქმეში.¹⁰³ საბჭოთა პროცესს საფუძვლად ედო ოფიციალობის პრინციპი, ანუ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას, ბრალდებას, საქმის გადაწყვეტას სახელმწიფო დაწესებულებები – საგამოძიებო, პროკურატურის და

⁹⁸ იხ. *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 68-69.

⁹⁹ აღნიშნული ნორმატიული აქტების დეტალური განხილვა სცილდება კვლევის მიზანს, რის გამოც მათზე დაწვრილებით საუბარი მიზანშეუწონელია. იხ. ვრცლად *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 70-72.

¹⁰⁰ იხ. იქვე, 98.

¹⁰¹ იხ. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, რედ.: *ვალიაშვილი ა., თალაკვაძე ლ.*, თბილისი, 1988, 35, 40.

¹⁰² იხ. იქვე, 36.

¹⁰³ იხ. *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 72-73.

სასამართლო ორგანოები ახდენდნენ. აქედან გამონაკლისს წარმოადგენდა კერძო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეები.¹⁰⁴

საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერება იცნობდა სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტს.¹⁰⁵ მას *მ.ს.სტროგოვიჩი* შემდეგნაირად განმარტავდა: „სისხლის სამართლის წესით დევნა ეწოდება იმ საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ მხილებულ იქნას გარკვეული პირი დანაშაულის ჩადენაში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დაწესებულია მთელი რიგი ამგვარი მოქმედებანი: სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მამხილებელი საბუთების შეკრება, აღმკვეთ ღონისძიებათა შეფარდება, დაკითხვა, გაჩხრეკა, ბრალდებისათვის მხარის დაჭერა სასამართლოში და სხვ.“¹⁰⁶ ავტორის აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენდა საპროცესო საქმიანობის ნაწილს, რომელიც მთელ პროცესზე არ ვრცელდებოდა. იგი იწყებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც კონკრეტული პირი ბრალდებულის სახით მიეცემოდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მანამდე საჭირო იყო მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებების შესრულება საქმის ძირითადი გარემოებების გასარკვევად და მტკიცებულებათა შესაგროვებლად, რასაც *მ.ს.სტროგოვიჩი* სისხლისსამართლებრივი დევნის მოსამზადებელ სტადიად განიხილავდა. სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებდნენ გამომძიებელი და პროკურორი, ხოლო კერძო ბრალდების საქმეებზე დაზარალებული. საბჭოთა საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა საჯარო, კერძო-საჯარო და კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის სახეებს და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ინსტიტუტს, რომელიც სისხლის სამართალწარმოების დაწყების პირველ და მნიშვნელოვან სტადიად ითვლებოდა.¹⁰⁷

თავი IV. სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით

§1 შესავალი

XX საუკუნის 90-იან წლებში, უკვე დამოუკიდებელ საქართველოში დაიწყო სამართლებრივი რეფორმები, რომლებიც შემდგომში კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა საჭიროებდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რაც ერთობ მნიშვნელოვანი გარანტი იყო ქვეყნისათვის ევროპულ სტრუქტურებში გასაერთიანებლად. სწორედ ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნით გახდებოდა შესაძლებელი

¹⁰⁴ იხ. *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 78-79. შენიშვნა: კერძო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეთა თავისებურებებზე, დეტალური მსჯელობა იქნება, საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის სახეების განხილვისას.

¹⁰⁵ იხ. *გაბიხონია ი.*, დასახ. ნაშრ., 255.

¹⁰⁶ *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 104.

¹⁰⁷ იხ. იქვე, 104-106, 109, 269-282.

იმის განსაზღვრა, განვითარების რომელ კურსს აირჩევდა საქართველო – დარჩებოდა ტოტალიტარული რეჟიმის მიმდევრად, თუ დაადგებოდა დემოკრატიის მშენებლობის გზას. ერთ-ერთი სერიოზული ნაბიჯი ამ მიმართულებით 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციით გადაიდგა და მასში აისახა არაერთი ფუნდამენტური დემოკრატიული დებულება. საკანონმდებლო სიახლეები შეეხო სისხლისსამართლებრივ სფეროსაც.¹⁰⁸

1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ იქნა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდგომში სსსკ-ი), რომლითაც საბოლოოდ ეთქვა უარი ისეთი სახის სისხლის სამართალწარმოებას, რომელიც უხეშად არღვევდა და ზღუდავდა ადამიანის უფლებებს. ამ კოდექსმა ახლებურად განსაზღვრა სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების, ბრალდების, დაცვის და სასამართლოში საქმის განხილვის საპროცესო წესები.

ამასთან, ზემოაღნიშნულმა საპროცესო კანონმდებლობამ, მისი არსებობის მანძილზე უამრავი ცვლილება განიცადა, რაც განაპირობებდა იყო იმ პერიოდში საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმით, სამართალდამცავი ორგანოების ახლებური ორგანიზაციით და ახალი საპროცესო ინსტიტუტების შემოღებით (მაგალითად, საპროცესო შეთანხმება და ა.შ.). ცვლილებების ძირითად მიზანს წარმოადგენდა საპროცესო კანონმდებლობის დახვეწა და დანაშაულის წინააღმდეგ უფრო სწრაფი, ეფექტური ბრძოლა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უამრავი დემოკრატიული პრინციპის გათვალისწინების მიუხედავად, 1998 წლის საპროცესო კანონმდებლობა კვლავ განიცდიდა საბჭოთა სამართლის ზეგავლენას. კერძოდ, საპროცესო კანონმდებლობაში ასახული იყო ისეთი საპროცესო ინსტიტუტი – სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, როგორც სისხლის სამართლის პროცესის პირველი და დამოუკიდებელი სტადია, ასევე კვლევა წარმოებდა ისეთი საკითხების ირგვლივ, (მაგალითად, დავა სისხლისსამართლებრივი დევნისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით და ა.შ.) რომლებიც მხოლოდ საბჭოთა პროცესისათვის იყო დამახასიათებელი.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის პროცესი საჯარო ბუნებისაა და მიეკუთვნება საჯარო სამართლის დარგს.¹⁰⁹ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, სისხლისსამართლებრივი დევნისა და ბრალდების ფუნქცია, სახელწიფოს პრეროგატივაა და საჯარო ინტერესის გათვალისწინებით

¹⁰⁸ იხ. *ბენიძე დ.*, შეჯიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, სამეცნიერო შრომების კრებული, <<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0---0prompt-10--4-----0-01--11-en-50---20-about--00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=ekonomik&cl=CL4.2&d=HASHfda9fd570df09c458b7b5.2.4>>, ბოლოს გამოხმობილია 14.12.2013.

¹⁰⁹ იხ. სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ.: გოგ შელიძე რ., თბილისი, 2009, 145, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 23.05.2013.

ხორციელდება სახელმწიფო ორგანოს მეშვეობით.¹¹⁰ აქედან გამომდინარე, 1998 წლის საპროცესო კანონმდებლობამაც განსაზღვრა მნიშვნელოვანი პროცესუალური პრინციპები – საჯაროობა და დისპოზიციურობა, რომლებიც პირდაპირ კავშირია სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობასთან.¹¹¹ იურიდიულ ლიტერატურაში, საჯაროობის პრინციპი მოიხსენიება „ოფიციალობის პრინციპის“ სახელწოდებითაც.¹¹²

ზემოთ მითითებული საპროცესო კანონმდებლობით, სისხლის სამართლის პროცესის საჯაროობა გამოიხატებოდა იმაში, რომ გამომძიებელი, პროკურორი მოსამართლე და სასამართლო მოქმედებდნენ რა საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, ვალდებულნი იყვნენ დაეღვინათ დანაშაული და მისი ჩამდენი პირი. ამ მიზნით, ისინი უფლებამოსილნი იყვნენ ჩაეტარებინათ ყველა საპროცესო მოქმედება.¹¹³ საჯარო ინტერესში იგულისხმებოდა დანაშაულის დადგენის, მისი ჩამდენი პირის გამოვლენისა და დასჯის ინტერესი. თუმცა სასამართლოს მოქმედება საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, იურიდიულ ლიტერატურაში სადავო საკითხს წარმოადგენდა, რადგან ეს ორგანო არ იყო სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო და არ შეეძლო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებები ჩაეტარებინა დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირის დასადგენად.¹¹⁴

დანაშაულის გახსნის, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისა და დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯის საჯარო ინტერესი არ გულისხმობდა იმას, რომ უპირობოდ მომხდარიყო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა. შეზღუდვები დასაშვებია იყო მხოლოდ კანონით დადგენილი შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. უფრო მეტიც, საპროცესო კოდექსი ცალსახად ადგენდა, რომ პირად კანონიერ ინტერესს პრიორიტეტი ენიჭებოდა დანაშაულის გახსნისა და დანაშაულის დასჯის საჯარო ინტერესთან შედარებით. ამით ფაქტობრივად, დეკლარირებული იყო შემდეგი ცნობილი პრინციპი – სჯობს დანაშაული

¹¹⁰ იხ.: სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ.: გოგ შელიძე რ., თბილისი, 2009, 145, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოსხმობილია 23.05.2013; სტროგოვიჩი მ.ს., დასახ. ნაშრ., 88.

¹¹¹ იხ. მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები (2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით), თბილისი, 2007, 63.

¹¹² იხ.: სტროგოვიჩი მ.ს., დასახ. ნაშრ., 78; გუცენკო კ.გ., ვოლოკო ლ.კ., ვილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თარგმანი რუსულიდან, სამეცნიერო რედ.: გოგ შელიძე რ., თბილისი, 2007, 38.

¹¹³ იხ.: 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, მე-14 მუხლი; ასევე, სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ.: გოგ შელიძე რ., თბილისი, 2009, 146, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოსხმობილია 23.05.2013; შეად. Дукарев И.С., Диспозитивность в уголовном процессе России., Под редакцией профессора Кругликова А.П., Волгоград, 2005, 57.

¹¹⁴ იხ.: მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., დასახ. ნაშრ., 63.; სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ.: გოგ შელიძე რ., თბილისი, 2009, 147, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოსხმობილია 23.05.2013.

დარჩეს გაუხსნელი და დამნაშავე დაუსჯელი, ვიდრე მოხდეს უდანაშაულო პირის მსჯავრდება.¹¹⁵

საჯაროობასთან ერთად საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა ასევე დისპოზიციურ საწყისსაც. დისპოზიციურობა ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას გამოიყენონ თავიანთი უფლებები.¹¹⁶ იგი დამახასიათებელია სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის, მაგრამ ეს პრინციპი სისხლის სამართლის პროცესშიც გამოიყენებოდა კერძო-საჯარო და კერძო ბრალდების საქმეებზე. შეჯიბრებითობის პრინციპისაგან განსხვავებით, დისპოზიციურობა არ განიხილებოდა სისხლის სამართლის პროცესის ძირითად პრინციპად. მაგრამ იგი წარმოადგენდა შეჯიბრებითობის განხორციელების ერთგვარ წესს.¹¹⁷ დისპოზიციური საწყისის ზემოაღნიშნულ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და შეწყვეტა დამოკიდებული იყო დაზარალებულის პოზიციაზე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროკურორი ჩაებმებოდა საქმეში.¹¹⁸

1998 წლის საპროცესო კანონმდებლობაში პირდაპირ აღინიშნა, რომ სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდებოდა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ბრალდების, დაცვის და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები გამოყოფილი იყო ერთმანეთისაგან და არ შეიძლებოდა დაკისრებოდა ერთსა და იმავე ორგანოს ან თანამდებობის პირს. ბრალდებისა და დაცვის მხარეებს სრული თანასწორობის საფუძველზე ენიჭებოდათ მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობა. ბრალდების ფუნქცია ეკისრებოდა პროკურორს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს და მათ წარმომადგენლებს, ხოლო დაცვის უფლება ჰქონდათ ბრალდებულს, მის დამცველს, სამოქალაქო მოპასუხესა და მის წარმომადგენელს. სასამართლო არ განიხილებოდა როგორც წინასწარი გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო. იგი ბრალდებას და დაცვას უქმნიდა შესაბამის პირობებს მტკიცებულებათა წარდგენისა და მათი ყოველმხრივი, სრულყოფილი გამოკვლევისათვის. ამასთან, სასამართლო შებოჭილი არ იყო მხარეთა მოსაზრებებით.¹¹⁹

¹¹⁵ იხ.: *მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო.*, დასახ. ნაშრ., 64. სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, *რედ.: გოგ შელიძე რ.*, თბილისი, 2009, 146-147, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოსმობილია 23.05.2013.

¹¹⁶ იხ. *Современный словарь иностранных слов.*, М., 1992, С .206 – მითითებულია: *Дикарев И.С.*, დასახ. ნაშრ., 36.

¹¹⁷ იხ. *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 87-88; შეად. *Дикарев И.С.*, დასახ. ნაშრ., 36-56.

¹¹⁸ იხ.: *მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო.*, დასახ. ნაშრ., 64; სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, *რედ.: გოგ შელიძე რ.*, თბილისი, 2009, 147-149, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოსმობილია 23.05.2013.

¹¹⁹ იხ.: 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, მე-15 მუხლი; ასევე, *მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო.*, დასახ. ნაშრ., 65-67; სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, *რედ.: გოგ შელიძე რ.*, თბილისი, 2009, 149-153, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოსმობილია 23.05.2013.

§2 სისხლისსამართლებრივი დევნის კოდექსისეული განმარტება

1998 წლის სსსკ-ის III თავით განისაზღვრა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თავისებურებანი, სახეები, დევნის შეწყვეტისა და შეჩერების საფუძვლები. 44-ე მუხლის 43¹ ნაწილის თანახმად კი სისხლისსამართლებრივი დევნა განიმარტა როგორც „ამ კოდექსით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონებით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენების უზრუნველყოფა.“

როგორც ცნებიდან ჩანს, სისხლისსამართლებრივი დევნა არ განიხილებოდა ერთჯერად აქტად, არამედ იგი წარმოადგენდა სხვადასხვა საპროცესო (მათ შორის საგამოძიებო) მოქმედებათა ერთობლიობას. *მ.ს. სტროგოვიჩი* სისხლისსამართლებრივ დევნასთან მიმართებით აღნიშნავდა, რომ: „სისხლის სამართლის წესით დევნა სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა იმ აზრით, რომ სწორედ ეს საპროცესო საქმიანობა ჰქმნის და ავითარებს საპროცესო ურთიერთობას, მოძრაობაში მოიყვანს საპროცესო ურთიერთობათა მთელ სისტემას.“¹²⁰ მაშასადამე, სისხლისსამართლებრივ დევნაში მოიაზრებოდა კომპლექსური საპროცესო საქმიანობა და არა განცალკევებული, ერთჯერადი მოქმედება.

§3 საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა

1998 წლის სსსკ-ის 23-ე მუხლით განისაზღვრა ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის შემდეგი სახეებიც: საჯარო, სუბსიდიური, კერძო-საჯარო და კერძო.

დევნის სახეებს შორის, საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილს ეკავა. იგი ხორციელდებოდა ყველა კატეგორიის დანაშაულის საქმეებზე პროკურორისა და გამომძიებლის მიერ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორი საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას დამოუკიდებლად ახორციელებდა მაშინ, როცა გამომძიებელი შეზღუდული იყო და ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნდა. ეს უკანასკნელი საჭიროებდა პროკურორის სავალდებულო თანხმობას. მაგალითად, გამომძიებლის მიერ გამოტანილ დადგენილებას ბრალდებულის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ აუცილებლად ესაჭიროებოდა პროკურორის წერილობითი თანხმობა, ხოლო წინასწარი გამოძიების დამთავრების ერთ-ერთი ძირითადი შემაჯამებელი და მნიშვნელოვანი აქტის საბრალდებო დასკვნის შედგენის უფლება გამომძიებელს საერთოდ არ გააჩნდა.¹²¹ საპროცესო კანონმდებლობა არ აწესებდა პირის მიმართ საჯარო

¹²⁰ *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 104.

¹²¹ იხ.: 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, 22-24-ე მუხლები; ასევე, სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ.: *ვოგ შელიძე რ.*, თბილისი, 2009, 46-49,

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ცალკე დადგენილების გამოტანის ვალდებულებას.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობდა მოსაზრება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირი ბრალდებულის სახით იქნებოდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული.¹²² მაგრამ შემდგომში ეს პოზიცია შეიცვალა და თეორიასა და პრაქტიკაში მიჩნეულ იქნა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა შემდეგ შემთხვევებში: როდესაც გამოტანილი იყო დადგენილება პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ;¹²³ როდესაც პირი დაკავებული იყო ეჭვმიტანილის სახით და როცა პროკურორი ან გამომძიებელი პროკურორის თანხმობით გამოიტანდა დადგენილებას პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ.¹²⁴ ე.ი. ბრალდებულის გარდა სისხლის სამართლის პროცესში ეჭვმიტანილის გამოჩენაც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაუწყებელი იყო. საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციფიკურობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ამ დროს გამომძიებელი და პროკურორი „შეოჭილნი“ არ იყვნენ დაზარალებულის ან პროცესის სხვა მონაწილეთა პოზიციით. ისინი თავისუფალნი იყვნენ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების დროს.¹²⁵ მაშასადამე, ისინი მოქმედებდნენ საჯარო ინტერესის შესაბამისად.

საუბარია რა სისხლისსამართლებრივ დევნაზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, პროკურორის როლს საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სწორედ, პროკურორი იყო პროცესის ერთადერთი მონაწილე, რომელიც სსსკ-ის 55-ე და 56-ე მუხლების თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელების უზრუნველსაყოფად, საპროცესო ხელმძღვანელობას უწევდა წინასწარ გამოძიებას. საპროცესო ხელმძღვანელობა გულისხმობდა პროკურორის უფლებამოსილებათა ფართო სპექტრს სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიების მიმდინარეობისას. კერძოდ, პროკურორს უფლება ჰქონდა საქმის გამოძიება დაევალებინა კონკრეტული საგამომძიებო ორგანოსათვის ან გამომძიებლისთვის, მონაწილეობა მიეღო საგამომძიებო მოქმედებების ჩატარებაში, გასაცნობად მოეთხოვა სისხლის სამართლის

http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf, ბოლოს გამოსმობილია 23.05.2013.; *მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო.*, დასახ. ნაშრ., 81-83.

¹²² იხ.: *ვაფიაშვილი შ.*, სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 1999, 24; *Спрогович М.С.*, Курс советского уголовного процесса, том 1, Москва, 1968, 192-196. შენიშვნა: სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თავისებურებებზე და მასთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებზე, უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება მსჯელობა.

¹²³ იხ. *ვაფიაშვილი შ., თევზაძე ა.*, მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, თბილისი, 2002, 99-101.

¹²⁴ იხ. პრაქტიკული სახელმძღვანელო სისხლის სამართლის საპროცესო საკითხებში (სახელმძღვანელო პროკურორების და გამომძიებლებისათვის), საქართველოს გენერალური პროკურატურა, 2007, 12.

¹²⁵ იხ.: საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, 24-ე მუხლი; ასევე, *მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო.*, დასახ. ნაშრ., 83.

საქმის მასალები, გამომძიებლისათვის და საგამოძიებო ორგანოებისათვის მიეცა სავალდებულო მითითებები საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, საგამოძიებო ვერსიათა შემოწმების შესახებ და წინასწარი გამოძიების წარმოებისას წამოჭრილ სხვა საკითხებზე და ა.შ.¹²⁶

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში პროკურორის ასეთი ფართო უფლებამოსილების შესახებ არ არსებობდა ერთიანი დამოკიდებულება. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ წინასწარ გამოძიებაზე პროკურორის მიერ საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება თავისი სამართლებრივი შინაარსით უტოლდებოდა კომუნიკური პერიოდის პროკურორს, რომელიც წინასწარ გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობას ახორციელებდა. პროკურორის ასეთი ფართო უფლებამოსილება კი იწვევდა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ერთმანეთში აღრევას და წინააღმდეგობაში მოდიოდა შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესთან.¹²⁷

საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა არ მთავრდებოდა წინასწარი გამოძიების სტადიაზე პროკურორის მიერ საბრალდებო დასკვნის შედგენით. დევნა კონკრეტული პირის მიმართ გრძელდებოდა სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც, რაც გამოიხატებოდა პროკურორის მიერ სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერით.¹²⁸ პროკურორო სასამართლოში გამოდიოდა სახელმწიფო ბრალმძებლად. მას ეკისრებოდა ბრალდების მტკიცების მოვალეობა. იგი ვალდებული იყო პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებში მონაწილეობა მიეღო ყველა საჯარო ბრალდების საქმის განხილვაში, ხოლო საკასაციო წარმოების სტადიაზე პროკურორი მხარს უჭერდა თავის საჩივარს ან გამოთქვამდა აზრს იმ საჩივრების შესახებ, რომლებიც სამართალწარმოების მონაწილეებმა შეიტანეს.¹²⁹

3.1. საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით

1998 წლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობდა საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურებასთან დაკავშირებულ ორი სახის საჩივარს: საჩივარი სისხლისსამართლებრივი

¹²⁶ იხ.: საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით; ასევე, სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ.: გოგ შელიძე რ., თბილისი, 2009, 198-203, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოსხმობილია 23.05.2013; *მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო.*, დასახ. ნაშრ., 159-164.

¹²⁷ იხ. სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ.: გოგ შელიძე რ., თბილისი, 2009, 47, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოსხმობილია 23.05.2103; შენიშვნა: გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის გამოჯვნის შესახებ დეტალური საუბარი იქნება მეორე კარში.

¹²⁸ იხ. *ვაფიაშვილი შ.*, სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 1999, 26.

¹²⁹ იხ.: საქართველოს 1998 სსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, 57-ე მუხლი; ასევე, *მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო.*, დასახ. ნაშრ., 164-165.

დევნის დაწყების მოთხოვნით და საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების შესახებ.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით საჩივრის შეტანის საფუძველს წარმოადგენდა პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამოძიებლის მიერ პირის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოუტანლობა, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეზე უკვე შეკრებილი იყო საკმარისი მტკიცებულებები საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად. ამასთან, ბრალდების წარდგენისათვის საჭირო მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება საბოლოოდ საჩივრის განმხილველი ორგანოს ან თანამდებობის პირის პრეროგატივას წარმოადგენდა. საჩივრის შეტანა შესაძლებელი იყო ზემდგომ პროკურორთან ან სასამართლოში, ხოლო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება კი სსსკ-ის 24-ე მუხლის 5¹ ნაწილის საფუძველზე გააჩნდათ დაზარალებულს, დაზარალებულის წარმომადგენელს, სამოქალაქო მოსარჩელეს და იმ პირს, რომლის მიმართაც ხდებოდა მტკიცებულებათა შეგროვება. ამ უკანასკნელისათვის, საჩივრის შეტანა საკუთარი თავის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით სასარგებლო იყო მხოლოდ ერთ შემთხვევაში – მაშინ როდესაც, პირისათვის ცნობილი იყო რომ მის წინააღმდეგ მიმდინარეობდა მტკიცებულებების შეგროვება და თავისი უფლებების დაცვა არ შეეძლო. ბრალდებულის სტატუსის შექმნით, იგი შეძლებდა გარკვეული უფლებებით სარგებლობას და საკუთარი თავის სრულყოფილად დაცვას. ამასთან, საჩივრის შეტანის უფლებამოსილება არ გააჩნდა პირს, რომლის მიმართაც არ იყო გამოტანილი დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ.¹³⁰

3.2. საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების შესახებ

1998 წლის სსსკ-ის 24-ე მუხლის მე-5² ნაწილის თანახმად, დასახელებული საჩივრის არსი გამოიხატებოდა იმაში, რომ ბრალდებულს მისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში უფლება ჰქონდა ზემდგომ პროკურორთან ან გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შეეტანა საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების შესახებ.¹³¹

მაშასადამე, აღნიშნული საჩივრის შეტანის საფუძველს წარმოადგენდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურება, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე გაცილებით ადრე, სისხლის სამართლის საქმეში არსებობდა

¹³⁰ იხ.: *მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო.*, დასახ. ნაშრ., 82-87; ასევე, საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, 24-ე მუხლი.

¹³¹ იხ. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით.

მტკიცებულებები მისი ბრალდებისათვის, მაგრამ ბრალდების წარდგენა არ მოხდა. ასეთი საჩივრის შეტანის უფლებამოსილება გააჩნდა მხოლოდ ბრალდებულს. ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭიანურებად ითვლებოდა შემთხვევა, როდესაც ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებიდან ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე გასული იყო ხანგრძლივი დრო. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში დაუშვებელი იყო პირის მიმართ კონკრეტულ ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა ის მტკიცებულება, რომლებიც მოპოვებულ იქნა წინასწარი გამოძიების დროს მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი.¹³²

§4 სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა

როგორც ზემოთ აღინიშნა საქართველოს 1998 წლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი დევნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს, რომელსაც სუბსიდიური¹³³ დევნა ეწოდებოდა. ამ დროს დაზარალებული ითვლებოდა ბრალდების მხარედ,¹³⁴ რის გამოც კანონმდებელმა იგი მიიჩნია ე.წ. „დამატებით“ - სუბსიდიურ ბრალმდებლად. სუბსიდიური ბრალმდებლის ფუნქცია გამოიხატებოდა იმაში, რომ დაზარალებულს და მის წარმომადგენელს უფლება ჰქონდათ მხარი დაეჭირათ პროკურორის მიერ ფორმულირებული სახელმწიფო ბრალდებისათვის. თუ პროკურორი უარს იტყოდა ან შეცვლიდა ბრალდებას, სურვილის შემთხვევაში, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი მხარს უჭერდნენ წინანდელ ბრალდებას. ასეთ ვითარებაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ წყდებოდა და პროკურორს უფლება ჰქონდა მონაწილეობა არ მიეღო სასამართლოში საქმის შემდგომ განხილვაში.¹³⁵ ამ შემთხვევაში ბრალმდებლად პროკურორის ნაცვლად გამოდიოდა დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი.¹³⁶

¹³² იხ.: *მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო.*, დასახ. ნაშრ., 85-86; ასევე, საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, 24-ე მუხლი.

¹³³ *სიტყვა „სუბსიდიური“ (subsidiarius) ლათინური წარმოშობისაა და ქართულად ნიშავს – დამატებითს, დამხმარეს.* იხ. სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ.: *ვოგ შელიძე რ.*, თბილისი, 2009, 50, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოსხობილია 25.05.2013; შეად. *ხუბუა გ.*, ფედერალიზმი და სუბსიდიარობის პრინციპი, ჟურნალი „სამართალი“, 1999, №5, 19-24; უფრო ვრცლად იხ. *კობახიძე კ.*, სისხლისსამართლებრივი დევნის ნორმების გარკვევისათვის (სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა), ჟურნალი „სამართალი“, 2001 №8, 51-55.

¹³⁴ იხ. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, 44-ე მუხლის მე-19 ნაწ.

¹³⁵ იხ. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, 25-ე მუხლი.

¹³⁶ იხ.: სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ.: *ვოგ შელიძე რ.*, თბილისი, 2009, 49-51,

სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა რაიმე სპეციფიკურ სახეს არ წარმოადგენდა. თუ საჯარო ან კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი სასამართლოში მხარს დაუჭერდნენ სახელმწიფო ბრალდებას, სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა რეალიზებულად ითვლებოდა. სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნისას დაზარალებულის წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულო არ იყო, დაზარალებულის მონაწილეობა სრულებით საკმარისად ითვლებოდა. დევნის ამ სახეს ადგილი არ ჰქონდა წინასწარი გამოძიების სტადიაზე. იგი ხორციელდებოდა მხოლოდ სასამართლოში, სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს. ამასთან, დაზარალებულს და მის წარმომადგენელს უფლება არ ჰქონდათ გასცდნოდნენ პროკურორის მიერ ფორმულირებული ბრალდების ფარგლებს.¹³⁷

საუბარია რა სუბსიდიურ სისხლისსამართლებრივ დევნაზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ-ის 24-ე მუხლის მე-8 ნაწილი შეიცავდა გარკვეულ უზუსტობას. კერძოდ, დასახელებულ მუხლში მითითებული იყო, რომ თუ პროკურორი სასამართლოში საქმის განხილვისას უარს იტყვოდა ბრალდებაზე, სასამართლო ვალდებული იყო შეეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე ან გამოეტანა გამამართლებელი განაჩენი. აღნიშნული კი თავისთავად დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლის მიერ სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ შემდგომში შეტანილ იქნა ცვლილება სსსკ-ის 25-ე მუხლში, სადაც პირდაპირ მითითა, რომ დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლის მიერ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ წყდებოდა.¹³⁸

§5 კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა

საქართველოს 1998 წლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული იყო სისხლისსამართლებრივი დევნის კიდევ ერთი სახე, რომელსაც კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა ეწოდებოდა. დევნის აღნიშნული სახეობის სპეციფიკურობა გამოიხატებოდა იმაში, რომ საჯარო ინტერესის პარალელურად ფიგურირებდა კერძო ინტერესები, ანუ დაზარალებულის პოზიცია.¹³⁹ ე.ი. ადგილი ჰქონდა დისპოზიციურობის პრინციპის განხორციელებას.

<http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოსმოხილია 25.05.2013; *მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო.*, დასახ. ნაშრ., 87-88.

¹³⁷ იხ.: *მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო.*, დასახ. ნაშრ., 87-88; სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, *რედ.: გოგ შელიძე რ.*, თბილისი, 2009, 49-51, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოსმოხილია 25.05.2013.

¹³⁸ უფრო ვრცლად იხ. *ვაფიაშვილი შ.*, სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ადმინისტრაციის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. თბილისი, 1999, 29-31.

¹³⁹ იხ.: *მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო.*, დასახ. ნაშრ., 89; სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, *რედ.: გოგ შელიძე რ.*

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, დისპოზიციურობის პრინციპი კერძო-საჯარო ბრალდების საქმეებზე გამოიხატებოდა იმაში, რომ ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე და სამართალწარმოების მიმდინარეობისას მის პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგრამ ამ წესიდან არსებობდა გამონაკლისი. თუ საქმეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და ამასთანავე, დაზარალებულს უმწეო მდგომარეობის ან ბრალდებულზე დამოკიდებულობის გამო არ შეეძლო დაეცვა თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები, პროკურორს უფლება ჰქონდა დაეწყო სისხლისსამართლებრივი დევნა დაზარალებულის საჩივრის არ არსებობის შემთხვევაშიც. მაგრამ ამ პროცედურის დაწყებას ქმედუნარიანი დაზარალებულის წერილობითი თანხმობა ესაჭიროებოდა. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა არ განმარტავდა თუ რა იგულისხმებოდა „საქმის განსაკუთრებულ საზოგადოებრივ მნიშვნელობაში“ აღნიშნული, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პროცესის მწარმოებელი ორგანოს ან თანამდებობის პირის შესაფასებელი იყო.¹⁴⁰

კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, რომლებიც პირდაპირ იყო მითითებული სსსკ-ის 26-ე მუხლში. კერძოდ, დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე კერძო-საჯარო ბრალდების საქმეები წარმოებდა შემდეგ ინკრიმინირებულ ქმედებებზე: გაუპატიურება, სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება, სიტყვის თავისუფლების ხელყოფა, პირადი ან ოჯახური საიდუმლოების ხელყოფა და ა.შ.¹⁴¹

კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციფიკა გამოიხატებოდა ასევე იმაში, რომ დევნის დაწყების შემდეგ ბრალდება იღებდა საჯარო ხასიათს და დაზარალებულთან შერიგების გამო არ წყდებოდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმის შემდგომ გაგრძელებას შეიძლებოდა ზიანი მიეყენებინა როგორც ბრალდებულისათვის, ასევე დაზარალებულისათვის. შერიგება დასაშვებია იყო მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში.¹⁴²

თბილისი, 2009, 52, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 25.05.2013.

¹⁴⁰ იხ.: *მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო.*, დასახ. ნაშრ., 90; ასევე, საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, 26-ე მუხლი; სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, *რედ.: გოგ შელიძე რ.*, თბილისი, 2009, 52-53, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 25.05.2013.

¹⁴¹ იხ. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით.

¹⁴² იხ.: *მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო.*, დასახ. ნაშრ., 90; სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, *რედ.: გოგ შელიძე რ.*, თბილისი, 2009, 52-53; <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 25.05.2013.

§6 კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა

1998 წლის სსსკ-ის 27-ე მუხლი ითვალისწინებდა დევნის კიდევ ერთ სახეს, რომელსაც კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა ეწოდებოდა. მისი სპეციფიკურობა გამოიხატებოდა იმაში, რომ დაზარალებულის პოზიცია გადამწყვეტი იყო კერძო ბრალდების საქმის დაწყების და შეწყვეტის დროს. ასეთ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე და წყდებოდა ამ უკანასკნელის ბრალდებულთან შერიგების გამო.¹⁴³

კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდებოდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ორი სახის დანაშაულზე: ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება და ცემა.¹⁴⁴

კერძო ბრალდების საქმეებზე დისპოზიციურობის პრინციპი მთლიანად გამოიყენებოდა, რადგან ასეთი საქმეები დაზარალებულის საჩივრით აღიძვრებოდა და მისივე პოზიციის გათვალისწინებით წყდებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც დისპოზიციურობის პრინციპი შეიძლება შეზღუდულიყო. კერძოდ, პროკურორს უფლება ჰქონდა აღნიშნული კატეგორიის საქმეში ჩაბმულიყო, თუ მას განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა. საქმეში ჩაბმა უნდა მომხდარიყო სასამართლო გამოძიების დაწყებამდე. ასეთ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი დევნა არ წყდებოდა მხარეთა შერიგებით. ამასთან, „საქმის განსაკუთრებულ საზოგადოებრივ მნიშვნელობას“ კანონმდებელი არც ამ შემთხვევაში განმარტავდა.¹⁴⁵ მაშასადამე, გარკვეულ შემთხვევებში პროკურორს კერძო ბრალდების საქმეების განხილვაშიც შეეძლო ჩაბმა, რაც თავისთავად დისპოზიციურობის პრინციპის შეზღუდვაზე მიუთითებს.¹⁴⁶

გარდა ამისა, პროკურორს უფლებამოსილება ჰქონდა კერძო ბრალდების საქმეში ჩაბმულიყო, თუ ამას წერილობით მოითხოვდნენ მოდავე მხარეები ან დაზარალებული ანდა მისი კანონიერი წარმომადგენელი.¹⁴⁷ აღნიშნული კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ პროკურორის კერძო ბრალდების საქმეში ჩაბმით გარკვეულწილად ირღვევოდა კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის არსი. ასეთი

¹⁴³ იხ.: *მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო.*, დასახ. ნაშრ., 91; ასევე, საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, 27-ე მუხლი; სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, *რედ.: გოგ შელიძე რ.*, თბილისი, 2009, 56, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოსმობილია 25.05.2013.

¹⁴⁴ იხ. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, 27-ე მუხლი.

¹⁴⁵ იხ.: *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 88; ასევე, საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით 27-ე მუხლი.

¹⁴⁶ იხ. *მარჯანიშვილი თ.*, კერძო ბრალდების საქმეთა სამართალწარმოების ახლებური გააზრება, *ეურნალი*, „სამართალი“, 1993, №11-12, 47-52.

¹⁴⁷ იხ. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, 27-ე მუხლი.

კატეგორიის საქმეებზე კერძო ინტერესი უნდა დარჩენილიყო პრიორიტეტად.¹⁴⁸

კერძო სისხლისსამართლებრივი დევნისას გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენდა. დაზარალებულს საჩივარი შეჰქონდა უშუალოდ სასამართლოში და ბრალდების მტკიცების ტვირთიც მისი მოვალეობა იყო. თუ კერძო ბრალდების საქმეზე მხარეები ერთმანეთს ბრალდებებს უყენებდნენ, მოსამართლე თავისი დადგენილებით დაზარალებულს ბრალდებულადაც სცნობდა და ბრალდებულს დაზარალებულადაც.¹⁴⁹ მხარეებში იგულისხმებოდა პირები, რომლებიც სასამართლომ სცნო დაზარალებულად და ბრალდებულად და ასევე პირი, რომელმაც საჩივრით მიმართა სასამართლოს, მაგრამ არ იყო ცნობილი დაზარალებულად; აგრეთვე პირი რომლის წინააღმდეგაც შეტანილი იყო საჩივარი, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბრალდებულის სტატუსი.¹⁵⁰

საუბარია რა კერძო სისხლისსამართლებრივ დევნაზე, უნდა აღინიშნოს, რომ 1998 წლის საპროცესო კანონმდებლობა დევნის ამ სახეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვინაიდან კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესის მომწესრიგებელი ნორმები ცალკე თავის სახით, მოთავსებული იყო სპეციალურ კარში – ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების თავისებურებანი. აღნიშნულ თავში გაწერილი იყო ყველა ის პროცედურა, რაც კერძო ბრალდების საქმეების წარმოებას ახასიათებდა.¹⁵¹

§7 სისხლისსამართლებრივი დევნისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თავისებურებანი

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1998 წლის საპროცესო კანონმდებლობამ მრავალი სიახლე შემოიტანა ქართულ საპროცესოსამართლებრივ სივრცეში, მაგრამ იგი მაინც განიცდიდა საბჭოთა საპროცესო სამართლის ზეგავლენას. კერძოდ, კანონმდებლობაში ასახული იყო ისეთი ინსტიტუტი - სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, რომელიც საბჭოთა საპროცესო კანონმდებლობის და მეცნიერების პირმშოს წარმოადგენდა.¹⁵² სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ცნება სისხლის სამართლის საპროცესო

¹⁴⁸ იხ. სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ.: გოგ შელიძე რ., თბილისი, 2009, 58, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 25.05.2013

¹⁴⁹ იხ. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, 27-ე, 627-ე, 637-ე მუხლები.

¹⁵⁰ იხ. *მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო.*, დასახ. ნაშრ., 884.

¹⁵¹ იხ.: საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, 626-638-ე მუხლები; ასევე, *მახარაძე ა.*, კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის იურიდიული ბუნება, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2007, №3; 46-62.

¹⁵² იხ.: *ვაფიაშვილი შ.*, სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 1999, 3; *ვაფიაშვილი შ., თევზაძე ა.*, მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, თბილისი, 2002, 22-23.

მეცნიერებასა და კანონმდებლობაში გავრცელებული იქნა XX საუკუნის 20-30 წლებში, ხოლო 60-იან წლებში საბჭოურ ჟურნალ-გაზეთებში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის პრობლემატურ საკითხებზე მეცნიერ-იურისტებს შორის დიდი დისკუსია გაიმართა. ამ ინსტიტუტის მიმართ განსაკუთრებით გაიზარდა ქართველი მკვლევარების ინტერესი, ვინაიდან საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი კიდევ უფრო ახლებურად წარმოაჩინა.¹⁵³ ქართული საპროცესო კანონმდებლობა სისხლის სამართლის საქმის აღძვრას უძღვნიდა ცალკე XXXIII თავს, რომელშიც განსაზღვრული იყო საქმის აღძვრის, თავისებურებანი.¹⁵⁴

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა განმარტებული იყო როგორც: სისხლის სამართლის პროცესის პირველი და დამოუკიდებელი სტადია, რომლის დროსაც მომხდარი დანაშაულის ან ასეთის მზადებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადების ან ცნობის შემოწმებით მიღებული მასალების საფუძველზე, კომპეტენტური ორგანოები წყვეტენ საკითხს სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების ან მასზე უარის თქმის შესახებ.¹⁵⁵

მ.ს. სტროგოვიჩის აზრით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საპროცესოსამართლებრივი მნიშვნელობა იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სისხლის სამართლის საქმის „გამოკვლევისა“ და გადაწყვეტისათვის საჭირო ყველა შემდგომი საპროცესო მოქმედების საწარმოებლად.¹⁵⁶

მეცნიერ-იურისტების ნაწილი – *მ.ს. სტროგოვიჩი, შ.ფაფიაშვილი, ა.თევზაძე*, თვლიდნენ, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა წარმოადგენდა სისხლის სამართლის პროცესის პირველ და დამოუკიდებელ სტადიას. იგი მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დაწყების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინა ეტაპად იყო მიჩნეული.¹⁵⁷ თუმცა საპროცესო ლიტერატურაში არსებობდა საწინააღმდეგო მოსაზრებაც. კერძოდ, *მ.ჩელცოვი* მიიჩნევდა, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა წარმოადგენდა წინასწარი გამოძიების სტადიაში შემავალ პროცესუალურ აქტს. შესაბამისად აღნიშნული სტადია იწყებოდა საქმის აღძვრით.¹⁵⁸

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის პრობლემატურ საკითხთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და

¹⁵³ იხ. *ფაფიაშვილი შ., თევზაძე ა.*, მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, თბილისი, 2002, 12-13.

¹⁵⁴ იხ. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი, პირველადი სახე, 20.03.1998-26.06.1998, <https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31882&publication=0&lang=ge>, ბოლოს გამოხმობილია 13.06.2014.

¹⁵⁵ იხ.: *ფაფიაშვილი შ., თევზაძე ა.*, მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, თბილისი, 2002, 22; სისხლის სამართლის პროცესი, რედაქტორი: *ფაფიაშვილი ა.*, თბილისი, 2002, 225.

¹⁵⁶ უფრო ვრცლად იხ. *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 269-271.

¹⁵⁷ იხ. *ფაფიაშვილი შ., თევზაძე ა.*, მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, თბილისი, 2002, 25.

¹⁵⁸ იხ. *Челцов М.*, Советский уголовный процесс, Москва, 1962, 75.

სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ურთიერთგამიჯვნა. აღნიშნული საკითხის ირგვლივ არ არსებობდა აზრთა ერთიანობა. მეცნიერთა ერთი ნაწილი, კერძოდ, *მკროდზინსკი*, *სკოლუნსკი*, *მხელცოვი* და სხვები მიიჩნევდნენ, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრას შორის არავითარი სხვაობა არ არსებობდა. დევნის აღძვრა შეიძლება მომხდარიყო დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღებისას ან დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის მიმართ.¹⁵⁹

სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ცნებების ერთიმეორესთან გაიგივების შესახებ არსებულ ზემოთ დასახელებულ ავტორთა შეხედულებები სისხლის სამართლის პროცესუალურ ლიტერატურაში ცალმხრივად და ერთმნიშვნელოვნად არ იყო მიჩნეული. საპირისპირო შეხედულება თავიდანვე აღმოცენდა და ფართო გავრცელება ჰპოვა.¹⁶⁰

ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა *მსტროვოვიჩი იყო*. მისი აზრით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ცნებათა გაიგივება არ შეიძლებოდა. სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოებდა მხოლოდ გარკვეული პირის მიმართ. შეუძლებელი იყო დევნაზე საუბარი კონკრეტული პირის მიუთითებლად. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ხდებოდა კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტზე და ამ დროს ბრალდებული პირი არ იყო ცნობილი, მაშინ როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა კონკრეტული პიროვნების მიმართ, მისი ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის გზით. თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით შეიძლებოდა მომხდარიყო ამ ორი მომენტის დაახლოვება ან დაშორება. კერძოდ, დანაშაულის ფაქტზე პირის წასწრების შემთხვევაში, თავიდანვე ცნობილი იყო ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირი, რაც ფაქტობრივად აახლოვებდა სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ჯერ უნდა მომხდარიყო საქმის, ხოლო შემდგომ ამისა დევნის აღძვრა.¹⁶¹

სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ცნებებს, *მსტროვოვიჩის* მსგავსად ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ *რ.რახუნოვი* და *ფ.ფატკულინი*, რომლებიც გარკვეულ

¹⁵⁹ იხ.: *Гродзинский М.*, Начало целосообразности в обвинении, «ВЦИО», 1925, №6, 233-237; *Голунский С.*, О возбуждении уголовного преследования, «Социалистическая законность», 1936, №26, 38-42 – მითითებულია: *ფაფიაშვილი შ., თევზაძე ა.*, მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, თბილისი, 2002, 85-88; შეად. *Чельцов М.А.*, Уголовный процесс, Москва, 1948, 348-349.

¹⁶⁰ იხ. *ფაფიაშვილი შ., თევზაძე ა.*, მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, თბილისი, 2002, 89.

¹⁶¹ იხ.: *Строгович М.С.*, Уголовный процесс, Москва, 1946, 253-254; *სტროვოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 271-272.

ზღვარს ავლებდნენ ასევე სისხლისსამართლებრივ დევნასა და ბრალდებას შორის.¹⁶²

ქართველ მეცნიერ-იურისტებიდან *შ.ფაფიაშვილმა* და *ა.თევზაძემ* სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ურთიერთგამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით ცალსახად დააფიქსირეს, რომ ამ ცნებების ერთმანეთში არევა არ შეიძლებოდა. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა უნდა მომხდარიყო გამოსაძიებელ ფაქტზე (in rem), სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა კი საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე, დანაშაულში მხილებული სავარაუდო პირის მიმართ (in personam). ამასთან, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ყოველთვის წინ უსწრებდა დევნის აღძვრას და გამორიცხული იყო მათი ერთიმეორესთან დამთხვევა.¹⁶³

2005 წლის 25 მარტს საპროცესო კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომლითაც გაუქმდა სისხლის სამართლის პროცესის პირველი და დამოუკიდებელი სტადია – სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.¹⁶⁴ აღნიშნულმა ცვლილებამ წერტილი დაუსვა იურიდიულ ლიტერატურაში არსებულ დავას სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ურთიერთგამიჯვნის შესახებ.

კარი II. სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება, არსი და მისი მიმართება სისხლის სამართლის პროცესის ცალკეულ ინსტიტუტებთან

თავი V. სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება

§1 შესავალი

მსოფლიოში არსებული სისხლისსამართლებრივი სისტემებიდან შეიძლება გამოიყოს ორი ყველაზე უფრო გავრცელებული მოდელი. ესენია: საერთო სამართლის, იგივე ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის (რომანულ-გერმანული) მოდელები.¹⁶⁵ საერთო სამართლის ქვეყნებს წარმოადგენენ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც სისხლის სამართლის პროცესი აგებულია ე.წ. წინააღმდეგობრივ საწყისზე.

¹⁶² იხ.: *Рахунов Р.Д.*, Предварительное расследование в советском уголовном процессе, Автореферат докторской диссертации, М. 1953, 13; *Фаткуллин Ф.Н.*, Возбуждение уголовного дела в советском уголовном процессе, Автореферат кандидатской диссертации, М., 1959, 5-8 – მითითებულია: *ფაფიაშვილი შ., თევზაძე ა.*, მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, თბილისი, 2002, 90-91.

¹⁶³ იხ. *ფაფიაშვილი შ., თევზაძე ა.*, მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, თბილისი, 2002, 97-98.

¹⁶⁴ იხ. საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204-სსმ 2005 წ. №14, მუხ. 94.

¹⁶⁵ იხ. *დავიდი რ.*, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსული გამოცემიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო: *ნინიძე თ.*, თბილისი, 1993, 31-34.

ეს არის დავა სახელმწიფოსა და ინდივიდს – ბრალდებულს შორის, რომელიც ხორციელდება სასამართლოში.¹⁶⁶

მაშასადამე, სისხლის სამართალწარმოებისას წარმოდგენილია ორი დაპირისპირებული მხარე; ერთი მხრივ, ბრალდებული და მისი ადვოკატი, ხოლო მეორე მხრივ, ბრალმძებელი, როგორც სახელმწიფოს და საზოგადოების წარმომადგენელი. ანგლო-ამერიკული მოდელისათვის დამახასიათებელია შეჯიბრებითი პროცესი, რომელიც ზემოაღნიშნული მხარეების თანასწორუფლებიანობას გულისხმობს. შეჯიბრებითობა გამოიხატება იმაში, რომ მხარეებს თანაბარი პროცესუალური უფლებები აქვთ მტკიცებულებათა მოპოვების და წარმოდგენის პროცესში. აღნიშნული მოდელის თანახმად, მოსამართლე ნეიტრალური არბიტრია.¹⁶⁷ მას საკუთარი ინიციატივით მოქმედება ეკრძალება. მოსამართლე მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე აკეთებს დასკვნებს. ანუ დაპირისპირების საწყისზე არსებული სამართალწარმოება ნეიტრალური გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის წინაშე ტარდება. ამ პირობებში მხარეები ცდილობენ საკუთარი პოზიციის მართებულობაში დაარწმუნონ გადაწყვეტილების მიმღები. პროცესი განგრძობადია და დამყარებულია ზეპირობის პრინციპზე. ანგლო-ამერიკული მოდელი გარდა ზემოაღნიშნული ქვეყნებისა, გავრცელებულია ასევე კანადასა და ავსტრალიაში.¹⁶⁸

საერთო სამართლის ქვეყნებში სისხლის სამართლის პროცესი პირობითად დაყოფილია, ოთხ ეტაპად:

ა) წინასასამართლო წარმოება, რაც გულისხმობს საპოლიციო გამოძიებას და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების საქმიანობას სასამართლოში საქმის წარმართვამდე;

ბ) სისხლის სამართლის საქმის წინასწარი განხილვა მოსამართლეების ან თანამდებობის სხვა პირების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ უფლებამოსილება გასცენ ნებართვა მოქალაქეთა უფლებების შემზღვეველ მოქმედებებზე, შეამოწმონ საქმის არსებითად განხილვისათვის საკმარისი მტკიცებულებების არსებობა და ა.შ.;

გ) საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში;

დ) განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება.¹⁶⁹

თუმცა მოცემული „სტანდარტისგან“ გადახვევა დასაშვებია. შესაძლებელია აღნიშნული ეტაპების უფრო დეტალურად გაწერა.¹⁷⁰

¹⁶⁶ იხ.: გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თარგმანი რუსულიდან, სამეცნიერო რედ.: გოგშელიძე რ., თბილისი, 2007, 13; *Королев Г.Н.*, Теоретические и правовые основы осуществления прокурором уголовного преследования в Российском уголовном процессе., Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Нижний Новгород, 2005, 313.

¹⁶⁷ იხ. ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 26.

¹⁶⁸ იხ. ფეშტინკო კ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასახ. ნაშრ., 13-15.; შეად. ნ.ხოფერია, სამძებრო და შეჯიბრებითობის პრინციპების თანაფარდობა, ჟურნალი „სამართალი“, 1996, №5-6, 28-32; ხაჭვანი თ., შეჯიბრებითობის პრინციპი (შედარებითი ანალიზი), ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2⁽³³⁾12, 60-61.

¹⁶⁹ იხ. გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასახ. ნაშრ., 9-10.

¹⁷⁰ იქვე.

რაც შეეხება კონტინენტური ევროპის მოდელს, რომლის მაგალითსაც წარმოადგენენ: საფრანგეთი, გერმანია და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ აქ წმინდა შეჯიბრებითი პროცესი ფაქტობრივად არ არსებობს. ამ ქვეყნებისათვის, რომელთაც შერეული მოდელის ქვეყნებსაც უწოდებენ ძირითადად დამახასიათებელია ინკვიზიციურობა წინასწარი გამოძიების ეტაპზე, სადაც მოსამართლე სხვა სუბიექტებთან ერთად ჩაბმულია მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში.¹⁷¹ ტრადიციულ ინკვიზიციურ მოდელში, თეორიულად ნეიტრალური სუბიექტი ახორციელებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას. ამ სისტემის ქვეყნებში, სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი სუბიექტების მოქმედებები გაწერილია ერთიან კოდიფიცირებულ აქტში – კოდექსში, განსხვავებით საერთო სამართლის ქვეყნებისაგან,¹⁷² სადაც სასამართლო პრეცედენცია წყაროდ მიჩნეული.

აღიარებულია, რომ შერეულ პროცესს საფუძველი ჩაეყარა 1808 წელს საფრანგეთში, ხოლო შემდგომ იგი განვითარდა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში.¹⁷³

რაც შეეხება საქართველოს, 2010 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც სისხლის სამართალწარმოებაში არსებითად ახალი მიდგომები დანერგა. კერძოდ, ამ კოდექსმა თითქმის მთლიანად გაიზიარა ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში არსებული წმინდა შეჯიბრებითობის მოდელი, სადაც მოსამართლე შედარებით პასიური სუბიექტია, ვინაიდან იგი მტკიცებულებათა მოპოვებაში არ ერევა და ამ კუთხით ყველაფერი მხარეთა კომპეტენციას წარმოადგენს.

ახალმა სისხლის სამართლი საპროცესო კანონმდებლობამ სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფოს ექსკლუზიურ უფლებად მიიჩნია და მისი დაწყება და განხორციელება დაავალა მხოლოდ სახელმწიფოს სპეციალურ წარმომადგენელს – პროკურორს (სსსკ-ის 166-ე მუხლი).

აღსანიშნავია, რომ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის ოთხი სისტემა:

ა) სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს დაზარალებული ან მისი მემკვიდრეები (კერძო ბრალდება);

ბ) სისხლისსამართლებრივი დევნას აწარმოებს საზოგადოების სახელით ნებისმიერი მოქალაქე (სახალხო ბრალდება);

გ) სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს თავად მოსამართლე (ოფიციალური ბრალდება);

დ) სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოებს „კვალიფიციური ფუნქციონერების“ – პროკურორების მეშვეობით (საჯარო ბრალდება).¹⁷⁴

¹⁷¹ იხ. ტრეჟსელი შ., დასახ. ნაშრ., 26.

¹⁷² იხ.: გუცენკო კ.ფ., გოლოგო ლ.ვ., ვილიმონოვი ბ.ა., დასახ. ნაშრ., 15-16; Шманатова В. Е., Публичное начало как основа уголовного преследования в уголовном процессе Российской Федерации., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Самара, 2004, 55-62; ხაჭვანი თ., დასახ. ნაშრ., 60-62.

¹⁷³ იხ. გუცენკო კ.ფ., გოლოგო ლ.ვ., ვილიმონოვი ბ.ა., დასახ. ნაშრ., 16.

ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი სისტემა სხვადასხვა კანონმდებლობას ეხება. ზოგიერთ კანონმდებლობას აქცენტი გადააქვს მოქალაქეებზე, ზოგს სახელმწიფოზე.¹⁷⁵ დასახელებული სისტემებიდან აღსანიშნავია სისხლისსამართლებრივი დევნის დაზარალებულის მიერ განხორციელება, რაც ცალკეულ შემთხვევებში უცხო არ იყო ქართული სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერებისა და კანონმდებლობისათვის,¹⁷⁶ მაგრამ დღევანდელმა საპროცესო კანონმდებლობამ უპირატესობა მიანიჭა სისხლისსამართლებრივი დევნის მეოთხე სისტემას.

§2 მოსაზრებები სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების, მისი არსის შესახებ

სისხლისსამართლებრივი დევნის არსის გაგებისაკენ მიმავალი გზა ერთობ ხანგრძლივი და რთულია. ამ ინსტიტუტის შესახებ ყალიბდებოდა არაერთგვაროვანი წარმოდგენები და შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი დღესაც გრძელდება. იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს ერთიანი მოსაზრება სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების, მისი შემადგენელი ელემენტების და საპროცესო მოქმედებების, დევნის დამწყები სუბიექტების, ასევე მისი დაწყებისა და დამთავრების შესახებ. მეცნიერი-იურისტთა ნაწილი სისხლისსამართლებრივ დევნას აიგივებს ბრალდებასთან ან/და გამოძიებასთან,¹⁷⁷ ზოგიერთი კი მიიჩნევს რომ სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ ე.წ. წინასასამართლო ეტაპზე ხორციელდება და მას ადგილი არ აქვს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს.¹⁷⁸

ამგვარი არაერთგვაროვანი შეხედულებებისა და შეფასებების ფონზე ბუნებრივად იბადება კითხვა: *მაინც რა არის, რას წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნა?*

აღსანიშნავია, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს თუ რა იგულისხმება სისხლისსამართლებრივ დევნაში,¹⁷⁹ რაც

¹⁷⁴ იხ.: Pradel J., Droit pénal comparé, 3^e édition, Paris, 2008, 365; Pradel J., Droit pénal comparé, Paris, 1995, 477; *პრადელი ჯ.*, შედარებითი სისხლის სამართალი, ნაწილი II, თარგმნა: *სუმბათაშვილი ე.*, სამეცნიერო რედ.: *ნობოდი თ.*, 1999, 352-353.

¹⁷⁵ იხ.: Pradel J., Droit pénal comparé, 3^e édition, Paris, 2008, 365; Pradel J., Droit pénal comparé, Paris, 1995, 477; *პრადელი ჯ.*, შედარებითი სისხლის სამართალი, ნაწილი II, თარგმნა: *სუმბათაშვილი ე.*, სამეცნიერო რედ.: *ნობოდი თ.*, 1999, 352-353.

¹⁷⁶ იხ. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2009 წლის 01 აპრილის მდგომარეობით, 27-ე მუხლი.

¹⁷⁷ იხ.: *Никитин Е.Л.*, დასახ. ნაშრ., 56; *Строгович М.С.*, Курс Советского уголовного процесса, Москва, 1958, 100; *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 113-114.

¹⁷⁸ იხ. *ვახიხონია ი.* დასახ. ნაშრ., 260-262.

¹⁷⁹ *იმავე მოსაზრებას ავრცელებს მ.მამნიაშვილი იხ. მამნიაშვილი მ.*, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ასპექტები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შექმნის 30 წლისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2010-2012, 51, <<http://sou.edu.ge/files/Iuridiuli%20fakulteti/gamocemebi/LawFaculty-30a.pdf>>, ბოლოს გამოხმობილია 03.01.2014.

გარკვეულწილად ამბაფრებს დავას და კიდევ უფრო ხელს უწყობს არაერთგვაროვანი მოსაზრებების ჩამოყალიბებას ამ ინსტიტუტთან დაკავშირებით.

სისხლისსამართლებრივ დევნას, როგორც სისხლის საპროცესოსამართლებრივ ფუნქციას აქვს არა მხოლოდ იურიდიული, არამედ ფილოსოფიური მნიშვნელობაც, ვინაიდან იგი დაკავშირებულია ისეთ კატეგორიებთან როგორცაა სამართლიანობა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები; ეს არის ერთგვარი ურთიერთობის ფორმა სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის.¹⁸⁰ სისხლისსამართლებრივი დევნის თვითმიზანი არ არის ძალადობა ინდივიდზე ან ანტისოციალურ მოქმედებათა განხორციელება, არამედ ეს ინსტიტუტი მოწოდებულია სახელმწიფო და საზოგადოება დაიცვას მავნე შედეგისაგან.¹⁸¹ რაც უფრო განვითარებულია სახელმწიფო მით უფრო ნაკლებად იყენებს იძულების მეთოდებს ან ერიდება მათ დემონსტრირებას.¹⁸²

სისხლისსამართლებრივი დევნა ჩამოყალიბდა სისხლის საპროცესოსამართლებრივი ურთიერთობის სფეროში. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს უფლებას გამოავლინოს დანაშაულის ჩამდენი პირი და ამ უკანასკნელს კანონით დადგენილი წესით დააკისროს შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. სახელმწიფოს სწორედ ამ უფლებას შეიძლება ეწოდოს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირების მიმართ, რომლებმაც განზრახ ან გაუფრთხილებლობით განახორციელეს სისხლისსამართლებრივი აკრძალვა. ეს უფლება ექსკლუზიურად მხოლოდ სახელმწიფოს მიეკუთვნება.¹⁸³ სისხლისსამართლებრივი დევნის უფლების რეალიზაციისას, სახელმწიფო, როგორც სამართალურთიერთობის მონაწილე ასრულებს თავის ვალდებულებას სისხლის საპროცესოსამართლებრივი ურთიერთობის სფეროში.¹⁸⁴

სახელმწიფო ორგანოები და მისი წარმომადგენლები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან სახელმწიფოს სახელით ბრალდებულთან ჩაერთონ სისხლის საპროცესოსამართლებრივ ურთიერთობაში, წარმოადგენენ სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს. სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებამოსილება სახელმწიფოს მხრიდან სწორედ ამ ორგანოებზეა დელეგირებული.¹⁸⁵

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ საქართველოში სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ პროკურორს (სსსკ-ის 166-ე მუხ.). რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის განმხორციელებელ სუბიექტებად ითვლებიან, როგორც პროკურორი და გამომძიებელი, ასევე საგამომძიებო ორგანოს ხელმძღვანელი და მომკვლევი

¹⁸⁰ იხ. *Яковенко В.В.*, დასახ., ნაშრ., 13.

¹⁸¹ იხ. *Кучин А.Ф.*, Правовой механизм публичного уголовного преследования., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Нижний новгород, 2004, 14.

¹⁸² იხ. იქვე, 14-15.

¹⁸³ იხ. *Яковенко В.В.*, დასახ., ნაშრ., 13.

¹⁸⁴ იხ. იქვე, 14.

¹⁸⁵ იხ. იქვე, 15.

(მუხ. 21-ე).¹⁸⁶ გამომძიებლის მონაწილეობა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში გამოიხატება იმაში, რომ იგი ატარებს მის იურისდიქციაში შემავალ საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებებს. საგამოძიებო ორგანოს უფროსი სისხლისსამართლებრივ დევნაში მონაწილეობას იღებს გამომძიებლისათვის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ მითითებების მიცემით, ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში მონაწილეობის მიღებით, ხოლო პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში მონაწილეობს მაშინ, როდესაც მას გადაეცემა საქმე საბრალდებო აქტით და ა.შ.¹⁸⁷

ინგლისში სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებენ, როგორც გვირგვინის ბრალმძებლები, ასევე პოლიცია,¹⁸⁸ ხოლო საფრანგეთში მართალია, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება პროკურორის პრეროგატივაა, მაგრამ ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულებზე ამ ფუნქციის შესრულება უწევთ სხვა თანამდებობის პირებსაც.¹⁸⁹

მაშასადამე, როგორც ჩანს, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განმახორციელებელ სუბიექტთა წრის განსაზღვრა დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ამ თანამდებობის პირებს.

სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ არსებული შეხედულებებიდან საყურადღებოა „დევნის ცნების სტროგოვიჩისეული დეფინიცია.“¹⁹⁰ მისი აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა არის გამომძიებლისა და პროკურორის საქმიანობა განსაზღვრულ პირთან – ბრალდებულთან მიმართებაში, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის მხილება და მის მიმართ სასჯელის გამოყენების უზრუნველყოფა.¹⁹¹

¹⁸⁶ იხ.: *Гриненко А. В.*, Уголовный процесс: учебник — 2-е изд., перераб. — М.: Норма — 496 с., 2009, <<http://vse-uchebniki.com/ugolovnyiy-protsess-uchebnik/ponyatie-ugolovnogo-presledovaniya-ego.html>>, ბოლოს გამოსმოიბლია 19.06.2013; *Шишкина Е.В.*, დასახ. ნაშრ., 174; *Дубина И.А.* Задачи досудебного уголовного судопроизводства и роль прокурора в их достижении., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Волгоград, 2006, 108, 113-114; *Донской Д.Д.*, Функция уголовного преследования на этапе досудебного производства., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Ростов-на-дону, 2005, 88; *Козубенко Ю.В.*, Уголовное преследование: вопросы теории и практики., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Екатеринбург, 2006, 211-212.

¹⁸⁷ იხ.: *Гриненко А. В.*, Уголовный процесс: учебник — 2-е изд., перераб. — М.: Норма — 496 с., 2009, <<http://vse-uchebniki.com/ugolovnyiy-protsess-uchebnik/ponyatie-ugolovnogo-presledovaniya-ego.html>>, ბოლოს გამოსმოიბლია 19.06.2013; *Ильин С.И.*, Уголовное преследование в досудебном производстве., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2007, 176; შეად. *Крюков В.Ф.*, დასახ. ნაშრ., 438.

¹⁸⁸ იხ. Le Code des procureurs de la Couronne, par. 3.1., <http://www.cps.gov.uk/publications/docs/french_code_2013.pdf>, ბოლოს გამოსმოიბლია 07.07.2014.

¹⁸⁹ იხ. Code de procédure pénale, (français), art. 1, 51^e édition, Paris, 2010, 20.

¹⁹⁰ ტერმინი აღებულია: *გაბობინია ი.*, დასახ. ნაშრ., 255.

¹⁹¹ იხ.: *Строгович М.С.*, Уголовное преследование в советском уголовном процессе, Москва, 1951, 65; *Строгович М.С.*, Курс Советского уголовного процесса, Москва, 1958, 99-108; სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, *მ.ს. სტროგოვიჩის* მოსაზრებები გადმოცემულია ასევე სადისერტაციო ნაშრომის ისტორიულ ნაწილზე მსჯელობისას – იხ. ნაშრომის I კარის III თავის §2, IV თავის §7.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმება მეცნიერ-იურისტთა დიდი ნაწილი. მათი აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს ბრალდების მხარის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ და სახელმწიფოს სახელით განხორციელებულ საქმიანობას, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის მხილება და ამ უკანასკნელისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.¹⁹²

სისხლისსამართლებრივი დევნის ცნებასთან დაკავშირებით *ვ.ს. ჯატიევს* აქვს განსხვავებული მოსაზრება. ავტორის აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა არის აბსტრაქტული ცნება საკუთარი შინაარსის გარეშე, ვინაიდან მას ხსნიან ისეთი კონკრეტული სისხლის საპროცესოსამართლებრივი მოქმედებების განხორციელებით როგორცაა: სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, იგივე გამოძიების დაწყება, პირის დაკავება, ბრალდება, ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, ბრალდების შეცვლა, სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერა და ა.შ.¹⁹³ ამიტომ სისხლის საპროცესო სამართლის დოქტრინაში ესლაც მიმდინარეობს კვლევა სისხლისსამართლებრივი დევნის უფრო ზუსტი განსაზღვრების შესახებ. თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერებაში მწიფდება აზრი სისხლისსამართლებრივი დევნის ვიწრო გაგებით განმარტების თაობაზე.¹⁹⁴

სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია ხორციელდება განსაზღვრულ ფარგლებში. მისი დაწყება დაკავშირებულია სისხლის სამართალწარმოებაში კონკრეტული პირის – ბრალდებულის გამოჩენასთან.¹⁹⁵ რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის

¹⁹² იხ.: *Яковенко В.В.*, დასახ. ნაშრ., 24-25, 142-143; *მახარაძე ა.*, დასახ. ნაშრ., 46; *აბაშიძე ი.*, პროკურორი წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ბათუმი, 2008, 33; *აბაშიძე ვ.*, დასახ. ნაშრ., 69-70; 198; *მეფარიშვილი ვ.*, სისხლისსამართლებრივი დევნა ცაიტნოტში, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997, 31 ოქტომბერი; *Гриненко А. В.*, Уголовный процесс: учебник — 2-е изд., перераб. — М.: Норма — 496 с., 2009, <<http://vse-uchebniki.com/ugolovnyiy-protsess-uchebnik/ponyatie-ugolovnogo-presledovaniya-ego.html>>, ბოლოს გამოსმოილია 19.06.2013; Уголовный процесс России., Учебное пособие, *Коврига З.Ф.* (ред.), *Кузнецов Н.П.* (ред.), Глава. 4. Уголовное преследование, §1. Понятие и виды уголовного преследования, <<http://bookfi.org/book/529335>>, ბოლოს გამოსმოილია 14.06.2013; *Григоренко И.И.*, Механизм реализации уголовного преследования в российском судопроизводстве., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Воронеж, 2006, 170; *Никитин Е.Л.*, დასახ. ნაშრ., 84, 87; *Шишкина Е.В.*, დასახ. ნაშრ., 50, 173; *Аристархов А.Л.*, დასახ. ნაშრ., 31; *Козубенко Ю.В.*, დასახ. ნაშრ., 211; *Воронин О.В.*, Прокурорское уголовное преследование в различных стадиях и производствах отечественного уголовного процесса, Вестник Томского государственного университета. Право. №1 (7), 26, <<http://cyberleninka.ru/article/n/prokurorskoe-ugolovnoe-presledovanie-v-razlichnyh-stadiyah-i-proizvodstvah-otechestvennogo-ugolovnogo-protsesta>>, ბოლოს გამოსმოილია 01.08.2014.

¹⁹³ იხ. *Джатиев В.С.*, Уголовно-процессуальный кодекс Российской Федерации: шаг вперед или два шага назад? // В сб. Фундаментальные и прикладные проблемы управления расследованием преступлений. — М., 2005. - с.16 - მითითებულია: *Горлова С.В.*, დასახ. ნაშრ., 82.

¹⁹⁴ იხ. *Горлова С.В.*, დასახ. ნაშრ., 82.

¹⁹⁵ იხ.: *Яковенко В.В.*, დასახ. ნაშრ., 143; *Гриненко А. В.*, Уголовный процесс: учебник — 2-е изд., перераб. — М.: Норма — 496 с., 2009, <<http://vse-uchebniki.com/ugolovnyiy-protsess-uchebnik/ponyatie-ugolovnogo-presledovaniya-ego.html>>, ბოლოს გამოსმოილია 19.06.2013; *Джатиев В.С.* Уголовно-

დასრულებას, შეიძლება გამოიყოს დევნის დასრულების რამოდენიმე სახე: განსაზღვრულ შემთხვევებში გამოძიების სტადიაზე, ასევე სასამართლოში საქმის განხილვის დროს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა და სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანა.¹⁹⁶ ანუ სისხლისსამართლებრივი დევნა სასამართლოშიც ხორციელდება და გამოიხატება სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერაში.¹⁹⁷ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში წარმართვით პროკურორი იღებს ვალდებულებას განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია სასამართლოში საქმისწარმოებისას.¹⁹⁸

ერთობ საკამათოა საკითხი იმის შესახებ, ითვლება თუ არა სისხლისსამართლებრივ დევნად პროკურორის საქმიანობა, რომელსაც ის ახორციელებს ბრალდებულის გამოჩენამდე.¹⁹⁹

მ.ს. სტროგოვიჩი, სავსებით სწორედ მიიჩნევს, რომ მხოლოდ კონკრეტული პირის დევნაა შესაძლებელი და შესაბამისად, სისხლის სამართალწარმოებაში ბრალდებულის გამოჩენის მომენტიდან იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა. მანამდე წარმოებული საქმიანობა კი სისხლისსამართლებრივი დევნის მოსამზადებელ ნაწილს წარმოადგენს.²⁰⁰

სისხლისსამართლებრივი დევნის მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გააჩნია *ი.გაბისონიას*. მას მართებულად მიაჩნია *მ.ს.სტროგოვიჩის* აზრი, იმასთან დაკავშირებით, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოებს არა ფაქტის, არამედ კონკრეტული პირის მიმართ. სისხლის სამართლის პროცესში, ბრალდების ფუნქციას პროკურორი ახორციელებს სასამართლომდე სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის, ხოლო სასამართლოში საქმის განხილვისას – სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ფორმით. აღნიშნულის დასასაბუთებლად *ი.გაბისონია* ეყრდნობა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციას, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ 1998 წლის საპროცესო კანონმდებლობით მოცემულ განმარტებას²⁰¹ და დაასკვნის, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას პროკურორი არ არის

процессуальный кодекс Российской Федерации: шаг вперед или два шага назад? // В сб. Фундаментальные и прикладные проблемы управления расследованием преступлений. – М., 2005.- с.17 - მითითებულია: *Горлова С.В.*, დასახ. ნაშრ., 80; *Шушкина Е.В.*, დასახ. ნაშრ., 174; *Крюков В.Ф.*, დასახ. ნაშრ., 55.

¹⁹⁶ იხ. *Яковенко В.В.*, დასახ. ნაშრ., 143.

¹⁹⁷ იხ. *Гриненко А. В.*, Уголовный процесс: учебник — 2-е изд., перераб. — М.: Норма — 496 с., 2009, <<http://vse-uchebniki.com/ugolovnyiy-protsess-uchebnik/ponyatie-ugolovnogo-presledovaniya-ego.html>>,

ბოლოს გამოხმობილია 19.06.2013.

¹⁹⁸ იხ.: *Сапронова Т.П.*, Особенности процессуального положения лиц осуществляющих уголовного преследования в суде., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Санкт-Петербург, 2005, 44; *Яковенко В.В.*, დასახ. ნაშრ., 144.

¹⁹⁹ იხ. *აბაშიძე გ.*, დასახ. ნაშრ., 70-71.

²⁰⁰ იხ. *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 1948, 105-106.; შეად. Уголовный процесс России., Учебное пособие, *Коврига З.Ф.* (ред.), *Кузнецов Н.П.* (ред.), Глава. 4. Уголовное преследование, §1.Понятие и виды уголовного преследования, <<http://bookfi.org/book/529335>>, ბოლოს გამოხმობილია 14.06.2013.

²⁰¹ იხ. ნაშრომის I კარის, IV თავის §2 პარაგრაფი.

უფლებამოსილი საქმეზე განახორციელოს რაიმე საპროცესო მოქმედება. შესაბამისად, პროცესის ამ სტადიაზე ბრალდებულის მიმართ „გარეშე (არასასამართლო) ორგანოს“ - პროკურატურის მხრიდან დევნის განხორციელება, შინაგანი ლოგიკის თვალსაზრისით საკმაოდ უხერხულ სამართლებრივ სიტუაციას ქმნის.²⁰²

მაშასადამე, *ი.გაბისონია* მიიჩნევს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება და ხორციელდება მხოლოდ გამოძიების სტადიაზე კონკრეტული პირის – ბრალდებულის მიმართ და მას ადგილი არ აქვს სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

შ.ფაფიაშვილის და *ა.თევზაძის* აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება მაშინ, როდესაც შეგროვდება მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის მიმართ გამოტანილ იქნება დადგენილება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ავტორები მიიჩნევენ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება ასევე პირის ეჭვიტანილად ცნობის მომენტიდანაც.²⁰³

ამასთან, *შ.ფაფიაშვილის* აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა მოიცავს წინასწარ გამოძიებას და სასამართლოში საქმის განხილვის პროცესს. სასამართლოში დევნა გრძელდება პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის, საბრალდებო სიტყვის დამთავრებამდე. მკვლევარი ასევე მიიჩნევს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის განმხორციელებელი ერთადერთი სუბიექტი პროკურორია და დაუშვებელია დევნის ფუნქციის სხვადასხვა თანამდებობის პირებზე ან ორგანოებზე გადაწოდება.²⁰⁴

ა.ბ.სოლოვიევი და *ნ.ა.იაკუბოვიჩი* მიიჩნევენ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება, ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებული პირველი საპროცესო მოქმედებიდან.²⁰⁵

ი.ი.გრიგორენკოს აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც შეგროვდება დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული პირის მამხილებელი მტკიცებულებები და ბრალდების მხარე მიიღებს გადაწყვეტილებას ამ პირის ბრალდების შესახებ.²⁰⁶

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით განსახვავებული პოზიცია აქვს *მ.ჩელცოვს*. იგი მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის პროცესი უნდა დაიწყოს მაშინ, როცა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოები ფლობენ მონაცემებს დანაშაულის ჩადენის ან ასეთის მზადების შესახებ. დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება ცნობილი იყოს პროკურატურისთვის

²⁰² იხ. *გაბისონია ი.* დასახ. ნაშრ., 260-262.

²⁰³ იხ. *ფაფიაშვილი შ., თევზაძე ა.*, მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის ადგრა, თბილისი, 2002, 99-101.

²⁰⁴ იხ. *ფაფიაშვილი შ.*, სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ადგრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 1999, 18, 26.

²⁰⁵ იხ. *Соловьев А.Б., Якубович Н.А.* К вопросу о концепции правового обеспечения функции уголовного преследования //Современные проблемы уголовного права, процесса и криминалистики; М. Кемерово, 1996. С.79. – მოითხოვება: *Сапронова Т.П.*, დასახ. ნაშრ., 57.

²⁰⁶ იხ. *Григоренко И.И.*, დასახ. ნაშრ., 23, 170.

ან შეიძლება არც იყოს ცნობილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, სისხლისსამართლებრივი დევნა მაინც უნდა აღიძრას (დაიწყოს).²⁰⁷

მხელცივის პოზიციას იზიარებს *ნ.დ. სუხარევაძე*. მასაც მიაჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის რეალიზაცია იწყება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტიდან²⁰⁸ ე.ი. მაშინ, როდესაც დაიწყება სისხლის სამართალწარმოება. იგივე მოსაზრებას ავრცელებენ *მ.ა.გოროხიხინი*,²⁰⁹ *ი.ა.დუბინა*²¹⁰ *დ.დ.დონსკო*²¹¹ და *ი.უკოზუბენკო*. ეს უკანასკნელი დევნის დაწყებასთან ერთად განსაზღვრავს მისი დამთავრების მომენტსაც და მიაჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა მთავრდება კონკრეტული პირის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.²¹² სისხლისსამართლებრივი დევნისას შესაძლებელია ჩატარდეს სხვადასხვა საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები. დევნა მიმდინარეობს მაშინაც, როდესაც არ არის გამოვლენილი პირი, რომელსაც ბრალი უნდა დაედოს დანაშაულის ჩადენაში.²¹³

ზ.დ.ენიკევი მიიჩნევს, რომ სისხლისსამართლებრივ დევნას ერთობ რთული სტრუქტურა აქვს, ვინაიდან იგი ხორციელდება პროცესის არაერთ სტადიაზე. დევნა იწყება კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტზე სისხლის სამართალწარმოების დაწყების მომენტიდან და მიმდინარეობს სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე.²¹⁴ უფრო მეტიც, ავტორის აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა გადის სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებიდან და მოიცავს სასჯელის მოხდას და პირის ნასამართლობის შედეგებსაც.²¹⁵ ანალოგიური მოსაზრება აქვს *ა.სტარცევსაც*.²¹⁶

ზემოაღნიშნული პოზიციების გარდა, იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა უფრო ფართო მნიშვნელობით განიმარტება.

²⁰⁷ იხ.: *Чельцов М.А.*, Советский уголовный процесс, Москва, 1951, 89; *Чельцов М.А.*, Уголовный процесс, Москва, 1948, 348-349

²⁰⁸ იხ. *Сухарева, Н.Д.*, Прекращение уголовного преследования на стадии предварительного расследования: Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, Иркутск, 2002, <<http://www.law.edu.ru/book/book.asp?bookID=114261>>, ბოლოს გამოხმობილია 15.06.2013.

²⁰⁹ იხ. *Ворочихин М.А.*, დასახ. ნაშრ., 16.

²¹⁰ იხ. *Дубина И.А.* დასახ. ნაშრ., 109.

²¹¹ იხ. *Донской Д.Д.*, დასახ. ნაშრ., 88.

²¹² იხ. *Козубенко Ю.В.*, დასახ. ნაშრ., 75, 78.

²¹³ იხ. *Сухарева, Н.Д.*, Прекращение уголовного преследования на стадии предварительного расследования: Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, Иркутск, 2002, <<http://www.law.edu.ru/book/book.asp?bookID=114261>>, ბოლოს გამოხმობილია 15.06.2013.

²¹⁴ იხ. *Еникеев З.Д.*, Уголовное преследование, Учебное пособие, Уфа: Изд-во БашГУ, 2000, 5-10, <http://www.pravo.vuzlib.org/book_z260_page_5.html>, ბოლოს გამოხმობილია 12.04.2014.

²¹⁵ იხ. *Еникеев З.Д.*, Механизм уголовного преследования: Учебное пособие. –Уфа: Изд-во Башкирск. ун-та, 2002, <http://www.pravo.vuzlib.org/book_z268_page_6.html>, ბოლოს გამოხმობილია 12.04.2014.

²¹⁶ იხ. *Старцев. А.Ю.*, Функции прокурора в российском уголовном процессе // Вестник Удмуртского Университета. - 2004.- №6(1). – С.64-65. - მოთხოვნილია: *Горлова С.В.*, დასახ. ნაშრ., 99.

კერძოდ, სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყისად მიჩნეულია არა სისხლის სამართალწარმოების დაწყება, არამედ მომხდარი დანაშაულის ან დანაშაულის მომზადების შესახებ ინფორმაციის მიღების მომენტი.²¹⁷

ჩატარებული კვლევების საფუძველზე ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს სისხლისსამართლებრივი დევნისათვის დამახასიათებელ ნიშნებს:

ა) სისხლისსამართლებრივი დევნა საპროცესო საქმიანობაა;

ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტები არიან სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები, რომლებსაც კანონი მიაკუთვნებს ბრალდების მხარეს;

გ) სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანია პირის დანაშაულში მხილება.²¹⁸

როგორც ჩანს, სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის გამოვლენა. აქედან გამომდინარე, საპროცესო ლიტერატურაში არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის თანახმად, პირი, რომელიც ბრალდებულის რანგშია და მონაწილეობა არ მიუღია დანაშაულის ჩადენაში, მის „აღმოჩენასთან“ დაკავშირებული საპროცესო საქმიანობა არ შეიძლება ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივ დევნად.²¹⁹

სისხლისსამართლებრივი დევნის პრობლემატურ საკითხებზე მსჯელობისას ზოგიერთი მეცნიერი უფრო შორს მიდის და დაასკვნის, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არის სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელი სტადია. იგი ხორციელდება გამოძიების შემდეგ და გრძელდება სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდშიც.²²⁰

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და მისი დამთავრების შესახებ აზრთა სხვაობა და ცალკეულ განმარტებათა ლოგიკურობა მთლიანობაში არ ცვლის ამ ინსტიტუტის არსს. სისხლისსამართლებრივი დევნა დღესაც განიხილება, როგორც სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საპროცესო საქმიანობა, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენა და ამ უკანასკნელისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.²²¹

იურიდიულ დოქტრინაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა შინაარსობრივად გულისხმობს:

²¹⁷ იხ. *Королев Г.*, Начальный момент уголовного преследования // Законность, 2005, №5, С.24 – მოითხოვება: *Бубнов Р.Г.*, Взаимоотношения субъектов уголовного преследования по делам публичного и частно-публичного обвинения., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Самара, 2006, 23.

²¹⁸ იხ.: *აბაშიძე ვ.*, დასახ. ნაშრ., 73. *Яковенко В.В.*, დასახ. ნაშრ., 15; *Донской Д.Д.*, დასახ. ნაშრ., 57-58.

²¹⁹ იხ. Уголовный процесс России, Учебное пособие, *Коврига З.Ф.* (ред.), *Кузнецов Н.П.* (ред.), Глава. 4. Уголовное преследование, §1.Понятие и виды уголовного преследования, <<http://bookfi.org/book/529335>>, ბოლოს გამოსხობილია 14.06.2013; შეად. *აბაშიძე ვ.*, დასახ. ნაშრ., 71.

²²⁰ იხ. *გოგ შელოძე რ.*, პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში; ჟურნალი „სამართალი“, 2002, №9-10, 71-75.

²²¹ იხ. *Сапронова Т.П.*, დასახ. ნაშრ., 37.

ა) სისხლის სამართალწარმოების დაწყებას კონკრეტული პირის მიმართ;

ბ) დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებას;

გ) პირის ბრალდებულად ცნობას;

დ) პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას;

ე) მტკიცებულებების შეგროვების პროცესს, რომელსაც ემყარება ბრალდება, ასევე იმ დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებას, რაც საჭიროა ბრალდების შესავსებად ან დამატებითი ბრალდების წარსადგენად.

ვ) საბრალდებო აქტის შედგენას და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნას; ასევე სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერას სასამართლოში.²²² „სისხლისსამართლებრივი დევნის განსაზღვრება, თავის თავში შეიცავს ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩამონათვალს, რაც მისი საქმიანობის სტრუქტურას წარმოადგენს“.²²³

სისხლისსამართლებრივი დევნის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით დაახლოებით იგივე მოსაზრება აქვს *გ.ბელთაძესაც*. იგი აყალიბებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის შემდეგ სქემას:

ა) კონკრეტული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება;

ბ) დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავება;

გ) ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდება;

დ) სისხლის სამართლის საქმის სასამართლოსათვის გადაცემა და სასამართლოში ბრალდებისათვის მხარდაჭერა.²²⁴

გარდა ზემოაღნიშნულისა, სისხლისსამართლებრივ დევნაში მოიაზრებენ ასევე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებასაც,²²⁵ ვინაიდან ამ მოქმედებათა მიზანიც დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენაა.²²⁶ თუმცა ამ მოსაზრებას არ იზიარებს ზოგიერთი ავტორი,²²⁷ ვინაიდან ოპერატიულ-სამძებრო და სისხლის საპროცესოსამართლებრივ საქმიანობებს გააჩნიათ სხვადასხვა სამართლებრივი ბუნება,

²²² იხ.: *Халиулин А.Г.*, Уголовное преследование как функция прокуратуры Российской Федерации (проблемы осуществления правовой реформы), Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 1997, 39, 52; *Яковенко В.В.*, დასახ. ნაშრ., 142-143; *Ворочихин М.А.*, დასახ. ნაშრ., 17; *Никитин Е.Л.*, დასახ. ნაშრ., 101; *Кучин А.Ф.*, დასახ. ნაშრ., 156; *Дубина И.А.* დასახ. ნაშრ., 162; *Донской Д.Д.*, დასახ. ნაშრ., 62-63. შეად. *Белонос В.О.*, *Громов Н.А.*, *Новичков И.В.* Уголовный процесс. – М., 2005. – С.36. – მითითებულია: *Горлова С.В.*, დასახ. ნაშრ., 97;

²²³ *აბაშიძე გ.*, დასახ. ნაშრ., 69-70; იხ. ასევე *Гриненко А. В.*, Уголовный процесс.: учебник — 2-е изд., перераб. — М.: Норма — 496 с., 2009, <<http://vse-uchebniki.com/ugolovnyiy-protsess-uchebnik/ponyatie-ugolovnogo-presledovaniya-ego.html>>, ბოლოს გამოსმობილია 19.06.2013.

²²⁴ იხ. *ბელთაძე გ.*, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის არსი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2⁽³⁷⁾13, 146.

²²⁵ იხ. *Кучин А.Ф.*, დასახ. ნაშრ., 49-50, 155.

²²⁶ იხ.: Уголовный процесс России: Учебник //Под науч. ред. *В.Т. Томина*. – М., 2003. С. 34-46; *Ковтун Н.Н.*, *Кузнецов А.П.*, Сущность и содержание функции уголовного преследования в уголовном процессе России//Российский судья. 2004., №6 – მითითებულია: *Яковенко В.В.*, დასახ. ნაშრ., 16.

²²⁷ იხ.: *Яковенко В.В.*, დასახ. ნაშრ., 16; *Халиулин А.Г.*, დასახ. ნაშრ., 52-53; *Шишкина Е.В.*, დასახ. ნაშრ., 179; *Бубнов П.Г.*, დასახ. ნაშრ., 29.

განხორციელების განსხვავებული მეთოდები და საშუალებები. ამასთან, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებისას პირმა, რომლის მიმართაც ხორციელდება ეს მოქმედება, სახელმწიფოსთან ასეთი სამართალურთიერთობის არსებობის შესახებ საერთოდ არაფერი იცის, რაც თავისთავად წინააღმდეგობაში მოდის სისხლისსამართლებრივი დევნის არსთან.²²⁸ მიუხედავად ამისა, იურიდიულ ლიტერატურაში მიმდინარეობს მსჯელობა და შეიმჩნევა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და სისხლის სამართალწარმოების დაახლოების ტენდენცია.²²⁹

2.1. სისხლისსამართლებრივი დევნისა და ბრალდების თანაფარდობა

სისხლის საპროცესო სამართალში სისხლისსამართლებრივი დევნისა და ბრალდების თანაფარდობა ერთ-ერთი საინტერესო და ამასთანავე ბოლომდე გამოუკვლეველი საკითხია.²³⁰

სისხლის საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით ტერმინ ბრალდებაში მოიაზრება საპროცესო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება წინასასამართლო გამოძიების ეტაპზე და დაკავშირებულია კონკრეტული პირისათვის ბრალდების წარდგენასთან; ბრალდებაში ასევე მოიაზრება ბრალმდებლის საპროცესო საქმიანობა სასამართლოში. აქედან გამომდინარე, იურიდიულ მეცნიერებაში ბრალდება მიჩნეულია, როგორც საპროცესო საქმიანობის ერთი-ერთი სახე, საპროცესო ფუნქცია.²³¹

პ.ს.ელკინდი ბრალდებაში მოიაზრებს ბრალმდებლის საპროცესო საქმიანობას სასამართლოში. მას მიაჩნია, რომ ბრალდების ფუნქციის რეალიზაცია მხოლოდ სასამართლოში ხდება.²³²

დ.ს.კარევი ბრალდებაში გულისხმობს საბრალდებო საქმიანობას, რომელიც მიმართულია სასამართლოში ბრალდებისათვის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.²³³

ფ.ნ.ფატკულინი ბრალდებაში გულისხმობს კომპეტენტური თანამდებობის პირებისა და ორგანოების საპროცესო საქმიანობას, რომელიც მიმართულია ბრალდებულის გამოვლენისა და ამ უკანასკნელისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისაკენ, რათა მოხდეს ამ პირის გასამართლება.²³⁴ ბრალდების ასეთი განმარტება ძალიან წააგავს სისხლისსამართლებრივ დევნის ცნებას.

²²⁸ იხ. *Яковенко В.В.*, დასახ. ნაშრ., 17.

²²⁹ იხ.: *Основы оперативно-розыскной деятельности: Учебник для юридических вузов // Под ред. В.Б. Рушайло.* СПб., 2002. С. 25-27; *Земскова А.В.*, Правовые проблемы использования результатов оперативно-розыскных мероприятий в уголовно-процессуальном доказывании. Волгоград, 2000. – მოთითებულია: *Яковенко В.В.*, დასახ. ნაშრ., 16.

²³⁰ იხ. *Сапронова Т.П.*, დასახ. ნაშრ., 69-70.

²³¹ იხ. იქვე, 73.

²³² იხ. *Элькинд П.С.*, Сущность советского уголовно-процессуального права. Л.: ЛГУ, 1963, 61.

²³³ იხ. *Карев Д.С.*, Советский уголовный процесс., М., 1968., С.25 – მოთითებულია: *Сапронова Т.П.*, დასახ. ნაშრ., 71.

²³⁴ იხ.: *Фаткуллин Ф.Н.*, Обвинение и судебный приговор. Казань, 1965, С.35. – მოთითებულია: *Сапронова Т.П.*, დასახ. ნაშრ., 72; ასევე, *Элькинд П.С.*, დასახ. ნაშრ., 60.

სისხლის საპროცესო სამართალში ბრალდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თანაფარდობის თაობაზე არსებობს ორი მოსაზრება. პირველის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალდება იდენტური ცნებებია, ხოლო მეორე მოსაზრების მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნა მთლიანად ან ნაწილობრივ მოიცავს ბრალდებას.²³⁵

პირველ პოზიციაზე მდგომ ავტორთაგან აღსანიშნავია *მ.ს. სტროგოვიჩი*. იგი ბრალდებაში გულისხმობს სისხლისსამართლებრივი დევნის განმარტებელი სუბიექტების საქმიანობას, რომელიც მიმართულია დევნის წარმატებით განხორციელებისაკენ. ავტორი ბრალდებას ყოფს ორ ნაწილად: ბრალდება მატერიალური და ბრალდება ფორმალური გაგებით.²³⁶

ბრალდება მატერიალური აზრით, არის საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობა, მიმართული დანაშაულის ჩამდენი პირის მხილებისაკენ, ანუ იგივეა რაც სისხლისსამართლებრივი დევნა. გამოძიების სტადიაზე ბრალდება მატერიალურია. ამ დროს ადგილი აქვს მტკიცებულებათა შეგროვებას.²³⁷

ბრალდება ფორმალური მნიშვნელობით არის კანონით სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს ან პირის (ბრალმდებლის) საქმიანობა, რომელიც გამოდის სასამართლოს წინაშე და მხარს უჭერს ბრალდებას. მაშასადამე, ბრალდება ფორმალური გაგებით არის ფორმა სისხლისსამართლებრივი დევნისა, რასაც ახორციელებს პროკურატურა სასამართლოში საქმის განხილვის დროს.²³⁸

მ.ს. სტროგოვიჩი ბრალდებას სხვა მნიშვნელობითაც განმარტავს: „ეს არის ბრალდება, როგორც ბრალდების საგანი, როგორც შინაარსი საბრალდებო თეზისისა, რომელსაც იცავს ბრალმდებელი. სწორედ ამ აზრით იხმარება ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „ბრალდების წაყენება“, „ბრალდების დამტკიცებულობა (ან დაუმტკიცებლობა)“, „ბრალდებისათვის მხარდაჭერა სასამართლოში“ და სხვ.“²³⁹

ა.ფ.კუზინი ბრალდებას განმარტავს ფართო გაგებით – როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად წარმოებულ საბრალდებო საქმიანობას და მიიჩნევს, რომ ეს იგივეა, რაც სისხლისსამართლებრივი დევნა.²⁴⁰ ამასთან, ავტორის აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა არის ბრალდების ფუნქციის რეალიზაციის ფორმა. პროკურორს აქვს ბრალდების ფუნქცია, რომელსაც იგი ახორციელებს სისხლისსამართლებრივი დევნის მეშვეობით.²⁴¹

²³⁵ იხ. *Горлова С.В.*, დასახ. ნაშრ., 118.

²³⁶ იხ. *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 113.

²³⁷ იხ.: *Строгович М.С.*, Курс Советского уголовного процесса, Москва, 1958, 100; *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 113-114.

²³⁸ იხ.: *Строгович М.С.*, Курс Советского уголовного процесса, Москва, 1958, 100; *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 113-114.

²³⁹ *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 113-114; იხ. ასევე *Строгович М.С.*, Курс Советского уголовного процесса, Москва, 1958, 100.

²⁴⁰ იხ. *Кучин А.Ф.*, დასახ. ნაშრ., 56.

²⁴¹ იხ. იქვე, 57.

საპირისპირო პოზიციაზე მდგომ იურისტ-მეცნიერთაგან უნდა აღინიშნოს *მხელცოვი*. მისი აზრით, ბრალდება და სისხლისსამართლებრივი დევნა ერთმანეთისაგან განსხვავდება და აუცილებელია მათი გამიჯვნა. კერძოდ, ბრალდება პროცესუალური გაგებით არის ერთ-ერთი ძირითადი პროცესუალური ფუნქცია. საბრალდებო საქმიანობის მიზანია, განსაზღვრული პირის დამნაშავეობის დადგენა და მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. სისხლის სამართლის პროცესის დაწყებისას, როგორც წესი, ადგილი არ აქვს საბრალდებო საქმიანობის წარმოებას.²⁴² ბრალდება შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალურად განსაზღვრული პირისა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა.²⁴³ სისხლის სამართალწარმოების დაწყებისას კი შეიძლება არ იყოს ცნობილი კონკრეტული პირი, მაგრამ სისხლისსამართლებრივი დევნა მაინც უნდა დაიწყოს.²⁴⁴ ამ მნიშვნელობით სისხლისსამართლებრივი დევნა უფრო ფართო ცნებაა ვიდრე სისხლისსამართლებრივი ბრალდება. სისხლისსამართლებრივ დევნაში იგულისხმება ე.წ. „ფიზიკური დევნაც“, რაც გამოიხატება დანაშაულის ჩამდენი პიროვნების შეჩერება-დაკავებაში და ამ მოქმედების საპროცესო გაფორმებაში, ასევე მისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაში და ა.შ.²⁴⁵

ამდენად, *მხელცოვი* სისხლისსამართლებრივ დევნას უფრო ფართო გაგებით განმარტავს და მასში მოიაზრებს ბრალდებასაც.

მხელცოვის მსგავსად, *ტ.პ.საპრონოვა*, სისხლისსამართლებრივ დევნაში გულისხმობს საპროცესო საქმიანობას არა მხოლოდ კონკრეტული პირის მიმართ, არამედ იგი დევნაში მოიაზრებს ბრალდების მხარის ისეთ საქმიანობასაც, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული ბრალდებულის გამოვლენასთან. რაც შეეხება ბრალდებას, ავტორის აზრით, იგი ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული პირის მიმართ.²⁴⁶

ანალოგიური მოსაზრება აქვს *ნ.დ. სუხარევას*, რომელიც სისხლისსამართლებრივ დევნას უფრო ფართო ცნებად მიიჩნევს ვიდრე ბრალდებას. დევნის დროს შესაძლებელია ჩატარდეს სხვადასხვა საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები. იგი მიმდინარეობს მაშინაც, როდესაც არ არის გამოვლენილი პირი, რომელსაც ბრალი უნდა დაედოს დანაშაულის ჩადენაში.²⁴⁷ რაც შეეხება ბრალდებას, მას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი მონაცემები იმის შესახებ, რომ დანაშაული კონკრეტული პირის მიერ არის ჩადენილი, ე.ი. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტიდან. ბრალდება ხორციელდება მხოლოდ ბრალდებულთან მიმართებაში – „ფორმალური

²⁴² იხ. *Чельцов М.А.*, Советский уголовный процесс, Москва, 1951, 89.

²⁴³ იხ.: იქვე; *ბელთაძე ვ.*, დასახ. ნაშრ., 142.

²⁴⁴ იხ. *Чельцов М.А.*, Советский уголовный процесс, Москва, 1951, 88-89; შეად. *Жогин Н.В.*, *Фаткуллин Ф.Н.*, Возбуждение уголовного дела, Москва, 1961, 56-60.

²⁴⁵ იხ. *Чельцов М.А.*, Советский уголовный процесс, Москва, 1951, 89.

²⁴⁶ იხ. *Сапронова Т.П.*, დასახ. ნაშრ., 90.

²⁴⁷ იხ. *Сухарева, Н.Д.*, Прекращение уголовного преследования на стадии предварительного расследования: Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, Иркутск, 2002, <<http://www.law.edu.ru/book/book.asp?bookID=114261>>, ბოლოს გამოხმობილია, 15.06.2013.

პროცესუალური სტატუსი“. აქედან გამომდინარე, *ნ.დ.სუხარევა* დაასკვნის, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა უფრო ფართო ცნებაა და მასში მოიაზრება ბრალდებაც.²⁴⁸

ზემოაღნიშულის საწინააღმდეგო მოსაზრებას ავითარებს *ი.გაბისონია*. მისი აზრით, ამ ორი ინსტიტუტის ურთიერთდამოკიდებულება ისეთივეა, რაც მთელსა და მის ნაწილს შორის. ბრალდების ფუნქცია უფრო მასშტაბურია. იგი ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესის სასამართლომდელ სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების სახით, ხოლო სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ფორმით.²⁴⁹

ამდენად, *ი.გაბისონია* სისხლისსამართლებრივ დევნას მიიჩნევს ბრალდების შემადგენელ ნაწილად, რომელიც ხორციელდება მხოლოდ სასამართლომდელ, (ე.ი. გამოძიების) სტადიაზე.

ი.გაბისონიას მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს *გ.აბაშიძეც*, რომელიც მიიჩნევს, რომ ბრალდების ფუნქცია უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს პროკურორის და გამოძიებლის საქმიანობას და იგი განსხვავდება სისხლისსამართლებრივი დევნისაგან. დევნა არის ბრალდების ფუნქციის რეალიზაციის ფორმა. „ანუ პროკურორს აქვს ბრალდების ფუნქცია და ახორციელებს მას იმ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნით, რომლებიც იმხილებიან დანაშაულის ჩადენაში.“²⁵⁰

ი.ი.გრიგორენკოს აზრით, დაუშვებელია ტერმინების – ბრალდების და სისხლისსამართლებრივი დევნის ერთმანეთში არევა. სისხლისსამართლებრივი დევნა, გარდა ბრალდებისა, მოიცავს ასევე სხვა საპროცესო მოქმედებებს და გადაწყვეტილებებს. ასეთი მოქმედებების საშუალებით ხორციელდება დანაშაულის ჩამდენი პირის მხილება, რაც საბოლოოდ ემსახურება ამ უკანასკნელისათვის ბრალდების დამტკიცებას. აქედან გამომდინარე, საბრალდებო საქმიანობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელ ერთ-ერთ ელემენტს.²⁵¹ ბრალდების ფუნქციას სისხლისსამართლებრივ დევნის შემადგენლობაში მოიაზრებს *მ.ა.გოროხიხინიც*.²⁵² ბრალდებასთან შედარებით სისხლისსამართლებრივ დევნას ფართო ცნებად მიიჩნევენ *ს.კ.გორლოვა*,²⁵³ *ე.ვ.შიშკინა*,²⁵⁴ *რ.გ.ბუბნოვი*²⁵⁵ და *დ.დ.დონსკიც*.²⁵⁶

²⁴⁸ იხ. *Сухарева, Н.Д.*, Прекращение уголовного преследования на стадии предварительного расследования: Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, Иркутск, 2002, < <http://www.law.edu.ru/book/book.asp?bookID=114261>>, ბოლოს გამოხმობილია 15.06.2013.

²⁴⁹ დაწვრილებით იხ. *გაბისონია ი.* დასახ., ნაშრ., 271-272.

²⁵⁰ *აბაშიძე გ.*, დასახ. ნაშრ., 84-85.

²⁵¹ იხ. *Григоренко И.И.*, დასახ. ნაშრ., 171.

²⁵² იხ. *Ворочихин М.А.*, დასახ. ნაშრ., 133.

²⁵³ იხ. *Горлова С.В.*, დასახ. ნაშრ., 130.

²⁵⁴ იხ. *Шишкина Е.В.*, დასახ. ნაშრ., 174-175.

²⁵⁵ იხ. *Бубнов Р.Г.*, დასახ. ნაშრ., 18.

²⁵⁶ იხ. *Донской Д.Д.*, დასახ. ნაშრ., 63-64.

გარდა ზემოაღნიშნული მოსაზრებებისა, ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ბრალდება არის არა სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელი ნაწილი, არამედ ის დევნის განხორციელების შედეგია.²⁵⁷

გ.მეფარიშვილი ერთმანეთისაგან განასხვავებს სისხლისსამართლებრივ დევნას და ბრალდებას. მისი აზრით, თანამედროვე საპროცესო მეცნიერება ბრალდებას განიხილავს როგორც ხერხს, საშუალებას სისხლისსამართლებრივი დევნის ზოგადი ფუნქციის განხორციელებისა. ავტორი მიიჩნევს, რომ პროკურორის მიერ ბრალდებულისათვის ბრალდების წაყენება სისხლისსამართლებრივი დევნის მნიშვნელოვანი ეტაპია.²⁵⁸

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობს აზრთა ერთიანობა სისხლისსამართლებრივი დევნისა და ბრალდების თანაფარდობის შესახებ. მეცნიერთა ერთი ნაწილი ამ ორ ინსტიტუტს შორის განსხვავებას ვერ ხედავს, თუმცა აღიარებს იმას, რომ ტერმინ „ბრალდებას“ შეიძლება გააჩნდეს სხვა დატვირთვა. მეკვლევართა მეორე ნაწილი სისხლისსამართლებრივ დევნას ფართო მნიშვნელობით განიხილავს და მასში მოიაზრებს ბრალდებასაც, ხოლო იურისტ-მეცნიერთა მესამე ნაწილი კი ბრალდებაში მოიაზრებს არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ დევნას, არამედ გამოძიებასაც.

2.2. სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება

2.2.1. გამოძიების ცნება

სისხლისსამართლებრივი დევნა მჭიდროდ არის დაკავშირებული გამოძიებასთან, მაგრამ სანამ აღნიშნულ საკითხზე იქნება მსჯელობა, მანამდე მიზანშეწონილია, მოკლედ განისაზღვროს გამოძიების ცნება და მნიშვნელობა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიება სისხლის სამართლის პროცესის პირველი, საწყისი სტადიაა. ეს არის სისხლის სამართალწარმოების ის მნიშვნელოვანი ეტაპი, რა დროსაც მიმდინარეობს მომხდარ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენა.²⁵⁹ ამიტომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა გამოძიებას შემდეგნაირად განმარტავს: „უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია, დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება“ (სსსკ-ის მე-3 მუხ. მე-10 ნაწ.).

²⁵⁷ იხ. *Барабаш А.С.*, Уголовное преследование в стадии предварительного расследования, // Фундаментальные и прикладные проблемы управления расследованием преступлений: Сб. научн. Трудов (в двух частях), Часть первая – М.: Академия управления МВД России, 2005, 202-205.

²⁵⁸ იხ. *მეფარიშვილი გ.*, სისხლისსამართლებრივი დევნა ცაიტნოტში, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997, 31 ოქტომბერი.

²⁵⁹ იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, რედ.: *მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., ვაბისონია ი.*, თბილისი, 2012, 7-12; საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მეორე გამოცემა, რედ.: *მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., ვაბისონია ი.*, თბილისი, 2013, 7-11.

ეს არის გამოძიების ცნება ფართო გაგებით. შესაძლებელია მისი განმარტება ვიწრო გაგებითაც, რასაც შესაძლოა საფუძვლად დაედოს შემდეგი შინაარსის მსჯელობა:

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, გამოძიებისა და პროკურორისა გარდა, რომლებიც იმავდროულად წარმოადგენენ ბრალდების მხარეს (სსსკ-ის მუხ. მე-3, მე-6 ნაწ.), გამოძიების ჩატარება შეუძლია დაცვის მხარესაც – ბრალდებულს დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით. მაგრამ ბრალდების მხარისაგან განსხვავებით გამოძიების ჩატარება ბრალდებულის უფლებაა და არა მოვალეობა (სსსკ-ის მუხ. 38-ე, მე-7 ნაწ.).

ფაქტობრივად დაცვის მხარეს გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება ენიჭება მას შემდეგ, რაც სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყება (ანუ მას შემდეგ, რაც პროცესში გამოჩნდება კონკრეტული პირი ბრალდებულის სახით). მანამდე დაცვის მხარე, რეალურად არ არსებობს. გამოძიებას ატარებს ბრალდების მხარე, რომლის ძირითადი მიზანია ბრალდების დამადასტურებელი – დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება. თუმცა გამოძიებულს, როგორც ბრალდების მხარის წარმომადგენელს გააჩნია ვალდებულება გამოძიება აწარმოოს, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად (სსსკ-ის 37-ე მუხ. მე-2 ნაწ.).

სისხლის სამართლის პროცესში დაცვის მხარის გამოჩენა და მის მიერ გამოძიების ჩატარება უკავშირდება მხოლოდ ერთ მიზანს – ბრალდებულის სასარგებლო, უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების შეგროვებას. ანუ გამოძიების უფლების პრაქტიკული რეალიზაციით, დაცვის მხარე ცდილობს გამამართლებელი ან ბრალის შემამსუბუქებელი მტკიცებულებების შეკრებას, შემდგომში მათ წარდგენას სასამართლოში და მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს დარწმუნებას „სისხლის სამართალწარმოების ორბიტაში მოხვედრილი ადამიანის“²⁶⁰ უდანაშაულობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნებოდა ბრალდებისა და დაცვის მხარეთა მიზნის მიხედვით, გამოძიების ცნების კიდევ უფრო დაზუსტება და მისი დეფინიციის შემდეგნაირად ჩამოყალიბება: *„გამოძიება – მტკიცებულებათა შეგროვების მიზნით, ბრალდებისა და დაცვის მხარეთა მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა. ბრალდების მხარის მიზანია, ბრალდების დამადასტურებელი, დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების, ხოლო დაცვის მხარის – ბრალდებულის უდანაშაულობის დამადასტურებელი ან ბრალის შემამსუბუქებელი მტკიცებულებების შეგროვება.“*

გამოძიების ასეთი განმარტება უფრო თვალსაჩინოს გახდიდა მისი არსის სწორად გაგებას, ამომწურავად წარმოაჩინდა მხარეთა როლს ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულების დროს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, ბრალდების მხარეს უნდა განესაზღვროს ვალდებულება გამოძიება

²⁶⁰ ტერმინი აღებულია: *მეფარიშვილი გ.*, სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების თანაფარდობისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“, 1996, №1, 22-26.

აწარმოოს სრულად და ობიექტურად ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვების თვალსაზრისით. ბრალდებას არ უნდა ევალებოდეს გამოძიება ჩაატაროს ყოველმხრივ, ვინაიდან, მასში მოიაზრება ბრალდებულის გამამართლებელი ან შემამსუბუქებელი მტკიცებულებების მოპოვებაც.²⁶¹ თუმცა ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით გამოძიებელს წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით აღარ აქვს ვალდებულება აღმოაჩინოს და მოიპოვოს ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებები ან შემამსუბუქებელი გარემოებები, მაგრამ იგი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად.²⁶² აღნიშნული მოსაზრება ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან ზემოთაღნიშნა, რომ გამოძიების ყოველმხრივ ჩატარების ვალდებულება გულისხმობს ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ასევე გამამართლებელი გარემოებების დადგენას. აქედან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, ბრალდების მხარეს წინასასამართლო გამოძიებისას ევალება შეაგროვოს ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებებიც. ამას ბრალდება პრაქტიკულად ძალიან იშვიათად აკეთებს და რეალურად თავისი სტატუსიდან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია გამოძიებლმა ანალოგიურად შეაგროვოს გამამართლებელი მტკიცებულებები, როგორც გამამტყუნებელი.

მაგალითად, 2012 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. მ-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმე. ეს უკანასკნელი თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ სცნო სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. დაცვის მხარემ სააპელაციო საჩივარში აღნიშნა, რომ ბრალდების მხარეს უნდა ჩაეტარებინა ექსპერტიზა და სხვა საჭირო საგამოძიებო მოქმედებები, რაც არ გაუკეთებია. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ თავის განაჩენში მიუთითა შემდეგი: მხარეები თავიანთი შეხედულებებისამებრ მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს. ვერავინ დაავალდებულებს მხარეს მოიპოვოს ან არ მოიპოვოს ესა თუ ის მტკიცებულება. დაცვის მხარეს შეეძლო ესარგებლა მტკიცებულებათა მოპოვების უფლებით და თვითონ დაენიშნა ექსპერტიზა.²⁶³

ამასადაამე, ზემოთ მითითებული პრაქტიკული მაგალითით დასტურდება, რომ ბრალდების მხარე მოიპოვებს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც ბრალდების დასადასტურებლად არის საჭირო. ბრალდების მხარის მიერ დაცვის მხარის სასარგებლო მტკიცებულებების

²⁶¹ იხ. სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ.: ვოვ შელიძე რ., თბილისი, 2009, 208-209, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 26.12.2103;

²⁶² იხ. მამნია შვილი მ., გამომძიებელი სისხლის სამართლის პროცესში, სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, სამეცნიერო ნაშრომების კრებული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 127-128.

²⁶³ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 07 ნოემბრის განაჩენი; საქმე №1/ბ-555-12

მოპოვებას არც სასამართლო მიიჩნევს აუცილებელ მოთხოვნად, ვინაიდან დაცვას აქვს უფლება მოიპოვოს ასეთი მტკიცებულება. შესაბამისად, აზრს კარგავს მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში მითითებული ნორმა – ბრალდების მხარის მიერ გამოძიების ყოველმხრივი ჩატარების აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ოპონენტებს შეიძლება ჰქონდეთ შემდეგი შინაარსის მოსაზრება: გამოძიებელი და პროკურორი არიან სახელმწიფოს წარმომადგენლები და აქედან გამომდინარე, მათი უშუალო მოვალეობა უნდა იყოს არა მხოლოდ დანაშაულის სრული და ობიექტური, არამედ ყოველმხრივი გამოძიების ჩატარებაც, რათა სამართალწარმოების ამ ეტაპზე გამოირიცხოს ცალმხრივი გამოძიება და შეცდომები.

აღნიშნული მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის, მაგრამ გამოძიების სრული და ობიექტური ჩატარება არ გულისხმობს ცალმხრივ და არასწორ გამოძიებას. ამ დროს უნდა დადგინდეს ყველა ის საჭირო გარემოება, რომელიც პირს ამხელს დანაშაულის ჩადენაში. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ვერ დადგინდა ასეთი გარემოებები, ბუნებრივია, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაიწყება ან დაწყებული დევნა შეწყდება.

ამასთან, ამ საკითხს შეიძლება სხვა მხრიდანაც შევხედოთ: საპროცესო კანონმდებლობით გამოძიებლისათვის ყოველმხრივი გამოძიების ჩატარებას ვალდებულების განსაზღვრა ნიშნავს იმას, რომ ბრალდების მხარემ ყოველ მიზეზ გარეშე უნდა მოიპოვოს ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებები და მოქმედი სსსკ-ის 83-ე მუხლის საფუძველზე „გამზადებული ინფორმაცია“ გადასცეს დაცვას, მაშინ როდესაც დაცვის მხარეს საკუთარი გამოძიების ჩატარების უფლება აქვს.

მაშასადამე, გამოდის, რომ დაცვის მხარემ შესაძლოა არც აწარმოოს გამოძიება და დაელოდოს თუ როდის შეასრულებს ბრალდება თავის ზემოთ აღნიშნულ მოვალეობას; ანდა მოითხოვოს ამ ვალდებულების შესრულება. „ყოველმხრივი გამოძიების ჩატარების, ვალდებულება“ გარკვეულწილად წააქეზებს დაცვას არაფერი გააკეთოს და დაელოდოს ბრალდების მხარის „მზა ინფორმაციას.“²⁶⁴

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარეს უნდა ჰქონდეს გამოძიების ყოველმხრივი ჩატარების არა ვალდებულება, არამედ უფლება. ზოგიერთ შემთხვევაში გამოძიებელმა ან პროკურორმა შესაძლებელია მიზანშეწონილად მიიჩნიოს ყოველმხრივი გამოძიების ჩატარება, ანდა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, საჭირო გახდეს ასეთი გამოძიება. ასეთ შემთხვევებში ბრალდება უფლებამოსილია ჩაატაროს ყოველმხრივი გამოძიება და შედეგები აცნობოს დაცვის მხარეს.

²⁶⁴ პრაქტიკაში რეალურად ასეც ხდება. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოში 2011-2012 წლებში არსებული სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი ცხადყოფს, რომ დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვება და სსსკ-ის 83-ე მუხლის თანახმად, ბრალდების მხარისათვის გადაცემა არ მომხდარა. გამოძიების ჩატარების კუთხით დაცვა ფაქტობრივად არაფერს აკეთებს.

2.2.2. სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების გამიჯვნის პრობლემა

სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების გამიჯვნის საკითხი ქართულ საპროცესოსამართლებრივ სივრცეში ყოველთვის აქტიური იყო და შეიძლება ითქვას, რომ დღესაც ასეა.

ჯერ კიდევ 1997 წელს შედგენილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტით, გამომძიებელი არ მოიაზრებოდა არც ბრალდების მხარედ და არც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტად. ის, კლასიკური ფორმით, ნეიტრალური ფიგურა იყო, რომელსაც ევალებოდა როგორც გამამართლებელი ისე გამამტყუნებელი მტკიცებულებების შეგროვება.²⁶⁵

აღნიშნული კანონპროექტის წინააღმდეგ ერთ-ერთი პირველი გამოვიდა *გ.ქარქაშაძე*, რომელმაც აღნიშნა, რომ გამომძიებელი თავისი ფუნქციებით დაყვანილი იყო ე.წ. „სატელიტის“ დონეზე. მას უნდა ჰქონოდა არა მხოლოდ მტკიცებულებათა მოპოვების, არამედ პირის ბრალდების, საბრალდებო დასკვნის შედგენის და კიდევ სხვა მნიშვნელოვანი უფლებები.²⁶⁶ აღნიშნული თავისთავად ნიშნავდა იმას, რომ გამომძიებელს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან ერთად უნდა ეწარმოებინა სისხლისსამართლებრივი დევნაც.

გ.მეფარიშვილი მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის იურიდიულ მეცნიერებაში დაიხვა საკითხი სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების ურთიერთგამიჯვნის შესახებ. „გამომძიებელი-ბრალმდებელი“ თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს და იგი არადემოკრატიულია. გამოძიების და შესაბამისად, გამომძიებლის მოვალეობა უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმეზე მხოლოდ მტკიცებულებათა მოპოვება და არა სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია. „გამომძიებელი არ უნდა იყოს „ორსახოვანი იანუსი“. ბრალდება, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა გაიმიჯნოს გამოძიებისაგან. ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნებაა“. დევნის ფუნქცია სპეციალური სახელმწიფო ორგანოს – პროკურატურის პრეროგატივაა და არა გამოძიების.²⁶⁷

ანალოგიური მოსაზრებები აქვთ *მ.მამნიაშვილს*, *რ.გოგ შელიძეს*, *კ.კერესელიძეს*. მათი აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან. გამომძიებელს არ უნდა ჰქონდეს

²⁶⁵ იხ. *მამნიაშვილი მ.*, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ასპექტები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შექმნის 30 წლისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2010-2012, 49, <<http://sou.edu.ge/files/luridiuli%20fakulteti/gamocemebi/LawFaculty-30a.pdf>>, ბოლოს გამოხმობილია 03.01.2014.

²⁶⁶ იხ. *ქარქაშაძე გ.*, თუ ამგვარი გამოძიება გსურთ და იგუებთ, დმერთმა ხელი მოგიმართოთ!, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №282, 11 ნოემბერი, 1997.

²⁶⁷ იხ. *მეფარიშვილი გ.*, სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების თანაფარდობისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“, 1996, №1, 22-26.

ბრალდების ფუნქცია. მისი საქმიანობა უნდა შემოიფარგლოს დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვებით.²⁶⁸

ი.გაბისონია სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების გამოიჯინის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ნეიტრალური – „საბრალდებო გადახრისაგან“ თავისუფალი გამოძიებლის კონცეფცია (ანუ გამოძიებლის მიერ მხოლოდ გამამართლებელი და გამამტყუნებელი მტკიცებულებების შეგროვება და არა საბრალდებო საქმიანობის განხორციელება) საკმაოდ მიმზიდველია. მაგრამ ამგვარმა ნეიტრალურობამ – საბრალდებო მიზნის არქონამ შესაძლოა შეასუსტოს გამოძიებლის საქმიანობის აქტიურობა.²⁶⁹

საბოლოოდ, *ი.გაბისონია* შეუძლებლად მიიჩნევს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის გამოიჯინას: „..... მითითებულ ფუნქციათა მკვეთრად, რეალურად გამოიჯინა ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან ამგვარი გამოიჯინის თვით პრინციპიც კი ისეთივე რელატიურია (ფარდობითია, პირობითია, ამორფულია...), როგორც თვითონ სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება.“²⁷⁰

სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების გამოიჯინის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო პოზიცია გააჩნია *ა.ბ.სოლოვიევის* ავტორი სისხლისსამართლებრივ დევნაში მოიაზრებს მხოლოდ ისეთი სახის საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია კონკრეტული პირის წინააღმდეგ და სხვა დანარჩენ მოქმედებებს სისხლისსამართლებრივი დევნის ცნებიდან გამორიცხავს. ამით მკვეთრად გარკვეულ ზღვარს ავლებს დევნასა გამოძიებას შორის. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ გამოძიებლის ძირითადი ფუნქციაა დანაშაულის გამოძიება და არა სისხლისსამართლებრივი დევნა.²⁷¹

²⁶⁸ იხ.: *იოსავა ვ., მამნიაშვილი მ.*, ფუნქციები შეგვიზღუდეს, მაინც ჩვენ გვედავებიან, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №282, 11 ნოემბერი, 1997; *მამნიაშვილი მ.*, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ასპექტები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შექმნის 30 წლისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2010-2012, 51, <<http://sou.edu.ge/files/Iuridiuli%20fakulteti/gamocemebi/LawFaculty-30a.pdf>>, ბოლოს გამოხმობილია 03.01.2014; *მამნიაშვილი მ.*, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი, კრებული „მარჯი“, 2008, №1, 178-191; *მამნიაშვილი მ.*, გამოძიებლის უფლებამოსილების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი, სოხუმის უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, ტომი I, 2007, 355-357; *ვოგ შელოძე რ.*, როგორი უნდა იყოს გამოძიებლის ხვალისდელი დღე?, სტატია წიგნში: სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, რედ.: *შენგელია რ.*, თსუ, 2003, 443-449; *კერესელიძე კ.*, საგამოძიებო ფუნქცია და წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, სტატია წიგნში: სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, რედ.: *შენგელია რ.*, თსუ, 2003, 529-540.

²⁶⁹ *გაბისონია ი.* დასახ. ნაშრ., 259-260.

²⁷⁰ იხ.: იქვე, 260; *გაბისონია ი.* სისხლისსამართლებრივი დევნის საპროკურორო ფუნქციის განხორციელების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი, ჟურნალი „სამართალი“, 1997, №7-8, 25-31.

²⁷¹ იხ. *Соловьев А.Б.*, Функция уголовного преследования в досудебных стадиях процесса., Прокуратура и правосудие в условиях судебно-правовой реформы. М. 1997, 140, 144 – მითითებულია: *გაბისონია ი.*, პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში,

ა.გ.ხალუილინი ერთობ საინტერესო, მაგრამ რთულ საკითხად მიიჩნევს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თანაფარდობის პრობლემას. იგი ეთანხმება ა.ბ.სოლოვიევის აზრს იმის თაობაზე, რომ გამოძიების ცნება უფრო ფართოა ვიდრე სისხლისსამართლებრივი დევნისა,²⁷² ვინაიდან მას ადგილი აქვს მანამდეც, სანამ გამოვლინდება დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირი. უფრო მეტიც, შესაძლოა გამოძიება ისე დამთავრდეს, რომ ასეთი პირი საერთოდ არ გამოვლინდეს. სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება შესაძლოა გადაიკვეთოს მხოლოდ მაშინ, როცა გამოვლინდება კონკრეტული ბრალდებული, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ეს არ ნიშნავს იმას, რომ გამოძიება მოიცავს სისხლისსამართლებრივ დევნას, ვინაიდან დევნა გრძელდება სასამართლოშიც. აქედან გამომდინარე, ავტორის აზრით, არ არის მართებული სისხლისსამართლებრივი დევნის გამოძიების შემადგენელ ნაწილად მიჩნევა.²⁷³ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ანალოგიური პოზიცია აქვს ი.ი.გრიგორენკოსაც.²⁷⁴

ე.გ.შიშკინა სისხლისსამართლებრივ დევნას და გამოძიებას ერთმანეთისაგან მიჯნავს შემდეგნაირად:

ა) გამოძიება არის სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი სტადია, რომელსაც გააჩნია გარკვეული ვადები. იგი მთავრდება სისხლის სამართლის საქმის სასამართლოსათვის გადაცემით; სისხლისსამართლებრივი დევნა კი არის საპროცესო საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება, რომელსაც ადგილი აქვს როგორც წინასასამართლო, ასევე სასამართლო სტადიებზე;

ბ) გამოძიების მიზანია დანაშაულის გახსნა, ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზებისა და გარემოებების გამოვლენა; სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის მხილება;

გ) გამოძიება იწყება და მიმდინარეობს მაშინაც, როდესაც გამოვლენილი არ არის დანაშაულის ჩამდენი პირი; სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება როცა გამოვლინდება კონკრეტული პირი – ბრალდებული;

დ) სისხლისსამართლებრივი დევნა გამოძიებისაგან განსხვავებით მთავრდება სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით.²⁷⁵

ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას ე.ლ.ნიკიტინი, რომელიც მიიჩნევს, რომ გამოძიების ფუნქცია მოიაზრება სისხლისსამართლებრივ დევნაში. მათ შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც მთელსა და მის ნაწილს შორის.²⁷⁶

(ძირითადი კონცეფტუალური საკითხების შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), თბილისი, 1999, 259.

²⁷² იხ. *Соловьев А.Б.*, О Функциях прокуратуры в досудебных стадиях уголовного судопроизводства// Проблемы совершенствования прокурорского надзора. – М., 1997.-С.123 – მოითხოვება: *Халиулин А.Г.*, დასახ. ნაშრ., 53-54.

²⁷³ იხ. იქვე.

²⁷⁴ იხ. *Григоренко И.И.*, დასახ. ნაშრ., 171-172.

²⁷⁵ იხ. *Шишкина Е.В.*, დასახ. ნაშრ., 175-176.

²⁷⁶ იხ. *Никитин Е.Л.*, დასახ. ნაშრ., 56.

ამრიგად, ზემოხსენებულ ავტორთა უმრავლესობის შეხედულებებიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების გამიჯვნის საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს და პირდაპირ კავშირშია გამომძიებლის სტატუსთან, მის უფლებამოსილებასთან.

იმ შემთხვევაში, თუ გამომძიებელს აქვს საბრალდებო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა ან მოიაზრება ბრალდების მხარედ, იგულისხმება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების ფუნქციები ერთმანეთშია აღრეული და ადგილი აქვს ე.წ. „საბრალდებო გადახრას“, რა დროსაც ძირითადი აქცენტი გადატანილია გამამტყუნებელი მტკიცებულებების მოპოვებისაკენ. აღნიშნული კი დაუშვებელია. ეს უპირველეს ყოვლისა ხელყოფს მხარეთა თანასწორობას და შეჯიბრებითობას. ამიტომ გამომძიებელი არ უნდა ითავსებდეს ამ ორ ურთიერთგამომრიცხავ ფუნქციას.²⁷⁷

2.2.3. გამომძიებლის სტატუსი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში გამომძიებლის უფლებამოსილება რამდენჯერმე შეიცვალა. ამასთან, ამ ხნის განმავლობაში სისხლის სამართალწარმოების ამ ფრიად მნიშვნელოვანი სუბიექტის სტატუსი სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების გამიჯვნის თვალსაზრისით, არაერთგვაროვანი განმარტებების გაკეთების მიზეზი გახდა.²⁷⁸

თუ თვალს გადავაავლებთ 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას, რომელმაც უამრავი დემოკრატიული პრინციპი დანერგა ქართულ სისხლის სამართალწარმოებაში, დავრწმუნდებით, რომ გამომძიებელს გამოძიების ფუნქციასთან ერთად მინიჭებული ჰქონდა სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების უფლებაც. კერძოდ, 2005 წლის 25 მარტამდე გამომძიებელი წარმოადგენდა ბრალდების მხარეს. მას უფლება ჰქონდა განეხორციელებინა საბრალდებო საქმიანობა: გამოეტანა დადგენილება პირის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ; ასევე შეედგინა საბრალდებო დასკვნაც. მაშასადამე, საპროცესო კანონმდებლობით, გამომძიებელს ენიჭებოდა უფლებამოსილება განეხორციელებინა საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა.²⁷⁹

²⁷⁷ იხ. *მეფარიშვილი გ.*, სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების თანაფარდობისათვის, *ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“*, 1996, №1, 22-26.

²⁷⁸ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), რედ.: *ვახუკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი.*, თბილისი, 2013, 136-137.

²⁷⁹ იხ.: 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის მე-15 მუხლის მე-4 ნაწილი, 24-ე მუხლი, 44-ე მუხლის მე-19 ნაწილი, 2005 წლის 25 მარტამდე მდგომარეობით, <https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31882&lang=ge>, ბოლოს გამოსმობილია 04.01.2014; *მამნიაშვილი მ.*, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ასპექტები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შექმნის 30 წლისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2010-2012, 48-49,

2005 წლის 25 მარტს, 1998 წლის საპროცესო კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით მართალია, გამომძიებელი აღარ წარმოადგენდა ბრალდების მხარეს, მაგრამ მას პროკურორთან ერთად მაინც გააჩნდა სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების უფლებამოსილება.²⁸⁰

გამომძიებლის ბრალდების მხარედ არ მოხსენიება, ერთი შეხედვით ემსახურებოდა მიზანს, რომ სამართალწარმოების ეს მნიშვნელოვანი სუბიექტი თითქოს უნდა ყოფილიყო ნეიტრალური ფიგურა, რომელიც გამოძიებას ჩაატარებდა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად; ერთნაირი გულმოდგინებით მოახდენდა ბრალდებულის მამხილებელი და გამამართლებელი გარემოებების, ასევე ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოებების გამოკვლევას. მაგრამ გამომძიებლის ბრალდების მხარედ არ მოხსენიება არ იყო აღნიშნული მიზნის მიღწევის საშუალება, ვინაიდან კანონმდებლობით მას კვლავ გააჩნდა სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილება. ეს კი გამომძიებლის ნეიტრალურობას ეჭვქვეშ აყენებდა და „საბრალდებო გადახრის“ მაუწყებელი იყო.

მაშასადამე, 1998 წლის საპროცესო კანონმდებლობაში 2005 წლის 25 მარტის ცვლილებამაც ვერ გადაწყვიტა და შეცვალა საბოლოოდ საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული დილემა – „გამომძიებელ-ბრალმდებელის“ ინსტიტუტი.

დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, გამომძიებელი ბრალდების მხარეა, რომლის მოვალეობას წარმოადგენს გამოძიების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური ჩატარება (მუხ. მე-3, მე-6 ნაწ., მუხ. 37).

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ დევნას, მისი დაწყება და განხორციელება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა (მუხ. 166-ე).

მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში გაკეთებული ზემოაღნიშნული ჩანაწერებით თითქოს უნდა დასრულებულიყო გამომძიებლის სტატუსთან, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების გამიჯვნასთან დაკავშირებული დავა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, *მ.მამნიაშვილმა* გამოხატა საკუთარი მოსაზრება, რომლის თანახმად, გამომძიებელი არ უნდა წარმოადგენდეს ბრალდების მხარეს. ავტორის აზრით, გამომძიებლის

<<http://sou.edu.ge/files/Iuridiuli%20fakulteti/gamocemebi/LawFaculty-30a.pdf>>, ბოლოს გამოსხმობილია 03.01.2014.;

²⁸⁰ იხ.: 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის მე-15 მუხლის მე-4 ნაწილი, 24-ე მუხლი, 44-ე მუხლის მე-19 ნაწილი; საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 – სსმ I, 2005 წ., №14, მუხ. 94.; *მამნიაშვილი მ.*, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცადკეული ასპექტები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შექმნის 30 წლისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2010-2012, 48-49, <<http://sou.edu.ge/files/Iuridiuli%20fakulteti/gamocemebi/LawFaculty-30a.pdf>>, ბოლოს გამოსხმობილია 03.01.2014.

ბრალდების მხარედ მიჩნევით ნეიტრალური, მიუკერძოებელი გამოძიებლის კონცეფცია „საპნის ბუშტივით“ გაქრა.²⁸¹

გარდა ამისა, ზემოთ დასახელებულმა ავტორმა ეჭვქვეშ დააყენა სისხლისსამართლებრივი დევნის პროკურორის მიერ ექსკლუზიურად დაწესება-განხორციელების დისკრეციული უფლებამოსილებაც. „...თუ ღრმად დაუუკვირდებით — დავინახავთ, რომ გამოძიებელიც გარკვეული დოზით ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნასაც, მაგალითად, გამოძიებელს აქვს ბრალდებულის დაკავების უფლება (172-ე მუხლი), ასევე; პროკურორის დავალებით გამოძიებელი ბრალდების შესახებ დადგენილებას გააცნობს ბრალდებულს (169-ე მუხლის V ნაწ.) და ა.შ.“²⁸² – აღნიშნავს მკვლევარი.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით გამოძიებლის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის გარკვეულწილად წარმოება მართლაც პრობლემატური საკითხია, მაგრამ ეს არ ეხება მხოლოდ გამოძიებელს.²⁸³

რაც შეეხება გამოძიებლის ბრალდების მხარედ მოაზრებას, აღნიშნული დღეს უკვე აღარ წარმოადგენს პრობლემას. გამოძიების უფლება ბრალდების მხარესთან ერთად დაცვის მხარესაც აქვს. აქედან გამომდინარე, ნეიტრალური გამოძიებლის კონცეფცია სისხლის სამართლის პროცესში აღარ არის აქტუალური. გამოძიებელი უნდა დაკავდეს ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებით, ხოლო დაცვა – ბრალდებული ანდა მისი დამცველი ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებების ან უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების შეგროვებით.

§3 შუალედური დასკვნა

როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების, მისი არსის ირგვლივ არსებობს არაერთგვაროვანი მოსაზრებები. ამ მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის იურიდიული ბუნების შესახებ შეიძლება გაკეთდეს შემდეგი შინაარსის შუალედური დასკვნა: მართებულად უნდა ჩაითვალოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმართულია კონკრეტული პირის წინააღმდეგ; დევნის პრაქტიკული რეალიზაცია ხდება იმ მომენტიდან, როდესაც „სისხლის სამართალწარმოების ორბიტაში“ მოხვდება დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირი – ბრალდებელი (ასეა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობითაც). მანამდე წარმოებული საპროცესო თუ საგამოძიებო მოქმედებები, თუნდაც ისინი მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის

²⁸¹ იხ. *მამნიაშვილი მ.*, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ასპექტები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შექმნის 30 წლისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2010-2012, 51, <<http://sou.edu.ge/files/Iuridili%20fakulteti/gamocemebi/LawFaculty-30a.pdf>>, ბოლოს გამოხმობილია 03.01.2014.;

²⁸² იქვე, 52,

²⁸³ აღნიშნულ საკითხზე ვრცლად ქვემოთ იქნება მსჯელობა.

ერთადერთი სუბიექტის პროკურორის მიერ იყოს შესრულებული, ვერ ჩაითვლება დევნად, ვინაიდან ეს პროცესი მიმართულია კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად. სწორედ ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა-დადგენის და შემდგომში შეფასების შემდეგ უნდა გადაწყდეს საკითხი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-განხორციელების თაობაზე.

საკმაოდ საინტერესოა იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრება სისხლისსამართლებრივი დევნის პირობითად დაყოფის შესახებ, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა ფართო მნიშვნელობით განიხილება.²⁸⁴ კერძოდ, *სისხლისსამართლებრივი დევნა იყოფა ორ ნაწილად, სისხლისსამართლებრივ ბრალდებად და „ფიზიკურ დევნად“*²⁸⁵ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის დანაშაულის ფაქტზე წასწრება ან პირის ტანსაცმელზე დანაშაულის კვალის აღმოჩენა და ა.შ. რაც შეიძლება გადაიხარდოს ბრალდებულის „ფიზიკურ დევნაში“ - მის დაკავებასა და საპროცესო გაფორმებაში.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებაზე დაყრდნობით, დანაშაულის ჩამდენი პირის „ფიზიკური დევნაც“ მიხნეულ უნდა იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელ ნაწილად. მით უმეტეს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება დაიწყოს პირის დაკავებით. მაგრამ აქ უკვე წარმოიშობა ერთი მთავარი პრობლემა, რაც მდგომარეობს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლებამოსილების მქონე სუბიექტში.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ ბრალდებას ეს უკვე სისხლისსამართლებრივი დევნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, როდესაც გამოძიების შედეგად შეგროვებული მტკიცებულებების საფუძველზე კონკრეტულ პირს ბრალი დაედება დანაშაულის ჩადენაში. სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლებელია დაიწყოს არა მხოლოდ „ფიზიკური დევნის“ განხორციელებით, არამედ პირდაპირ სისხლისსამართლებრივი ბრალდებითაც.

ამასთან, მცდარია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ყველა შემთხვევაში ავტომატურად იწყება გამოძიების დაწყებასთან ერთად. როგორც უკვე აღინიშნა, გამოძიება არის მტკიცებულებათა შეგროვების პროცესი კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით. ანუ გამოძიების ეტაპზე დგინდება გარემოებები, რომლებიც შემდგომში საფუძველად დაედება კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას და განხორციელებას. დევნა თავისი პროცესუალური მნიშვნელობით²⁸⁶ შესაძლებელია მხოლოდ

²⁸⁴ ამ შემთხვევაში არ იგულისხმება მოსაზრება – გამოძიების დაწყებასთან ერთად იმავდროულად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ.

²⁸⁵ იხ. *Чельцов М.А.*, Советский уголовный процесс, Москва, 1951, 89.

²⁸⁶ აღსანიშნავია, რომ სიტყვა „დევნა“ თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით ნიშნავს *უკან გაკიდებას*, რასაც რა თქმა უნდა, საპროცესოსამართლებრივი მნიშვნელობა ვერ მიენიჭება. იხ.: *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, რედ.: *აბულაძე ი.*, ტომი I, თბილისი, 1991, 216; *მეფარიშვილი გ.*, სისხლისსამართლებრივი დევნა ცაიტნოტში, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997, 31 ოქტომბერი.

კონკრეტული პირის (in personam). ამდენად, გამოძიების დაწყება თავისთავად არ ნიშნავს დევნის დაწყებას.²⁸⁷

აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ გარკვევა იმისა, თუ რომელი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები უნდა იქნეს განხილული სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელ კომპონენტებად ერთობ რთული და საკამათო საკითხია. მასზე პასუხის გაცემა შეიძლება შემდეგნაირად:

საგამოძიებო მოქმედებების სისხლისსამართლებრივ დევნაში მოაზრება უსაფუძვლოა, ვინაიდან მათი დანიშნულებაა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. ეს მოქმედებები წარმოადგენენ არა სისხლისსამართლებრივი დევნის, არამედ გამოძიების შემადგენელ ნაწილს.

რაც შეეხება საპროცესო მოქმედებებს, სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელ კომპონენტად ჩაითვლება ის მოქმედება, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილი სუბიექტის მიერ იქნება შესრულებული.

ამასთან, საპროცესო მოქმედება უშუალოდ მიმართული უნდა იყოს დანაშაულის ჩამდენი საგარაუდო პირის წინააღმდეგ. ანუ მოქმედება შედეგობრივად უნდა აისახოს ბრალდებულზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მოქმედება არ უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ რაიმე კონკრეტული ფაქტის ან გარემოების დადგენას, არამედ იგი მიმართული უნდა იყოს ბრალდებულის წინააღმდეგ, ანუ ბრალდებულისათვის სამართლებრივი შედეგის მომტანი იყოს (მაგალითად, ბრალდებულს შეეზღუდოს გადაადგილების თავისუფლება, ქონებით სარგებლობის ან განსაზღვრულ პირებთან ურთიერთობის უფლება, ასევე კონკრეტული ადგილების მონახულების უფლება და ა.შ.). სისხლისსამართლებრივი დევნის სწორედ ამგვარი გაგება და განმარტება განასხვავებს მას გამოძიებისაგან. სხვა დანარჩენ შემთხვევებში ზღვარი სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების არაიდენტიფიკაციის შესახებ ვერ გაივლება. სისხლისსამართლებრივი დევნა რა მომენტიდანაც არ უნდა ჩაითვალოს დაწყებულად – გამოძიების დაწყებიდან თუ სისხლის სამართლის პროცესში კონკრეტული პირის – ბრალდებულის გამოჩენიდან, გარკვეულ პერიოდში გამოძიება და დევნა მაინც პარალელურად ხორციელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთდროულად სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების მიმდინარეობის რეჟიმში ტარდება საპროცესო თუ საგამოძიებო მოქმედებები. აქედან გამომდინარე, გარკვევა იმისა, თუ რომელია სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელი საპროცესო მოქმედება და რომელი გამოძიების, ერთობ რთულია, ზოგიერთ შემთხვევაში კი ფაქტობრივად შეუძლებელია.

მაშასადამე, ერთადერთი მათი განმასხვავებელი ნიშანი შეიძლება იყოს იმის გარკვევა, თუ რისკენ ან ვისკენაა მიმართული ეს მოქმედება, ფაქტის დადგენას ემსახურება თუ კონკრეტულ პირს უწესებს გარკვეულ პირობებს.

საკითხისადმი ასეთ მიდგომასთან დაკავშირებით ზოგიერთ მეცნიერ-იურისტს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა, რომ რა მნიშვნელობა აქვს ასეთ

²⁸⁷ იხ. ფაფიაშვილი შ., თევზაძე ა., მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, თბილისი, 2002, 97-98.

დაყოფას – გამოძიების წარმოების პერიოდში მტკიცებულებათა შეგროვება და კონკრეტული ფაქტების დადგენაც ხომ დანაშაულის ჩამდენი პირის – ბრალდებულის გამოვლენისაკენ არის მიმართული?!

ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება იყოს შემდეგი: *ჯერ ერთი*, გამოძიება ფაქტობრივი გარემოებების დადგენით, მტკიცებულებათა შეგროვებით (სსსკ-ის მე-3 მუხლი) ემსახურება წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი სურათის აღდგენას;²⁸⁸ *მეორე*, გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტის მიერ უნდა შეფასდეს ერთობლიობაში და შემდგომში უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განხორციელების შესახებ. ადვილი შესაძლებელია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების თაობაზე. ამიტომ ცალკე აღებული რომელიმე მოქმედება, თუნდაც მათი ერთობლიობა, რომლებიც ფაქტობრივი მონაცემის მოპოვებას შეეხება არ შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელი კომპონენტი; *მესამე*, გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე შესაძლებელია საერთოდ არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა (მაგალითად, პროკურორმა გამოიყენა დისკრეციული უფლებამოსილება); და *მეოთხე*, გამოძიება შესაძლებელია ჩატარდეს, მაგრამ სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება ვერ განხორციელდეს, მაგალითად, დანაშაულის ჩადენაში მხილებული ბრალდებულის გარდაცვალების გამო. აქედან გამომდინარე, ე.წ. „ფაქტის დამდგენი“ საპროცესო და მით უმეტეს საგამოძიებო მოქმედებები ვერ იქნება განხილული როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელი ნაწილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართებულია იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება სისხლისსამართლებრივი დევნის სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერად გარდაქმნის შესახებ. სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანი არ არის მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი პირის მხილება, არამედ მისი დასჯაცაა. აქედან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროსაც, ოღონდ განსხვავებული ფორმით.²⁸⁹

მაშასადამე, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მართებულია საპროცესო ლიტერატურაში არსებული მოსაზრება,²⁹⁰ რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არ არის მხოლოდ საბრალდებო საქმიანობა. სისხლისსამართლებრივი დევნა საპროცესო საქმიანობაა. იგი მოიცავს როგორც კონკრეტული პიროვნების – დანაშაულში ბრალდებულის ე.წ. „ფიზიკურ დევნას“, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი სუბიექტის მიერ საპროცესო მოქმედებათა

²⁸⁸ იხ. *მეფარიშვილი გ.*, სისხლისსამართლებრივი დევნა ცაიტნოტში, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997, 31 ოქტომბერი.

²⁸⁹ აღნიშნული საკითხი ქვემოთ იქნება განხილული.

²⁹⁰ იხ. სადისერტაციო ნაშრომის II კარის V თავის §2.

ერთობლიობას მიმართულს ამ უკანასკნელის წინააღმდეგ და სისხლისსამართლებრივ ბრალდებას, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: ბრალდება გამოძიების, ე.წ. წინასასამართლო სტადიაზე და სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება გაკეთდეს სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელი კომპონენტების ამსახველი სქემაც (იხ. დანართი №1).

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება, მაშინ როდესაც საპროცესო კანონმდებლობა განმარტავს თუ რა არის გამოძიება. სისხლისსამართლებრივი დევნის არსის უკეთ გაგებისა და გაანალიზებისათვის, ასევე ორაზროვანი განმარტებებისა და შეხედულებების თავიდან აცილების მიზნით, უმჯობესი იქნება სსსკ-ის მე-3 მუხლში (ძირითად ტერმინთა განმარტება) შევიდეს ცვლილება და მოხდეს სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების განსაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე, ზემოთ განხილული მოსაზრებები და დასკვნა არ იძლევა საკმარის საფუძველს სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების, მისი არსის სრულყოფილად განმარტებისათვის. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის ზემოაღნიშნული განსაზღვრება პირობითია. საჭიროა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების კიდევ უფრო ღრმა და კომპლექსური ანალიზი მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის ნორმების საფუძველზე, რაც შემდგომში უდაოდ განაპირობებს სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების, მისი არსის მართებულად, სრულყოფილად განსაზღვრას.

თავი VI. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დაკავებით და მასთან დაკავშირებული პრობლემები

§1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პირის დაკავებისთანავე

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი დევნის ცნებას, თუმცა ეს ტერმინი კოდექსში ხშირად გამოიყენება. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მიჩნეულია პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებად (სსსკ-ის 166-ე მუხ.)²⁹¹ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავების ან მისი ბრალდებულად ცნობისთანავე თუ ის არ დაუკავებიათ (სსსკ-ის 167-ე მუხ.).

საპროცესო კანონმდებლობასა და სამეცნიერო ლიტერატურაში დაკავება განმარტებულია, როგორც თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა. პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავებისას პირი იძენს ბრალდებულის სტატუსს,

²⁹¹ დისკრეციულ უფლებამოსილებაზე ქვემოთ იქნება მსჯელობა.

ბრალდებული კი არის ის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი,²⁹² რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული (სსსკ-ის მუხ. მე-3 მე-19 ნაწ., მუხ. 170-ე).²⁹³ აქედან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაწესებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც პირს შეეზღუდება თავისუფალი მიმოსვლის უფლება.

საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შეიძლება პირმა ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ამასთანავე, თუ არსებობს ვარაუდი იმისა, რომ პირი მიიმალება, არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, სასამართლოს პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე. აღნიშნული განჩინება გასაჩივრებას არ ექვემდებარება. დაკავება სასამართლოს განჩინებით საპროცესო კანონმდებლობის ნოვაციაა.²⁹⁴

პირის დაკავება შესაძლებელია ასევე სასამართლოს განჩინების გარეშეც იმ შემთხვევაში თუ:

ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე,

ბ) პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით,

გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი,

დ) პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო,

ე) პირი შესაძლოა მიიმალოს,

ვ) პირი ძებნილია. (სსსკ-ის 171-ე, მუხ. მე-2 ნაწ.)

პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული და მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა ალტერნატიული ღონისძიებებით, რომელიც

²⁹² მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, (მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი) დასაბუთებული ვარაუდი განმარტებულია, როგორც: „ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებებითი სტანდარტი.“ დასაბუთებული ვარაუდის სპეციფიკის შესახებ დაწვრილებით იხ. Anderson J.F., Thompson B., American Criminal Procedures, Durham, North Carolina, 2007, 167-168.

²⁹³ იხ.: ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2012, 176, 182-187; საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, რედ.: მამნიაშვილი მ., გახლიძე ჯ., გაბისონია ი., თბილისი, 2012, 160-182; 189-194; გზამკვლევი საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რედ.: ქოქრაშვილი თ., 2010, 52-55.

²⁹⁴ იხ. აქუბარდია ი., დაცვის ხელოვნება, თბილისი, 2011, 112.

პროპორციულია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა (მუხ. 171-ე, მე-3 ნაწ.).

ამდენად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის ზემოაღნიშნულ მუხლში მოცემული დაკავების საფუძველები პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: პირის დაკავება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე (როდესაც არსებობს ინფორმაციის, მტკიცებულებათა ერთობლიობა) სასამართლოს განჩინებით და პირის დაკავება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე (როდესაც ადგილი აქვს ფაქტს ან ფაქტების ერთობლიობას) გადაუდებელი აუცილებლობის დროს.²⁹⁵

1.1. პირის დაკავება სასამართლოს განჩინებით

როგორც უკვე აღინიშნა, ამ შემთხვევაში იგულისხმება ის მომენტი, როდესაც გამოძიების სტადიაზე პირის მიმართ შეკრებილია მტკიცებულებები, რომლებიც ამ უკანასკნელს ამხელენ დანაშაულის ჩადენაში და ამავდროულად გადასაწყვეტია დაკავების (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების) საკითხი. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, ასეთ კონკრეტულ ვითარებაში, დევნის დაწყების საკითხს პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო წყვეტს თავისი განჩინებით, რაც მიზანშეუწონელია. საინტერესოა, სასამართლომ რომ არ დააკმაყოფილოს პროკურორის შუამდგომლობა, როგორ უნდა მოიქცეს ბრალდების მხარე? ალბათ კიდევ მოიპოვებს მტკიცებულებებს, რომლებიც დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე სასამართლოს რწმენას გაამყარებს სავარაუდო პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე. მაგრამ აქვე იბადება შემდეგი შინაარსის კითხვები: *სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ხომ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა? რატომ უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არდაწყების საკითხი?* მით უმეტეს, რომ სასამართლო არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო. იქნებ ის მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ უარი უთხრა ბრალდების მხარეს პირის დაკავებაზე, პროკურორს საკმარისად მიაჩნია?

ამ კითხვებს შეიძლება ასეთი პასუხი გაეცეს: სანამ პირს დააკავებენ, მანამდე ნეიტრალურმა ორგანომ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს დაკავების საფუძველი და ასეთი მიდგომა ისევ და ისევ ადამიანის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული.

2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განიხილა 193 შუამდგომლობა პირის დაკავების შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე. აქედან, 160 შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, 32 არ დაკმაყოფილდა, ხოლო 1 განუხილველად იქნა დატოვებული.²⁹⁶ აღნიშნული მონაცემებით დასტურდება, რომ უმრავლეს შემთხვევაში პირის

²⁹⁵ იხ. გუცენკო კ.ფ., კოლოკო ღ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასახ. ნაშრ., 281-285.

²⁹⁶ აღნიშნული მონაცემები ასახულია თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილ 2014 წლის 23 მაისის №1-01149/23162 წერილში.

დაკავების შესახებ პროკურორის შუამდგომლობა არ რჩება დაკმაყოფილების გარეშე, ანუ ბრალდების მხარის მოთხოვნა პირის დაკავების შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე საფუძვლიანია. მაშასადამე, ბრალდების მხარეც არის ორიენტირებული დაიცვას დასაკავებელი პირის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს შემთხვევებიც, როდესაც ბრალდების მხარეს სასამართლო არ ეთანხმება პირის დაკავების თაობაზე. ამ კუთხით სასამართლოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ანალიზი ცხადყოფს, რომ პირის დაკავების შესახებ განჩინების გაცემაზე უარის თქმის დროს, სასამართლო მოწოდებულია რა დაიცვას პირის უფლებები და კანონიერი ინტერესები, საკუთარ ინტერპრეტაციას უკეთებს სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებულ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს, რითაც ხელი ეშვება გამოძიებას და დაკავებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას.

მაგალითად, 2014 წლის 13 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განიხილა თბილისის პროკურატურის შუამდგომლობა კ.კ-ს დაკავების თაობაზე და არ დააკმაყოფილა. ამ უკანასკნელს ბრალი უნდა დასდებოდა მთვრალ მდგომარეობაში ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით). ბრალდების მხარემ თავის შუამდგომლობაში აღნიშნა, რომ კ.კ-ე შეჯახების შემდეგ არ გაჩერდა შემთხვევის ადგილზე, არ დაინტერესდა თუ რა შედეგი გამოიწვია მისმა ქმედებამ და განაგრძო სვლა. მაგრამ ავტომანქანა იმდენად დაზიანებული აღმოჩნდა, რომ კ.კ-მ ვერ შეძლო შორს წასვლა და იგი აღმოაჩინეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა. ბრალდების მხარემ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ აღნიშნული დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ასევე არსებობდა ვარაუდი, რომ პირი მიიძალგებოდა და არ გამოცხადდებოდა სასამართლოში.²⁹⁷

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია პროკურორის შუამდგომლობა და აღნიშნა, რომ: კ.კ-ს შესაძლოა ბრალი დასდებოდა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის. ამასთან, იგი დაკითხული იყო მოწმის სახით და აღიარებდა ჩადენილ ქმედებას. საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა საგამოძიებო ორგანოში მისი გამოუცხადებლობა. ამ ფონზე ბრალდების მხარის ვარაუდი, რომ კ.კ-ე არ გამოცხადდებოდა საგამოძიებო ორგანოში ეფუძნებოდა მხოლოდ იმას, რომ იგი არ შეჩერდა შემთხვევის ადგილზე. თუმცა კ.კ-ე იმიტომ არ შეჩერდა, რომ შეჯახების შედეგად ავტომანქანაში მყოფმა მისმა ძმამ მიიღო დაზიანება, რის გამოც კ.კ-მ ავტომანქანა არ შეაჩერა და ეცადა ძმის საავადმყოფოში გადაყვანას. აღნიშნული დასტურდებოდა კ.კ-ს ძმის ჩვენებით. ამასთან, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ბრალდების მხარის

²⁹⁷ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 თებერვლის №1427-14 განჩინება.

ვარაუდი კ.კ-ს მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შესახებ, ვინაიდან ეს პოზიცია არ იყო ბრალდების მხარის მიერ გამყარებული სათანადო არგუმენტებით და მტკიცებულებებით.²⁹⁸

აღნიშული მაგალითი ცხადყოფს, რომ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების შეფასების დროს ბრალდების მხარის და სასამართლოს პოზიციები გაიყო. სასამართლომ არ გასცა პირის დაკავების შესახებ განჩინება, რითაც ხელი შეეშალა ამ გზით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას. სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა დაიწყოს პირის ბრალდებულად ცნობის შემთხვევაშიც, მაგრამ ვინ გახდება იმის გარანტი, რომ პირი, რომელსაც ბრალდებულის სტატუსი უნდა მიენიჭოს, ბრალის წაყენების შემდეგ მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით არ მიიმალება?

დაკავების ერთ-ერთი საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ამასთანავე, პირი მიიმალება ან (171-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კ.კ-ს მიერ ჩადენილი ქმედება ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას, ჩადენილი იყო მძიმე კატეგორიის დანაშაული და ბრალდების მხარეს ჰქონდა საფუძველი ევარაუდა, რომ პირი შესაძლოა მიმალულიყო, ვინაიდან იგი ერთხელ უკვე შეეცადა გასცლოდა შემთხვევის ადგილს. ანუ დაკავების საფუძველი არსებობდა, მაგრამ სასამართლომ ეს პოზიცია არ გაიზიარა და დაეყრდნო დაინტერესებული პირის – კ.კ-ს ძმის ჩვენებას, ასევე ფაქტს, რომ ჩადენილი იყო გაუფრთხილებელი დანაშაული და ბრალდების მხარეს სხვა მტკიცებულება არ ჰქონდა დაესაბუთებინა კ.კ-ეს დაკავების აუცილებლობა.

პირის დაკავების შესახებ განჩინების (ორდერის) მიზანი შეიძლება იყოს ორგვარი. *პირველი* – ის ემსახურებოდეს მოქალაქეების დაცვას პოლიციის მხრიდან დევნა-შევიწროებისა და გაუმართლებელი დაკავებისაგან; ამასთან ყალბი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისაგან; *მეორე* – იცავდეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შესაბამისი პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან ასეთი დაკავება მოიცავს პრეზუმფციას დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შესახებ.²⁹⁹ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ საქმეზე *შეერთებული შტატები ვატსონის წინააღმდეგ* დაადგინა, რომ პოლიციის თანამშრომელმა გონივრულად უნდა მიიჩნიოს დაკავების ორდერის (განჩინების) მოპოვება, როდესაც ის რეალურად განხორციელებადია, ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის გადაწყვეტილება დასაბუთებული ეჭვის გამო დაკავების შესახებ უფრო ადვილად მისაღები შეიძლება გახდეს, ვიდრე მაგისტრატი მოსამართლის მიერ ორდერის გაცემა.³⁰⁰

²⁹⁸ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 თებერვლის №1427-14 განჩინება.

²⁹⁹ იხ. *Anderson J.F., Thompson B.*, დასახ. ნაშრ., 178.

³⁰⁰ იხ.: იქვე; *Kamisar Y., Lafave W.R., Israel J.H., King N.J.*, Basic Criminal Procedure, Cases, Comments and Questions, Eleventh Edition, Thomson West, 2005, 8.

ეს მიდგომა არ არის საფუძველს მოკლებული, მაგრამ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევებში პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად თუ ვერ მიიღებს, მაშინ გამოდის, რომ მისი უფლებამოსილება დევნის დაწყების შესახებ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მაგალითად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოში 2011 წელს მიმდინარეობდა სისხლის სამართლის №086110011 საქმის გამოძიება. აღნიშნულ საქმეზე შეგროვდა საკმარისი მტკიცებულებები ე.ხ-ს და დ.გ-ს დასაკავებლად და ამ გზით, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად. პროკურორმა იმის გამო, რომ არ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა და მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, მას არ ჰქონდა უფლება გადაეწყვიტა დასახელებულ პირთა დაკავების (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების) საკითხი, მიმართა სასამართლოს და გამოითხოვა დასახელებულ პირთა დაკავების შესახებ განჩინება.³⁰¹ აღნიშნული მაგალითი ცხადყოფს, რომ პროკურორი, არ არის თავისუფალი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს და იგი დამოკიდებულია სასამართლოზე.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ პირის დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, გამოძიების პროცესზე სასამართლო კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმად უნდა იქნეს მიჩნეული. თუმცა იურიდიულ დოქტრინაში ამ საკითხის ირგვლივ არაერთგვაროვანი შეხედულებებია ჩამოყალიბებული. მეცნიერ-იურისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სასამართლო კონტროლით გამოძიება კარგავს დამოუკიდებლობას, ხოლო ასეთი კონტროლი სასამართლოს მხრიდან ნიშნავს ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებას, რის შემდეგაც მოსამართლე საქმისადმი ობიექტური ველარ იქნება.³⁰² ზოგიერთი მეცნიერი არ უარყოფს რა გამოძიების სტადიაზე სასამართლო კონტროლის განხორციელების აუცილებლობას, აღნიშნავს, რომ ამით სასამართლო ცდილობს აკონტროლოს რამდენად კანონიერად მიმდინარეობს გამოძიება. ეს კი პროკურატურის ფუნქციაა და არა სასამართლოსი.³⁰³ პროცესუალისტთა მესამე ნაწილი მიიჩნევს, რომ გამოძიების სტადიაზე სასამართლო კონტროლი აუცილებელია. სწორედ სასამართლოა უფლებამოსილი გადაწყვიტოს ბრალდებასა და დაცვას შორის წარმოშობილი სადავო საკითხები, განიხილოს შუამდგომლობები, საჩივრები

³⁰¹ იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №086110011.

³⁰² იხ.: *Кокорев Л.Д.*, Суд в механизме государственной власти, // Юридические записки Вып 3, Проблемы государственной власти, Воронеж, Изд-во Воронеж. гос. университета, 1995, 57-65; *Кожевников О. А.*, О некоторых вопросах контроля и надзора за законностью ОРД, // Проблемы совершенствования прокурорского надзора, М, 1997, С. 148-151. – მოთითებულია: *Крюков В.Ф.*, Правовой статус прокурора в уголовном преследовании (досудебное и судебное производство), Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2012, 232.

³⁰³ იხ. *Соловьев А.Б., Якубович Н.А.*, Предварительное расследование и прокурорский надзор в свете реформы, // Законность, 1995, №8, С. 5-6. – მოთითებულია: *Крюков В.Ф.*, დასახ. ნაშრ., 232.

და ა.შ.³⁰⁴ მხოლოდ სასამართლოს შესწევს უნარი იყოს ობიექტური და გამოძიების სტადიაზე განუხრელად დაიცვას ადამიანის უფლებები და კანონიერი ინტერესები. სწორედ ეს არის სასამართლო კონტროლის უმთავრესი მიზანი.³⁰⁵ მოსამართლე არის სისხლის სამართალწარმოების ის მონაწილე, რომელსაც არ ეკისრება დანაშაულის გახსნისა და მისი ჩამდენი პირის გამოვლენის ვალდებულება. აქედან გამომდინარე, იგი პროკურორისაგან განსხვავებით ვერ იქნება საქმის ბედით დაინტერესებული.³⁰⁶

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო კონტროლი გამოძიების სტადიაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი მექანიზმია სამართალწარმოების მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.³⁰⁷ სასამართლო კონტროლი უნდა განხორციელდეს ისეთ საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე, რომლებიც ზღუდავენ კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას (სსსკ-ის 112-ე მუხ.). სასამართლო კონტროლის განხორციელება აუცილებელია დაკავების კანონიერების შემოწმების კუთხითაც. მაგრამ როცა დევნა დაკავებით იწყება, ბრალდების მხარის მიერ პირის დაკავების შესახებ სასამართლოდან განჩინების გამოთხოვა სხვა არა არის რა თუ არა სასამართლოს ნებართვა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე. დაკავებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება შეფასებითია და ეს პროცესი პროკურორის უფლებამოსილებას წარმოადგენს (სსსკ-ის 166-ე მუხ.). შესაბამისად, მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში ბრალდების მხარეს უნდა მიეცეს საშუალება დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ეს საკითხი. მაშასადამე, პირის დაკავების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოთხოვით პროკურორი კარგავს დამოუკიდებლობას შეაფასოს პირის დაკავების საკითხი, რაც ვერ ჩაითვლება მართებულად. ამასთან, მოქმედი სსსკ-ის 166-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის 171-ე მუხლის 1-ლ ნაწილთან. პირველ შემთხვევაში საპროცესო კანონი პროკურორს სრულ თავისუფლებას ანიჭებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების კუთხით, მეორე შემთხვევაში კი ზღუდავს და დაკავებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევაში ბრალდების მხარისგან მოითხოვს სასამართლოს ნებართვას.

როდესაც ბრალდების მხარე საკუთარი შეხედულებით, გადაწყვეტს პირის დაკავებას (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას), მას გააჩნია

³⁰⁴ იხ. *Ларин А.М., Пашин С.А.* и др., Концепция судебной реформы, М, 1992, С. 44, 66, 67. – მოითხოვება: *Крюков В.Ф.*, დასახ. ნაშრ., 232.

³⁰⁵ იხ. *Галиуллин Ш.Р.*, Судебный контроль за законностью и обоснованностью уголовного преследования, реализуемого в отношении специальных субъектов уголовного судопроизводства России., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2008, 17.

³⁰⁶ იხ.: *Петрухин И.Л.*, Прокурорский надзор и судебный контроль за следствием, // Российская юстиция, 1998, №9, С. 12; *Петрухин И.Л.*, Судебная власть контроль за расследованием преступлением, М., 2008, С 40, 43. – მოითხოვება: *Крюков В.Ф.*, დასახ. ნაშრ., 233.

³⁰⁷ იხ. *Костерина Н.В.*, Судебный контроль в современном состязательном процессе., Сборник научных трудов: Проблемы состязательного правосудия, Под редакцией *Будникова В.Л.*, Волгоград, 2005, 126.

საკმარისი საფუძველი ამტკიცოს ამის საჭიროებაც, მაგრამ სასამართლოში დასაბუთება უნდა მოხდეს არა პირის დაკავებამდე, არამედ მას შემდეგ დაუყოვნებლივ³⁰⁸ ან უკიდურეს შემთხვევაში მაშინ, როცა მოხდება დაკავებული ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოს წინაშე. საპროცესო კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყები ხომ მხოლოდ პროკურორია? ამიტომ მას დევნის დაწყებაზე არავის ნებართვა არ უნდა სჭირდებოდეს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შესაძლოა წარმოიშვას მოსაზრება, რომ პროკურორს არავინ უშლის დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა დაკავების გარეშე; ამას სასამართლო ვერ აუკრძალავს; დაკავების შემთხვევაში იზღუდება პირის თავისუფლება და სწორედ ამისათვის არის საჭირო სასამართლოს ნებართვა. ეს პოზიცია არ არის საფუძველს მოკლებული, მაგრამ მაშინ საპროცესო კანონმდებლობის 166-ე მუხლში ცალსახად უნდა დაფიქსირდეს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა გარდა სსსკ-ის 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამით დადასტურდება ის, რომ სასამართლო არა ირიბად, არამედ უკვე პირდაპირ გახდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი. მოქმედმა საპროცესო კანონმდებლობამ სისხლისსამართლებრივი დევნა და დაკავება ისე დააკავშირა ერთმანეთთან, რომ დაკავების განხორციელების შემთხვევაში დევნაც ავტომატურად იწყება. ამიტომ იმის თქმა, რომ სასამართლო მხოლოდ დაკავების კანონიერებას იხილავს და არ ეხება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, შეუძლებელია.

ზოგიერთი ამერიკელი ექსპერტი ამტკიცებს, რომ პირთა დაკავების 95% უმეტეს შემთხვევებში ხორციელდება სასამართლო განჩინების (ორდერის) გარეშე.³⁰⁹ ეს განპირობებულია იმით, რომ უფრო ხშირად ადგილი აქვს დანაშაულზე წასწრების შემთხვევებს³¹⁰ ან არსებობს დანაშაულის ჩამდენი პირების მიმალვის საშიშროება. აღნიშნული დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკითაც.³¹¹

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, ერთობ მნიშვნელოვანია პირის დაკავების შესახებ განჩინების აღსრულებაც. ამერიკის შეერთებული შტატების იურიდიულ დოქტრინაში არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მცდარია პოზიცია თითქოს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები ორდერის (განჩინების) მიღების შემდეგ უფლებამოსილი არიან, საცხოვრებელ ბინაში შევიდნენ შეტყობინების (გაფრთხილების) გარეშე. ეს იდეა ძალიან შორსაა რეალობისაგან. სინამდვილეში, საქმეზე *ვილსონი არკანზასის წინააღმდეგ*, შეერთებული შტატების უზენაესმა

³⁰⁸ დაკავების კანონიერების შესამოწმებლად ბრალდებულის სასამართლოში დაუყოვნებლივ წარდგენის შესახებ, ქვემოთ იქნება მსჯელობა.

³⁰⁹ იხ. *Anderson J.F., Thompson B.*, დასახ. ნაშრ., 177.

³¹⁰ იხ. *Kamisar Y., Lafave W.R., Israel J. H., King N. J.*, დასახ. ნაშრ., 4.

³¹¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოში 2011-2012 წლებში არსებული სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი ცხადყოფს, რომ მხოლოდ ერთ საქმეზე (№086110011) მოხდა სასამართლოდან პირის დაკავების შესახებ განჩინების გამოთხოვა.

სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის თანამშრომლებმა საცხოვრებელ ბინაში შესვლამდე უნდა განაცხადონ თავიანთი პიროვნების და ბინაში შესვლის მიზეზის შესახებ. თუკი ისინი ასე არ მოიქცევიან, მათი ქმედება სხვის შენობაში შეჭრის ტოლფასი იქნება. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულებას და ამცირებს ძალადობის შესაძლებლობას დაკავების განმახორციელებელი პოლიციელის მხრიდან.³¹² თუმცა, *ვილსონის* საქმეზე სასამართლომ ასევე განმარტა, რომ „დაკაკუნებისა და განცხადების“ მოთხოვნა არ არის კატეგორიული და პოლიციელები არ არიან ვალდებული, განაცხადონ თავიანთი თავის შესახებ შემდეგ გარემოებათა არსებობისას: 1. როდესაც ეჭვმიტანილი შეიარაღებულია და წარმოადგენს საფრთხეს პოლიციელისა და შენობაში მყოფი სხვა პირებისათვის; 2. როდესაც ეჭვმიტანილი საცხოვრებელ ბინაში აპირებს მტკიცებულების განადგურებას; 3. როდესაც ეჭვმიტანილი შეიძლება შეეცადოს გაქცევას; და 4. როდესაც დანაშაული ხდება იმ დროს, როდესაც პოლიციელი მიდის ადგილზე ორდერის (განჩინების) აღსასრულებლად. ამ გარემოებების არსებობისას, ასევე სხვა სამართალდაცვითი საჭიროებების გათვალისწინებით, პოლიციელს შეუძლია გადაუხვიოს „დაკაკუნებისა და განცხადების“ მოთხოვნადან.³¹³

12. პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე

ეს ის შემთხვევაა, რომელსაც პირობითად ეწოდა დაკავება გადაუდებელი აუცილებლობისას. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ამ დროს ადგილი აქვს დაკავების კანონით გათვალისწინებულ ერთ ან რამდენიმე ზემოხსენებული საფუძვლის (ფაქტის) დადგომას (მაგ. პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას და ა.შ.). გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საფუძვლების დადგომა საჭიროებს სწრაფ, დროულ რეაგირებას და დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს დანაშაულის ჩამდენი პირის მიმალვა ან მტკიცებულებათა განადგურება, ბუნებრივია, ვერ მოხდება დაკავების თაობაზე რაიმე ნებართვის მიღება ან გამოთხოვა. დამკავებელი მოქმედებს ოპერატიულ რეჟიმში, რათა მოხდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთა ან დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის „ფიზიკური შეპყრობა.“³¹⁴ ასეთ დროს, უმეტესად დაკავება ხორციელდება დანაშაულის ჩადენის ადგილზე ყოველგვარი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გარეშე. როგორც წესი, ეს ხდება პოლიციის თანამშრომლის მიერ პატრულირებისას, რომელიც რეაგირებას ახდენს შეტყობინებაზე დანაშაულის შესახებ (მაგალითად: დაზარალებულის ძახილი დასახმარებლად, დამცავი სიგნალიზაციის ამოქმედება და ა.შ.) და დაუყოვნებლივ აკავებს დანაშაულის ჩამდენ პირს (რომელიც ადგილზე ხვდება პოლიციის მუშაკს ან ეს უკანასკნელი მას პოულობს სიახლოვეს, უმოკლეს დროში).³¹⁵

³¹² იხ. *Anderson J.F., Thompson B.*, დასახ. ნაშრ., 178–179.

³¹³ იხ. იქვე.

³¹⁴ ტერმინი აღებულია: *Тишкова Е.И.*, Следователь как субъект уголовного преследования., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Воронеж, 2003, 133.

³¹⁵ იხ. *Kamisar Y., Lafave W.R., Israel J. H., King N.J.*, დასახ. ნაშრ., 4.

საპროცესო კანონის თანახმად, ასეთ დროს დაკავებული სარგებლობს ბრალდებულის უფლება-მოვალეობებით და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულად ითვლება დაკავების მომენტიდან. თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, დაკავების მომენტიდან პირისათვის ბრალდებულის სტატუსის მინიჭება არ არის მიზნული მართებულად. აღნიშნული პოზიცია დასაბუთებულია იმით, რომ თუ დაკავებულს დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა არ გადაეცა მისი ბრალდების შესახებ დადგენილება, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. „... დაკავების მომენტში ჯერ კიდევ არ არის შეკრებილი დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარისი მტკიცებულებები, რაც შექმნიდა ბრალდების წაყენებისათვის საკმარის საფუძველს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ დაკავებისთანავე პირი უნდა იწოდებოდეს დაკავებულად, ხოლო ბრალდების წაყენების შემდეგ ბრალდებულად.“³¹⁶

ზემოთ აღნიშნული მოსაზრება მართებულია იმ კუთხით, რომ გადაუდებელი აუცილებლობის დროს პირის დაკავების შემთხვევაში შესაძლებელია არ იყოს შეკრებილი მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისი იქნებოდა პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოსატანად და ბრალდების წასაყენებლად. ამ შემთხვევაში პირის მიმართ მტკიცებულებების შეგროვება დაიწყება მისი დაკავების შემდეგ. მაგრამ დაკავებისას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი გულისხმობს (მოქმედი სსსკ-ის, მე-3 მუხ. მე-11 ნაწ.) არა მხოლოდ ინფორმაციის (მტკიცებულებების), არამედ ფაქტების ერთობლიობას პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნის გასაკეთებლად. ამასთან, დაკავების მომენტიდან პირს იმიტომ აქვს ბრალდებულის სტატუსი, რომ იგი აღიჭურვოს საპროცესო უფლებამოსილებით და მიეცეს დაცვის უფლების განხორციელების საშუალება. ეს მომენტი ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ აქედან იწყება შეჯიბრებითობა მხარეებს შორის და ამ დროს მხარეები უფლებრივად თანასწორნი უნდა იყვნენ – „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“ (სსსკ-ის მე-9 მუხ.).

გარდა ამისა, დაკავების მომენტიდან ბრალდებულის დაკავებულად მოხსენიება საჭიროებს ასევე მისი უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრას. თუ დაკავებულს მიენიჭება ბრალდებულის უფლება-მოვალეობანი, მაშინ გამოდის, რომ მხოლოდ სახელი შეიცვლება და სხვა არაფერი. დაკავებული თავისი საპროცესო მდგომარეობით უნდა გათანაბრდეს ბრალდებულთან, რათა სისხლის სამართალწარმოება შეჯიბრებითობის და თანასწორობის დაცვით განხორციელდეს.

დაკავებიდან ბრალდების წაყენებამდე პირის ბრალდებულის ნაცვლად დაკავებულად მოხსენიება ძალიან წააგავს უახლოეს წარსულში მოქმედი 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ეჭმიტანილის ინსტიტუტს. ეჭმიტანილი თავისი

³¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), რედ.: *გახოკიძე ჯ., მამიაშვილი მ., გაბისონია ი.*, თბილისი, 2013, 150.

საპროცესო მდგომარეობით თითქმის არაფრით ჩამორჩებოდა ბრალდებულს. თუ სიტყვა ბრალდებული დაკავებულ პირთან მიმართებით შეუსაბამოა, მაშინ უმჯობესი იქნებოდა კვლავ ტერმინ – ეჭვიმტანილის შემოღება. თუმცა არც ეს იქნება მართებული ვინაიდან ეჭვიმტანილისა და ბრალდებულის ტერმინებს შორის სხვაობა უკავშირდება მათ უფლებრივ მდგომარეობას. იმ შემთხვევაში თუ დაკავებულს მიენიჭება ეჭვიმტანილის სტატუსი გამოდის, რომ ბრალდებულთან შედარებით უმცირდება უფლებები, რაც წინ გადადგმულ ნაბიჯად ვერ ჩაითვლება.³¹⁷

მაშასადამე, *პირველ შემთხვევაში*, საპროცესო კანონი ბრალდების მხარეს ავალდებულებს პირის დაკავების (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების) შესახებ თანხმობა გამოითხოვოს სასამართლოდან, ხოლო *მეორე შემთხვევაში*, პირის დაკავებას (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას) ასეთი ნებართვა არ სჭირდება, იქიდან გამომდინარე, რომ ამ დროს დაკავება ხდება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე და უმრავლეს შემთხვევებში ასეთი თანხმობის გამოთხოვა ფაქტობრივად შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის პროცესში გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში დასაშვებია პირის დაკავება სასამართლოს ნებართვის გარეშეც, მაგრამ იმ პირობით, რომ დაკავების კანონიერების შესამოწმებლად დაკავებული სასამართლოს უნდა წარედგინოს იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს შესაძლებელია.³¹⁸ ამასთან, პოლიციელს, რომელიც პირს აკავებს ორდერის (განჩინების) გარეშე, აქვს მტკიცების ტვირთი, რომ დაკავება განხორციელდა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე და, რომ დაკავების ორდერი არ იყო საჭირო, ვინაიდან დაკავება მოხდა ერთ-ერთი გამონაკლისი გარემოების არსებობისას. თუ პოლიცია შეძლებს დასაბუთებული ვარაუდის განსაზღვრას, დაკავებული დარჩება პატიმრობაში და სისხლის სამართალწარმოების პროცესი გაგრძელდება.³¹⁹

ქართულ სისხლის სამართლის პროცესში გადაუდებელი აუცილებლობის დროს პირის დაკავების შემთხვევაში, დაკავების კანონიერება მოწმდება მაშინ, როდესაც მოხდება ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში. ბრალდებული სასამართლოს უნდა წარედგინოს დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა (სსსკ-ის 196-ე მუხ.). მაშასადამე, სანამ ბრალდებული სასამართლოს არ წარედგინება, მანამდე დაკავების კანონიერება არ მოწმდება, რაც ბუნებრივად ბადებს შემდეგი შინაარსის კითხვას: რატომ არ ხდება გადაუდებელი აუცილებლობის დროს პირის დაკავების შემთხვევაში დაკავების კანონიერების შესამოწმებლად ბრალდებულის დაუყოვნებლივ წარდგენა სასამართლოში? მოცემული ვითარებისაგან განსხვავებით, როდესაც შეკრებილია მტკიცებულებები პირის დასაკავებლად, კანონმდებელი ითხოვს სასამართლოს წინასწარ

³¹⁷ იხ. 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის 72-77-ე მუხლები, 2006 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით.

³¹⁸ იხ. *გუცენკო კ.გ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა.*, დასახ. ნაშრ., 283-284.

³¹⁹ იხ. *Anderson J.F., Thompson B.*, დასახ. ნაშრ., 178.

წერილობით ნებართვას (განჩინებას) და ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ დაცულ იქნეს ადამიანის უფლებები და კანონიერი ინტერესები. გადაუდებელი აუცილებლობის დროს პირის დაკავებისას არ შეიძლება დაირღვეს ადამიანის უფლებები? რა თქმა უნდა ეს შესაძლებელია. მაშინ რატომ არ უნდა მოხდეს დარღვეული უფლების აღსადგენად მყისიერი რეაგირება სასამართლოს მხრიდან და რატომ უნდა დაელოდოს ბრალდებული 48 საათი სასამართლოში წარდგენას? ხომ არ აჯობებდა ამ კუთხით კანონმდებლობაში შესულიყო ცვლილება და დაწესებულიყო ყველა შემთხვევაში პირის დაკავების შემდგომ ბრალდებულის სასამართლოში დაუყოვნებლივ წარდგენის ვალდებულება, რა დროსაც შემოწმდებოდა მხოლოდ დაკავების კანონიერება; ხოლო ბრალდებულის სასამართლოში წარდგენის ვადად განსაზღვრულიყო არა 48, არამედ მაგალითად, 12 საათი ან უფრო ნაკლები, 8 საათი?! მოცემული საკითხისადმი ასეთი მიდგომით გადაწყდებოდა ორი მთავარი პრობლემა: 1. სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად აღარ გახდებოდა საჭირო სასამართლოს წინასწარი წერილობითი ნებართვა (განჩინება), რაც აამაღლებდა ბრალდების მხარის დამოუკიდებლობის ხარისხს, მისცემდა მას შესაძლებლობას შეეფასებინა და გადაეწყვიტა დაკავების (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების) საკითხი; 2. ნებისმიერი დაკავება გაკონტროლდებოდა სასამართლოს მიერ და ადამიანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტებზე მოხდებოდა მყისიერი რეაგირება; გადაუდებელი აუცილებლობის დროს პირის დაკავების შემთხვევაში არ მოუწევდა ამ უკანასკნელს მინიმუმ 48 საათი ლოდინი მისი დარღვეული უფლების აღსადგენად.

13. პირის დაკავებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკანონმდებლო ვერსია

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის დაკავებით ან პირის ბრალდებულად ცნობით (სსსკ-ის 167-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), ხოლო სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის დროს დაკავების ერთ-ერთ საფუძველად მიჩნეულია შემდეგი გარემოება: *„პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით“*. აღნიშნული პუნქტის შინაარსიდან ჩანს, რომ შესაძლებელია პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდეს მანამდეც, სანამ მოხდება ამ უკანასკნელის დაკავება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად იბადება კითხვა: *სისხლისსამართლებრივ დევნა შეიძლება დაიწყოს დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის ფაქტობრივ დაკავებამდე?* სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება ნებისმიერი საპროცესო მოქმედების

განხორციელების მომენტიდან.³²⁰ ზოგიერთი მეცნიერი უფრო შორს მიდის და სისხლისსამართლებრივ დევნას დაწყებულად მიიჩნევს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების მომენტიდან,³²¹ მაგრამ აღნიშნული მოსაზრებები ვერ იქნება გაზიარებული იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა პირდაპირ აწესებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევებს. შესაბამისად, მანამდე, სანამ არ მოხდება პირის დაკავება ან ბრალდებულად ცნობა სისხლისსამართლებრივი დევნას არ ექნება ადგილი.

მაშასადამე, როდესაც პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილზე, ამ უკანასკნელის დაკავების მიზნით, უნდა განხორციელდეს არა სისხლისსამართლებრივი დევნა, არამედ ე.წ. „ცხელ კვალზე დადევნება“³²², რაც სისხლისსამართლებრივ დევნად ვერ ჩაითვლება. ამდენად, სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტში ტერმინი – სისხლისსამართლებრივი დევნა არასწორად არის გამოყენებული, რაც უფრო ართულებს სისხლისსამართლებრივი დევნის არსის სწორად გაგებას. მიზანშეწონილია აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „*პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება ცხელ კვალზე დადევნება მისი დაკავების მიზნით.*“

14. სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყები სუბიექტის პრობლემა

საკამათოა ასევე საკითხი სისხლისსამართლებრივი დევნის დაკავებისთანავე დაწყების თაობაზეც. კერძოდ, თუ საპროცესო კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება დაკავებისთანავე, და მისი დაწყება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა, მაშინ გამოდის, რომ სამართლებრივად პირის დაკავებაც მხოლოდ პროკურორს შეუძლია და არა საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ სუბიექტთა ფართო წრეს. დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, პირის დაკავების უფლება აქვს: გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, აწარმოებს გამოძიებას ან ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას (მუხ. 172-ე). ამ ჩამონათვალის გაკეთებით კანონი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლებამოსილებას ფაქტობრივად ანიჭებს არა მხოლოდ პროკურორს, არამედ გამომძიებელს³²³ და უფრო მეტიც, ოპერატიულ

³²⁰ იხ. *Колузакова Е.В.*, Участие потерпевшего, его представителя в уголовном преследовании по делам публичного обвинения., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Нижний Новгород, 2008, 252.

³²¹ იხ. *Николаев М.В.*, Участие потерпевшего в уголовном преследовании по делам публичного и часто-публичного обвинения., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Кемерово, 2008, 78-79.

³²² ტერმინი აღებულია: *გოგ შელიძე რ., ფალიაშვილი ა., კრიმინალისტიკა, თბილისი, 2004, 82.*

³²³ *მ.მამნიაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა განაცხადა, რომ გამომძიებელი ავტომატურად ხდება სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი, როდესაც იგი დაკავების კანონით*

მუშაკს, რაც არ არის მართლზომიერი და საპროცესო ნორმებს შორის წინააღმდეგობაზე მიუთითებს (იხ. მუხ. 166-ე, 167-ე, 172-ე). კანონში მოცემული ასეთი წინააღმდეგობრივი ფორმულირებები კიდევ ერთხელ ადასტურებს აზრს იმის შესახებ, რომ სრულყოფილად არ არის გააზრებული სისხლისსამართლებრივი დევნის არსი, მისი მნიშვნელობა. კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი დევნა გაგებულია ფართო მნიშვნელობით, მასში მოიაზრება ფიზიკური დევნის მომენტიც (ბრალდებულის დაკავება და მისი საპროცესო გაფორმება), მაშინ როდესაც დევნის დამწყებ და განმახორციელებელ სუბიექტთა წრე შეზღუდულია. (მუხ. 166-ე).

როგორც ზემოთ აღინიშნა, იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, პირის დაკავება მიხნეულია სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად.³²⁴ მაგრამ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სისხლისსამართლებრივი დევნის ფართო მნიშვნელობით გაგებას, რომელშიც მოიაზრება სისხლის სამართალწარმოების თითქმის მთელი პროცესი.³²⁵ ხოლო ზოგიერთი მეცნიერ-იურისტი სისხლისსამართლებრივ დევნას დაწყებულად მიიჩნევს სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის გამოჩენის მომენტიდან, მაგრამ მის განმახორციელებელ სუბიექტად პროკურორის გარდა აღიარებს პროცესის სხვა მონაწილეებსაც.³²⁶ ანუ აფართოვებს სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყებ და განმახორციელებელ სუბიექტთა წრეს.

პირის დაკავების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ლოგიკურია, ვინაიდან სისხლის სამართლის პროცესში ჩნდება სუბიექტი, რომლის მიმართაც, ბუნებრივია, დევნა უნდა განხორციელდეს. სწორედ აქედან გამომდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნის არსიც, იგი იწყება კონკრეტული პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის მომენტიდან.³²⁷ მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია იმის გარკვევა, თუ რას გულისხმობს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივი დევნაში; აუცილებელია სისხლისსამართლებრივი დევნის მასშტაბების განსაზღვრა: იმ შემთხვევაში თუ სისხლისსამართლებრივი დევნა გაგებულია ფართო მნიშვნელობით, რაც

მინიჭებულ უფლებამოსილებას ახორციელებს. იხ. *მამიაშვილი მ.*, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ასპექტები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შექმნის 30 წლისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2010-2012, 52, <<http://sou.edu.ge/files/Iuridiuli%20fakulteti/gamocemebi/LawFaculty-30a.pdf>>, ბოლოს გამოხმობილია 03.01.2014.

³²⁴ იხ.: *Тишковец Е.И.*, დასახ. ნაშრ., 129; სადისერტაციო ნაშრომის II კარის V თავის §2.

³²⁵ იხ.: *Уголовный процесс*, Коллектив авторов, Под редакцией *Прошлякова А.Д., Балакшина В.С., Козубенко Ю.В.*, Учебник, Москва, 2011, 142; *Чельцов М.А.*, Советский уголовный процесс, Москва, 1951, 89.

³²⁶ იხ. *Гриненко А. В.*, Уголовный процесс : учебник — 2-е изд., перераб. — М. : Норма — 496 с., 2009 <<http://vse-uchebniki.com/ugolovnyiy-protsess-uchebnik/ponyatie-ugolovnogo-presledovaniya-ego.html>>.

ბოლოს გამოხმობილია, 19.06.2013; შეად. *Уголовный процесс*, Коллектив авторов, Под редакцией *Прошлякова А.Д., Балакшина В.С., Козубенко Ю.В.*, Учебник, Москва, 2011, 137.

³²⁷ იხ. *Королев Г.Н.*, დასახ. ნაშრ., 62.

მოიცავს ასევე ბრალდებულის ე.წ. ფიზიკურ დევნას (იგულისხმება პირის შეჩერება-დაკავება და საპროცესო გაფორმება), მაშინ დევნის დამწყები მხოლოდ პროკურორი ვერ იქნება; ხოლო იმ შემთხვევაში თუ პროკურორია სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ერთადერთი სუბიექტი, მაშინ მან უნდა შეითავსოს ფიზიკური დევნის ფუნქციაც, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით გამართლებული ვერ იქნება, ვინაიდან ამ შემთხვევაში პირის დაკავებისა და შესაბამისად, დაკავების ოქმის შედგენის უფლება მხოლოდ პროკურორს ექნება. ეს უკანასკნელი კი ამას ფაქტობრივად ვერ შეძლებს, განსაკუთრებით გადაუდებელი აუცილებლობისას პირის დაკავების შემთხვევაში (მაგალითად, როდესაც პირს წაასწრებენ დანაშაულის ფაქტზე, ძეხნილი ბრალდებულის დაკავებისას და ა.შ.).

§2 სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც სისხლის სამართალწარმოების საწყისი ეტაპი

ცნობილია, რომ ოფიციალობის „ex officio“, იგივე საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე, გამოძიების დაწყების, მისი ჩატარების, დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენისა და დასჯის ვალდებულება სახელმწიფოს პრეროგატივაა.³²⁸ შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე სახელმწიფოს წარმომადგენელი, ბრალდების მხარე – გამოძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში დაიწყონ გამოძიება. გამოძიებლის მიერ გამოძიების დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს (მოქმედი სსსკ-ის მუხ. მე-3, მე-6 ნაწ.; მუხ. 100-ე). ამასთან, *საინტერესოა იმის გარკვევა, კონკრეტულად რა მომენტიდან ითვლება სისხლის სამართლის პროცესი (გამოძიების სტადია) დაწყებულად და არსებობს თუ არა ისეთი შემთხვევა, როდესაც სისხლის სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნით.* სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არაფერს ამბობს.

2.1. სისხლის სამართალწარმოების დაწყების თავისებურებანი ამერიკულ და ქართულ სისხლის სამართლის პროცესებში

2.1.1. ამერიკული მიდგომები

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედმა საპროცესო კანონმდებლობამ თითქმის მთლიანად გაიზიარა ანგლო-ამერიკული სამართლის მოდელისათვის დამახასიათებელი ელემენტები. აქედან გამომდინარე, ამ სისტემის ქვეყნებში ერთობ საკამათოა თუ რა ითვლება პროცესის საწყის

³²⁸ იხ.: *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 78; *მახარაძე ა.*, დასახ. ნაშრ., 50; საჯაროობის პრინციპთან დაკავშირებით, დაწვრილებით იხ. *Шманатова В.Е.*, Публичное начало как основа уголовного преследования в уголовном процессе Российской Федерации., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Самара, 2004, 71-94.

მომენტად. ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის პროცესი ამ საკითხს ცალსახად არ წყვეტს. აზრთა დიაპაზონი ამ სფეროში ფართოა. ზოგიერთი ამერიკელი მკვლევარი მნიშვნელოვნად ზღუდავს სისხლის სამართალწარმოების ფარგლებს და მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის პროცესი იწყება მას შემდეგ, რაც საქმე გაივლის საპოლიციო გამოძიებას და მოხვდება პირველი ინსტანციის სასამართლოში.³²⁹

გარდა ზემოთ მითითებული მოსაზრებისა, არსებობს სხვა პოზიციებიც. კერძოდ: ა) სისხლის სამართლის პროცესი იწყება „შორი მისადგომებიდან“, როდესაც შესაბამის ორგანოში დარეგისტრირდება დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედების შესახებ მოქალაქეთა განცხადება ან ინფორმაცია; ბ) პროცესი იწყება სასამართლოს მიერ ბრალდებულის დაპატიმრების ბრძანების გაცემით; გ) პროცესის საწყისი მომენტი პირველივე მოქმედებების შესრულება იმ მასალების შესაგროვებლად, რომლებიც შესაძლებელია გადაიქცეს მტკიცებულებად; დ) პროცესის დასაწყისია პირის დაპატიმრება, დაკითხვა და ა.შ.³³⁰

ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის პროცესის თეორიასა და პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ პროცესის საწყის ეტაპად ითვლება მიღებული და რეგისტრირებული ინფორმაცია დანაშაულის შესახებ.³³¹ არსებობს შემთხვევები, როცა ზემოხსენებული ინფორმაციის რეგისტრაცია ემთხვევა პირის დაკავებას ან დაპატიმრებას, ანდა რეგისტრაცია ხდება მას შემდეგ, რაც უკვე შესრულდა გარკვეული ოპერატიულ-სამძებრო ან საგამოძიებო მოქმედებები. ხშირად პოლიცია მოქმედებას იწყებს განცხადების ან სხვა შეტყობინების რეგისტრაციამდე.³³²

მოცემულ ეტაპზე განხორციელებული მოქმედებების მიზანია კონკრეტულ ქმედებასა თუ მოვლენაში დანაშაულის ნიშნების არსებობის ან არარსებობის შემოწმება. თუ დანაშაულის ჩადენის ფაქტი დადასტურდა, მაშინ სრულდება მოქმედებები იმ მონაცემთა გამოსავლენად, რომლებიც იძლევა დაპატიმრების საფუძველს ან ადასტურებს მის დასაბუთებულობას.³³³ მაშასადამე, გარკვეულ შემთხვევებში დანაშაულის შესახებ განცხადების ან ინფორმაციის რეგისტრაციამდე შეიძლება მოხდეს საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და მტკიცებულებათა შეგროვება.

2.1.2. სისხლის სამართალწარმოების დაწყება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში

საქართველოში ადრე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა (იგულისხმება 1998 წლის სსსკ-ი) ითვალისწინებდა სისხლის სამართლის

³²⁹ იხ.: Pyle Ransford Comstock, *Foundation of law: cases, commentary and ethics*. – 2nd ed. – Albany, Bonn, Boston ect.: Delmar publ., 1996.- P.216-223. – მითითებულია: Шманатова В.Е., დასახ. ნაშრ., 65-66; გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასახ. ნაშრ., 215.

³³⁰ იხ. გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასახ. ნაშრ., 215-216.

³³¹ იხ. Королев Г.Н., დასახ. ნაშრ., 314.

³³² იხ. გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასახ. ნაშრ., 279-281

³³³ იხ. იქვე, 281-282.

საქმის აღძვრის ინსტიტუტს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის საწყის, პირველ და დამოუკიდებელ სტადიას. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ იწყებოდა წინასწარი გამოძიების სტადია, რა დროსაც ტარდებოდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები და ხდებოდა მტკიცებულებათა შეგროვება.³³⁴ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობების განხილვა-შემოწმება ხორციელდებოდა არასაპროცესო მეთოდებით – ახსნა-განმარტებების მიღებით, დოკუმენტების გამოთხოვით და ა.შ. გარდა აღნიშნულისა, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე შესაძლებელი იყო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაც როგორცაა: ჩხრეკა, ამოღება და შემთხვევის ადგილის დათვალიერება. პირის დაკავების შემთხვევაში საქმის აღძვრა და ცნობების შემოწმება ამ პირისა და მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ უნდა მომხდარიყო დაკავებიდან 12 საათის განმავლობაში.³³⁵ 2005 წელს გაუქმდა საქმის აღძვრის ინსტიტუტი, რის შემდეგაც სისხლის სამართლის პროცესის საწყის სტადიად ჩაითვალა სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების დაწყება,³³⁶ რომელშიც იგულისხმებოდა დანაშაულის შესახებ მიღებული განცხადების (ინფორმაციის) სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების აღრიცხვის ჟურნალში რეგისტრაციის მომენტი.

დღეს არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ახალი საპროცესო კანონმდებლობის მოქმედების პირობებში, როდესაც დანერგილია სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა, გამოძიებულს სწორედ ამ პროგრამის მეშვეობით საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების საშუალება აქვს მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების ელექტრონულ პროგრამაში მოხდება დანაშაულის შემტყობინებელი პირის ზეპირი ან წერილობითი ინფორმაციის რეგისტრაცია. აღნიშნული პროგრამა ავტომატურად ანიჭებს სისხლის სამართლის საქმეს შესაბამის ნომერს და პროცესის მწარმოებელ ორგანოს ან თანამდებობის პირს საშუალებას აძლევს ელექტრონულ პროგრამაში ჩაატაროს სხვადასხვა საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები.³³⁷ აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართალწარმოება (გამოძიების სტადია) დაწყებულად ითვლება მას შემდეგ, რაც მოხდება დანაშაულის შესახებ ინფორმაციის ზემოხსენებულ ელექტრონულ პროგრამაში ასახვა.

³³⁴ იხ.: სისხლის სამართლის პროცესი, რედ.: *ფაფიაშვილი ა.*, თბილისი, 2002, 16-18, 221-249; *ფაფიაშვილი შ., თევზაძე ა.*, მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, თბილისი, 2002.

³³⁵ იხ.: 1998 წლის სსსკ-ი 2004 წლის 24 დეკემბრის მდგომარეობით, მუხ.265-ე, <https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31882&publication=49&language=ge#>, ბოლოს გამოხმობილია 13.06.2014; *ფაფიაშვილი შ., თევზაძე ა.*, მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, თბილისი, 2002, 131-172; *შეად. იახეშვილი თ.*, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დაუშვებლობა, ჟურნალი „სამართალი“, 1999 №3, 47-50.

³³⁶ იხ. სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), რედ.: *გოვ შელიძე რ.*, მეორე გამოცემა, თბილისი, 2009, 65, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 23.05.2013.

³³⁷ იხ. სისხლის სამართლის საქმის ელექტრონული წარმოების სახელმძღვანელო, თბილისი, 2010 წელი.

ამასთან, აქვე იბადება კითხვა: სამართალდამცავ ორგანოში დანაშაულის შესახებ შესული ყველა ინფორმაცია უნდა დარეგისტრირდეს თუ არა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში და დაიწყოს გამოძიება, თუ რეგისტრაციას წინ უნდა უსწრებს მიღებული ინფორმაციის სარწმუნოების გადამოწმება? ასევე რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაციის მიმწოდებელი პირი არასწორად ახდენს თვითიდენტიფიცირებას?

ამ კითხვებს პირდაპირ პასუხობს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მე-100 და 101-ე მუხლები. მე-100 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამოძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. . .“, ხოლო 101-ე მუხლის 1-ლი ნაწილში მითითებულია, რომ: „გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში.“ როგორც ჩანს, საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის გადამოწმების რაიმე მექანიზმს.³³⁸ მაშასადამე, გამოძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან ელექტრონულ პროგრამაში დაარეგისტრირონ მიღებული ინფორმაცია და მასში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ყოველგვარი შემოწმების გარეშე დაიწყონ ან არ დაიწყონ გამოძიება. დანაშაულის შესახებ შეტყობინების შემოწმების პროცედურას არ ითვალისწინებს ასევე სისხლის სამართლის საქმის ელექტრონული წარმოების პროგრამაც.³³⁹ ამდენად, შესაძლო დანაშაულის ჩადენის თაობაზე მიღებული ინფორმაციის გადამოწმება უნდა მოხდეს მხოლოდ გამოძიების ფარგლებში, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც დანაშაულის შეტყობინებელი არ ახდენს თვითიდენტიფიცირებას, აღნიშნული იგივეა რაც ანონიმური ცნობა, რომლის თაობაზე მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში მითითებულია, რომ: „. . . გამოძიებელი უფლებამოსილია ანონიმური ცნობის საფუძველზე დაიწყოს გამოძიება. დაუშვებელია პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მხოლოდ ანონიმური ცნობის საფუძველზე“ (101-ე მუხ., მე-3 ნაწ.). მაშასადამე, ამ შემთხვევაში კანონმდებელი ბრალდების მხარეს გამოძიების დაწყებას არ ავალდებულებს. ამასთან, მხოლოდ ანონიმური ცნობა ვერ გახდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი. ასეთ დროს გამოძიებელმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს დაიწყოს თუ არ დაიწყოს გამოძიება. ამჯერად შესაძლებელია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების

³³⁸ საქართველოს 1998 წლის სსსკ-ი, 2005 წლის 25 მარტამდე ითვალისწინებდა დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის არასაპროცესო მეთოდებით (ახსნა-განმარტების მიღების, დოკუმენტების გამოთხოვის გზით და ა.შ.) შემოწმების პროცედურას, რომლის ჩატარებაც შეიძლებოდა არაუმეტეს 20 დღისა. ამ ვადაში შემოწმების მწარმოებელ ორგანოს ან თანამდებობის პირს უნდა მიეღო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის (გამოძიების დაწყების) ან მასზე უარის თქმის შესახებ.

³³⁹ იხ. სისხლის სამართლის საქმის ელექტრონული წარმოების სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 32-38.

ჩატარების გზით (ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის 1-ლი, მე-2, მე-7 მუხ.) გადამოწმდეს მიღებული ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში დაიწყოს გამოძიება.

2.1.3. გამოძიების დაწყების შესახებ შეტყობინების ვალდებულების აუცილებლობა

უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, გამოძიებელი ვალდებულია გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურორს, მაგრამ მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში (100-ე მუხ. 1-ლი ნაწ.) არ არის მითითებული ვალდებულება გამოძიების „დაუყოვნებლივ“ დაწყების შესახებ, რამაც შეიძლება ადამიანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნას. მაგალითად, შესაძლებელია განმცხადებელმა საგამოძიებო ორგანოს გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართოს 2013 წლის 25 ივნისს, ხოლო გამოძიებელმა და პროკურორმა სრულიად უსაფუძვლოდ გააჭიანურონ და გამოძიება დაიწყონ 30 ივნისს იმ მოტივით, რომ კანონი არ ავალდებულებს გამოძიების დამწყებ უფლებამოსილ თანამდებობის პირს დანაშაულის ნიშნების შემცველი ინფორმაციის მიღებისას „დაუყოვნებლივ“ – პირველივე შესაძლებლობისთანავე დაიწყოს გამოძიება. საპროცესო კანონმდებლობა უბრალოდ გამოძიების დაწყების ვალდებულებას აწესებს. ადრე, ეს მომენტი მეტ-ნაკლებად რეგულირებული იყო იმით, რომ მოქმედი სსსკ-ის 100-ე მუხლის მე-2 ნაწილი გამოძიებელს და პროკურორს ავალდებულებდა განმცხადებლისათვის 3 დღის ვადაში წერილობით ეცნობებინა გამოძიების დაწყების შესახებ, მაგრამ 2010 წლის 07 დეკემბერს საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება და ბრალდების მხარის ეს მოვალეობა სრულიად უსაფუძვლოდ გაუქმდა (სსსკ-ის მე-100 მუხლის მე-2 ნაწილი, 2010 წლის 24 სექტემბრის მდგომარეობით).

მაშასადამე, გამოძიების დაწყების ან არდაწყების შესახებ განმცხადებლის ინფორმირება გადაიქცა პროცესის მწარმოებელი ორგანოს „კეთილ ნებად“ და დარეგულირდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით – ასეთ შეტყობინებას, მოთხოვნის შემთხვევაში განმცხადებელი მიიღებს როგორც საჯარო ინფორმაციას. ამით შეილახა განმცხადებლის უფლება, რაც გამოიხატა იმაში, რომ ამ უკანასკნელმა დაკარგა გარკვეული კონტროლის მექანიზმი – შეიტყოს თუ რა რეაგირება მოჰყვა მის განცხადებას ან შეტყობინებას სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან – დაიწყოს თუ არა გამოძიება. რაც შეეხება გამოძიების დაწყების უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოს ან თანამდებობის პირს, მათ მიეცათ საშუალება თავისუფლად გადაწყვიტონ საკითხი – ნებისმიერ დროს დაიწყონ ან არ დაიწყონ გამოძიება და ამის შესახებ არც აცნობონ განმცხადებელს, რაზეც პასუხს არავინ მოსთხოვს; ამასთან, მათი მოქმედების გასაჩივრებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაც მართლზომიერად ვერ ჩაითვლება. მომჩივანის ინტერესები, რომლის უმთავრესი მიზანია სათანადოდ იქნეს განხილული მისი საჩივარი,

სამწუხაროდ, სრულიად უგულვებელყოფილია.³⁴⁰ ამ კუთხით, საჭიროა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფა. ბრალდების მხარეს უნდა დაევალოს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში „დაუყოვნებლივ“ დაიწყოს გამოძიება და ამის შესახებ განსაზღვრულ ვადაში (მაგალითად 3 დღე) აცნობოს განმცხადებელს ან დანაშაულის შემტყობინებელ პირს. ამასთან, აუცილებელია საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ იქნეს განმცხადებლის უფლება გაასაჩივროს გამოძიების არდაწყების შესახებ გადაწყვეტილება (მაგალითად, ზემდგომ პროკურორთან).

აღნიშნულთან დაკავშირებით, ზოგიერთმა მეცნიერ-იურისტმა შეიძლება გამოთქვას მოსაზრება, რომ დანაშაულის შემტყობინებელი პირი შესაძლოა იყოს ყოველგვარ ინტერესს მოკლებული მიიღოს ინფორმაცია გამოძიების დაწყების ან არდაწყების შესახებ და რატომ ჰქონდეს პროცესის მწარმოებელ ორგანოს შემტყობინების ვალდებულება? პრაქტიკა ცხადყოფს, რომ უმრავლეს შემთხვევებში დანაშაულის შემტყობინებელი პირი არის სავარაუდო დაზარალებული და ბუნებრივია, მას ყოველთვის აქვს ინტერესი იყოს ინფორმირებული თუ რა რეაგირება მოჰყვა მის განცხადებას ან შემტყობინებას. რა თქმა უნდა არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სამართალდამცავი ორგანო დანაშაულის შესახებ ინფორმაციას იღებს სხვა წყაროებიდან ან ისეთი პირისაგან, რომელიც დაინტერესებული არ არის საქმის შემდგომი ბედით.³⁴¹

2.2. სისხლის სამართლის პროცესის დაწყება სისხლისსამართლებრივი დევნით

რა ხდება მაშინ, როცა ადგილი აქვს მოქმედი სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ე.წ. „გადაუდებელი აუცილებლობის“ შემთხვევებში პირის დაკავებას, (მაგალითად, პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე, პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩენილია დანაშაულის ჩადენის აშკარა კვალი და ა.შ.)?! ან რა ზომები უნდა მიიღონ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა მაშინ, როდესაც დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაცია, საჭიროებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით³⁴² მეისიერ რეაგირებას – შემოწმებას? (მაგალითად, პატრულირებისას პოლიციას მოქალაქემ შეატყობინა ნ-ის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარების ფაქტი). რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, შესაბამის ორგანოში ინფორმაციის

³⁴⁰ იხ. *Smith G.*, Police Complaints and Criminal Prosecutions, *The Modern Law Review*, Vol. 64, No. 3 (May, 2001), 391-392, <<http://www.jstor.org/stable/1097006?seq=1>>, ბოლოს გამოხმობილია 18.06.2014.

³⁴¹ იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოში წარმოებული 2012-2013 წლის სისხლის სამართლის საქმეები. მათი მოძიება შესაძლებელია ამავე სამმართველოში.

³⁴² ასეთ საგამოძიებო მოქმედებებს აშშ-ს სისხლის სამართლის პროცესში უწოდებენ *რეაქტიულ საგამოძიებო მოქმედებებს*. ეს არის პოლიციის „ფიქსირებულ ინციდენტზე“ ან საჩივარზე რეაგირება, რომელიც სხვადასხვა ფორმით ხორციელდება, მათ შორის შეიძლება პირადი ჩხრეკა და ა.შ. იხ. *Kamisar Y., Lafave W.R., Israel J.H., King N.J.*, დასახ. ნაშრ., 4-6.

რეგისტრაცია იმწუთიერად ვერ მოხდება და შესაბამისად, პირის დაკავება (დაკავებისთანავე იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა), ასევე საგამოძიებო მოქმედება (მაგალითად პირადი ჩხრეკა) ბუნებრივია, ჩატარდება დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციამდე.

მაშასადამე, გამოდის, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევებში ფაქტობრივად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედება წინ გაუსწრებს ინფორმაციის რეგისტრაციის საფუძველზე ოფიციალურად დაწყებულ გამოძიებას. *მაგრამ ამ დროს სისხლის სამართლის პროცესი დაწყებულად უნდა ჩაითვალოს დაკავების ან სხვა საპროცესო მოქმედების დაწყებიდან და არა დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის მომენტიდან.*

აღნიშნული საკითხის ირგვლივ, იურიდიულ დოქტრინაში არ არის მრავალი პოზიცია, მაგრამ ზოგიერთ ავტორს გამოთქმული აქვს საკუთარი მოსაზრება. კერძოდ, *მ.ვ.ნიკოლაევი* მიიჩნევს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება განხორციელდეს მაშინაც, როდესაც არ არსებობს დანაშაულის შესახებ შეტყობინება ან ასეთი შეტყობინება არ არის სამართალდამცავ ორგანოში რეგისტრირებული სათანადო წესით. ასეთ შემთხვევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს, როდესაც ხდება დანაშაულის ჩამდენი პირის ფაქტობრივი დაკავება დანაშაულის ადგილზე. ამ დროს შეიძლება არ იყოს დანაშაულის შესახებ განცხადება ან მოხსენებითი ბარათი, მაგრამ პირის ფაქტობრივი დაკავებით სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება.³⁴³

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ასევე მოსაზრება, რომლის თანახმად, ერთმანეთისაგან განასხვავებენ დაკავებას, როგორც სისხლის საპროცესოსამართლებრივი იძულების ღონისძიებას და პირის ფაქტობრივ დაკავებას. პირველ შემთხვევაში დაკავება მოიაზრება სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელ ელემენტად და მას ადგილი აქვს სისხლის სამართალწარმოების დაწყების შემდეგ. ფაქტობრივ დაკავებაში იგულისხმება დანაშაულის ჩამდენი პირის ფიზიკური შეპყრობა, რომელსაც შეიძლება გამოძიების დაწყებამდეც ჰქონდეს ადგილი, თუმცა პრობლემურ საკითხად არის მიჩნეული დაკავებულის სამართლებრივი სტატუსი.³⁴⁴ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს, რომ დაკავებული პირი სარგებლობს ბრალდებულის სტატუსით (სსსკ-ის 170-ე მუხ.). აქედან გამომდინარე, დაკავებულის საპროცესო სტატუსისა და მისი უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის კუთხით, ქართულ სისხლის სამართლის პროცესში არ არსებობს პრობლემა. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს და შესაბამისად მნიშვნელობაც არ აქვს პირის ფაქტობრივი დაკავება როდის მოხდება, გამოძიების დაწყებამდე, თუ მას შემდეგ. ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულად უნდა ჩაითვალოს, იმ მომენტიდან როდესაც ამ უკანასკნელს შეეზღუდა მიმოსვლის თავისუფლება.

³⁴³ იხ. *Николаев М. В.*, დასახ. ნაშრ., 79.

³⁴⁴ იხ. *Тишкова Е. И.*, დასახ. ნაშრ., 129-134.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციამდე და ამ ვხით გამოძიების დაწყებამდე შესაძლებელია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის ფაქტობრივი დაკავებით, რომელიც უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის პროცესის დასაწყისად.

უფრო ზუსტად რომ ითქვას, ზემოაღნიშნული მსჯელობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე და საპროცესო კანონმდებლობით ასეა, მაშინ სისხლის სამართლის პროცესი – გამოძიების სტადია შეიძლება დაიწყოს არა მხოლოდ რომელიმე საგამოძიებო მოქმედების ჩატარებით, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებითაც. თვალსაჩინოებისათვის შეიძლება შემდეგი მაგალითის მოყვანა: სამართალდამცავი ორგანოს მუშაკი პატრულირებისას შეესწრო მკვლელობის ფაქტს, რა დროსაც ამ უკანასკნელმა მკვლელი შემთხვევის ადგილზე დააკავა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის მიერ განხორციელებული პირველი მოქმედება არის პირის დაკავება, რა დროსაც იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მანამდე, სანამ მოხდებოდა დანაშაულის შესახებ ინფორმაციის ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირება და ოფიციალურად გამოძიების დაწყება ან სხვა საგამოძიებო მოქმედების შესრულება (მაგალითად, პირადი ჩხრეკა და ა.შ.). უფრო მეტიც, სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის, შესაბამისად დაკავების მიზნით პირის „დევნაც“ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებად განიხილება, რაც მიუღებელია, მაგრამ ადასტურებს იმას, რომ მოქმედი კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლებელია იყოს სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ საწყისი მომენტი.

მაშასადამე, მართალია, გამოძიების სტადია იწყება დანაშაულის შესახებ განცხადების ან ინფორმაციის რეგისტრაციის მომენტიდან, მაგრამ პრაქტიკულად შესაძლებელია მანამდეც განხორციელდეს ზოგიერთი საპროცესო თუ საგამოძიებო მოქმედება (მაგალითად, პირის დაკავება ან ჩხრეკა), რაც ფაქტობრივად გამოძიების სტადიის დაწყებას ნიშნავს, თუმცა აღნიშნული მოქმედებების საპროცესო გაფორმება შესაძლოა მოხდეს დანაშაულის შესახებ განცხადების ან სხვა ინფორმაციის სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში რეგისტრაციის შემდეგ. ამიტომ საფუძველს მოკლებული არ არის საპროცესო ლიტერატურაში არსებული მოსაზრება, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის საწყის მომენტად მასალების შესაგროვებლად სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის პირველივე მოქმედებაა მიჩნეული.³⁴⁵

2.3. დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციამდე ჩატარებული საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების უარყოფითი მხარეები

აღსანიშნავია, რომ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის მომენტამდე, ანუ ოფიციალურად გამოძიების დაწყებამდე საპროცესო და

³⁴⁵ იხ. გუცენკო კ.ფ., კოლოკო ლ.ვ., ვილიმონოვი ბ.ა., დასახ. ნაშრ., 215-216.

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ძალიან წააგავს 1998 წლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესის დაწყებამდე რიგი მოქმედებების (ჩხრეკა, ამოღება, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ასევე დაკავება) ჩატარების უფლებას ანიჭებდნენ პროცესის მწარმოებელ ორგანოებს. მაშინდელ იურიდიულ ლიტერატურაში საქმის აღძვრამდე ასეთი მოქმედებების ჩატარება არამართლზომიერად იყო მიჩნეული.³⁴⁶

დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს, რომ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა უნდა დაიწყონ გამოძიება. კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ზუსტად რა მომენტიდან იწყება გამოძიების სტადია, თუმცა პრაქტიკა ცხადყოფს და ზემოთაც აღინიშნა, რომ გამოძიების სტადია იწყება დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის მომენტიდან. ამასთან, არსებობს შემთხვევებიც, როდესაც ასეთი ინფორმაციის ან განცხადების რეგისტრაციამდეც ხორციელდება ზოგიერთი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედება, მაგალითად დაკავება და პირადი ჩხრეკა – როცა პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე და ა.შ. ამ შემთხვევაშიც გამოძიების სტადია დაწყებულად ითვლება.

დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციამდე წარმოებული ზოგიერთი საპროცესო თუ საგამოძიებო მოქმედება პრაქტიკული თვალსაზრისით საჭიროა, მაგრამ გაუმართლებელია სამართლებრივი კუთხით თუნდაც იმიტომ, რომ ჩხრეკის ან დაკავების ოქმის შედგენას სჭირდება შესაბამისი რეკვიზიტები (მაგალითად, სისხლის სამართლის საქმის ნომრის მითითება), რომელიც რეალურად განცხადების ან ინფორმაციის სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაციის მომენტით მიიღება.³⁴⁷ გამოდის, რომ რიგი რეკვიზიტების მიუთითებლობა საპროცესო დოკუმენტის არასრულფასოვან შედგენას ნიშნავს, რაზეც ხელი უნდა მოაწეროს პირმა, რომლის მიმართაც ხორციელდება ეს მოქმედება; ან უკიდურეს შემთხვევაში, შემთხვევის ადგილზე უნდა მოხდეს საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებათა ფაქტობრივი ჩატარება და შემდგომ მათი საპროცესო გაფორმება განხორციელდეს გამოძიების ადგილზე, რაც კანონის დარღვევაა. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, საგამოძიებო მოქმედების ოქმი უნდა შედგეს უშუალოდ საგამოძიებო მოქმედების მსვლელობისას ან მისი დამთავრებისთანავე (სსსკ-ის 134-ე მუხ. 1-ლი ნაწ.), ხოლო დამკავებელმა მოხელემ დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა შეადგინოს დაკავების ოქმი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოქმის შედგენა ობიექტური მიზეზებით შეუძლებელია (სსსკ-ის 175-ე მუხ. 1-ლი ნაწ.). თუმცა შესაძლებელია, რომ პირადი ჩხრეკა და დაკავება ფაქტობრივად ჩატარდეს შემთხვევის ადგილზე, ამავე დროს პარალელურად მოხდეს დანაშაულის

³⁴⁶ იხ. *იახეშვილი თ.*, დასახ. ნაშრ., 47-50.

³⁴⁷ იხ. სისხლის სამართლის საქმის ელექტრონული წარმოების სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 35.

შესახებ ინფორმაციის (მაგალითად, პოლიციის მუშაკის პატაკის, მოხსენებითი ბარათის ან სხვა ინფორმაციის) სისხლის სამართლის საქმის ელექტრონული წარმოების პროგრამაში დარეგისტრირება – გამოძიების დაწყება და შესაბამისად ადგილზე მოხდეს დაკავების, ასევე პირადი ჩხრეკის ოქმების შედგენა. ამ შემთხვევაში საჭიროა ერთზე მეტი გამოძიებელი, რომელთაგან პირველი მოახდენს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციას – გამოძიების დაწყებას, ხოლო მეორე მონაცემებს მიიღებს შემთხვევის ადგილზე და შეადგენს საპროცესო და საგამოძიებო მოქმედების ოქმებს. ანუ ფაქტობრივად ერთი გამოძიებელი ვერ შეძლებს სისხლის სამართალწარმოების დაწყებას, რაც ნიშნავს იმას, რომ მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში, რეალურად სულ მცირე ორი გამოძიებლის ჩართულობაა საჭირო გამოძიების დასაწყებად.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის ნიშნების შემცველი ინფორმაციის რეგისტრაციამდე, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, მტკიცებულებების მოსაპოვებლად შესაძლოა ჩატარდეს კიდევ ისეთი იძულებითი ხასიათის საგამოძიებო მოქმედება, როგორცაა პირადი ჩხრეკა, მაგრამ პირს კანონსაწინააღმდეგო ნივთი არ აღმოაჩნდეს. მაგალითად, პატრულირებისას მოქალაქემ პოლიციელს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ბ-ე უკანონოდ ატარებს ცეცხლსასროლ იარაღს, რის საფუძველზეც ამ უკანასკნელს დაუყოვნებლივ ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, მაგრამ კანონსაწინააღმდეგო არაფერი აღმოაჩნდა. როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში პოლიციელი? შეადგინოს პირადი ჩხრეკის ოქმი თუ არა? რა თქმა უნდა თუ ჩატარდა პირადი ჩხრეკა აუცილებლად უნდა შედგეს პირადი ჩხრეკის ოქმი და უნდა დარეგისტრირდეს კიდევ დანაშაულის შესახებ შეტყობინებაც. მაგრამ ამას გააკეთებს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი მაშინ, როდესაც სახეზეა უშედეგო ჩხრეკა და შეტყობინებაც არ არის რეგისტრირებული? ადვილი შესაძლებელია ზედმეტი ახსნა-განმარტებებისა და უშედეგო ფორმალობების თავიდან აცილების მიზნით, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელმა არ შეადგინოს საგამოძიებო მოქმედების ოქმი და სრულიად უპრობლემოდ მიჩქმალოს აღნიშნული ფაქტი. ამას ხელს შეუწყობს ასევე ისიც, რომ დანაშაულის შესახებ შეტყობინების რეგისტრაცია არ მომხდარა. უფრო მეტიც, ასეთმა თავისუფლებამ შესაძლებელია სამართალდამცავი ორგანოს მუშაკი წააქეზოს, ნებისმიერი მოქალაქე შეაჩეროს და ჩაუტაროს პირადი ჩხრეკა.

დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის რეგისტრაციამდე, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, სამართალდამცავი ორგანოების მიერ საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება გამოწვეულია პრაქტიკული საჭიროებიდან. ეს არის საზოგადოებრივი აზრით ნაკარნახევი მისწრაფება - „პოლიციას მჭიდროდ არ შეუკრან ხელები“ დამნაშავეობასთან ბრძოლაში, რათა ბოლო მოუღონ მას.³⁴⁸ ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ საჭიროა სამართალდამცავი ორგანოების ამ „თავისუფლების“ საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტაცია.

³⁴⁸ იხ. გუცენკო კ.ფ., კოლოკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასახ. ნაშრ., 283.

კერძოდ, *პირველი*, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სისხლის სამართლის პროცესის – გამოძიების სტადიის „საწყისი მომენტი“ და ეს უნდა იყოს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაცია. სსსკ-ის მე-100 მუხლი განსაზღვრავს მხოლოდ გამოძიებლისა და პროკურორის ვალდებულებას დაიწყო გამოძიება. *მეორე*, საპროცესო კანონმდებლობით ასევე უნდა განისაზღვროს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციამდე „გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში“ საპროცესო და საგამოძიებლო მოქმედებების ჩატარების შესაძლებლობა და შედეგის მიუხედავად ჩატარებული მოქმედებების კანონიერების შესამოწმებლად სასამართლოსათვის მიმართვის ვალდებულება. ამით გაძლიერდება სასამართლო კონტროლი ასეთი სახის მოქმედებებზე და მინიმუმადე იქნება დაყვანილი უკანონო ქმედებები.

§3 შეჯამება

ამდენად, სსსკ-ის 167-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც აწესებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის დაკავებისთანავე, პრაქტიკული თვალსაზრისით ერთობ მნიშვნელოვანია, მაგრამ ამასთანავე, ამ ნორმის შინაარსის დეტალური ანალიზი გარკვეულ გაუგებრობებს წარმოშობს. კერძოდ, *პირველი*, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დაკავებისთანავე უკავშირდება დევნის დამწყები სუბიექტის პრობლემას. *მეორე*, სისხლისსამართლებრივი დევნა საპროცესო კანონმდებლობით (171-ე მუხ. მე-2 ნაწ.) იმდენად ფართოდ არის გაგებული, რომ მასში მოიაზრება დაკავებამდე „ცხელ კვალზე“ დადევნების მომენტიც, რაც წინააღმდეგობაში მოდის სისხლისსამართლებრივი დევნის დაკავებისთანავე დაწყებასთან. *მესამე*, პროკურორს, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით შეზღუდული აქვს უფლება, სასამართლოს ნებართვის გარეშე, მტკიცებულებათა საფუძველზე დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაკავებით დაწყების შესახებ.

აღნიშნული პრობლემატური საკითხების გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს შემდეგნაირად: იმ შემთხვევაში თუ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულად ჩაითვლება დაკავებისთანავე და საპროცესო კანონმდებლობით ასეა, მაშინ *დაკავების უფლებით აღჭურვილი თანამდებობის პირები იმავდროულად უნდა გახდნენ სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყები სუბიექტებიც*. სისხლისსამართლებრივი დევნა სხვა შემადგენელ ელემენტებთან ერთად (იხ. დანართი №1) უნდა დაიყოს „ფიზიკურ დევნად“ და „სისხლისსამართლებრივ ბრალდებად.“ „ფიზიკური დევნის“ განხორციელების უფლება უნდა მიენიჭოთ დაკავების უფლებით აღჭურვილ თანამდებობის პირებს ანუ სამართლებრივად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლების დელეგირება უნდა მოხდეს დამკავებელ თანამდებობის პირებზე (ასეა პრაქტიკულად). ამით გაფართოვდება სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყებ სუბიექტთა წრე, მაგრამ აღმოიფხვრება ის უზუსტობები, რომლებზეც ზემოთ იყო მსჯელობა.

ამასთან, „ფიზიკურ დევნაში“ არ უნდა მოიაზრებოდეს დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის „ცხელ კვალზე“ დადევნება.³⁴⁹ როგორც ზემოთ აღინიშნა სისხლისსამართლებრივი დევნა საპროცესო საქმიანობაა და აქედან გამომდინარე, იგი იწყება მაშინ, როცა ხორციელდება საპროცესო მოქმედებები – დაკავება ან პირის ბრალდებულად ცნობა. ამდენად, მანამდე წარმოებული საქმიანობა ვერ ჩაითვლება სისხლისსამართლებრივ დევნად. ამ მხრივ აუცილებლად დასახვეწია სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტიც, სადაც საუბარია პირის ფაქტობრივ დაკავებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე. სისხლისსამართლებრივი დევნის ასეთი ფართო გაგება, როგორც აღინიშნა, გარკვეულწილად ეწინააღმდეგება სისხლისსამართლებრივი დევნის დაკავებისთანავე დაწყებას.

გარდა ამისა, დასახვეწია სსსკ-ის 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც პროკურორს ავალდებულებს პირის დაკავების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს. აღნიშნული მოთხოვნა სასამართლოს მხრიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არდაწყების საკითხის გადაწყვეტაში პირდაპირ ჩარევას ნიშნავს, რაც არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. მით უმეტეს, რომ „გადაუდებელი აუცილებლობის“ შემთხვევაში დაკავებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას არ სჭირდება არანაირი ნებართვა.

თავი VII. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პირის ბრალდებულად ცნობისთანავე

§1 პირის ბრალდებულად ცნობა

1.1. ბრალდების შესახებ დადგენილება

პირის ბრალდებულად ცნობა (სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა)³⁵⁰ სისხლისსამართლებრივი დევნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელსაც ბრალდებულისათვის სერიოზული სამართლებრივი შედეგი მოაქვს.³⁵¹ ეს არის გამოძიების სტადიაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რა დროსაც სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო ან თანამდებობის პირი, ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილებით, ოფიციალურად ამტკიცებს (აფასებს) კონკრეტული პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების

³⁴⁹ „ცხელ კვალზე“ დადევნება შესაძლებელია განხორციელდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების პროცესში. იხ. ვოგ შელიძე რ., ფალიაშვილი ა., დასახ. ნაშრ., 82.

³⁵⁰ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ტერმინებს: „პირის ბრალდებულად ცნობა“ და „პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა“, რომლებსაც შინაარსობრივად იდენტური მნიშვნელობა აქვთ. იხ. მოქმედი სსსკ-ის მუხ. 108-ე, 167-ე; „პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის“ განმარტება იხ. სტროგოვიჩი მ.ს., დასახ. ნაშრ., 312-313

³⁵¹ იხ.: Козубенко Ю.В., Уголовное преследование: вопросы теории и практики., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Екатеринбург, 2006, 134; Громов Н.А., Уголовный процесс России, Учебное пособие, Москва, 1998, 130.

ჩადენას.³⁵² ამ მომენტიდან ბრალდებულს უფლება აქვს იცოდეს, თუ რაში ედება ბრალი და ასევე ენიჭება მთელი რიგი უფლებები (სსსკ-ის მუხ. 38-ე, 39-ე), რათა დაიცვას თავი წაყენებული ბრალდებისაგან.³⁵³ პირის ბრალდებულად ცნობა არის ბრალდების მხარის წარმატებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგი,³⁵⁴ რომელიც არ არის საბოლოო.

უდავოა, რომ სისხლის სამართალწარმოების დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საპროცესო ნორმების სწორად შერჩევას და გამოყენებას. პირის ბრალდებულად ცნობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს არა მხოლოდ საპროცესო ნორმების, არამედ მატერიალური ნორმების სწორად გამოყენებასაც, ვინაიდან პირის ბრალდებულად ცნობის შემთხვევაში საპროცესო ნორმებთან ერთად გამოიყენება მატერიალური ნორმებიც³⁵⁵ და ხდება გამოძიების შედეგად მოპოვებული მონაცემების შეფასება.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ მიიღება არა მხოლოდ ბრალდების ფორმულირებისას, არამედ იგი განვითარებას იწყებს უფრო შორი მისადგომებიდან. კერძოდ, ასეთი გადაწყვეტილების მიღების ფორმირება იწყება საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მომენტიდან, გრძელდება შესაბამისი სამართლებრივი ნორმების შერჩევით და მთავრდება ბრალდების ფორმულირებით. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით სისხლისსამართლებრივ დევნაში გამოყოფენ სამ ეტაპს: ა) ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, ბ) მოპოვებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასება, კვალიფიკაცია და გ) ბრალდების ფორმულირება შესაბამის საპროცესო აქტში.³⁵⁶

ზემოთ მითითებულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ვერანაირად ვერ იქნება პირის ბრალდებულად ცნობის (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების) საფუძველი, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული პირის მიმართ. რაც შეეხება ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, ეს არის გამოძიების კომპეტენცია.³⁵⁷ გამოძიების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საფუძველად ედება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, მაგრამ დევნის ფორმირება ვერ მოხდება ფაქტობრივი გარემოებების მოპოვებისას. ჯერ უნდა შეფასდეს – არსებობს თუ არა პირის ბრალდების საფუძველი და

³⁵² იხ.: Уголовный процесс, Коллектив авторов, Под редакцией Прошлякова А.Д., Балакишина В.С., Козубенко Ю.В., Учебник, Москва, 2011, 458-459; Руководство по расследованию преступлений, Коллектив авторов, Рук. авт. колл. Гриненко А.В., Учебное пособие, Москва, 2002, 65.

³⁵³ იხ. Руководство по расследованию преступлений, Коллектив авторов, Рук. авт. колл. Гриненко А.В., Учебное пособие, Москва, 2002, 65.

³⁵⁴ იხ. Безлепкин Б.Т., Уголовный процесс России, Учебное пособие, Издание второе, переработанное и дополненное, Москва, 2004, 238.

³⁵⁵ იხ. Козубенко Ю.В., Уголовное преследование: вопросы теории и практики., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Екатеринбург, 2006, 121.

³⁵⁶ იხ. იქვე, 134.

³⁵⁷ იხ. სადისერტაციო ნაშრომის II კარის, V თავის, §3.

შემდგომ განხორციელდეს ბრალდების ფორმულირება. ამდენად, პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მოპოვებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას და არა ამ გარემოებების მოპოვებისას.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება შესაძლებელია დანაშაულის ჩამდენი საგარაუდო პირის ბრალდებულად ცნობით (მუხ. 167-ე). პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება (მუხ. 169-ე). არასაკმარისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, პირის ბრალდება და დაპატიმრება დაუშვებელია.³⁵⁸ თუმცა კანონი არ განსაზღვრავს თუ რა იგულისხმება დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარის მტკიცებულებებში. აღნიშნული საკითხი შეფასებითია.

ამასთან, ბრალდების ფორმულირებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისეთი გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანია პირის ბრალდებისთვის. არასწორი ან არასრულყოფილი გარემოებების ან მონაცემების გამოყენება უშედეგოდ გადატვირთავს და არასრულად წარმოაჩენს ბრალდების ფორმულირებას.³⁵⁹

ყოველ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე პირის ბრალდებულად ცნობა ინდივიდუალურად ხდება³⁶⁰ და ეს პროცესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, როგორც საპროცესო საქმიანობის შედეგად მიღებულ მონაცემებზე – მტკიცებულებებზე, ისე გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის პოზიციაზე.³⁶¹

პირის ბრალდებულად ცნობის თაობაზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, აუცილებელია საკმარისი მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც პროკურორს გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ (მუხ. 169-ე, მე-2 ნაწ.). აღნიშნული დადგენილების გამოტანის შემდეგ პირი ითვლება ბრალდებულად³⁶² და თუ იგი დაკავებული არ არის, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა სწორედ ამ მომენტიდან იწყება (მუხ. 167-ე, 1-ლი ნაწ.). დადგენილება პირის ბრალდების შესახებ უნდა იყოს კატეგორიული ხასიათის. იგი უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ, რეალურ მტკიცებულებებს.³⁶³

³⁵⁸ იხ. *Безлепкии Б.Т.*, დასახ. ნაშრ., 238.

³⁵⁹ იხ. *Козубенко Ю.В.*, Уголовное преследование: вопросы теории и практики., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Екатеринбург, 2006, 135.

³⁶⁰ იხ.: *Громов Н.А.*, Уголовный процесс России, Учебное пособие, Москва, 1998, 132; Уголовно-процессуальное право Российской Федерации, Коллектив авторов, Под редакцией *Лушинская П.А.*, Учебник, Москва, 2003, 413-414.

³⁶¹ იხ. Уголовный процесс, Коллектив авторов, Под редакцией *Прошлякова А.Д.*, *Балакишина В.С.*, *Козубенко Ю.В.*, Учебник, Москва, 2011, 461.

³⁶² იხ. *გაბისონია ი.* სისხლისსამართლებრივი დევნის საპროკურორო ფუნქციის განხორციელების ზოგიერთი კონცეფტუალური საკითხი, ჟურნალი „სამართალი“, 1997, №7-8, 25-31.

³⁶³ იხ.: Уголовный процесс, Коллектив авторов, Под редакцией *Прошлякова А.Д.*, *Балакишина В.С.*, *Козубенко Ю.В.*, Учебник, Москва, 2011, 462; *Громов Н.А.*, Уголовный процесс России, Учебное пособие, Москва, 1998, 131.

თუ დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირი დაკავებულია, სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულად ჩაითვლება პირის დაკავების მომენტიდან (მუხ. 167-ე, 1-ლი ნაწ.). ამ შემთხვევაში, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მოხდება დაკავებული პირის ბრალდებულად ცნობა, მაგრამ ამ დროს ბრალდების დადგენილება არ შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი, არამედ, პროკურორის მიერ ასეთი დადგენილების გამოტანა გააგრძელებს დაკავებისთანავე დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნას. გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც დაკავებული განთავისუფლდება ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანამდე სსსკ-ის 176 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „ბ“ „დ“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში³⁶⁴ ან თუ დაკავებულს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა არ გადაეცა ბრალდების შესახებ დადგენილება (მუხ. 174-ე, მე-5 ნაწ.). ამ დროს სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება და იგი განახლდება იმავე საქმეზე ახალი ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტიდან. ზემოაღნიშნული საფუძვლებით დევნა წყდება დაკავებულის განთავისუფლების შესახებ დადგენილების გამოტანით. ამ შემთხვევაში საჭირო არ არის დევნის შეწყვეტის შესახებ ცალკე დადგენილების გამოტანა. აღნიშნულის დასადასტურებლად პრაქტიკიდანაც შეიძლება მაგალითის მოყვანა. კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ 2014 წლის 10 აპრილს განიხილა საჩივარი ბრალდებულ რ. ქ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასა და წინასასამართლო სხდომის დანიშვნაზე უარის თქმასთან დაკავშირებით: 2014 წლის 29 იანვარს რ. ქ. დაკავებულ იქნა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა-შენახვის ფაქტზე. ვინაიდან ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთიერება არ აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალება, პროკურორის დადგენილებით დაკავებული დაუყოვნებლივ განთავისუფლდა. იმავედროულად, რ. ქ.-ს ნარკოლოგიური ექსპერტიზით დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მიღების ფაქტი, რის გამოც 2014 წლის 01 აპრილს წარედგინა შესაბამისი ბრალდება. სასამართლომ განმარტა, რომ ბრალდებულის დაკავებიდან განთავისუფლებით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ეპიზოდში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა. ამ შემთხვევაში პროკურორს არ გამოუტანია დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება და მას ეს არც ევალებოდა, რადგან მითითებულ ეპიზოდში ბრალდების შესახებ დადგენილება საერთოდ არ ყოფილა გამოტანილი. ასეთ დროს კანონი არ ავალდებულებს პროკურორს გამოიტანოს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დადგენილება.³⁶⁵

³⁶⁴ ა) არ დადასტურდა ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული; გ) გავიდა დაკავების ამ კოდექსით დადგენილი ვადა; დ) არ იქნა მიღებული უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობა დაკავებაზე; ე) დაკავებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი; ვ) სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მისაღწევად დაკავება აღარ არის აუცილებელი.

³⁶⁵ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2014 წლის 10 აპრილის განჩინება, საქმე №1გ/355.

მაშასადამე, პირის დაკავებიდან გათავისუფლების შესახებ პროკურორის დადგენილებით სისხლისამართლებრივი დევნა ისე წყდება, რომ ამისათვის პროკურორს დევნის შეწყვეტის დადგენილება არ გამოაქვს. შესაბამისად, სისხლისამართლებრივი დევნაც არ გრძელდება, მაგრამ საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, პროკურორს დაკავებული რ. ქ.-ს ბრალდების შესახებ დადგენილება რომ გამოეტანა, მაშინ სისხლისამართლებრივი დევნა გაგრძელდებოდა. რაც შეეხება 2014 წლის 01 აპრილს რ. ქ.-სათვის წარდგენილ ახალ ბრალდებას, აღნიშნული ვერ ჩაითვლება სისხლისამართლებრივი დევნის გაგრძელებად, ვინაიდან რ. ქ.-ს ბრალდებულად ცნობა არ მომხდარა იმ პერიოდში, რა დროსაც იგი დაკავებული იყო.

სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებას ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანით, ასევე ამ მოქმედებით დაკავებული პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის გაგრძელებას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც სწორედ ამ მომენტიდან იწყება პროკურორის მხრიდან ბრალდების ფუნქციის პრაქტიკული რეალიზაცია.

მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში მოცემული ცალკეული ნორმების (მუხ. 167-ე, 169-ე) ანალიზი საშუალებას იძლევა, რომ სისხლისამართლებრივი დევნა უფრო ფართო მნიშვნელობით იქნეს წარმოდგენილი და გაგებული ვიდრე „სისხლისამართლებრივი ბრალდება“. სისხლისამართლებრივ დევნას შეიძლება პირის ბრალდებამდეც ჰქონდეს ადგილი და ამის შემდეგაც გაგრძელდეს. აქედან გამომდინარე, იგი მოიცავს ბრალდებას და მთლიანად საბრალდებო საქმიანობას. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ სისხლისამართლებრივი დევნა ბრალდების ფუნქციის შემადგენელი ნაწილია და მას ადგილი აქვს მხოლოდ გამოძიების სტადიაზე.³⁶⁶ ზოგიერთი ავტორი კი ვერავითარ სხვაობას ვერ ხედავს ბრალდებასა და სისხლისამართლებრივ დევნას შორის,³⁶⁷ რაც არ არის მართებული. ასეთი მიდგომა სისხლისამართლებრივი დევნის ვიწრო მნიშვნელობით გაგებას და არ შეესაბამება მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას (სსსკ-ის მუხ. 167-ე, 1-ლი ნაწ.).

საუბარია რა პირის ბრალდებულად ცნობასა და ბრალდების შესახებ დადგენილებაზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მოხსენიებულია ტერმინები „*ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა*“, „*სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა*“ და „*სისხლისამართლებრივი დევნის აღძვრა*“ (დაწყება), რომლებიც თავისი შინაარსით და მნიშვნელობით გარკვეულწილად შეესაბამებიან *პირის ბრალდებულად ცნობას*. აღნიშნული ტერმინები არსებითად ერთი და იგივე საპროცესო აქტით – დადგენილებით გამოიხატებოდა და ამ აქტს უდიდესი

³⁶⁶ იხ. *კობალაძე პ.*, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისა და სისხლისამართლებრივი დევნის ფუნქციათა ურთიერთგამიჯვნისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(22)09, 49-56.

³⁶⁷ იხ.: *Строгович М.С.*, Курс Советского уголовного процесса, Москва, 1958, 100; *Строгович М.С.*, Курс советского уголовного процесса, том 1, Москва, 1968, 194.

მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან სწორედ აქედან იწყებოდა და ხორციელდებოდა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.³⁶⁸

ამასთან, ზემოხსენებულ ტერმინებს სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვაც გააჩნდათ. კერძოდ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ნიშნავდა, რომ პირს წაყენებული ჰქონდა ბრალდება და მას პასუხი უნდა ეგო სასამართლოს წინაშე; ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა გულისხმობდა იმას, რომ დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირი განსაკუთრებულ საპროცესო მდგომარეობაში ექცეოდა, გარკვეული უფლებებით სარგებლობდა და მოვალეობებიც ეკისრებოდა. სისხლისსამართლებრივი დევნის ადგილით კი ბრალმდებელი ხელისუფლება კისრულობდა ვალდებულებას – ემხილა პირი დანაშაულის ჩადენაში და ამისათვის გამოეყენებინა ყველა საჭირო კანონიერი ღონისძიება.³⁶⁹

მოქმედმა საპროცესო კანონმდებლობამ მარტივად განსაზღვრა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ერთ-ერთი გზა – პირის ბრალდებულად ცნობა (სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა), რომლის ერთ-ერთი პირველი ეტაპია³⁷⁰ (ელემენტია) დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის მიმართ ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანა. საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია ის სავალდებულო მონაცემებიც, რომლებიც უნდა აისახოს ბრალდების შესახებ დადგენილებაში. ესენია:

ა) ბრალდებულის სახელი და გვარი, მამის სახელი, დაბადების რიცხვი, თვე და წელი, პირადი ნომერი;

ბ) ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;

გ) გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა;

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული.

ბრალდების შესახებ დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილებას პირის ბრალდების თაობაზე (სსსკ-ის მუხ. 169-ე მე-3 და მე-4 ნაწ.).

ზემოთ მითითებული მონაცემები, რომლებიც პირის ბრალდებისათვის არის საჭირო, კანონმდებლობით მკაცრად არის განსაზღვრული და მათი მითითება ბრალდების შესახებ დადგენილებაში აუცილებელია. თუმცა უმჯობესი იქნებოდა ზემოთ მითითებული მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები დამთავრებულიყო შემდეგი სიტყვებით: „და სხვა გარემოებები“, რაც იმის მაუწყებელი იქნებოდა, რომ გარდა დასახელებულ პუნქტებში მისათითებული სავალდებულო მონაცემებისა, შეიძლებოდა ფაქულტატიური

³⁶⁸ იხ. სტროგოვიჩი მ.ს., დასახ. ნაშრ., 315.

³⁶⁹ იხ. იქვე.

³⁷⁰ პირის ბრალდებულად ცნობის შემადგენელ მეორე ელემენტზე ქვემოთ იქნება მსჯელობა

მონაცემების (მაგალითად, ნასამართლობის, სამუშაო ადგილის და ა.შ.) მითითებაც.³⁷¹

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობამ, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება კიდევ უფრო „შორი მისაღვომებიდან“ – პირის დაკავებიდან განსაზღვრა და დაკავებული მოაქცია ბრალდებულის საპროცესო მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ *პირის დაკავების ოქმი და დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის ბრალდების შესახებ დადგენილება* სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თვალსაზრისით, *თანაბარი მნიშვნელობის საპროცესო დოკუმენტებად შეიძლება იქნეს მიჩნეული.*³⁷²

1.2 ბრალის (ბრალდების) წაყენება

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გარდა ითვალისწინებს კიდევ ერთ ინსტიტუტს *ბრალის (ბრალდების) წაყენებას*, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, ბრალდების მხარის საქმიანობის შუალედურ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.³⁷³

ბრალის წაყენება შეიძლება ითქვას, რომ ახალი ტერმინია. საქართველოს 1998 წლის საპროცესო კანონმდებლობაში მოხსენიებული იყო ბრალდების წაყენება, ასევე ბრალდების წარდგენა.³⁷⁴ დღეს მოქმედი კანონმდებლობა კი მას ბრალის წაყენებას უწოდებს. ბრალის წაყენებას, ბრალდების წარდგენას და ბრალდების წაყენებას პრაქტიკული თვალსაზრისით ერთნაირი დატვირთვა აქვთ. თუმცა *ი. აქუბარდია* სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ ბრალის წაყენება არასწორი ტერმინია. პირს უნდა წაყენოს ბრალდება და არა ბრალი. ბრალდება არის ინკრიმინირებული ქმედების აღწერა მისი ჩადენის ადგილის, დროის ხერხის და ა.შ. გათვალისწინებით. ბრალდების შესახებ დადგენილება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმ მტკიცებულებების შესახებ, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა და ასევე ჩადენილი ქმედების სისხლისსამართლებრივ შეფასებას. სწორედ ასეთი ბრალდება უნდა წარედგინოს დანაშაულის ჩამდენ სავარაუდო პირს და არა ბრალი, რომელიც სისხლისსამართლებრივი ცნებაა, შეფასებითი კატეგორიაა და სასამართლოს დასადგენია.³⁷⁵

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, პირის ბრალდებულად ცნობა (სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა) იყოფა ორ სხვადასხვა საპროცესო მოქმედებად, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და განსაზღვრავენ ერთმანეთს. ესენია: ბრალდების

³⁷¹ შეად. *Козубенко Ю.В.*, Уголовное преследование: вопросы теории и практики., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Екатеринбург, 2006, 135-141.

³⁷² იხ. *Ларин А. М.*, Расследование по уголовному делу: Процессуальные функции, Москва, 1986, 39.

³⁷³ იხ. *Тишковой Е.И.*, დასახ. ნაშრ., 150.

³⁷⁴ იხ. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2009 წლის 01 აპრილის მდგომარეობით, მუხ. 25-ე, 75-ე.

³⁷⁵ იხ. *აქუბარდია ი.*, დასახ. ნაშრ., 116-117.

შესახებ დადგენილების გამოტანა და ბრალის (ბრალდების) წაყენება.³⁷⁶ ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანის თავისებურებებზე ზემოთ უკვე აღინიშნა. რაც შეეხება ბრალის წაყენებას, იგი გამოიხატება ბრალდებულისა და ამ უკანასკნელის ადვოკატისათვის ბრალდების შესახებ დადგენილების გაცნობაში, ბრალდების არსის განმარტებასა და დადგენილების ასლის მათთვის გადაცემაში.³⁷⁷

ზოგიერთი ავტორი ბრალდების წაყენებას ვიწრო და ფართო გაგებით განმარტავს. *ბრალდების წაყენება ვიწრო მნიშვნელობით არის* საპროცესო მოქმედება, რომელიც გამოიხატება ბრალდების შესახებ დადგენილების და ბრალდების არსის ბრალდებულისათვის გაცნობაში. *ბრალდების წაყენება ფართო გაგებით* მოიცავს, როგორც პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანას, ასევე ამ დადგენილების ბრალდებულისათვის გაცნობასაც.³⁷⁸

მაშასადამე, ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანა და ამ დადგენილების გაცნობა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებებია, რომლებიც შესრულების დროის მხრივ ერთმანეთს არ ემთხვევიან, მაგრამ ერთმანეთს განსაზღვრავენ. ამასთან, როგორც ჩანს, ზოგიერთი ავტორი ამ საპროცესო მოქმედებებს ბრალდების წაყენებას უწოდებს; არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ეს ორივე საპროცესო მოქმედება პირის ბრალდებულად ცნობაში იგულისხმება.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ბრალის წაყენებას ვიწრო მნიშვნელობით განიხილავს და მასში გულისხმობს მხოლოდ უფლებამოვალეობების ნუსხით ბრალდების შესახებ დადგენილების ბრალდებულისათვის და/ან მისი ადვოკატისათვის გაცნობის და გადაცემის მომენტს – „ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. დადგენილების გამოტანის შემდეგ პროკურორი განსაზღვრავს ბრალის წაყენების დროსა და ადგილს“; „პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი ბრალდების შესახებ დადგენილებას გააცნობს ბრალდებულსა და მის ადვოკატს (თუ ბრალდებულის ინტერესებს იცავს ადვოკატი), რომლებიც ხელმოწერით ადასტურებენ დადგენილების გაცნობისა და მისი ასლის მიღების ფაქტს. დადგენილების ასლი ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხით გადაეცემა ბრალდებულს ან/და მის ადვოკატს.“ „პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი ბრალის წასაყენებლად იძახებს ბრალდებულის ადვოკატს და გააცნობს ბრალდების შესახებ დადგენილებას, რაც ჩაითვლება ბრალის წაყენებად“ (სსსკ-ის მუხ. 169-ე). ამ მონაკვეთებიდან ნათლად ჩანს, რომ

³⁷⁶ იხ.: Уголовный процесс, Коллектив авторов, Под редакцией Прошлякова А.Д., Балакишина В.С., Козубенко Ю.В., Учебник, Москва, 2011, 464; Строгович М.С., Курс Советского уголовного процесса, Москва, 1958, 301; შუად.: Руководство по расследованию преступлений, Коллектив авторов, Рук. авт. колл. Гриненко А.В., Учебное пособие, Москва, 2002, 68.

³⁷⁷ იხ.: Уголовный процесс, Коллектив авторов, Под редакцией Прошлякова А.Д., Балакишина В.С., Козубенко Ю.В., Учебник, Москва, 2011, 465-466; Уголовно-процессуальное право Российской Федерации, Коллектив авторов, Под редакцией Лутинская П.А., Учебник, Москва, 2003, 415.

შუად. Громов Н.А., Уголовный процесс России, Учебное пособие, Москва, 1998, 133.

³⁷⁸ იხ. სტროგოვიძე მ.ს., დასახ. ნაშრ., 1948, 315.

ბრალის წაყენებაში არ მოიაზრება პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანა, არამედ ბრალდების შესახებ დადგენილების ბრალდებულისათვის და მისი ადვოკატისათვის გაცნობის მომენტი.

ამდენად, მართებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირის ბრალდებულად ცნობაში იგულისხმება, როგორც ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანა, ისე ბრალის წაყენებაც. აღნიშნული დასტურდება მოქმედი სსსკ-ის 169-ე მუხლის სათაურიდან და ამ ნორმის შინაარსიდანაც. მითითებულ მუხლს ეწოდება პირის ბრალდებულად ცნობა, ხოლო მასში მოცემულია პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანისა და ბრალის წაყენების პროცესი. მაშასადამე, კანონმდებელმა მითითებული საპროცესო მოქმედებები ასახა ერთ მუხლში და მათ პირის ბრალდებულად ცნობა უწოდა.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, ბრალი წაყენებულ უნდა იქნეს დადგენილების გამოტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა (სსსკ-ის მუხ. 169-ე). თუ ბრალდების შესახებ დადგენილება არ გაეცნო ბრალდებულს და მის ადვოკატს, ამ ვადის გასვლის შემდეგ იგი ძალადაკარგულად ჩაითვლება და შესაბამისად სისხლისსამართლებრივი დევნაც შეწყდება.

სწორედ აქედან გამომდინარეობს ამ საპროცესო მოქმედებათა ურთიერთდამოკიდებულება. თუ არ იქნა გამოტანილი პირის ბრალდების შესახებ დადგენილება, ვერ მოხდება ბრალის წაყენება. შესაბამისად, კანონით დადგენილ ვადაში თუ არ მოხდა ბრალის წაყენება, გაუქმდება ბრალდების შესახებ დადგენილება და სისხლისსამართლებრივი დევნაც შეწყდება. მაშასადამე, ეს ორი მოქმედება ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელ ელემენტს. ერთ-ერთი ელემენტის არ არსებობა გამორიცხავს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, პროკურორს გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, მაგრამ შემდგომ პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი ამ დადგენილებას გააცნობს ბრალდებულს და მის ადვოკატს (სსსკ-ის მუხ. 169-ე).

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანა პროკურორის კომპეტენციაა, მაგრამ ბრალის წაყენება პროკურორის დავალებით შეუძლია გამომძიებელსაც. თუ ბრალის წაყენება სისხლისსამართლებრივი დევნის ელემენტია და ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ დევნას ახორციელებს გამომძიებელიც.³⁷⁹ შესაბამისად, პროკურორს ფორმალურად აქვს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ექსკლუზიური უფლება.

ამ მხრივ სხვა ვითარებაა რუსეთის სისხლის საპროცესო სამართალში. კერძოდ, მითითებული ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობით (მუხ. 21-ე,

³⁷⁹ იხ. *მამნიაშვილი მ.*, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ასპექტები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შექმნის 30 წლისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2010-2012, 52, <<http://sou.edu.ge/files/Iuriduli%20fakulteti/gamocemebi/LawFaculty-30a.pdf>>, ბოლოს გამოსმოხილია 03.01.2014.

171-ე, 172-ე) პროკურორთან ერთად გამომძიებელიც არის სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი. მას უფლება აქვს გამოიტანოს პირის ბრალდების შესახებ დადგენილება და წაუყენოს პირს ბრალდება. საქართველოს 1998 წლის საპროცესო კანონმდებლობაც ითვალისწინებდა გამომძიებლის მიერ პროკურორის თანხმობით პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანას და ბრალდების წარდგენას. მაგრამ ეს ის შემთხვევებია, როდესაც გამომძიებელი სისხლისსამართლებრივი დევნის განმასხვრციელებელ სუბიექტად არის მიჩნეული. საქართველოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა კი ასეთ სუბიექტად მხოლოდ პროკურორს მიიჩნევს. შესაბამისად, ბრალის წაყენების უფლებაც მხოლოდ მას უნდა ჰქონდეს და არა გამომძიებელს.

პირისათვის ბრალდების წაყენება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება აშშ-ს სისხლის სამართლის პროცესში. კერძოდ, საქართველოს მსგავსად პირის ბრალდების შესახებ გადაწყვეტილებას აშშ-ი პროკურორი იღებს. იმ შემთხვევაში, თუკი ბრალის წაყენების წინა ეტაპზე შემოწმების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან დაკავშირებით, შემდეგი საფეხური იქნება ბრალის წაყენების შუამდგომლობით მიმართვა მაგისტრატის მოსამართლისათვის.³⁸⁰ ამ საბრალდებო დოკუმენტს ეწოდება ინფორმაცია, პრეტენზია ან საჩივარი.³⁸¹ უმეტეს დანაშაულებზე საჩივარი არის საკმაოდ მოკლე შინაარსის დოკუმენტი. მისი უმთავრესი მიზანია ლაკონურად ჩამოაყალიბოს მტკიცებულებები, რომ ბრალდებულმა გარკვეულ დროსა და ადგილზე ჩაიდინა კონკრეტული ძალადობრივი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობით.³⁸²

საჩივრის წარდგენით, პიროვნება ხდება ბრალდებული კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე. ოფიციალური ბრალდება სასამართლოში საქმის წარმოების საფუძველია.³⁸³ საჩივრის წარდგენის შემდეგ, საქმე გადაეცემა მაგისტრატ მოსამართლეს და ბრალდებული დადგენილ ვადაში უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე, რასაც უწოდებენ ბრალდებულის პირველ წარდგენას სასამართლოში.³⁸⁴ ამის შემდეგ ინიშნება წინასასამართლო სხდომა, რა დროსაც მიიღება გადაწყვეტილება სასამართლოსათვის სისხლის სამართლის საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ; ანუ პირისათვის ოფიციალური ბრალდების წაყენება სასამართლოში ხდება.³⁸⁵

მაშასადამე, აშშ-ი პირის ბრალდება ხდება სასამართლოში შესაბამისი საჩივრის (საბრალდებო დოკუმენტის) შეტანის გზით და ზემოაღნიშნული პროცედურების გავლით. რაც შეეხება საქართველოს, პირის ბრალდებულად ცნობაში მოიაზრება როგორც ბრალდების შესახებ დადგენილების

³⁸⁰ დაწვრილებით იხ. *Kamisar Y., Lafave W.R., Israel J.H., King N.J.*, დასახ. ნაშრ., 9-12.

³⁸¹ იხ. *Королев Г.Н.*, დასახ. ნაშრ., 316.

³⁸² იხ. *Kamisar Y., Lafave W.R., Israel J.H., King N.J.*, დასახ. ნაშრ., 11.

³⁸³ იხ. იქვე, 11-12.

³⁸⁴ იხ.: იქვე, 12-13; *Королев Г.Н.*, დასახ. ნაშრ., 316-319.

³⁸⁵ დაწვრილებით იხ.: *Шманатова В. Е.*, დასახ. ნაშრ., 64-68; *Kamisar Y., Lafave W.R., Israel J.H., King N.J.*, დასახ. ნაშრ., 12-16; შეად.: *Горлова С.В.*, დასახ. ნაშრ., 103.

გამოტანა, ასევე ბრალდების წაყენება და ეს მოქმედებები ხორციელდება სასამართლოსაგან დამოუკიდებლად. პირის ბრალდებულად ცნობის შემდეგ კი ხდება ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში წინასასამართლო სხდომის თარიღის დასანიშნად და ამ უკანასკნელისათვის აღკვეთის ღონისძიების შესაფარდებლად.

§2 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მიმალვაში მყოფი ბრალდებულის მიმართ

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მაშინ, როდესაც დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირი თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას. ამ შემთხვევაში ბრალდებულის ახლო ნათესავს ეძლევა გონივრული ვადა, რათა აიყვანოს ადვოკატი. თუ განსაზღვრულ ვადაში ახლო ნათესავი არ აიყვანს ადვოკატს, მაშინ იგი ბრალდებულს დაენიშნება სავალდებულო წესით. (სსსკ-ის მუხ. 169-ე, მე-6 ნაწ.). ამ შემთხვევაში ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულო იმიტომ არის, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე არ დაირღვეს მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა. დაცვის მხარეს უნდა მიეცეს საშუალება მოახდინოს თავისი საპროცესო უფლებების პრაქტიკული რეალიზაცია. ამ ეტაპზე და გამოძიების მოვლ სტადიაზე ადვოკატის მონაწილეობა უმნიშვნელოვანესია და ეს ნათლად იკვეთება იმ საპროცესო უფლებებით, რომელიც მას აქვს მინიჭებული.³⁸⁶ სწორედ ადვოკატი გაეცნობა და მასვე გადაეცემა პირის ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი, რაც ბრალის წაყენებად ჩაითვლება (სსსკ-ის მუხ. 169-ე, მე-6 ნაწ.).

მოცემულ შემთხვევაში, პრაქტიკული თვალსაზრისით, აუცილებელია გაირკვეს რამოდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. კერძოდ:

ა) რა უნდა ჩაითვალოს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებისაგან თავის არიდებად?

ბ) როგორ უნდა დაიწყოს და გაგრძელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ვერც დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის ფაქტობრივი ადვილსამყოფელის დადგენა და ვერც მისი ახლო ნათესავის მოძიება?

პირის საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებისაგან თავის არიდებად შეიძლება ჩაითვალოს, როცა მას ან მის ახლო ნათესავს რამდენჯერმე (მინიმუმ ორჯერ მაინც) ჩაბარდა უწყება გამოცხადების შესახებ ან ამ უკანასკნელს კომუნიკაციის საშუალებით რამდენჯერმე ეცნობა საგამოძიებო ორგანოში გამოცხადების თაობაზე, მაგრამ იგი არ გამოცხადდა. პრაქტიკული თვალსაზრისით არ არის მართებული მხოლოდ ერთხელ მოხდეს შეტყობინების გაგზავნა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში ჩაითვალოს, რომ პირი თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას. შესაძლებელია ეს უკანასკნელი იმყოფებოდეს ისეთ

³⁸⁶ იხ. აქუბარდია ი., დასახ. ნაშრ., 118-135.

მდგომარეობაში, რომ ვერ მოახერხოს გამოცხადება და ამის თაობაზე ვერც გააფრთხილოს საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელი (მაგალითად, ავადმყოფობა და ა.შ.).

როდესაც გამოიკვეთება დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირი, მაგრამ ვერ ხერხდება ამ პირის და მისი ახლო ნათესავის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დადგენა, ამ მომენტში შესაძლოა დაბრკოლდეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და მისი განხორციელება. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ასეთ დროს ბრალდების მხარე. ამ დროს საგამოძიებო ორგანომ აუცილებლად უნდა მოიპოვოს ოფიციალური დოკუმენტები ბრალდებულისა და მისი ახლო ნათესავების ადგილსამყოფელის დაუდგენლობის შესახებ. ასეთი დოკუმენტი შეიძლება იყოს იმ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს ან პოლიციის ცნობა, სადაც რეგისტრირებულია ბრალდებული. ამის შემდეგ დანაშაულის ჩამდენ სავარაუდო პირს დამცველი დაენიშნება სავალდებულო წესით და მას გადაეცემა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაუწყებელი დოკუმენტი – პირის ბრალდების შესახებ დადგენილება.

ზემოაღნიშნულის დასასაბუთებლად პრაქტიკიდან შეიძლება შემდეგი მაგალითის მოყვანა: 2010 წლის 16 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოში, დაიწყო გამოძიება ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. გამოძიებით დადგინდა, რომ ნ.კ-მ ვინმე გ-სთან ერთად მოიპოვა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი – 2009 წლის 09 სექტემბრით დათარიღებული მინდობილობა, თითქოსდა ა.გ-მ კუთვნილი, ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ბინის განკარგვის უფლებამოსილება მიანიჭა ნ.კ-ს. აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე ნ.კ-მ და გ-მ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ბინა საკუთრების უფლებით დაარეგისტრირეს ნ.კ-ს სახელზე. ამ გზით ისინი თაღლითურად დაეუფლნენ ა.გ-ს კუთვნილ ბინას, რითაც მას მიაყენეს დიდი ოდენობით ზიანი. გამოძიების მიმდინარეობისას დაისვა საკითხი ნ.კ-ს ბრალდების შესახებ, მაგრამ მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი ვერ იქნა დადგენილი. ნ.კ. აღმოჩნდა აფხაზეთიდან დევნილი და მისი იურიდიული მისამართი იყო გალის რაიონი. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით გაირკვა, რომ ნ.კ. როგორც აფხაზეთიდან დევნილი, ახლო ნათესავებთან ერთად დროებით რეგისტრირებული იყო ქ.ბორჯომში. ქ.ბორჯომის მუნიციპალიტეტიდან და პოლიციიდან მიღებული ერთობლივი წერილობითი ცნობის თანახმად, არც ნ.კ. და არც მისი ახლო ნათესავები ქ.ბორჯომში არ ცხოვრობდნენ და მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობი იყო. სწორედ ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ, პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება ნ.კ-ს დამცველი დანიშნონდა სავალდებულო წესით. 2011 წლის 13 იანვარს გამოტანილ იქნა დადგენილება ნ.კ-ს ბრალდების შესახებ, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით გაეცნო და ჩაბარდა ამ უკანასკნელის

ადვოკატს. 2011 წლის 30 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნ.კ. დამნაშავედ სცნო.³⁸⁷

§3 სისხლისსამართლებრივი დევნის დროული დაწყებისა და განხორციელების აუცილებლობა

სისხლისსამართლებრივი დევნის დროულ დაწყებას სისხლის სამართლის პროცესში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც კი გაჩნდება საფუძველი ან შეგროვდება მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია იმისათვის, რომ პირი დაკავდეს ან ცნობილ იქნეს ბრალდებულად, პროკურორმა მაშინვე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-არდაწყების თაობაზე.

დაუშვებელია, როდესაც არსებობს პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველი, მაგრამ მას მინიჭებული აქვს მოწმის სტატუსი და სისხლის სამართლის საქმეზე ტარდება საგამოძიებო მოქმედებები.³⁸⁸ ამ შემთხვევაში პირს, რომელიც ბრალდებულად უნდა იქნეს ცნობილი, მაგრამ დროულად, სწრაფად არ მიენიჭება ეს სტატუსი, ეზღუდება საკუთარი ინიციატივით არა მხოლოდ მტკიცებულების მოპოვების უფლება, არამედ საპროცესო კანონმდებლობით ბრალდებულისათვის მინიჭებული ყველა სხვა, მათ შორის დაცვის უფლება;³⁸⁹ ანუ ირღვევა მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი (სსსკ-ის მუხ. მე-9). თუმცა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, პირს, რომელსაც გადაეცა ბრალდების შესახებ დადგენილება, უფლება აქვს დასახელებული დოკუმენტის მიღებიდან 10 დღის ვადაში მიმართოს ზემდგომ პროკურორს ან სასამართლოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების შესახებ. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში დაუშვებელია ყველა ის მტკიცებულება, რომლებიც მოპოვებულ იქნა მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი, (მუხ. 169-ე) ე.ი. ამ შემთხვევაში საჩივრის განმხილველი სასამართლო ან პროკურორი განიხილავს არა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, არამედ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საკითხს. ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულებათა საკმარისობა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე შეფასებითია³⁹⁰ და პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს საკითხი მარტივად გადასაწყვეტი არ არის. თუმცა ბრალდებულის უფლებების დაცვის მიზნით, საპროცესო კანონმდებლობით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების გასაჩივრების მექანიზმის გათვალისწინება უდავოდ დადებითი მომენტი.

³⁸⁷ იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №086100050.

³⁸⁸ იხ. Уголовный процесс, Коллектив авторов, Под редакцией Прошлякова А.Д., Балакшина В.С., Козубенко Ю.В., Учебник, Москва, 2011, 461.

³⁸⁹ შეად. Еникеев З.Д., Уголовное преследование, Учебное пособие, Уфа: Изд-во БашГУ, 2000, <http://www.pravo.vuzlib.org/book_z260_page_16.html>, ბოლოს გამოსმოხილია 04.07.2014.

³⁹⁰ იხ. მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., დასახ. ნაშრ., 84.

სისხლისსამართლებრივი დევნა დროულად უნდა დაიწყოს და განხორციელდეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მხილებულ იქნეს კონკრეტული პირი დანაშაულის ჩადენაში, ეს უკანასკნელი ბრალდებულად იქნეს ცნობილი და დაისაჯოს, არამედ იმიტომაც, რომ სწრაფად, დროულად განხორციელდეს სისხლისსამართალწარმოება.³⁹¹ მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი დევნის დროული დაწყება-განხორციელება პირდაპირ კავშირშია ბრალდებულის უფლებასთან – მის მიმართ განხორციელდეს სწრაფი მართლმსაჯულება (სსსკ-ის მუხ. მე-8).

ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის ყველა ეტაპზე დროული გადაწყვეტილებების მიღება ემსახურება პიროვნების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.³⁹²

გარდა ამისა, სისხლისსამართლებრივი დევნის დროული და სწრაფი წარმოება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობაზეც აისახება.³⁹³

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს - „დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე პირი ბრალდებულად ცნობილი შეიძლება იყოს არა უმეტეს 9 თვისა“ (სსსკ-ის მუხ. 169-ე, მე-8 ნაწ.). მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პირი დაკავებულია? ამ დროს ეს ვადა აითვლება არა პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტიდან, არამედ პირის დაკავებიდან, ვინაიდან დაკავებისას პირი უკვე ბრალდებულია.

როდესაც იმავე საქმეზე ბრალდებულს ზემოხსენებული ვადის გასვლამდე სხვა დანაშაულებრივ ფაქტზე ახალ ბრალს წაუყენებენ, ამ შემთხვევაში იწყება ახალი 9 თვიანი ვადის ათვლა და თავდაპირველი ბრალდების ვადის დინება წყდება. ახალი ბრალდების ვადის გასვლისთანავე ბრალდებულის მიმართ შეწყდება სისხლისსამართლებრივი დევნა. თუ ბრალდებულის მიმართ ამ საფუძვლით შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, მაშინ დაუშვებელია ამ პირის მიმართ იმავე ბრალის წაყენება (სსსკ-ის მუხ. 169-ე, მე-8 ნაწ.).

§4 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თავისებურებანი ინგლისში და საფრანგეთში (მოკლე მიმოხილვა)

4.1. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ინგლისში

ინგლისის სისხლის სამართლის პროცესს საფუძვლად უდევს ტრადიციული დოქტრინა იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის საქმე – ესა არის დავა ჩადენილი კონკრეტული დანაშაულის შესახებ, რომელიც

³⁹¹ იხ. *Еникеев З.Д.*, Уголовное преследование, Учебное пособие, Уфа: Изд-во БашГУ, 2000, <http://www.pravo.vuzlib.org/book_z260_page_16.html>, ბოლოს გამოხმობილია 04.07.2014.

³⁹² დაწვრილებით იხ. იქვე.

³⁹³ იხ. იქვე.

სასამართლოში განიხილება ისევე, როგორც სხვა დავები (ქონებრივი, შრომითი, და ა.შ.)³⁹⁴

ბრიტანული სისტემა ეფუძნება კერძო ბრალდების (სისხლისსამართლებრივი დევნის, private prosecution) ცნებას. გარკვეული პირობების არსებობისას, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება სავარაუდო დამნაშავე პირის წინააღმდეგ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ინგლისის სასამართლოების საქმეთა რეესტრი გადავსებულია ასეთი ბრალდებებით. პირიქით, ბრიტანეთის ჩვეულებრივი მოქალაქე კმაყოფილდება მხოლოდ პოლიციისათვის შეტყობინებით სავარაუდო დარღვევის შესახებ და საქმის მათ ხელში დატოვებით.³⁹⁵

ერთ-ერთი ახსნა, თუ რატომ არ აქვს კერძო პირს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სურვილი არის საპროცესო ხარჯები, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია და უმეტესად კერძო პირისათვის წარმოადგენს უმთავრეს ეკონომიკურ დაბრკოლებას.³⁹⁶

კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის განახორციელების დამატებითი დაბრკოლებაა სახელმწიფო ბრალდების ორგანოს დირექტორის სრული დისკრეციული უფლებამოსილება, თავის თავზე აიღოს კონტროლი ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე და გენერალური პროკურორის ძალაუფლება შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ საქმეებზე, რომლებიც ექვემდებარებიან სასამართლო განხილვას.³⁹⁷

ამ შეზღუდვების მიუხედავად, ინგლისელები კერძო პირის უფლებას დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა განიხილავენ, როგორც მნიშვნელოვან კონსტიტუციურ მხარდაჭერას თუ დაზღვევას საჯარო მოხელეების მიერ დისკრეციის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.³⁹⁸

საქართველოსაგან განსხვავებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების კუთხით სხვა ვითარებაა ინგლისში. „დანაშაულთა დევნის შესახებ“ 1985 წლის კანონის მიღებამდე სისხლისსამართლებრივ დევნას იწყებდა და ახორციელებდა პოლიცია.³⁹⁹ თუმცა, 1879 წლიდან არსებობდა სახელმწიფო ბრალდების ორგანოც, რომელსაც ჰქონდა

³⁹⁴ იხ. *მახარაძე ა.*, დასახ. ნაშრ., 53.

³⁹⁵ იხ.: *Kaufman I.R.*, *Criminal Procedure in England and the United States: Comparisons in Initiating Prosecutions*, *Fordham Law Review*, 1980, Volume 49, Issue 1, Article 8, 28., <<http://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2457&context=flr>>, ბოლოს გამოხმობილია, 05.07.2014; *Королев Г.Н.*, დასახ. ნაშრ., 319; *Уголовный процесс*, Под редакцией проф. Алексеева, 1995, <<http://www.bibliotekar.ru/ugolovnyi-process-3/191.htm>>, ბოლოს გამოხმობილია 06.07.2014.

³⁹⁶ იხ. *Kaufman I.R.*, დასახ. ნაშრ., 28.

³⁹⁷ იხ.: იქვე, 29; *Wingaert C.V.D.*, ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, ინგლისურიდან თარგმნა: *წიქარი შვილი კ.*, გამოცემის მეცნიერული რედ.: *გვერდუაძე ნ.*, თბილისი, 2002, 114.

³⁹⁸ იხ. *Kaufman I.R.*, დასახ. ნაშრ., 29.

³⁹⁹ იხ.: *Wingaert C.V.D.*, დასახ. ნაშრ., 92-93; *Картохина О.А.* Начало и прекращение уголовного преследования следователями органов внутренних дел., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, СПб., 2003, 72-102, <<http://kalinovskiy-k.narod.ru/b/kartoh/03.htm>>, ბოლოს გამოხმობილია 06.07.2014; შეად. *Горлова С.В.*, დასახ. ნაშრ., 103-104.

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებამოსილება, მაგრამ იგი დევნას აწარმოებდა საქმეთა 5-10 პროცენტზე.⁴⁰⁰ 1985 წელს შეიქმნა გვირგვინის საბრალდებო სამსახური (Crown Prosecution Service), ასევე მიღებულ იქნა „გვირგვინის ბრალმდებელთა კოდექსი“, რომელმაც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-განხორციელება დაავალა ზემოაღნიშნულ სამსახურს. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც საგარეოები გახდა, რომ პოლიცია ვერ მოქმედებდა ეფექტურად მტკიცებულებათა შეფასების თვალსაზრისით. გვირგვინის საბრალდებო სამსახურის შექმნის მიზანი იყო სუსტ საქმეებზე აღარ გაგრძელებულიყო სამართალწარმოება.⁴⁰¹

გვირგვინის საბრალდებო სამსახური დღესაც ფუნქციონირებს და მას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია გენერალური პროკურორის წინაშე.⁴⁰²

გვირგვინის ბრალმდებელთა კოდექსის (პარაგრაფი 3.1.) თანახმად, გვირგვინის ბრალმდებლებს უფლება აქვთ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყონ და განახორციელონ მნიშვნელოვან და რთულ სისხლის სამართლის საქმეებზე. როგორც აღნიშნული კოდექსიდან ჩანს, გვირგვინის ბრალმდებლების გარდა, გარკვეული კატეგორიის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნას იწყებს და ახორციელებს პოლიციაც, რომელსაც დევნის განხორციელება ევალება ამავე კოდექსის პრინციპების დაცვით.⁴⁰³ ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა შეიძლება იყოს სამართალდამრღვევი პირის მიერ პოლიციის ოფიციალური გაფრთხილების შემდეგ ახალი დანაშაულის ჩადენა, რა დროსაც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პოლიციის უშუალო მონაწილეობით გარდაუვალი ხდება.⁴⁰⁴

გარდა ამისა, პოლიცია პასუხისმგებელია ჩაატაროს სრულყოფილი გამოძიება და გახსნას დანაშაული. ამ დროს გვირგვინის ბრალმდებლები მუდმივად აძლევენ რჩევებს პოლიციას⁴⁰⁵ და სხვა სამართალდამცველებს გამოძიების ჩატარების მიმართულებებთან (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფართომასშტაბიანი, მრავალეპიზოდური დანაშაულების გამოძიება მიმდინარეობს), ასევე მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებით. ეს მათ ეხმარება წარმატებით დაასრულონ გამოძიება და მოიპოვონ

⁴⁰⁰ იხ.: Kaufman I.R., დასახ. ნაშრ., 30-33; Королев Г.Н., დასახ. ნაშრ., 319-320;

⁴⁰¹ იხ. Wingaert C.V.D., დასახ. ნაშრ., 93;

⁴⁰² იხ. Картохина О.А., დასახ. ნაშრ., 72-102;

⁴⁰³ იხ. აღნიშნული კოდექსი ფრანგულ ენაზე: Le Code des procureurs de la Couronne, <http://www.cps.gov.uk/publications/docs/french_code_2013.pdf>, ბოლოს გამოსმოხილია 07.07.2014; დამატებით იხ. Poursuites pénales, La décision d'engager des poursuites pénales, 2013, <http://www.cps.gov.uk/publications/docs/decision_prosecute_french_2013.pdf>, ბოლოს გამოსმოხილია 07.07.2014.

⁴⁰⁴ დაწვრილებით იხ.: Головки Л.В., Альтернативы уголовному преследованию как форма процессуальной дифференциации (современные тенденции развития), Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2003, 56-64; გუცენკო კ.გ., კოლოგო ლ.კ., ვილიმონოვი ბ.ა., დასახ. ნაშრ., 147-149.

⁴⁰⁵ იხ. Lewis C., The Prosecution Service Function within the English Criminal Justice System, 2006, 151, 171, <http://link.springer.com/chapter/10.1007%2F978-3-540-33963-2_4#page-1>, ბოლოს გამოსმოხილია, 23.09.2014.

ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები. თუმცა გვირგვინის ბრალმდებლებს ყოველთვის არ შეუძლიათ უხელმძღვანელონ გამოძიებას.⁴⁰⁶

როცა პოლიცია დაადგენს დანაშაულის ჩამდენ პიროვნებას და მიზანშეწონილად ჩათვლის მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-განხორციელებას, ასეთ დროს პირს ფორმალურად წაეყენება ბრალდება. ეს პროცედურა მოიცავს მხოლოდ დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირის მონაცემების სპეციალურ კართოთეკაში შეტანას. ამის შემდეგ ბრალდებული წარედგინება ოფიცერს, რომელიც გააცნობს მას ბრალდების შინაარსს და არკვევს ხომ არ აქვს ბრალდებულს სურვილი რაიმე აცნობოს პოლიციას. ამის შემდეგ, პოლიცია შეკრებილ გამამტყუნებელ მასალას გადასცემს გვირგვინის საბრალდებო სამსახურს, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას საქმის შემდგომი ბედის შესახებ.⁴⁰⁷ თუმცა ინგლისში ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებზე, პოლიციას აქვს უფლებამოსილება გამოძიების ჩატარების შემდეგ დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის თაობაზე.⁴⁰⁸

გვირგვინის ბრალმდებლებმა უნდა შეისწავლონ შემოსული სისხლის სამართლის საქმე, გამოავლინონ საქმის სუსტი მხარეები და იმ შემთხვევაში თუ დარწმუნდებიან, რომ არ არის მოპოვებული შესაბამისი მტკიცებულებები და მათი შევსება შემდგომი გამოძიებით შეუძლებელია, ამასთან, არ არსებობს საჯარო ინტერესი, დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტონ საქმე. და პირიქით, იმ შემთხვევაში თუ გვირგვინის ბრალმდებელი დარწმუნდება, რომ საქმე აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მან დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს და განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა.⁴⁰⁹

გვირგვინის საბრალდებო სამსახურში შესული სისხლის სამართლის საქმის შესწავლისას ბრალმდებლებმა უნდა გაითვალისწინონ ყველა შესაძლო ვარიანტი, ცვლილება, რაც შეიძლება ამ საქმესთან დაკავშირებით მომავალში მოხდეს; მათ გამოძიებლებთან ერთად უნდა განიხილონ საქმეზე გასატარებელი ღონისძიებები, როდესაც საჭიროა ბრალდების შეცვლა ან საქმის შეჩერება. ბრალმდებლებმა და საქმის გამოძიებლებმა ერთმანეთთან მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ. თუმცა საქმე უნდა გაგრძელდეს თუ არა საბოლოოდ, გვირგვინის ბრალმდებელთა გადასაწყვეტია და პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებათ.⁴¹⁰

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ პარლამენტმა განსაზღვრა დანაშაულები, რომელთა სასამართლოში წარმართვა და ამ დანაშაულებში ბრალდებულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-

⁴⁰⁶ იხ. Le Code des procureurs de la Couronne, par. 3.2.,

<http://www.cps.gov.uk/publications/docs/french_code_2013.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 07.07.2014.

⁴⁰⁷ იხ.: *Королев Г.Н.*, დასახ. ნაშრ., 323-324; *გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.კ., ფილიმონოვი ბ.ა.*, დასახ. ნაშრ., 151-152.

⁴⁰⁸ იხ. *Wade M.*, The Power to Decide – Prosecutorial Control, Diversion and Punishment in European Criminal Justice Systems Today, 2006,108-109, <http://link.springer.com/chapter/10.1007%2F978-3-540-33963-2_2#page-1>, ბოლოს გამოხმობილია 23.09.2014.

⁴⁰⁹ იხ. Le Code des procureurs de la Couronne, par. 3.3., 3.4., par.4,

<http://www.cps.gov.uk/publications/docs/french_code_2013.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 07.07.2014.

⁴¹⁰ იხ. იქვე, par. 3.6.

განხორციელება მოითხოვს გვირგვინის საბრალდებო სამსახურის დირექტორის ან გენერალური პროკურორის თანხმობას. ასეთი საქმეებია: ეროვნული შუღლის გაღვივება, ოფიციალური საიდუმლოების დარღვევა და სხვა.⁴¹¹

მაშასადამე, როგორც ჩანს, ინგლისში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-განხორციელება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. კერძოდ, საქართველოში მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის ნორმებისაგან განსხვავებით, იქ დევნას იწყებენ და ახორციელებენ როგორც პოლიცია, ასევე სპეციალურად შექმნილი გვირგვინის საბრალდებო სამსახური. ეს ორგანო საქართველოს პროკურატურის მსგავსად იღებს გადაწყვეტილებებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-განხორციელებასთან დაკავშირებით. მაგრამ გვირგვინის საბრალდებო სამსახურისაგან განსხვავებით საქართველოში ყოველთვის პროკურორი წყვეტს (და არა პოლიცია) სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-განხორციელების მიზანშეწონილობას (სსსკ-ის მუხ. 166-ე, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხ.).

4.2. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება საფრანგეთში

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის (დაწყების) წესი. ამ ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი დევნა დაკავშირებულია საჯარო სარჩელთან (იგივე საჯარო აქცია, l'action public). ტერმინები სისხლისსამართლებრივი დევნა და საჯარო სარჩელი თანაბარმნიშვნელოვან ცნებებად განიხილება.⁴¹²

საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობით, საჯარო სარჩელი ეს არის პროკურორისა და სხვა მოხელეთათვის კანონით მინიჭებული უფლება სასჯელის გამოყენების უზრუნველსაყოფად.⁴¹³

ფრანგულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ საჯარო სარჩელის აქტიურ და პასიურ სუბიექტებს. პასიურ სუბიექტებში იგულისხმებიან ის პირები, რომელთა მიმართაც ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ შემთხვევაში ასეთი პირი შეიძლება ცნობილი იყოს ან შეიძლება არც იყოს ცნობილი.⁴¹⁴ რაც შეეხება საჯარო სარჩელის აქტიურ სუბიექტებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ესენი არიან უპირველეს ყოვლისა პროკურატურა (ministère public, იგივე საჯარო სამინისტრო), რომელსაც განსაკუთრებული უფლებები და როლი აქვს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-განხორციელებისას და ზოგიერთი საჯარო მოხელე.⁴¹⁵

⁴¹¹ იხ.: Le Code des procureurs de la Couronne, par. 3.7., <http://www.cps.gov.uk/publications/docs/french_code_2013.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 07.07.2014; Wingaert C.V.D., დასახ. ნაშრ., 93;

⁴¹² იხ.: გუცენკო კ.გ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიძონოვი ბ.ა., დასახ. ნაშრ., 410; Bouloc B., Stefani G., L'asseur G., Procédure pénale, 23^e édition, Paris, 2012, 137-167, 573-619.

⁴¹³ იხ. Code de procédure pénale, (français), art. 1, 51^e édition, Paris, 2010, 20.

⁴¹⁴ იხ. Bouloc B., Stefani G., L'asseur G., დასახ. ნაშრ., 144-145; შეად.: Molins F., L'action public, 2009, (dernière mise à jour: 2013) 8-9, ხელმისაწვდომია: <<http://bu.daloz.fr.domino-ip2.univ-paris1.fr>>.

⁴¹⁵ იხ.: Laruier J., Procédure pénale, 18^e édition, Paris, 2001, 85-88; Molins F., დასახ. ნაშრ., 9-13.

პროკურატურა უფლებამოსილია განახორციელოს საჯარო აქცია (სისხლისსამართლებრივი დევნა) და ამისათვის იყენებს კანონს.⁴¹⁶ ამ დროს იგი მოქმედებს საზოგადოების სახელით. ამიტომ პროკურორს (პროკურატურას) ხშირად საზოგადოების ადვოკატსაც უწოდებენ.⁴¹⁷ ამ ორგანოსათვის დამახასიათებელია მკაცრი იერარქია. მაღალი ინსტანციის სასამართლოებში საჯარო ბრალდებას ახორციელებს რესპუბლიკის პროკურორი, რომელსაც ჰყავს მოადგილეები. საჯარო ბრალდებას ახორციელებს ასევე გენერალური პროკურორიც, რომელსაც ამ ფუნქციის განხორციელებისას ეხმარებიან მოადგილეები. პროკურატურის უმაღლესი წარმომადგენელია იუსტიციის მინისტრი.⁴¹⁸

გამონაკლის შემთხვევებში სასამართლოში საჯარო სარჩელის (სისხლისსამართლებრივი დევნის) აღძვრის უფლება აქვს ზოგიერთ ადმინისტრაციულ ორგანოსაც. ეს ხდება წყალმომარაგების, სატყეო და აგრარული წესების დარღვევის ფაქტებზე. მოცემულ შემთხვევებში საჯარო აქცია შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად, სატყეო ან აგრარული დეპარტამენტის დირექტორის სახელით. ეს ორგანოები შეიძლება მოქმედებდნენ როგორც დამოუკიდებლად,⁴¹⁹ ასევე პროკურატურასთან ერთად.⁴²⁰

საფრანგეთში არსებობს წინასასამართლო სისხლის სამართალწარმოების სამი სტადია: მოკვლევა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და წინასწარი გამოძიება.⁴²¹ მოკვლევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფრანგულ სისხლის სამართლის პროცესში. მას აწარმოებს პოლიცია პროკურორის ზედამხედველობის ქვეშ. ამ დროს მიმდინარეობს მტკიცებულებების შეგროვება,⁴²² რა დროსაც შესაძლებელია პირის დაკავებაც. მოკვლევა ტარდება სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრამდე.⁴²³ ამის შემდეგ პროკურორი აფასებს რა მიღებულ საჩივარს (ასევე მასალებს), მხოლოდ მას აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება საქმის შემდგომი გაგრძელების (სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის) თაობაზე.⁴²⁴ თუმცა პროკურორს

⁴¹⁶ იხ.: Code de procédure pénale (français), art. 31, 51^e édition, Paris, 2010, 134; *Molins F.*, დასახ. ნაშრ., 4-5.

⁴¹⁷ იხ. *Bouloc B., Stefani G., Levasseur G.*, დასახ. ნაშრ., 155-156.

⁴¹⁸ დაწვრილებით იხ.: იქვე, 147-160, 575-578; *Larguier J.*, დასახ. ნაშრ., 85-88.

⁴¹⁹ იხ. Code de procédure pénale, (français), 51^e édition, Paris, 2010, 134.

⁴²⁰ იხ.: *Molins F.*, დასახ. ნაშრ., 5-7; *Bouloc B., Stefani G., Levasseur G.*, დასახ. ნაშრ., 160-163;

⁴²¹ იხ. *Картохина О.А.*, დასახ. ნაშრ., 72-102; შეად. *გუცენკო კ.გ., გოლოვკო ლ.კ., ვილიმონოვი ბ.ა.*, დასახ. ნაშრ., 410.

⁴²² იხ. *Aubusson de Cavarlay B.*, The Prosecution Service Function within the French Criminal Justice System, 201, <http://download.springer.com/static/pdf/220/chp%253A10.1007%252F978-3-540-33963-2_5.pdf?auth66=1411650247_b0a0b0d5f3a2bdacc34f94a476f70b90&ext=.pdf>, ბოლოს გამოხმობილია, 23.09.2014.

⁴²³ იხ.: Code de procédure pénale, (français), art. 53, 74-78, 51^e édition, Paris, 2010, 164-168, 221-280; *Королев Г.Н.*, დასახ. ნაშრ., 302-303; *Головко Л.В.*, Дознание и предварительное следствие в уголовном процессе Франции, Москва, 1995, 10-41; შეად.: *გუცენკო კ.გ., გოლოვკო ლ.კ., ვილიმონოვი ბ.ა.*, დასახ. ნაშრ., 406-407.

⁴²⁴ იხ.: Code de procédure pénale, (français), art. 40, 51^e édition, Paris, 2010, 138; *Guinchard S., Buisson J.*, Procédure pénale, Paris, 2000, 493-494.

უფლება აქვს სისხლისსამართლებრივი დევნა აღძვრას მოკვლევის წარმოების გარეშე, რაც გამოიხატება საქმის მასალების გამოძიების მოსამართლესთან ან სასამართლოში გადაგზავნაში.⁴²⁵ გარდა ამისა, პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოში მხარი დაუჭიროს ბრალდებას.⁴²⁶ პროკურორის უფლებამოსილებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ უკანასკნელის ინიციატივით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ფორმები.⁴²⁷

4.2.1. სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა (დაწყება) წინასწარი გამოძიების წარმოების შესახებ მოთხოვნის შედგენის გზით (Le réquisitoire introductif)

ამ შემთხვევაში რესპუბლიკის პროკურორი გამოძიების მოსამართლეს უგზავნის მოთხოვნას წინასწარი გამოძიების ჩატარების თაობაზე (სწორედ ეს არის სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა).⁴²⁸ ამ დროს გამოძიების მოსამართლე ვალდებულია შეუდგეს წინასწარ გამოძიებას.⁴²⁹ მოთხოვნა წინასწარი გამოძიების დაწყების შესახებ შეიძლება იყოს ორი სახის: გარკვეული პირის მითითებით, იმ შემთხვევაში თუ ეს პირი ცნობილია პროკურორისათვის და დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის მითითების გარეშე, თუ ეს უკანასკნელი დაუდგენელია და წინასწარი გამოძიებით უნდა დადგინდეს.⁴³⁰

მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტზე და არა აუცილებლად კონკრეტული პირის მიმართ. აღნიშნული დასტურდება იმითაც, რომ გამოძიების მოსამართლე პროკურორის მოთხოვნით შეზღუდულია მხოლოდ ქმედებათა და არა პირთა წრის მიმართ. გამოძიების მოსამართლეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს პროკურორის მოსაზრებას და ბრალი დასდოს არა მოთხოვნაში მითითებულ პირს, არამედ სხვა პირს.⁴³¹ ამასთან, მას უფლება არ აქვს გამოიძიოს და ბრალდება წარუდგინოს პირს იმ ფაქტზე ან ეპიზოდზე, რომელიც პროკურორის მოთხოვნაში არ არის მითითებული.⁴³²

⁴²⁵ იხ. *Королев Г.Н.*, დასახ. ნაშრ., 303; შეად.: *გუცერკო კ.ფ., გოლოგო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა.*, დასახ. ნაშრ., 400.

⁴²⁶ იხ.: *Molins F.*, დასახ. ნაშრ., 9-12; *Королев Г.Н.*, დასახ. ნაშრ., 300; *გაბისონია ი.*, საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი კონცეფტუალურ –ინსტიტუციური საკითხები (მოკლე მიმოხილვა), ჟურნალი „სამართალი“, 2001, №5, 57-61.

⁴²⁷ იხ. *Boulloc B., Stefani G., Levasseur G.*, დასახ. ნაშრ. 146.

⁴²⁸ იხ. იქვე, 166-167.

⁴²⁹ *საფრანგეთში წინასწარ გამოძიების ჩატარების ექსკლუზიური უფლება აქვს გამოძიების მოსამართლეს. მას უფლება აქვს ჩაატაროს სხვადასხვა სავამოძიებო მოქმედებები კემპარიტების დასადგენად.* იხ.: *Code de procédure pénale, (français), art. 49, 81, 51^e édition, Paris, 2010, 159, 293; Королев Г.Н.*, დასახ. ნაშრ., 301.

⁴³⁰ იხ. *Boulloc B., Stefani G., Levasseur G.*, დასახ. ნაშრ., 166-167.

⁴³¹ *საფრანგეთში პირს ბრალდებას გამოძიების მოსამართლე უყენებს* იხ.: *Code de procédure pénale, (français), art. 80.2, art. 116, 51^e édition, Paris, 2010, 286-287, 380; Картохина О.А.* დასახ. ნაშრ., 72-102.

⁴³² იხ.: *Королев Г.Н.*, დასახ. ნაშრ., 305-306; *სტროგოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 318.

ამრიგად, საქართველოსაგან განსხვავებით საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესი იცნობს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას დანაშაულის ფაქტზე და არა მხოლოდ კონკრეტული პირის მიმართ. საქართველოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, დანაშაულის ფაქტზე იწყება გამოძიება და არა სისხლისსამართლებრივი დევნა.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა ფრანგულ სისხლის სამართლის პროცესში იმის მაუწყებელია, რომ გამოძიების მოსამართლემ პროკურორის მიერ გადაგზავნილ მასალებზე უნდა ჩაატაროს წინასწარი გამოძიება. სისხლისსამართლებრივი დევნის ამგვარი გაგება მკვეთრად განსხვავდება საქართველოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული დევნის ინსტიტუტისაგან. ქართულ სისხლის სამართლის პროცესში სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება გამოძიების შედეგების შეფასების შემდეგ ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პირის დაკავებისას.

4.2.2. სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა (დაწყება) სასამართლოში უშუალო გამოძახებით (La citation directe)

სისხლისსამართლებრივი დევნის აღნიშნული ფორმა გამოიყენება ისეთ საქმეებზე, რა დროსაც პროკურატურა არ ითხოვს და არ არის აუცილებელი წინასწარი გამოძიების ჩატარება.⁴³³ როგორც ზემოთ აღინიშნა, საფრანგეთში კარგად არის განვითარებული მოკვლევის ინსტიტუტი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული პროკურორთან და ტარდება სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრამდე. ამიტომ არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პროკურორი მიიჩნევს, რომ არ არის საჭირო წინასწარი გამოძიების ჩატარება და მოკვლევის მასალების საფუძველზე აღძვრავს სისხლისსამართლებრივ დევნას.⁴³⁴ ბრალდებულის სასამართლოში გამოძახების გზით სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრას ძირითადად ადგილი აქვს გადაცდომათა და სამართალდარღვევათა საქმეებზე.⁴³⁵ დევნის ამ ფორმის გამოყენება შეუძლებელია დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომლებზეც აუცილებელია წინასწარი გამოძიების ჩატარება.⁴³⁶

ბრალდებულის სასამართლოში უშუალო გამოძახება ხდება შემდეგნაირად: მოცემულ შემთხვევაში პროკურორი სასამართლო მანდატურს უგზავნის მოთხოვნას შესაბამისი დოკუმენტის შედგენისა და ბრალდებულისათვის გადაცემის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი შეიცავს სხვადასხვა რეკვიზიტებს, მათ შორის ბრალდების მოკლე შინაარსს. სასამართლო მანდატური ბრალდებულს გადასცემს დოკუმენტის ასლს,

⁴³³ იხ. *Bouloc B., Stefani G., Lvasseur G.*, დასახ. ნაშრ., 166.

⁴³⁴ იხ. *Картохина О.А.*, დასახ. ნაშრ., 72-102.

⁴³⁵ იხ. *Bouloc B., Stefani G., Lvasseur G.*, დასახ. ნაშრ., 614-615; *საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულებრივი ქმედება იყოფა სამ კატეგორიად: დანაშაულები, გადაცდომები, სამართალდარღვევები*. იხ. *გუცენკო კ.ფ., გოლოგოლ ლ.ე., ვილიმონოვი ბ.ა.*, დასახ. ნაშრ., 367-368.

⁴³⁶ იხ. *Bouloc B., Stefani G., Lvasseur G.*, დასახ. ნაშრ., 165-166, 614-615.

ხოლო ორიგინალის გაცნობის ფაქტს დაადასტურებინებს ხელმოწერით. დოკუმენტის ორიგინალი გადაეცემა პროკურორს.⁴³⁷

4.2.3. სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის (დაწყების) გამარტივებული ფორმები

საოქმო ფორმით გამოძახებას (convocation par procès-verbal) ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პროკურორი საჭიროდ არ თვლის პირის დაპატიმრებას, ასევე არ არსებობს წინასწარი გამოძიების ჩატარების საჭიროება. იგი გადასცემს ბრალდებულს ოქმის ასლს, სადაც დაფიქსირებულია კანონის დარღვევის ფაქტი და აკეთებს განცხადებას სასამართლო განხილვის თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ. ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრიდან სასამართლო განხილვამდე ვადები მცირდება.⁴³⁸

რაც შეეხება დაუყოვნებლივ მოყვანას (comparution immédiate), იგი გამოიყენება იმ გადაცდომათა საქმეებზე, რომლებზეც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა და პროკურორი საჭიროდ მიიჩნევს ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნას სასამართლო განხილვამდე. თუ გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელია სასამართლო განხილვის იმავე დღეს ჩატარება, როცა პროკურორს პირს წარუდგენენ, მაშინ უნდა გადაწყდეს ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი, მაგრამ თუ სასამართლო სხდომის ჩატარება შესაძლებელია იმავე დღეს, მაშინ იწყება სასამართლო განხილვის სტადია.⁴³⁹

აღსანიშნავია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ზემოხსენებული რომელიმე ხერხის გამოყენებისას, პროკურორს არ გამოაქვს რაიმე სპეციალური დადგენილება. სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის (დაწყების) პროცედურა დაკავშირებულია ან სხვა სახის (არა დადგენილების) საპროცესო დოკუმენტის შედგენასთან, ან საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობის შესრულებასთან.⁴⁴⁰

4.2.4 დაზარალებულის უფლება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით

საფრანგეთში პროკურორისათვის მინიჭებული უფლებამოსილება საკუთარი შეხედულებით გადაწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არდაწყების საკითხი დაბალანსებულია სპეციალური საპროცესო მექანიზმით, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებულის კანონიერი

⁴³⁷ იხ. Bouloc B., Stefani G., Levasseur G., დასახ. ნაშრ., 165-166, 615-619.

⁴³⁸ იხ.: Code de procédure pénale, (français), art. 394, 51^e édition, Paris, 2010, 779; Bouloc B., Stefani G., Levasseur G., დასახ. ნაშრ., 167-168; 621-622.

⁴³⁹ იხ.: Code de procédure pénale, (français), art. 395, 396, 51^e édition, Paris, 2010, 779-781; Bouloc B., Stefani G., Levasseur G., დასახ. ნაშრ., 167-168, 622-623.

⁴⁴⁰ იხ. Королев Г.Н., დასახ. ნაშრ., 307.

უფლებების დაცვას.⁴⁴¹ კერძოდ, დაზარალებულს უფლება აქვს აღძრას სამოქალაქო სარჩელი (L'action civile) და ამ გზით გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს საჯარო სარჩელის (სისხლისსამართლებრივი დევნის) აღძვრაზე.⁴⁴² არსებობს დაზარალებულის ინიციატივით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ორი ფორმა: *საჩივარი, რომელიც ეგზავნება გამოძიების მოსამართლეს და სასამართლოში უშუალო გამოძახება.*⁴⁴³

პირველი შემთხვევა ეხება დანაშაულის საქმეებზე პროკურორის მიერ დასაწყებ სისხლისსამართლებრივ დევნას წინასწარი გამოძიების წარმოების მოთხოვნის შედგენის გზით. ამ დროს დაზარალებული თუ ჩათვლის, რომ მას მიაღვა ზიანი და სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის, საჩივარს უგზავნის გამოძიების მოსამართლეს წერილობითი ფორმით. აღნიშნულ საჩივარს გამოძიების მოსამართლე გადაუგზავნის პროკურორს, რომელიც წყვეტს საჯარო სარჩელის აღძვრის საკითხს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოცემულ შემთხვევაში პროკურორს არ აქვს უფლება გადაწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან არდაწყების მიზანშეწონილობის საკითხი. ამ დროს იგი მოქმედებს კანონმდებლობით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში (ხანდაზმულობის ვადის გასვლა, ამნისტია და ა.შ.). თუ ასეთი საფუძველი არ არსებობს, პროკურორი აღძრავს საჯარო სარჩელს და გამოძიების მოსამართლეს უგზავნის მოთხოვნას წინასწარი გამოძიების წარმოების შესახებ.⁴⁴⁴ ანუ ამ შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა დაზარალებულის საჩივრის შესაბამისად.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მეორე ხერხი გამოიყენება მაშინ, როდესაც წინასწარი გამოძიება არ ტარდება. დაზარალებული სასამართლოს მიმართავს თხოვნით ბრალდებულისათვის სასამართლოში უშუალო გამოძახების თაობაზე უწყების გაგზავნის შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტს ადგენს და ბრალდებულს გააცნობს სასამართლო მანდატური, როგორც ეს პროკურორის მოთხოვნისას ხდება. ამის შემდეგ ტარდება სასამართლო განხილვა, რომლის ინიციატორიც დაზარალებულია.⁴⁴⁵

მაშასადამე, როგორც ჩანს, საფრანგეთის სისხლის სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის პოზიციას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვს. დაზარალებულს შეუძლია მოძრაობაში მოიყვანოს, მისი ინიციატივით დაიწყოს სისხლის სამართალწარმოება.⁴⁴⁶

⁴⁴¹ იხ. *გუცენკო კ.ფ., კოლოგო ლ.ვ., ფილიძონოვი ბ.ა.*, დასახ. ნაშრ., 420.

⁴⁴² იხ. Code de procédure pénale, (français), art. 1, 2, 51^e édition, Paris, 2010, 20, 25; შეად. *Wingaert C.V.D.*, დასახ. ნაშრ., 131-132.

⁴⁴³ იხ. *Bouloc B., Stefani G., Levasseur G.*, დასახ. ნაშრ., 293.

⁴⁴⁴ იხ.: Code de procédure pénale, (français), art. 86, 51^e édition, Paris, 2010, 321-322; *Bouloc B., Stefani G., Levasseur G.*, დასახ. ნაშრ., 293-296; *გუცენკო კ.ფ., კოლოგო ლ.ვ., ფილიძონოვი ბ.ა.*, დასახ. ნაშრ., 420.

⁴⁴⁵ იხ. *Bouloc B., Stefani G., Levasseur G.*, დასახ. ნაშრ., 293; 614-619. სამოქალაქო სარჩელის შესახებ დამატებით იხ. ასევე *Larguier J.*, Procédure pénale, 18^e édition, Paris, 2001, 108-148.

⁴⁴⁶ იხ. *Wingaert C.V.D.*, დასახ. ნაშრ., 131-132.

§5 შეჯამება

ამრიგად, გამოძიების სტადიაზე მოპოვებულ მტკიცებულებებზე (და არა მხოლოდ ფაქტებზე) დაყრდნობით პროკურორი იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას პირის ბრალდებულად ცნობით, რომელსაც *იურიდიულ ლიტერატურაში „სისხლისსამართლებრივ ბრალდებას“ უწოდებენ.*⁴⁴⁷ იგი *სისხლისსამართლებრივი დევნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ კომპონენტად უნდა იქნეს განხილული.* მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით საბრალდებო საქმიანობის განხორციელების ექსკლუზიური უფლება პროკურორს აქვს, ვინაიდან პირის ბრალდება პროკურორის უფლებამოსილებაა (სსსკ-ის მუხ.169-ე). ამასთან, აღსანიშნავია, რომ პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანით შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ კი არ დაიწყოს, არამედ გაგრძელდეს კიდევ. ამ შემთხვევას მაშინ აქვს ადგილი, როცა პირი დაკავებულია.

გარდა ამისა, საგულისხმოა ასევე ის ფაქტიც, რომ პირის ბრალდებულად ცნობა შედგება ორი ნაწილისაგან: ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანა და ბრალის (ბრალდების) წაყენება. სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე, მაგრამ ეს მოქმედება აქსცესორული ბუნებისა, პირობითი ხასიათი აქვს და დევნის შემდგომი გაგრძელება დამოკიდებულია ერთ-ერთ მნიშვნელოვან საპროცესო მოქმედებაზე, რომელსაც ბრალის (ბრალდების) წაყენება ეწოდება. მაშასადამე, ზემოთ დასახელებული ორივე საპროცესო მოქმედება ერთმანეთს განსაზღვრავს და ისინი წარმოადგენენ სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელ ელემენტებს. ცალკე აღებული დადგენილება პირის ბრალდების შესახებ არაფერს ნიშნავს.

რაც შეეხება ინგლისსა და საფრანგეთში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თავისებურებებს და მათ მსგავსებას ქართულ საპროცესო კანონმდებლობასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, ამ ქვეყნებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება განსხვავდება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით მოცემული ნორმებისაგან, რომლებიც ამ საკითხს არეგულირებენ. კერძოდ, ინგლისში სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტებად მოიაზრებიან, როგორც პოლიცია, ასევე გვირგვინის საბრალდებო სამსახური; ანუ გარკვეული კატეგორიის საქმეებზე პოლიცია უფლებამოსილია დაიწყოს და განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა, რაც საქართველოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით არ არის დაშვებული. თუმცა ინგლისშიც ისევე, როგორც საქართველოში სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად საჭიროა არსებობდეს ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი – საკმარისი მტკიცებულებები და საჯარო ინტერესი.

განსაკუთრებით საყურადღებოა საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყები (ინიციატორი) სუბიექტები. ამ ქვეყანაში დანაშაულის სიმძიმის მიხედვით დევნის დაწყების უფლებამოსილებით სარგებლობენ პროკურორი, დაზარალებული და ასევე

⁴⁴⁷ იხ. *Чельцов М.А.*, Советский уголовный процесс, Москва, 1951, 89.

ზოგიერთი საჯარო მოხელეც. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორის როლს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-განხორციელებისას. საქართველოში მოქმედი საპროცესო ნორმებისაგან განსხვავებით, საფრანგეთში პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება აღძრას (დაიწყოს) როგორც დანაშაულებრივ ფაქტზე, ასევე კონკრეტული პირის მიმართ. მნიშვნელოვანია პროკურორის ინიციატივით დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის ფორმები, რომლებიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მსგავსი ხერხების საქართველოში შემოღება არ არის რეკომენდებული, ვინაიდან პრაქტიკულად მათი განხორციელება ვერ მოხდება. მით უმეტეს, რომ დღევანდელი საპროცესო კანონმდებლობით მოკვლევის ინსტიტუტი აღარ არსებობს. საფრანგეთში კი მოკვლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საპროცესო მექანიზმია ფაქტობრივი გარემოებების გამოსარკვევად, დასადგენად და იგი ხორციელდება პროკურორის უშუალო ზედამხედველობით.

თავი VIII. პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი

§1 შესავალი

საქართველოს დემოკრატიული საზოგადოების ბუნება უპირველეს ყოვლისა გამოიხატება სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ამსახველ კანონებში, დებულებებში, რომლებშიც ნათლად ჩანს საზოგადოების სამართლებრივი კულტურა, მათი სურვილი დემოკრატიის დამკვიდრებისა, კანონის უზენაესობისა, ადამიანის უფლებების დაცვისა და ა.შ.⁴⁴⁸

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კანონიერება, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი თავიდან აცილება ყველა სახელმწიფოში და მათ შორის საქართველოშიც შექმნილია სამართალდამცავი ორგანოები რომელთა შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროკურატურა.⁴⁴⁹ წარსულში პროკურატურა სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოდ აღიქმებოდა. იგი იყო მძლავრი, ფართო უფლებამოსილებითა და ფუნქციებით აღჭურვილი ორგანო, რომელსაც ჰქონდა უფლება განეხორციელებინა საერთო ზედამხედველობა კანონების ზუსტ და ერთიან შესრულებაზე.⁴⁵⁰ დღეს, ეს ფუნქცია მას არ გააჩნია.

უდავოა მოსაზრება იმის შესახებ, რომ პროკურატურა და შესაბამისად, პროკურორი იყო და არის სისხლის სამართლის პროცესის ის სუბიექტი, რომელსაც ენიჭება ექსკლუზიური უფლება განახორციელოს

⁴⁴⁸ იხ. გოგ შელიძე რ., პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ჟურნალი „სამართალი“, 2002, №9-10, 71-75.

⁴⁴⁹ იხ. იქვე.

⁴⁵⁰ იხ. იქვე.

სისხლისსამართლებრივი დევნა.⁴⁵¹ როგორც საქართველოს ასევე საზღვარგარეთის საპროცესო მეცნიერება და კანონმდებლობა პროკურატურას მიიჩნევს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებელ ორგანოდ. ცივილიზებულ ქვეყნებში ტერმინი სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურატურის ძირითადი ფუნქცია საკანონმდებლო აქტებში ფართოდ გამოიყენება. ერთი რიგი ქვეყნებისა ამ ტერმინს კონსტიტუციებსა და კანონებში იყენებენ (ავსტრია, იტალია), ხოლო მეორენი კი მხოლოდ კანონებში (საფრანგეთი, აშშ).⁴⁵²

საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლი, მის გაუქმებამდე ითვალისწინებდა პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას. სისხლისსამართლებრივი დევნა კონსტიტუციურ ფუნქციად იყო მიჩნეული.⁴⁵³ ასე იყო იგი მოსხენიებული 1998 წლის საპროცესო კანონმდებლობაშიც.⁴⁵⁴ საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი 2004 წლის 06 თებერვლის ცვლილებით გაუქმდა 91-ე მუხლი⁴⁵⁵ და სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურორის ძირითადი ფუნქცია გათვალისწინებულ იქნა მხოლოდ საპროცესო კოდექსში და კანონში „პროკურატურის შესახებ.“

უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობაა. იგი პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში საქმის განხილვისას, პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის დროს.⁴⁵⁶ ასეთი დაყოფა უფრო ნათლად წარმოაჩენს პროკურორის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტის როლს სისხლის სამართლის პროცესში.

⁴⁵¹ იხ.: *მეურმიშვილი ბ.*, პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი, *ჟურნალი „სამართალი“*, 2001, №8, 59-63; *ვაფიაშვილი შ., მეურმიშვილი ბ.*, სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურატურის ფუნქცია, *ჟურნალი „სამართალი“*, 2001, №1-2, 49-53.

⁴⁵² იხ.: *მეფარიშვილი გ.*, სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების თანაფარდობისათვის, *ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“*, 1996, №1, 22-26; *მეურმიშვილი ბ.*, დასახ. ნაშრ., 59-63.

⁴⁵³ იხ.: საქართველოს კონსტიტუცია 2003 წლის 27 მარტის მდგომარეობით, <https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=30346&publication=6>, ბოლოს გამოსხმობილია 25.07.2013; ასევე, *გაბიხონია ი.*, პროკურატურის თეორიის მეთოდოლოგიური, ტერმინოლოგიურ-ცნებითი და კლასიფიკაციის პრობლემები, *ჟურნალი „სამართალი“*, 1998, №1-2, 18-25.

⁴⁵⁴ იხ. სსსკ-ი 1998 წლის (20/03/1998 - 26/06/1998) რედაქცია, მუხ. 55-ე, <https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31882&publication=0&lang=ge>, ბოლოს გამოსხმობილია 15.07.2014.

⁴⁵⁵ იხ. საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილება: 06/02/2004-საქართველოს კანონი-3272-სსმ, №2, 07/02/2004, მუხ. 5. <https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=30346&publication=7&lang=ge>, ბოლოს გამოსხმობილია 15.07.2014.

⁴⁵⁶ იხ.: *მეურმიშვილი ბ.*, დასახ. ნაშრ., 59-63; *გოგ შელიძე რ.*, პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, *ჟურნალი „სამართალი“*, 2002, №9-10, 71-75.

§2 პროკურორის როლი გამოძიების სტადიაზე

თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფო ბრალმდებლის როლი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში, ერთ-ერთი ყველაზე საკამათო საკითხია სხვადასხვა სამართლებრივი ტრადიციებისა და პრაქტიკის მქონე ქვეყნებს შორის. ძალზე რთულია გამყოფი ხაზის გავლება პროკურორებისა და პოლიციის მუშაკების იურისდიქციებს შორის, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარია მათ ფუნქციებზე სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას. პროკურორის როლი სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, დაწყებული აბსოლუტური კონტროლით, როგორც ეს საფრანგეთის და კორეის შემთხვევებშია და წამყვანი როლით, როგორც გვხვდება შეერთებულ შტატებში.⁴⁵⁷

რაც შეეხება საქართველოს, სისხლის სამართალწარმოებისას პროკურორი არის პროცესის ის სუბიექტი, რომელსაც საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებისა და მისი საპროცესო მდგომარეობის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ადგილი უკავია სისხლის სამართლის პროცესში.⁴⁵⁸

პროკურორის როლი გამოძიების სტადიაზე არსებითია. პროკურორი არის სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს კანონის უზენაესობის დაცვაში. მისი გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბრალდებულზე ან სისხლის სამართალწარმოების სხვა მონაწილეებზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე. აქედან გამომდინარე, პროკურორის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, სამართლიანი და ასახავდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.⁴⁵⁹

პროკურორმა აქტიური როლი უნდა ითამაშოს გამოძიების პროცესში იმისათვის, რომ დაადგინოს სიმართლე, ასევე უზრუნველყოს საკმარისი მტკიცებულებების შეკრება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. გამოძიების ჩატარების პროცესში მონაწილეობით პროკურორს საშუალება ეძლევა მიიღოს არა მხოლოდ ეფექტური გადაწყვეტილება, არამედ შეუძლია თვალყური ადევნოს გამოძიების კანონიერებას. შედეგად, პროკურორი უკეთეს მდგომარეობაში იქნება მართლმსაჯულების განხორციელებისას როგორც დაზარალებულთან, ასევე ბრალდებულთან მიმართებაში; და რაც მთავარია, პროკურორი თავისი მოვალეობის შესრულებით დაიცავს საზოგადოებას.⁴⁶⁰

⁴⁵⁷ იხ. *Young-Chul K.*, The Effective System of Criminal Investigation and Prosecution in Korea, 90, <http://www.unafei.or.jp/english/pdf/RS_No60/No60_11VE_Kim.pdf>, ბოლოს გამოსმობილია 16.07.2014.

⁴⁵⁸ იხ. *აბაშოძე ვ.*, პროკურორი – გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, თბილისი, 2011, 47.

⁴⁵⁹ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანება, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, მე-2 ნაწ.

⁴⁶⁰ იხ. *Young-Chul K.*, The Effective System of Criminal Investigation and Prosecution in Korea, 90, <http://www.unafei.or.jp/english/pdf/RS_No60/No60_11VE_Kim.pdf>, ბოლოს გამოსმობილია 16.07.2014.

გამოძიების სტადიაზე პროკურორს უფლება აქვს სახელმწიფოს სახელით ამხილოს დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირი, ამტკიცოს ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენა, რათა საქმე წარმართოს სასამართლოში და მოითხოვოს მისი დასჯა.⁴⁶¹ ამ საქმიანობის განხორციელებისას, პროკურორი ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესით⁴⁶² და უპირველეს ყოვლისა თვითონ არის კანონიერებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი.⁴⁶³

სახელმწიფოს მიერ ბრალდების მტკიცების ტვირთის პროკურორისათვის დაკისრება (სსსკ-ის მუხ. 33-ე) არ ნიშნავს იმას, რომ პროკურორმა ყველა შემთხვევაში უნდა ასაბუთოს პირის მიერ დანაშაულის ჩადენა. ამისათვის აუცილებელია არსებობდეს სათანადო მამხილებელი მტკიცებულებები, რომლებიც იქნება დასაშვები, რელევანტური, ავთენტიკური. უნდა გამოირიცხოს ფაქტებისა და ინფორმაციის სიყალბე, შეცდომები. ამასთან, ყველა მოპოვებული მტკიცებულება ერთად აღებული უნდა ქმნიდეს ერთიან ლოგიკურ ჯაჭვს, აღადგენდეს ჩადენილი დანაშაულის სურათს და მიუთითებდეს პირის მიერ დანაშაულის ჩადენას.⁴⁶⁴

ასეთი მრავალმხრივი და რთული საქმიანობის განხორციელება უწევს პროკურორს გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, რა დროსაც მისი თითოეული ნაბიჯი შესაბამისობაში უნდა იყოს საპროცესო ნორმების მოთხოვნებთან.⁴⁶⁵

იმის გამო, რომ დანაშაულები აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ქვეყნის საზღვრით, პროკურორების ფუნქციები უნდა გაფართოვდეს იმისათვის, რომ მოიცავდეს არა მარტო შიდა საქმეებს, არამედ საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებსაც.⁴⁶⁶

პროკურორის როლი გამოძიების სტადიაზე ნათლად ჩანს საპროცესო კანონმდებლობით და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებულ ფუნქციებში. კერძოდ, მოქმედი სსსკ-ის 32-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ პროკურატურის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ ფუნქციის უზრუნველსაყოფად პროკურორი ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. გარდა ამისა, პროკურატურა უფლებამოსილია: ჩაატაროს გამოძიება სრული მოცულობით; ზედამხედველობა გაუწიოს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას; დაიცვას პირთა უფლებები და განახორციელოს საპროცესო მოვალეობები დაკავებულთა მოთავსების ადგილებსა და პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში; კოორდინაცია გაუწიოს

⁴⁶¹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), რედ.: *ვახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი.*, თბილისი, 2013, 119.

⁴⁶² საჯარო ინტერესის თავისებურებებზე ქვემოთ იქნება მსჯელობა.

⁴⁶³ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), რედ.: *ვახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი.*, თბილისი, 2013, 119-120.

⁴⁶⁴ იხ. იქვე.

⁴⁶⁵ იხ. იქვე.

⁴⁶⁶ იხ. *Young-Chul K.*, The Effective System of Criminal Investigation and Prosecution in Korea, 90, <http://www.unafei.or.jp/english/pdf/RS_No60/No60_11VE_Kim.pdf>, ბოლოს გამოსმოხილია 16.07.2014.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას („პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15, მე-16, მე-17, მე-19 მუხ.). და ბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანი ქვეყნუნქცია, რომელსაც იგი არა გამოძიების სტადიაზე, არამედ სასამართლოში ახორციელებს არის – სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა.

აღნიშნული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურორს სსსკ-ის 33-ე მუხლით განსაზღვრული აქვს უფლებამოსილებათა ფართო სპექტრი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. პროკურორის უფლებამოსილებანი გაბნეულია ასევე საპროცესო კანონმდებლობის სხვადასხვა მუხლებშიც. ამასთან, ერთობ საინტერესოა იმის განსაზღვრა, საპროცესო კანონმდებლობით პროკურორისათვის მინიჭებული უფლებებიდან რომელი უნდა ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელებად და პროკურორის რომელი მოქმედება არ უნდა იქნეს მოაზრებული დევნაში.⁴⁶⁷

2.1. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის გამიჯვნა

როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურორი ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, რაც ნიშნავს გამოძიების სტადიაზე პროკურორის მიერ გამოძიების პროცესის გაკონტროლების ქმედითი საპროცესო მექანიზმების არსებობას. ამ მხრივ საპროცესო კანონმდებლობა პროკურორს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას.⁴⁶⁸

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა არის არა ადმინისტრაციული, არამედ საპროცესო საქმიანობა⁴⁶⁹ და თავისი შინაარსით თითქმის იგივეა, რაც ადრე არსებული „წინასწარ გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა“⁴⁷⁰ თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ

⁴⁶⁷ იხ. სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ.: ვოგ შელიძე რ., თბილისი, 2009, 198-203, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 25.05.2013.

⁴⁶⁸ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), რედ.: ვახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., ვაბისონია ი., თბილისი, 2013, 120-121. პროკურორის უფლებები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული.

⁴⁶⁹ იხ. *Савицкий В.М.*, Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве, Москва, 1975, 217.

⁴⁷⁰ იხ.: ვაბისონია ი. პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, (ძირითადი კონცეფტუალური საკითხების შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), თბილისი, 1999, 263-269; ვოგ შელიძე რ., პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, უურნალი „სამართალი“, 2002, №9-10, 71-75; აბაშიძე გ., პროკურორი – გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, თბილისი, 2011, 69; *საპროკურორო ზედამხედველობაზე* ვრცლად იხ. *ვალიაშვილი ა.*, საპროკურორო ზედამხედველობა სსრ კავშირში, თბილისი, 1970.

არსებობს აზრთა ერთიანობა.⁴⁷¹ ზოგიერთი ავტორი აცხადებს, რომ გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობით პროკურორი ახორციელებს საბრალდებო საქმიანობას და ასრულებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას. რაც შეეხება გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, იგი არ არის საპროცესო საქმიანობის დამოუკიდებელი მიმართულება, არამედ ეს არის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მეთოდი.⁴⁷²

იურიდიულ დოქტრინაში არსებული კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად, საპროკურორო ზედამხედველობა უფრო ფართო მნიშვნელობით განიხილება და იგი მიჩნეულია პროკურორის ძირითად ფუნქციად; სისხლისსამართლებრივ დევნას კი დამატებითი ფუნქციის მნიშვნელობა აქვს. ამასთან, ორივე ეს ფუნქცია პროკურორისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია სისხლის სამართალწარმოების განსახორციელებლად.⁴⁷³

ზემოაღნიშნული მიდგომები საინტერესოა, მაგრამ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის არსის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა კანონმდებლობით იმიტომ იქნა გათვალისწინებული, რომ პროკურორს მისცემოდა შესაძლებლობა გამოძიების სტადიაზე გაეკონტროლებინა მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. ამასთან, კანონის სრული დაცვით მოეხდინა მტკიცებულებათა შეკრების ორგანიზება, რათა განეხორციელებინა სისხლისსამართლებრივი დევნის მნიშვნელოვანი ფუნქცია.⁴⁷⁴ რაც შეეხება საპროკურორო ზედამხედველობას, აღნიშნულ ფუნქციას პროკურორი ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობის კანონიერების შემოწმებისას.⁴⁷⁵

საპროცესო მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ფორმაა.⁴⁷⁶ ზოგიერთი მკვლევარი კი წინასასამართლო გამოძიების სტადიაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობას სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტად განიხილავს.⁴⁷⁷

აღსანიშნავია, რომ პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა არ შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების არც ფორმა და მით უმეტეს შემადგენელი კომპონენტი.

⁴⁷¹ დაწვრილებით იხ. *Цанаева Т.Ю.*, Участие прокурора в доказывании на предварительном следствии, Самара, 2004, 27-37.

⁴⁷² იხ. იქვე, 24, 27.

⁴⁷³ იხ. *Воронин О.В.*, დასახ. ნაშრ. 25.

⁴⁷⁴ იხ.: *ვოგ შელოძე რ.*, პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ჟურნალი „სამართალი“, 2002, №9-10, 71-75; *გაბიხონია ი.* პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, (ძირითადი კონცეფტუალური საკითხების შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), თბილისი, 1999, 263-269.

⁴⁷⁵ იხ. საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“ 2013 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით, მუხ. მე-16.

⁴⁷⁶ იხ.: *Буннов Р.Г.*, დასახ. ნაშრ. 194; *Шманатова В.Е.*, დასახ. ნაშრ., 148.

⁴⁷⁷ იხ. *მეფარიშვილი გ.*, სისხლისსამართლებრივი დევნა ცაიტნოტში, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997, 31 ოქტომბერი.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა – გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის შესრულების უზრუნველყოფის საშუალებად მიიჩნევს (სსსკ-ის მუხ. 32-ე).

მაშასადამე, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა ხელს უწყობს, დამხმარეა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და არა მისი შემადგენელი ნაწილი ან განხორციელების ფორმა. კანონმდებელმა გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა პროკურორის ფუნქციად იმიტომ განსაზღვრა, რომ სწორედ ამ უკანასკნელს აწევს ბრალდების მტკიცების ტვირთი (სსსკ-ის მუხ. 33-ე, ნაწ. 1-ლი). შესაბამისად, პროკურორს აქვს საპროცესო მექანიზმი, რომლითაც უფლებამოსილია აკონტროლოს დანაშაულთან დაკავშირებული ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეგროვების მიმდინარეობა. მისი მხრიდან ამ პროცესის გაკონტროლება ვერ ჩაითვლება სისხლისსამართლებრივ დევნად. წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის სამართალწარმოება და სისხლისსამართლებრივი დევნა ყოველთვის ერთდროულად დაიწყება და გამოძიების მთელ სტადიას საპროცესო ხელმძღვანელობითურთ სისხლისსამართლებრივი დევნა შთანთქავს. ეს კი სისხლისსამართლებრივი დევნის უკიდურესად ფართო განმარტება იქნება, რასაც მართებულს ვერ ვუწოდებთ.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას სისხლისსამართლებრივ დევნად არ მიიჩნევს და ეს მოსაზრება შეიძლება დასაბუთდეს იმითაც, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე. ანუ კანონმდებელი პირდაპირ განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტებს; პროკურორმა კი გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა უნდა განახორციელოს გამოძიების დაწყებისთანავე. მაშინაც, როდესაც ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირი. თუმცა შესაძლებელია ასეთი პირი გამოკვეთილიც იყოს, ე.ი. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს კიდევ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა და სისხლისსამართლებრივი დევნა ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს. აქვე შეიძლება დაისვას კითხვა: *მაინც რა კრიტერიუმებით შეიძლება მათ შორის უფრო მკაფიო განსხვავების დადგენა?*

განსხვავება სისხლისსამართლებრივ დევნასა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას შორის შეიძლება აიხსნას შემდეგნაირადაც: პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება გულისხმობს არა კონკრეტული ფაქტის ან გარემოების დადგენას ან ამ პროცესის უკეთ შესრულებაზე კონტროლის დაწესებას, არამედ იგი მიმართულია კონკრეტული პირის - ბრალდებულის წინააღმდეგ. სხვაგვარად, რომ ითქვას, დევნის განხორციელებად ითვლება პროკურორის მიერ მიღებული ის გადაწყვეტილება ან ჩატარებული საპროცესო მოქმედება, რომელიც ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობაზე შედეგობრივად აისახება. მაგალითად, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში იგულისხმება, ბრალდების შეცვლა, ქონებაზე ყადაღის დადება, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება, პროკურორის

მოქმედებები, რათა ბრალდებულს შეეფარდოს, შეეცვალოს ან მის მიმართ საერთოდ გაუქმდეს აღკვეთის ღონისძიება და ა.შ.

რაც შეეხება გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, იგი ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს – რაც შეიძლება კარგად, ამომწურავად, საპროცესო ნორმების ზედმიწევნით დაცვით მოახდინოს ბრალდების მხარემ დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება (ფაქტობრივი გარემოებების დადგენა). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის პროკურორის მიერ გამოძიების უკეთ ჩატარებაზე კონტროლის განხორციელება. პროკურორი ხომ პროცესის ის სუბიექტია, რომელიც თავის საქმიანობას გამოძიებლისაგან განსხვავებით არ ამთავრებს გამოძიების სტადიაზე. პროკურორი სასამართლოს წინაშე აგრძელებს ბრალდებულის მხილებას დანაშაულის ჩადენაში და ცდილობს სასამართლო დაარწმუნოს პირის დამნაშავეობაში. ამიტომ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა პროკურორს ესაჭიროება იმისათვის, რომ გამოძიების სტადიაზე შეიქმნას პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განხორციელების საფუძველი და საქმე წარმართოს სასამართლოში, სადაც იგი გააგრძელებს სისხლისსამართლებრივი დევნას. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა სრულდება მაშინ, როდესაც იგი საქმეს წარმართავს სასამართლოში ან შეწყვეტს გამოძიებას.

2.2. პროკურორი – გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა პროკურორის საპროცესო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს არის სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში პროკურორის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებებისა და მიღებული გადაწყვეტილებების ერთობლიობა, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა.⁴⁷⁸ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებით პროკურორი განსაზღვრავს სტრატეგიას, რომელიც მიმართულია სათანადო მტკიცებულებათა შეგროვებისაკენ.⁴⁷⁹ გამოძიების ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პროკურორის აქტიურ საპროცესო ხელმძღვანელობაზე.⁴⁸⁰

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებასას პროკურორი უფლებამოსილია (სსსკ-ის მუხ. 33-ე მე-6 ნაწ.):

ა) *საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაავალოს ამა თუ იმ სამართალდამცავ ორგანოს ან გამოძიებელს.*

საქართველოში სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ჩატარების უფლება აქვთ: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს

⁴⁷⁸ იხ. *Бушкова Е.Н.*, Надзор прокурора за процессуальной деятельностью следователя и дознавателя в досудебном производстве., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2011, 126.

⁴⁷⁹ იხ. *Цанаева Т.Ю.*, დასახ. ნაშრ., 37.

⁴⁸⁰ იხ. იქვე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფების გამოძიებებს (სსსკ-ის მუხ. 34-ე, ნაწ. 1-ლი). ყველა დასახელებულ საგამოძიებო ორგანოს განსაზღვრული აქვს ქვემდებარე დანაშაულები, რომელთა გამოძიებაც მათ ევალებათ.⁴⁸¹ შესაბამისად, პროკურორმაც უნდა იმოქმედოს საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით და გამოძიებულს ან სამართალდამცავ ორგანოს უნდა დაავალოს იმ საქმის გამოძიება, რომელიც ამ უწყების ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში დავალება წერილობითი ხასიათისაა. პროკურორს რაიმე საპროცესო დოკუმენტი (დადგენილება და ა.შ.) არ გამოაქვს. პროკურორი მასთან შესულ განცხადებას, სხვა მასალებს, ასევე სისხლის სამართლის საქმეს უგზავნის საგამოძიებო დანაყოფის უფროსს წერილით, რომელშიც მიუთითებს, რომ დანაშაულებრივი ფაქტის ირგვლივ გამოძიების ჩატარება, საგამოძიებო მოთხოვნათა შესაბამისად, ევალება მისდამი დაქვემდებარებულ დანაყოფს.

პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც პროკურორი შეისწავლის სისხლის სამართლის საქმის მასალებს და აღმოაჩენს სხვა დანაშაულის ნიშნებს, რომელიც არ განეკუთვნება იმ საგამოძიებო ორგანოს ქვემდებარეობას, რომელსაც იგი უწევს საპროცესო ხელმძღვანელობას. ამ დროს პროკურორი საქმიდან გამოყოფს იმ მასალებს, რომლებიც სხვა დანაშაულის ნიშნებს შეიცავენ და გამოყოფილ საქმეს გადააგზავნის (წარმართავს) სხვა უწყებაში ან თანამდებობის პირთან, რომელთა საგამოძიებო ქვემდებარეობასაც ეს საქმე განეკუთვნება.⁴⁸²

გარდა ამისა, არსებობს ისეთი შემთხვევაც, როდესაც გამოძიების შედეგების შესაბამისად იცვლება დანაშაულის კვალიფიკაცია და საქმე აღარ განეკუთვნება ამ საგამოძიებო დანაყოფის ქვემდებარეობას. ამ დროს პროკურორი გადაწყვეტილებას იღებს დადგენილების სახით და სისხლის სამართლის საქმეს ქვემდებარეობით უგზავნის იმ საგამოძიებო დანაყოფს, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს გამოძიება.⁴⁸³

ბ) მართალია, პროკურორმა უნდა იმოქმედოს საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით, მაგრამ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა უშვებს გამონაკლისს. კერძოდ, *საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსადიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს.* უფლებამოსილი პირი, რომელსაც უფლება აქვს საქმე ქვემდებარეობის მიუხედავად ამოიღოს და გამოსადიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს, განისაზღვრება საქართველოს მთავარი პროკურორის ბრძანებით. ასეთი პირები არიან: მთავარი პროკურორის მოადგილეები, ასევე თავიანთ

⁴⁸¹ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის №34 ბრძანება, სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე.

⁴⁸² იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმეები: №086090017, №086090024.

⁴⁸³ იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმეები: №086100006, №086090006.

სამოქმედო ტერიტორიაზე, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები.⁴⁸⁴

ქვემდებარეობის მიუხედავად სისხლის სამართლის საქმის ამოღება ერთი საგამოძიებო უწყებიდან და მისი გადაცემა სხვა საგამოძიებო ორგანოსათვის განპირობებულია სწრაფი, ეფექტური გამოძიების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, შესაძლოა გამოძიების ადგილი იმდენად იყოს დაშორებული შემთხვევის ადგილთან ან დასაკითხ მოწმეთა ბაზასთან, რომ ვერ ჩატარდეს სწრაფი, ეფექტური გამოძიება. ამიტომ უმჯობესია იმ საგამოძიებო ორგანომ გამოიძიოს დანაშაული, რომელიც უფრო ახლოს არის იმ ადგილთან, სადაც უნდა ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედებები. თუმცა აღნიშნული საკითხი შეფასებითია და მისი გადაწყვეტა დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტზე – მთავარ პროკურორზე ან მის მიერ უფლებამოსილ პირზე.

პრაქტიკაში ხშირია ასევე ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საგამოძიებო დანაყოფი გამოავლენს დანაშაულს, რომელიც მის ქვემდებარეობას არ განეკუთვნება. ეს საგამოძიებო დანაყოფი გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ჩაატარებს საჭირო საგამოძიებო მოქმედებებს და საქმეს გადასცემს პროკურორს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით წარმართვისათვის,⁴⁸⁵ მაგრამ პროკურორი მიიჩნევს, რომ სწრაფი, ეფექტური გამოძიების ჩატარების უზრუნველსაყოფად, უმჯობესია საქმე გამოიძიოს ისევე იმ საგამოძიებო დანაყოფმა, რომელმაც გამოავლინა ეს დანაშაული. ამ შემთხვევაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის ზეპირი ან წერილობითი მოხსენების საფუძველზე, მთავარი პროკურორი ან მისგან უფლებამოსილი პირი თავისი დადგენილებით საქმეს გამოსაძიებლად გადასცემს ამ დანაყოფს.⁴⁸⁶

ქვემდებარეობის მიუხედავად საქმე გამოსაძიებლად ერთი საგამოძიებო ორგანოდან სხვა საგამოძიებო ორგანოს შეიძლება გადაეცეს სხვა ობიექტური მიზეზითაც.

გ) პროკურორი გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისას უფლებამოსილია *სისხლის სამართლის საქმე ჩამოართვას ერთ გამომძიებელს და გადასცეს მეორეს*. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევებში, როდესაც გამომძიებელი თავს ვერ ართმევს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას, უშვებს შეცდომებს⁴⁸⁷ ან ეს უკანასკნელი იმდენად გადატვირთულია, რომ ობიექტურად ვერ შეძლებს სრულყოფილი გამოძიების ჩატარებას.

გამომძიებლისათვის საქმის ჩამორთმევის მიზეზი შეიძლება გახდეს ასევე სხვა ფაქტორებიც. მაგალითად, ინტერესთა კონფლიქტი. არსებობს

⁴⁸⁴ იხ. საქართველოს მთავარი პროკურორის 2010 წლის 29 სექტემბრის №112 ბრძანება უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

⁴⁸⁵ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის №34 ბრძანება, სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე.

⁴⁸⁶ იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმეები: №086170811001, №086211111001.

⁴⁸⁷ იხ. *აბაშიძე გ.*, პროკურორი – გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, თბილისი, 2011, 80-83.

შემთხვევები, როდესაც გამოძიებელი თვითაცილების მოთხოვნით წერილობით მიმართავს პროკურორს და აცხადებს, რომ იგი ობიექტური ვერ იქნება საქმის გამოძიებისას, ვინაიდან პროცესის მონაწილე (მაგალითად, ბრალდებული, დაზარალებული და ა.შ.) არის მის ნათესავი ან მეგობარი (სსსკ-ის მუხ. 62-ე). ამ შემთხვევაში პროკურორმა გამოძიებელს უნდა ჩამოართვას სისხლის სამართლის საქმე და გადასცეს სხვა გამოძიებელს.

საქმისადმი დაინტერესების გამო, გამოძიებლის აცილების მოთხოვნით, პროკურორს შეიძლება მიმართოს დაცვის მხარემაც, რაც გამოძიებლის საქმიდან ჩამოცილების კიდევ ერთი საფუძველი შეიძლება გახდეს (სსსკ-ის მუხ. 59-ე, 63-ე).⁴⁸⁸ გამოძიებლის აცილების შემთხვევაში პროკურორის გამოაქვს დადგენილება (სსსკ-ის მუხ. 64-ე).

დ) ზემდგომ პროკურორს უფლება აქვს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობიდან ჩამოაშოროს ქვემდგომი პროკურორი და მისი ფუნქციები დააკისროს სხვა პროკურორს. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც ზემდგომი პროკურორი მიიჩნევს, რომ საპროცესო ხელმძღვანელობა სათანადოდ ვერ ხორციელდება, გამოძიება მიმდინარეობს უხარისხოდ, დარღვევებით და ქვემდგომი პროკურორი ვერ ახდენს სათანადო რეაგირებას.

პროკურორის საქმიდან ჩამოშორების მიზეზი შეიძლება იყოს ასევე მისი გადატვირთულობა ან საქმისადმი პირადი დაინტერესება და ა.შ.

ე) პროკურორის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისას. ამ დროს პროკურორი უშუალოდ მონაწილეობს ჩხრეკის, ამოღების დათვალიერების თუ სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში და ადგილზე აკონტროლებს არა მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კანონიერებას, არამედ აკვირდება რამდენად ეფექტურად და სრულად ხდება მტკიცებულებათა მოპოვება.

პროკურორის საგამოძიებო მოქმედებაში უშუალო მონაწილეობა არ გულისხმობს იმას, რომ მან უნდა შეადგინოს საგამოძიებო მოქმედების ოქმი ან უშუალოდ ის უნდა გაუძღვეს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას. იგი მხოლოდ აკვირდება აღნიშულ პროცესს და იმ შემთხვევაში თუ პროკურორი აღმოაჩენს, რომ ირღვევა ადამიანის უფლებები ან ვერ ხდება მტკიცებულების სრულყოფილი და ეფექტური მოპოვება, იგი გამოძიებელს ადგილზე აძლევს ზეპირ მითითებებს საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისას არსებული ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე.⁴⁸⁹

ვ) პროკურორს უფლება აქვს გამოძიებისას სავალდებულო მითითება მისცეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა პროკურორს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას ავალდებს იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს

⁴⁸⁸ იხ. აბაშიძე გ., პროკურორი გამოძიების სტადიაზე, თბილისი, 2012, 149-151.

⁴⁸⁹ დაწვრილებით იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), რედ.: გახოციძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი., თბილისი, 2013, 121-122; აბაშიძე გ., პროკურორი გამოძიების სტადიაზე, თბილისი, 2012, 151-157.

სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელება (სსსკ-ის მუხ. 32-ე), რაც სასამართლოშიც გრძელდება.⁴⁹⁰ შესაბამისად, გამოძიების სტადიაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობით უნდა შეიკრიბოს ყველა საჭირო მტკიცებულება და გაირკვეს გარემოებები, რომელთა დადგენაც რეალურად შესაძლებელია. ამისათვის პროკურორს სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლება აქვს გამოძიების პროცესში სავალდებულო მითითებები მისცეს სამართალდამცავი ორგანოს მუშაკს საჭირო საპროცესო, თუ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ. ამ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი შეიძლება იყოს, როგორც საქმის უშუალო გამომძიებელი, ასევე სხვა თანამშრომელიც. მაგალითად, პროკურორს შეუძლია ოპერატიულ მუშაკს მისცეს მითითება კონკრეტულ საქმეზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ; ან სხვა გამომძიებელი ჩართოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში⁴⁹¹ და მიუთითოს საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც ამ უკანასკნელმა უნდა ჩაატაროს.

გამომძიებელი ვალდებულია შეასრულოს პროკურორის მითითება, მაგრამ თუ იგი არ ეთანხმება პროკურორის მითითებას, გამომძიებელს უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმე თავისი მოსაზრებებით წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს. ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მითითება ან გამოძიება სხვა გამომძიებელს დაავალოს (სსსკ-ის 37-ე მუხლის მე-3 ნაწ.). გარდა ამისა, მოცემულ ვითარებაში ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია ასევე ჩამოაშოროს ქვემდგომი პროკურორი სისხლის სამართლის საქმის საპროცესო ხელმძღვანელობას და მისი ფუნქციები დააკისროს სხვა პროკურორს.

საპროცესო კანონი ზემდგომ პროკურორსაც ანიჭებს უფლებამოსილებას *სავალდებულო მითითებები მისცეს ქვემდგომ პროკურორს*. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე *ზემდგომი პროკურორი* დარწმუნდება, რომ საქმეზე არასათანადო საპროცესო ხელმძღვანელობა ხორციელდება. ამ დროს ზემდგომ პროკურორს უფლება აქვს მიუთითოს, როგორც ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებები და დასადგენი გარემოებები, ასევე საქმეზე საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის მიერ შესასრულებელი საპროცესო მოქმედებებიც. მაგალითად, ზემდგომმა პროკურორმა საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ქვემდგომ პროკურორს შეიძლება მიუთითოს პირის დაზარალებულად ცნობის ან ბრალდებულის ქონებაზე ყადაღის დადების აუცილებლობის შესახებ და ა.შ.

პროკურორის მითითება შეიძლება იყოს როგორც ზეპირი ასევე წერილობითი სახის. პროკურორის წერილობითი მითითება აუცილებლად

⁴⁹⁰ იხ. *Воронин О.В.*, დასახ. ნაშრ., 29-30.

⁴⁹¹ იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №086090017.

უნდა მოთავსდეს სისხლის სამართლის საქმეში.⁴⁹² ძირითადად შემთხვევებში პროკურორის მითითება უნდა იყოს წერილობითი.⁴⁹³

ბ) სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალები ან მთლიანად სისხლის სამართლის საქმე. პროკურორის მოთხოვნა ერთ-ერთი საპროკურორო აქტია, რომლის შესრულებაც სავალდებულოა.⁴⁹⁴ სისხლის სამართლის საქმე პროკურორმა შესაძლოა მოითხოვოს წერილობით ან ზეპირსიტყვიერად. მას უფლება აქვს მოთხოვნილ საქმეს გაეცნოს გამოძიებულთან ერთად და მოისმინოს ამ უკანასკნელის მოსაზრებები. პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმეთა მოთხოვნა ხდება იმისათვის, რომ მან შეისწავლოს, გაანალიზოს და შეაფასოს მოპოვებული მასალები, ასევე დასახოს სამომავლო გეგმა მტკიცებულებათა შეკრების, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-არდაწყების კუთხით და ა.შ.⁴⁹⁵

საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს თუ რამდენ ხანს უნდა ჰქონდეს პროკურორს მოთხოვნილი სისხლის სამართლის საქმე. აღინიშნავია, რომ პროკურორმა საქმე თავისთან უნდა გააჩეროს გონივრული ვადით. მან არ უნდა გააჭიანუროს საქმის მასალების შესწავლა, დროულად უნდა დასახოს გეგმები, საჭიროების შემთხვევაში შეადგინოს სავალდებულო მითითებები და საქმე დაუბრუნოს გამოძიებულს.

თუ რამდენი ხანი უნდა ყოფილიყო მოთხოვნილი სისხლის სამართლის საქმე პროკურორთან პირდაპირ არ იყო განსაზღვრული 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაც. თუმცა პროკურორს უფლება ჰქონდა ბრალდების შეცვლის, შევსების და მასზე უარის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად წინასწარი გამოძიების ნებისმიერ მომენტში მოეთხოვა გამოძიებლისათვის სისხლის სამართლის საქმე არა უმეტეს 3 დღისა.⁴⁹⁶

დღეს, პრაქტიკაში, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების მოთხოვნა ძალიან ნაკლებად ხდება. სისხლის სამართლის საქმის ელექტრონული წარმოების პროგრამა პროკურორს საშუალებას აძლევს ნებისმიერ დროს გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, გამოძიებლის მიერ შესრულებულ მოქმედებებს ისე, რომ არ მოითხოვოს საქმე. პროკურორი ელექტრონულ პროგრამაში ხედავს მთელ სისხლის სამართლის საქმეს.⁴⁹⁷ მიუხედავად ამისა, პროკურორს შესაძლოა გასაცნობად დასჭირდეს და

⁴⁹² დაწვრილებით იხ. აბაშიძე ვ., პროკურორი – გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, თბილისი, 2011, 90-96.

⁴⁹³ იხ. საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“ 2013 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით, მუხ. 27-ე.

⁴⁹⁴ იხ. იქვე, მუხ. 22-ე.

⁴⁹⁵ იხ. აბაშიძე ვ., პროკურორი გამოძიების სტადიაზე, თბილისი, 2012, 162-163.

⁴⁹⁶ იხ. 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ი 2009 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, მუხ. 285-ე, ნაწ., მკ-4.

⁴⁹⁷ იხ. სისხლის სამართლის საქმის ელექტრონული წარმოების სახელმძღვანელო, თბილისი, 2010 წელი.

მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის მასალების დედნები, რაც გამოძიებულთან ინახება. ამიტომ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისას პროკურორის უფლება მოითხოვის სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალები ან საქმე მთლიანად, დღესაც აქტუალურია.

თ) პროკურორს უფლება აქვს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისას გააუქმოს გამოძიებლის დადგენილება. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც გამოძიებელი საქმის გამოძიებისას დადგენილებით მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც არ შეესაბამება კანონს, დაუსაბუთებელია ან აშკარა წინააღმდეგობაშია საქმეში არსებულ მასალებთან.⁴⁹⁸ მაგალითად, გამოძიებელმა შესაძლოა საპროცესო ნორმების დარღვევით, არასწორად ან უსაფუძვლოდ დანიშნოს ექსპერტიზა, ინვენტარიზაცია, რევიზიას და ა.შ. ამ დროს პროკურორი თავისი დადგენილებით აუქმებს გამოძიებლის გადაწყვეტილებას და მას შეუძლია მითითება მისცეს გამოძიებელს ახალი, კანონშესაბამისი დადგენილების გამოტანის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ პროკურორი და გამოძიებელი ხშირად მოქმედებენ ურთიერთშეთანხმებით და შესაბამისად პროკურორის მიერ გამოძიებლის დადგენილების გაუქმება პრაქტიკაში ნაკლებად ხდება.

გამოძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების გაუქმების უფლება აქვს როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს, ასევე ზემდგომ პროკურორსაც. ამ უკანასკნელს უფლება აქვს ასევე გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის დადგენილებაც. ამ შემთხვევაში ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს ორგვარი: 1) გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისას მიღებული გადაწყვეტილება (მაგალითად, პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება) და 2) ქვემდგომი პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები (მაგალითად, პირის ბრალდებულად ცნობა, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება და ა.შ.). ზემდგომ პროკურორს ორივე შემთხვევაში სრული უფლება აქვს ქვემდგომი პროკურორის უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება გააუქმოს და ამ უკანასკნელს დაავალოს ახალი კანონშესაბამისი დადგენილების გამოტანა.

ი) როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოძიების სტადიაზე პროკურორის როლი არსებითია. სამართალწარმოების ამ ეტაპზე იგი უფლებამოსილია სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სასამართლოს ნებართვას არ საჭიროებს. შესაბამისად, პროკურორი გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისას უფლებამოსილია გადაწყვიტოს საჩივარი გამოძიებლის მოქმედების ან დადგენილების გამო. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც გამოძიებლის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო, უკმაყოფილოა პროცესის მონაწილე მხარე და პროკურორს მიმართავს საჩივრით, რათა მან მოახდინოს კანონშესაბამისი

⁴⁹⁸ დამატებით იხ. აბაშიძე გ., პროკურორი – გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, თბილისი, 2011, 101-103.

რეაგირება. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც მხარე უკმაყოფილოა გამოძიების მიმდინარეობით; იგი გამოძიებელს ამხელს უმოქმედობაში და სურს, რომ საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდეს დროულად, ხარისხიანად, შემჭიდროვებულ ვადაში მოხდეს გამოძიების დასრულება. ამ დროს პროკურორმა საჩივარი უნდა განიხილოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით (სსსკ-ის მუხ. 95-99-ე), დააკმაყოფილოს ან უარყოს საჩივარი და პასუხი აცნობოს მომჩივანს.

გარდა ამისა, პროკურორი უფლებამოსილია შესაბამისი ახსნა-განმარტების მისცეს სასამართლოს გამოძიებლის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც დაცვის მხარე სასამართლოში აცხადებს, რომ ბრალდებულის დაკავებისას გამოძიებელმა დაარღვია საპროცესო კანონი ან არასწორად მოხდა ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების (ჩხრეკის, ამოღების, დაკითხვის, საგამოძიებო ექსპერიმენტის და ა.შ.) ჩატარება. ამ დროს პროკურორი სასამართლოს დეტალურად განუმარტავს გამოძიებლის მოქმედების ან გადაწყვეტილების ობიექტურ მიზეზებს.

პროკურორის ეს უფლება ემსახურება სამართალწარმოების მონაწილის დარღვეული უფლების აღდგენას.⁴⁹⁹

კ) პროკურორი გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისას უფლებამოსილია ადამიანის უფლებათა შემზღვეველი საგამოძიებო მოქმედებების, (მაგალითად, ჩხრეკა, ამოღება, საბანკო ანგარიშების მონიტორინგი, დათვალიერება მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ) მათ შორის ფარული საგამოძიებო მოქმედებების (სსსკ-ის 143³-ე მუხ.) ჩატარების (სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება ან ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა და ა.შ.) შესახებ სასამართლოს განჩინების მისაღებად შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც სისხლის სამართლის საქმის მასალების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე პროკურორი მივა იმ დასკვნამდე, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, საჭიროა ჩატარდეს ასეთი მოქმედებები.⁵⁰⁰ განჩინების მიღების შემდეგ პროკურორი გამოძიებელს ან შესაბამის მუშაკს ავალებს აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებას.

ლ) სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოძიების სტადიაზე პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს სახელმწიფო ორგანოებიდან დოკუმენტი და სხვა ნივთიერი მტკიცებულება. მოცემულ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებების გარკვევის მიზნით, საჭირო არ არის საგამოძიებო მოქმედების (ჩხრეკის, ამოღების და ა.შ.) ჩატარება. მაგალითად, პროკურორმა შეიძლება მოითხოვოს ინფორმაცია პირის ნასამართლობის შესახებ; დეტალური

⁴⁹⁹ იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), რედ.: გახლოძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი., თბილისი, 2013, 124-125; აბაშიძე გ., პროკურორი გამოძიების სტადიაზე, თბილისი, 2012, 184-185.

⁵⁰⁰ დაწვრილებით იხ. აბაშიძე გ., პროკურორი – გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, თბილისი, 2011, 98-101.

ინფორმაცია მიიღოს სახელმწიფო ორგანოს საქმიანობის, დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და ვინაობის თაობაზე; მოითხოვოს ექსპერტიზისათვის საჭირო თავისუფალი ნიმუშები, რომლებიც შენაცვლებადი ნივთიერი მტკიცებულებებია (სსსკ-ის მუხ. 77-ე) და ა.შ.

გარდა ამისა, პროკურორს უფლება აქვს ასევე სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით. ამის ნათელი მაგალითია კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები (სსსკ-ის მუხ. 136-138-ე). თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი იყენებს ამ უფლებას და სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით, რათა გასცეს განჩინება ამ ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ (სსსკ-ის მუხ. 136-ე). სასამართლოს განჩინება ეგზავნება კერძო პირს (ეს შეიძლება იყოს მაგალითად, შპს ჯეოსელი, შპს მაგთიკომი და ა.შ.), რომელიც ვალდებულია ინფორმაცია ან დოკუმენტი გადასცეს საგამოძიებო დანაყოფს.

მ) სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას პირის დაზარალებულად ცნობა პროკურორის ექსკლუზიური უფლებაა. ამ გადაწყვეტილებას პროკურორი იღებს დადგენილების სახით (სსსკ-ის მუხ. 56-ე, ნაწ. მე-5). დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი (სსსკ-ის მუხ. მე-3, ნაწ. მე-22). ერთ-ერთი საფუძვლის არსებობაც საკმარისია იმისათვის, რომ პირი დაზარალებულად იქნეს ცნობილი. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ, პროკურორის დავალებით გამოძიებელი აცნობს ამ დადგენილებას დაზარალებულს და ამ უკანასკნელს გადასცემს უფლება-მოვალეობათა ნუსხას.

გარდა ამისა, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისას პროკურორის ექსკლუზიური უფლებაა ასევე გამოძიების შეწყვეტა. პროკურორი ამ საპროცესო გადაწყვეტილებას იღებს მაშინ, როდესაც საქმის მასალების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე მივა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს სსსკ-ის 105-ე მუხლით გათვალისწინებული გამოძიების შეწყვეტის რომელიმე საფუძველი (თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო და ა.შ).

აღსანიშნავია, რომ ზემოთ განხილული პროკურორის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. გაანალიზებულ იქნა პროკურორის მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც შინაარსობრივად დაკავშირებულია ამ უკანასკნელის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებასთან.

გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოებაც, რომ ზემოთ აღნიშნული ყველა მოქმედება, რომელსაც პროკურორი ახორციელებს ვერ ჩაითვლება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებად, ვინაიდან ეს

მოქმედებები არ არის მიმართული უშუალოდ ბრალდებულის წინააღმდეგ.⁵⁰¹ მათი მეშვეობით პროკურორი უზრუნველყოფს, ამზადებს შესაბამის მასალებს სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად, ან უკვე დაწყებული დევნის უკეთ განსახორციელებლად. ეს მოქმედებები პროკურორმა შესაძლოა განახორციელოს, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე, ასევე დევნის დაწყების შემდეგაც.

ამასთან, საუბარია რა გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისას პროკურორის უფლებამოსილებებზე, ამ კუთხით შესაძლებელია გარკვეული პარალელის გაგება ინგლისში არსებულ გვირგვინის საბრალდებო სამსახურის ბრალმდებლისა და პროკურორის საქმიანობას შორის. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში პროკურორი სრულად აკონტროლებს გამოძიების პროცესს. რაც შეეხება ინგლისის საბრალდებო სამსახურის ბრალმდებელს, მასაც აქვს უფლება (მაგრამ არა ყველა საქმეზე) გარკვეული რჩევები, მითითებები მისცეს გამოძიებლებს,⁵⁰² რაც გარკვეულწილად წააგავს პროკურორის მიერ საქმეზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას (სსსკ-ის მუხ. 32-ე, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია მრავალეპიზოდური დანაშაულები, რა დროსაც გვირგვინის ბრალმდებელი რჩევას აძლევს გამოძიებლებს გამოძიების ფარგლების და სტრატეგიის შესახებ.⁵⁰³ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გვირგვინის ბრალმდებელთა კოდექსში, განსხვავებით საქართველოში მოქმედი საპროცესო კანონმდებლობისაგან, საუბარი არ არის გამოძიებლების მიერ პროკურორის რჩევების, მითითებების სავალდებულო შესრულების შესახებ. მაგრამ ეს არ გამორიცხავს მათ მჭიდრო თანამშრომლობას.⁵⁰⁴

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების სტადიაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით პროკურორისათვის მინიჭებული უფლებამოსილებები, რომელთა საფუძველზეც, იგი ატარებს საპროცესო მოქმედებებს და იღებს შემაჯამებელ გადაწყვეტილებებს.

2.3. პროკურორის მოქმედებები სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას

ზემოაღნიშნული საპროცესო მოქმედებების გარდა, გამოძიების სტადიაზე, სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილი პროკურორს ანიჭებს უფლებას განხორციელების შემდეგი საპროცესო მოქმედებები: ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს; შეწყვიტოს ანდა შეაჩეროს

⁵⁰¹ იხ. სადისერტაციო ნაშრომის კარი II, თავი V, §3.

⁵⁰² იხ. Le Code des procureurs de la Couronne, par. 3.2.,

<http://www.cps.gov.uk/publications/docs/french_code_2013.pdf>, ბოლოს გამოსმოილია 07.07.2014;

⁵⁰³ იხ. იქვე, par. 3.2.

⁵⁰⁴ იხ. იქვე, par. 3.6.

სისხლისსამართლებრივი დევნა; შეცვალოს ბრალდება; ბრალდებულთან დადოს საპროცესო შეთანხმება და სასამართლოში წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე; გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ძებნის შესახებ.

ზემოთ დასახელებული საპროცესო მოქმედებების შესრულებისას პროკურორი ფაქტობრივად ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, ვინაიდან ეს მოქმედებები მიმართულია უშუალოდ ბრალდებულის წინააღმდეგ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. პროკურორს უფლება აქვს ჩაატაროს სხვა საპროცესო მოქმედებებიც, რაც სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას ნიშნავს. საჭიროა პროკურორის ამ უფლებების დეტალური ანალიზი:

ა) იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, სისხლისსამართლებრივ დევნაში, როგორც საპროცესო ფუნქციაში მოიაზრება აღკვეთის ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება ბრალდებულის მიმართ.⁵⁰⁵ აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველს – ეს არის დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს (სსსკ-ის მუხ. 198-ე, 1-ლი და მე-2 ნაწ.).

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია აღკვეთის ღონისძიების შემდეგი სახეები: გირაო, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და პატიმრობა. ზემოაღნიშნულ აღკვეთის ღონისძიებებთან ერთად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ასევე დამატებითი ღონისძიებებიც (დაწვრილებით იხ. სსსკ-ის მუხ. 199-ე).

ბრალდებულისათვის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ინიციატორი მხოლოდ პროკურორია. ანუ მხოლოდ პროკურორს შეუძლია შეიტანოს სასამართლოში შუამდგომლობა ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე (სსსკ-ის მუხ. 33-ე მე-6 ნაწ. „ე“ ქვეპუნქტი). თუ პროკურორმა მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ არ არსებობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, იგი არ მიმართავს სასამართლოს და შესაბამისად ბრალდებულის მიმართ არ იქნება გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება. აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით ბრალდებულს ეზღუდება პირადი უფლებები. ამის ნათელი მაგალითია, ბრალდებულის პატიმრობა, რა დროსაც ამ უკანასკნელს ეზღუდება

⁵⁰⁵ იხ.: *Строгович М.С.*, Уголовное преследование в советском уголовном процессе, Москва, 1951, 56; *Строгович М.С.*, Курс советского уголовного процесса, том 1, Москва, 1968, 196.

თავისუფლება.⁵⁰⁶ შესაბამისად, სასამართლოში შეტანილი პროკურორის შუამდგომლობა ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ უნდა ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებად.

რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების შეცვლას, პროკურორმა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლა შესაძლოა მოითხოვოს იმ მოტივით, რომ ბრალდებული არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას ან დაარღვია სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. მაგალითად, დადგენილ ვადაში სადეპოზიტო ანგარიშზე არ შეიტანა გირაოს თანხა (სსსკ-ის 200-ე მუხ.) და ა.შ. *შესაბამისად, პროკურორის ეს მოქმედებაც დაკავშირებულია ბრალდებულის უფლებების შეზღუდვასთან და უნდა ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებად.*

გარდა ამისა, სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელი ელემენტია პროკურორის მიერ სასამართლოში შეტანილი შუამდგომლობა ბრალდებულისათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ, ვინაიდან პროკურორის აღნიშნული მოქმედება უშუალოდ აისახება ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობაზე. მართალია, ამ მოქმედებით ბრალდებულის მდგომარეობა უმჯობესდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ მის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნა არ ხორციელდება.

მაშასადამე, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, შეცვლა ან გაუქმება შედგება ორი ნაწილისაგან: პროკურორის მიერ სასამართლოში შუამდგომლობის შეტანა და სასამართლოს მხრიდან აღნიშნული შუამდგომლობის განხილვა (სსსკ-ის მუხ. 206-ე). აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, აღკვეთის ღონისძიებები არ წარმოადგენენ სისხლისსამართლებრივი დევნის ელემენტებს, არამედ ისინი შედიან სხვა საპროცესო ფუნქციებში, ვინაიდან აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება უწევს მოსამართლეს (იგულისხმება მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობის გადაწყვეტა), მაგრამ მოსამართლე არ არის სუბიექტი, რომელიც აწარმოებს სისხლისსამართლებრივ დევნას.⁵⁰⁷

აღნიშნული მოსაზრება არ არის საფუძველს მოკლებული. აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე საკითხის გადაწყვეტა (იგულისხმება სასამართლოს წინაშე შუამდგომლობის დაყენება) ითვლებოდა და დღესაც ითვლება სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოების პრეროგატივად, მაგრამ ამ ორგანოებთან ერთად მოსამართლესაც აქვს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ საკითხის გადაწყვეტის უფლება.⁵⁰⁸

საქმე იმაშია, რომ აღკვეთის ღონისძიებები დაკავშირებულია არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ დევნასთან, არამედ სისხლის სამართლის პროცესის მიზნებთან და ამოცანებთან. ეს სამართლებრივი მექანიზმი ხელს უწყობს გამოძიებას, დანაშაულის გახსნას, სასამართლო განხილვის

⁵⁰⁶ პატიმრობაზე დაწერილებით იხ. *ბენიძე ვ.*, დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბილისი, 2003.

⁵⁰⁷ იხ. *Ларин А.М.*, Расследование по уголовному делу: Процессуальные функции, Москва, 1986, 38.

⁵⁰⁸ იხ. *Яковенко В.В.*, დასახ. ნაშრ., 18.

წარმატებით განხორციელებას და განაჩენის აღსრულებას.⁵⁰⁹ მისი დანიშნულება არის ის, რომ ბრალდებული არ დაემალოს გამოძიებასა და სასამართლოს, არ გააგრძელოს შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, ზემოქმედება არ მოახდინოს მოწმეზე ან სამართალწარმოების სხვა მონაწილეებზე, არ გაანადგუროს მტკიცებულებები და ა.შ.⁵¹⁰

აქედან გამომდინარე, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლე (სასამართლო) სისხლისსამართლებრივ დევნის ფუნქციას კი არ აწარმოებს, არამედ იგი მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად ახორციელებს სამართალწარმოებას კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე.⁵¹¹ რაც შეეხება პროკურორს, მის მიერ სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობის დაყენებისას უდაოდ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა. პროკურორის ზემოაღნიშნული მოქმედებების გარეშე შეუძლებელია სასამართლომ დამოუკიდებლად, თავისი ინიციატივით შეუფარდოს ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიება.

უფრო მეტიც, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებად უნდა ჩაითვალოს ასევე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ სასამართლოს წინაშე დაყენებული შუამდგომლობის განხილვაში პროკურორის მონაწილეობაც. ამ დროს პროკურორს შეუძლია სასამართლოს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია და დაასაბუთოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, ასევე მისი შეცვლის მიზანშეწონილობა. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესშია.

ბ) სამეცნიერო ლიტერატურაში გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა მიჩნეულია, როგორც დევნის დამთავრების ერთ-ერთი ფორმა.⁵¹² სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არის გამოძიების ორგანოების გაწეული მუშაობისა და პროკურორის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების შედეგი. უფრო ზუსტად რომ ითქვას, გამოძიების სტადიაზე პროკურორი იწყებს და ახორციელებს რა სისხლისსამართლებრივ დევნას სხვადასხვა საპროცესო მოქმედებებისა და შემაჯამებელი გადაწყვეტილებების სახით, ასევე საქმის მასალების შეფასებისას, ეს უკანასკნელი მიდის იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების საფუძველი ან/და საჭიროება.⁵¹³ ამ დროს პროკურორი ხელმძღვანელობს სსსკ-ის 105-ე მუხლით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში ან იყენებს დისკრეციულ

⁵⁰⁹ იხ. *Яковенко В.В.*, დასახ. ნაშრ. 20.

⁵¹⁰ იხ. იქვე.

⁵¹¹ იხ.: *Яковенко В.В.*, დასახ. ნაშრ., 20; *Козубенко Ю.В.*, Уголовное преследование: вопросы теории и практики., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Екатеринбург, 2006, 218.

⁵¹² იხ. *Яковенко В.В.*, დასახ. ნაშრ., 143.

⁵¹³ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. *Белоусова Е.А.*, Прекращение уголовного преследования в стадии предварительного расследования., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Санкт-Петербург, 2004.

უფლებამოსილებას⁵¹⁴ და თავისი დადგენილებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას (სსსკ-ის მუხ. 106-ე). მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანა დევნის დამამთავრებელი ეტაპია.

პრაქტიკაში არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პირს მრავალეპიზოდური დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი და დადგინდება, რომ ერთ რომელიმე ეპიზოდში აღარ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების საფუძველი. ამ დროს პროკურორს გამოაქვს დადგენილება ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე პირის მიმართ კონკრეტულ ეპიზოდში დევნა აღარ გრძელდება, ხოლო დანაშაულის დანარჩენ ეპიზოდებში ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ჩვეულებრივ ხორციელდება.⁵¹⁵

გამოძიების სტადიაზე არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პროკურორი არ იწყებს ან აჩერებს დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნას. დევნის არდაწყების ან შეჩერების საფუძველები ზუსტად არის განსაზღვრული მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით. კერძოდ, ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც შესაბამისი ორგანო ან თანამდებობის პირი პროკურატურას არ აძლევს ნებართვას განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ ვადით, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი; თუ დაისვა უცხოელისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის საკითხი მის ოფიციალურად გადაწყვეტამდე და ა.შ. (დაწვრილებით იხ. სსსკ-ის მუხ. 167-ე). ასეთ დროს პროკურორს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შესახებ, რაც იმის მაუწყებელია, რომ გარკვეული ვადით ჩერდება ყველა იმ საპროცესო მოქმედების განხორციელება, რაც დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივ დევნასთან.

მაშასადამე, პროკურორის მიერ ამ გადაწყვეტილების მიღება ხდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე ან უშუალოდ დევნის განხორციელებისას და ეს მოქმედება ემსახურება ბრალდებულის ან პასუხისგებაში მისაცემი პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.⁵¹⁶

გ) შემდგომი საპროცესო მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან არის პროკურორის მიერ ბრალდების შეცვლა.⁵¹⁷ ბუნებრივია, ამ დროს პირი უკვე ცნობილია ბრალდებულად, მაგრამ საქმის გამოძიების პროცესში გამოიკვეთა, რომ ბრალდება არასწორად არის ფორმულირებული, შეიცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია ან დამატებით მოპოვებულ იქნა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ბრალდებულის მიერ სხვა დანაშაულის ჩადენასაც და საჭიროა ბრალდების შევსება.

⁵¹⁴ პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე ქვემოთ იქნება დეტალური მსჯელობა.

⁵¹⁵ იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №086090009.

⁵¹⁶ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), რედ.: ვახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი., თბილისი, 2013, 124.

⁵¹⁷ იხ. Ларин А. М., Расследование по уголовному делу: Процессуальные функции, Москва, 1986, 38.

მაშასადამე, ბრალდების შეცვლა ხდება საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების ან სამართლებრივი საფუძვლის შეცვლის შემთხვევაში.⁵¹⁸ ამ დროს პროკურორი უფლებამოსილია სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მოთხოვნათა დაცვით გამოიტანოს ახალი დადგენილება პირის ბრალდების შესახებ და პირს წაუყენოს ბრალი. პირის ბრალდების შესახებ ახალ დადგენილებაში საჭირო არ არის მიეთითოს თავდაპირველი ბრალდების დადგენილების გაუქმების შესახებ.

პროკურორის ამ უფლებამოსილების მიზანია გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას განისაზღვროს ბრალდების ფარგლები, ბრალდებულის ქმედებას მიეცეს სწორი სამართლებრივი შეფასება და ამ კუთხით თავიდან იქნეს აცილებული შეცდომები.⁵¹⁹

დ) პროკურორს უფლება აქვს ბრალდებულთან დადოს საპროცესო შეთანხმება და სასამართლოში წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.

საპროცესო შეთანხმება წარმოადგენს მართლმსაჯულების დაჩქარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს. იგი გავრცელებულია როგორც კონტინენტური ევროპის, ასევე საერთო სამართლის ქვეყნებში და სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება.⁵²⁰ საქართველოში საპროცესო შეთანხმება შემოღებულ იქნა 2004 წლის 13 თებერვალს.⁵²¹

საპროცესო შეთანხმების არსი მდგომარეობს იმაში, რომ პროკურორისა და ბრალდებულის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, პროკურორი უფლებამოსილია მოითხოვოს ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირება ან დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების შემსუბუქების შესახებ ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე. საპროცესო შეთანხმება იდება ზემდგომ პროკურორთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებით. პროცესის ორივე მხარისათვის მისაღები პირობებით საპროცესო შეთანხმების დადების შემდეგ, პროკურორი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. სასამართლო მხარეთა მონაწილეობით იხილავს პროკურორის შუამდგომლობას და იღებს გადაწყვეტილებას საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის, საქმის პროკურორისათვის დაბრუნების ან კანონით დადგენილი წესით საქმის არსებითი განხილვის თაობაზე. (დაწვრილებით იხ. სსსკ-ის მუხ. 209-218-ე).⁵²²

⁵¹⁸ იხ. Уголовный процесс, Коллектив авторов, Под редакцией Прошлякова А.Д., Балакишина В.С., Козубенко Ю.В., Учебник, Москва, 2011, 469-470.

⁵¹⁹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), რედ.: ვახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., ვაბიძონია ი., თბილისი, 2013, 125.

⁵²⁰ იხ. ჭანტურია გ., საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში, თბილისი, 2007, 104-105

⁵²¹ იხ. საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287-სსმ I, №6, 09.03.2004.წ., მუხ. 21-ე.

⁵²² საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით, დაწვრილებით იხ.: ჭანტურია გ., დასახ. ნაშრ.; ვაბრიძე ნ., საპროცესო შეთანხმება, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2004,

მაშასადამე, საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორის როლი არსებითია. ამ დროს პროკურორი ასრულებს რამოდენიმე საპროცესო მოქმედებას: აფორმებს საპროცესო შეთანხმების ოქმს ბრალდებულთან ამ უკანასკნელის ადვოკატის მონაწილეობით, შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ და მონაწილეობას იღებს სასამართლო პროცესში. ამ მოქმედებების შესრულებით, პროკურორი ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, ვინაიდან ყველა ზემოთ აღნიშნული მოქმედება მიმართულია კონკრეტული პირის – ბრალდებულის წინააღმდეგ და შედეგობრივად აისახება მის სამართლებრივ მდგომარეობაზე. ამასთან, ეს ის მოქმედებებია, რომელთა შესრულება მხოლოდ – სისხლისსამართლებრივი დევნის „აქტიურ სუბიექტს“⁵²³ – პროკურორს შეუძლია. მაგალითად, ბრალდების შემსუბუქება ან ნაწილობრივ მოხსნა მხოლოდ პროკურორის პრეროგატივაა და პირდაპირ კავშირშია დევნის წარმოებასთან. სწორედ აქედან გამომდინარეობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების დადება და ამ შეთანხმებასთან დაკავშირებული შემდგომი მოქმედებები სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაა.

ე) სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან არის დაკავშირებული პროკურორის უფლება გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის ძებნის შესახებ. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც პირი მიემალება გამოძიებას. ეს უკანასკნელი სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული წესით ბრალდებულად იქნება ცნობილი, ასევე აღკვეთის აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდება პატიმრობა, რის შემდეგაც პროკურორი გამოიტანს დადგენილებას მიმალული ბრალდებულის ძებნის შესახებ. აღნიშნული დადგენილება შესასრულებლად ეგზავნება პოლიციას.⁵²⁴

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ო“ ქვეპუნქტი პროკურორს ასევე ანიჭებს უფლებამოსილებას გამოიტანოს მსჯავრდებულის ძებნის შესახებ დადგენილება. აღსანიშნავია, რომ ამ მოქმედების განხორციელების უფლება პროკურორს არ უნდა ჰქონდეს. მსჯავრდებული არის პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი (სსსკ-ის მუხ. მე-3, მე-8 ნაწ.). შესაბამისად, ამ დროს პროკურორს დამოუკიდებლად რაიმე გადაწყვეტილების მიღების უფლება არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმე უკვე სასამართლოს ხელთ არის და ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის მსჯავრდებულის ძებნის შესახებ, სასამართლომ უნდა მიიღოს. მაგრამ როგორც ჩანს, საპროცესო კანონმდებლობა მსჯავრდებულის ძებნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებას სწორედ პროკურორს ანიჭებს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ პროკურორი სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს არა მხოლოდ ბრალდებულის, არამედ მსჯავრდებულის

№3, 54-63; ბუაძე კ., საპროცესო შეთანხმების აქტუალური საკითხები საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, ქუთაისი, 2014.

⁵²³ ტერმინი აღებულია: Bouloc B., Stefani G., Levasseur G., Procédure pénale, 23^e édition, Paris, 2012, 145-146.

⁵²⁴ იხ. აბაშიძე გ., პროკურორი გამოძიების სტადიაზე, თბილისი, 2012, 204-205.

მიმართაც. პროკურორის მიერ მსჯავრდებულის ძებნის შესახებ დადგენილების გამოტანა სხვა არა არის რა, თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, ვინაიდან ეს საპროცესო მოქმედება პირდაპირ არის მიმართული კონკრეტული პირის (ამ შემთხვევაში მსჯავრდებულის) წინააღმდეგ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელებად უნდა ჩაითვალოს ასევე პროკურორის შემდეგი საპროცესო მოქმედებები:

1) *გადაუდებელი აუცილებლობისას ბრალდებულის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დადგენილების გამოტანა, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვა (სსსკ-ის მუხ. 151-158-ე);*

2) *ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების მოთხოვნით სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვა (სსსკ-ის მუხ. 159-162-ე);*

3) *ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის), ასევე ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობებით მიმართვა. (სსსკ-ის მუხ. 163-165-ე).*

პროკურორის ეს საპროცესო მოქმედებებიც, მსგავსად სხვა ზემოთ განხილული მოქმედებებისა, მიმართულია ბრალდებულის წინააღმდეგ და ამ უკანასკნელს უწესებს გარკვეულ შეზღუდვებს.

ერთობ საკამათოა საკითხი იმის შესახებ, ითვლება თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებად *დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება*. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ამ პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება არ შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელი ელემენტი, ვინაიდან შეურაცხად მდგომარეობაში მყოფი პირის დევნა შეუძლებელია.⁵²⁵ ეს პოზიცია არ არის საფუძველს მოკლებული, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის 180-ე და 181-ე მუხლები, რომლებიც ეძღვნება პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებას, შეიცავენ ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის დებულებებს. კერძოდ, სსსკ-ის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას ან მისი ჩადენის შემდეგ გახდა შეურაცხი და საჯარო უსაფრთხოების ინტერესები მოითხოვს მის სამედიცინო დაწესებულებაში იზოლირებას, სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით, პროკურორის ან ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, გამოაქვს განჩინება პირის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების თაობაზე. მაშასადამე, ბრალდებულის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების

⁵²⁵ იხ. აბაშიძე ვ., პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი (გამოძიების სტადიაზე), თბილისი, 2011, 77.

მიზანია, ექსპერტიზის ჩატარებით მისი შერაცხადობის ფაქტის დადგენა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ამასთან, სსსკ-ის 181-ე მუხლის მე-5 ნაწილში პირდაპირ არის მითითებული, რომ ბრალდებულის სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადა ჩაითვლება პატიმრობის ვადაში, გარდა მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადისა. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირი პატიმრობაში მყოფ ბრალდებულთან არის გათანაბრებული, ანუ მას შეზღუდული აქვს თავისუფლება. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდში ეს პირი იღვენება.

ამდენად, მართებულია ზემოაღნიშნული ავტორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ არ შეიძლება შეურაცხი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. ამას ადასტურებს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიც, რომელშიც მითითებულია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული უნდა შეწყდეს თუ: პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, რაც დადასტურებულია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით. მაგრამ პროკურორის ინიციატივით და სასამართლოს განჩინებით ბრალდებულის მოთავსება სამედიცინო დაწესებულებაში, მისი შერაცხადობის ფაქტის დასადაგენად მიმართულია ბრალდებულის წინააღმდეგ, ზღუდავს მის უფლებებს. სწორედ ამიტომ პროკურორის ასეთი შუამდგომლობა სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელ ელემენტად უნდა იქნეს განხილული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში უსისტემოდ არის გაბნეული სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ამსახველი ნორმები. კერძოდ, კოდექსის მე-5 კარი ეძღვნება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, აღკვეთის ღონისძიებების შერჩევას, საპროცესო შეთანხმებას. იმავე კარში მოცემულია მე-18 თავი, რომელშიც განხილულია სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველები, დაკავება, პირის ბრალდებულად ცნობა. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ კოდექსის ზოგიერთ თავში მოცემულია სისხლისსამართლებრივი დევნის ამსახველი ნორმები, რომლებიც წესით მოთავსებული უნდა იყოს მე-5 კარში ცალკე თავის სახით ან მე-18 თავში. მაგალითად, ზემოთაც აღინიშნა, რომ ბრალდებულის ქონებაზე ყადაღის დადება, მისი თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობა, ასევე ძებნილი ბრალდებულისათვის პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შესაჩერებლად პროკურორის ქმედება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებად უნდა იქნეს მიჩნეული. ეს მოქმედებები მოცემულია მე-17 თავში – „სხვა საპროცესო მოქმედებები“; რაც მიზანშეუწონელია. სისხლისსამართლებრივი დევნის ამ ელემენტების დასახელებულ თავში მოთავსებამ შეიძლება წარმოშვას აზრი იმის შესახებ, რომ ეს მოქმედებები არ მოიაზრებიან დევნის შემადგენელ ნაწილებად, რაც მართებული არ იქნება. აღნიშნული მოქმედებების სისხლისსამართლებრივი დევნის კომპონენტებად მიჩნევას და მათ განთავსებას სისხლისსამართლებრივი დევნის შესაბამის თავში ან თუნდაც კარში უადრესად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს თანამდებობის პირთა

სისხლისსამართლებრივი დევნისას. კერძოდ, კანონმდებლობა თანამდებობის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას ავალებს მთავარ პროკურორს.⁵²⁶ მაშასადამე, მხოლოდ მთავარი პროკურორია უფლებამოსილი ჩაატაროს ისეთი სახის საპროცესო მოქმედებები, რაც თავისი არსით სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას წარმოადგენს. (მაგალითად, პირის ბრალდებულად ცნობა, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვა და ა.შ.). ამიტომ დევნის შემადგენელი ელემენტების სხვადასხვა თავებში გაბნევამ შესაძლოა გამოიწვიოს არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ ამ მოქმედებების შესრულება. მაგალითად, მთავრობის წევრის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ მთავარ პროკურორს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას ასეთი კატეგორიის საქმეებზე. მაგრამ ქონებაზე ყადაღის დადების მომწესრიგებელი საპროცესო ნორმების „სხვა საპროცესო მოქმედებების“ თავში განთავსებამ შესაძლებელია გამოიწვიოს შეცდომა და ამ მოქმედების განხორციელება მოხდეს არა მთავარი პროკურორის, არამედ სხვა რიგითი პროკურორის მიერ, რაც სამართლებრივად სწორი არ იქნება.

გარდა ამისა, გაუგებარია მოქმედი საპროცესო კოდექსის მე-14 თავში რატომ არის მოთავსებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან, გასაჩივრებათან ან განახლებასთან დაკავშირებული ნორმები (სსსკ-ის მუხ. 105-108-ე). ეს თავი ეძღვნება გამოძიების საფუძვლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნებოდა მოქმედი საპროცესო კოდექსის მე-18 თავში მოთავსებულიყო ყველა ის საპროცესო მოქმედება, რომელიც თავისი შინაარსით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ან განხორციელებას უკავშირდება.

2.4. პროკურორის მიერ გამოძიების სრული მოცულობით ჩატარება

მოქმედი სსსკ-ის 33-ე და 37-ე მუხლებით, პროკურორს აქვს გამოძიების სრული მოცულობით ჩატარების უფლება, რაც ნიშნავს იმას, რომ პროკურორმა თვითონ უნდა აწარმოოს საგამოძიებო მოქმედებები. შესაბამისად, იგი სარგებლობს გამოძიებლის სტატუსით და ვალდებულია გამოძიება ჩაატაროს სრულად და ობიექტურად.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად: „საქმეზე გამოძიების წარმოების მიზნით პროკურორი უფლებამოსილია, ჩაატაროს მთელი რიგი საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებები“, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XIV-XVII თავებში. ესენია: გამოკითხვა, დაკითხვა, ამოღება და ჩხრეკა, დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, პირის და ობიექტის

⁵²⁶ იხ. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი, 2013 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით.

ამოსაცნობად წარდგენა, ექსპუმაცია, კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები, ექსპერტიზის დანიშვნა, ნიმუშის აღება, აგრეთვე მოწმის, დაზარალებულის, ბრალდებულის იძულებით მისაყვანად, ქონებაზე ყადაღის დასადებად, ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადასაყენებლად, ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შესაჩერებლად სასამართლოს წინაშე შუამდგომლობის აღძვრა-დასაბუთება.⁵²⁷

კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად: „პროკურორის მიერ გამოძიების სრული მოცულობით ჩატარება არ ხსნის პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციებს გამოძიების სტადიაზე“.⁵²⁸ „როცა პროკურორი თვითონ აწარმოებს საქმეზე სრული მოცულობით გამოძიებას, არანაირი კანონიერი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ამ შემთხვევაში პროკურორს კიდევ ერთი ხელმძღვანელობა დაუწესდეს ზემდგომი პროკურორის მიერ.“⁵²⁹ აღნიშნული პოზიცია დასაბუთებულია ასევე იმითაც, რომ თუ პროკურორს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში, მაშინ რატომ არ შეუძლია მან გამოძიება აწარმოოს როგორც პროკურორმა? პროკურორი არასდროს არ ასრულებს გამოძიებლის ფუნქციას. ის ყოველთვის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელია.⁵³⁰

საპროცესო ლიტერატურაში არსებობს ასევე აზრი იმის შესახებ, რომ: „პროკურორს, მონაწილეობს რა საგამოძიებო მოქმედებებში ან სრული მოცულობით ატარებს საქმეზე გამოძიებას, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის გარდა შეუძლია ასევე ერთდროულად მოახდინოს საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციის რეალიზაცია. უდავოა, რომ პროკურორი ამ ეტაპზე ამგვარი საქმიანობით ერთგვარად ახორციელებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას, მაგრამ როგორც წესი, სისხლისსამართლებრივი დევნის არსიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის რეალიზაცია ძირითადად ხდება იმ შემთხვევაში, როცა პროკურორი მონაწილეობს საგამოძიებო მოქმედებებში, რომელიც მიმართულია მტკიცებულებათა შეგროვებისკენ, რომლებიც ააშკარავენ ბრალდებულს დანაშაულის ჩადენაში.“⁵³¹

ზოგიერთი მკვლევარი პროკურორის მონაწილეობას საგამოძიებო მოქმედებებში ან ამ უკანასკნელის მიერ გამოძიების სრული მოცულობით ჩატარებას მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელებად მიიჩნევს,⁵³² ხოლო ზოგიერთი ავტორი პროკურორის ასეთ საქმიანობას განიხილავს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობად.⁵³³

⁵²⁷ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), რედ.: *გახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი.*, თბილისი, 2013, 129-130.

⁵²⁸ *აბაშიძე გ.*, პროკურორი – გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, თბილისი, 2011, 84.

⁵²⁹ *აბაშიძე გ.*, პროკურორი გამოძიების სტადიაზე, თბილისი, 2012, 153-154.

⁵³⁰ იხ. *აბაშიძე გ.*, პროკურორი – გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, თბილისი, 2011, 86.

⁵³¹ იქვე, 88-89.

⁵³² იხ.: სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ.: *გოვ შელდიე რ.*, თბილისი, 2009, 200,

მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის სრული მოცულობით გამოძიებისას პროკურორის აღჭურვა გამოძიებლის უფლებამოსილებით ნიშნავს იმას, რომ ამ დროს პროკურორს არ აქვს იმავე საქმეზე, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის, ასევე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის და სხვა საპროკურორო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება. ეს უპირველეს ყოვლისა გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან (სსსკ-ის მუხ. 37-ე, 1-ლი ნაწ.) წინააღმდეგ შემთხვევაში, პროკურორი გამოდის „გამომძიებელი-ბრალმდებელი“⁵³⁴ რომელიც ერთდროულად ახორციელებს, როგორც გამოძიების, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას, რაც დაუშვებელი და არადემოკრატიულია. არ შეიძლება პროცესის ერთმა სუბიექტმა შეითავსოს ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი ფუნქცია. ეს ნიშნავს ე.წ. „საბრალდებო გადახრას“, რაც დამახასიათებელი იყო საბჭოთა პერიოდის გამოძიებლის საქმიანობისათვის.⁵³⁵ გამოძიების მიმდინარეობისას საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორი როგორც კი ჩაატარებს (და არა მონაწილეობას მიიღებს) რომელიმე საგამოძიებო მოქმედებას იგი ავტომატურად ხდება ამ საქმის გამომძიებელი და შემდგომში მას უფლება აღარ აქვს ამ საქმესთან მიმართებით განახორციელოს საპროკურორო საქმიანობა.

პროკურორის მიერ გამოძიების სრული მოცულობით ჩატარებასა და საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მიღებას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. კერძოდ, პროკურორის საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. ამ დროს პროკურორი უშუალოდ აკონტროლებს თუ რამდენად კანონიერად და სრულყოფილად მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელს ადგილზე აძლევს შესაბამის მითითებებს. პროკურორის მიერ გამოძიების სრული მოცულობით წარმოებისას კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს უკანასკნელი თავისი უფლებამოსილებით გამომძიებელია და წარმოდგენელია ამ დროს პროკურორმა საკუთარ თავს გაუწიოს საპროცესო ხელმძღვანელობა. ამ შემთხვევაში, საპროცესო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ზემდგომი პროკურორი ან მისი წერილობითი დავალებით სხვა რომელიმე პროკურორი. მაგალითად, საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში რამოდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება პროკურორმა ჩაატარა. ამ შემთხვევაში პროკურორი მოქმედებდა გამომძიებლის სტატუსით, ხოლო მას საპროცესო ხელმძღვანელობას უწევდა ზემდგომი პროკურორი.⁵³⁶

<http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოსმოხილია 25.05.2013; *Мельников Н.В.*, Прокурорская власть и личность. Правовые средства обеспечения конституционных прав и свобод граждан России, Москва, 2003, 153-185.

⁵³³ იხ. *ვოგ შელოძე რ.*, პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ჟურნალი „სამართალი“, 2002, №9-10, 72.

⁵³⁴ ტერმინი აღებულია: *მეფარიშვილი ვ.*, სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების თანაფარდობისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“, 1996, №1, 22-26.

⁵³⁵ იხ. იქვე.

⁵³⁶ იხ. საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმეები: №74058063, №7405890, №7405958, №74058071.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორის მიერ ერთ რომელიმე საქმეზე გამოძიების სრულყოფილად ჩატარება, ამ უკანასკნელს არ ართმევს სხვა სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ან სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებას.

ამდენად, მართებული არ არის იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ პროკურორს, რომელიც გამოძიებას სრული მოცულობით ატარებს აქვს ან უნდა ჰქონდეს იმავე საქმეზე საბრალდებო საქმიანობის განხორციელების უფლება.

§3 სისხლისსამართლებრივი დევნისა და სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერის⁵³⁷ თანაფარდობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა პროკურორს ანიჭებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას, რომელსაც სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერა ეწოდება. ამ მოვალეობის შესრულების დროს პროკურორი სახელმწიფო ბრალმდებელია. ანუ იგი არის სახელმწიფოს სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი წარმომადგენელი, რომელსაც ევალება გამოძიების სტადიაზე შეგროვებული მტკიცებულებების საფუძველზე მიაღწიოს საბოლოო მიზანს – სასამართლოს წინაშე ამხილოს ბრალდებული დანაშაულის ჩადენაში და უზრუნველყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.⁵³⁸

სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერის ინსტიტუტი, რომელსაც საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები, კერძო პირები ახორციელებდნენ ძველთაგანვე არსებობდა. მაგრამ თავდაპირველად სასამართლოს წინაშე სახელმწიფოს სახელით არ ხდებოდა დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის მხილება. სამართლის განვითარების შემდგომ ეტაპებზე სახელმწიფომ იტვირთა ეს მნიშვნელოვანი ფუნქცია და გამოყო ე.წ. „ნდობით აღჭურვილი პირი“, (ხაზგასმა ჩემია – ბ.მ.) რომელსაც პროკურორი უწოდა.⁵³⁹

იურიდიულ ლიტერატურაში ბრალდების ფუნქციასთან შედარებით, სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა უფრო ვიწრო მნიშვნელობით განიმარტება. ბრალდებისათვის მხარდაჭერა ნიშნავს ბრალმდებლის მიერ სასამართლოში იმის მტკიცების პროცესს, რომ

⁵³⁷ აღნიშნულ პარაგრაფში სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერა განიხილება სისხლისსამართლებრივი დევნის გავრცელების კონტექსტში. აქედან გამომდინარე, ამ პარაგრაფში არ არის მოცემული სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის დეტალური ანალიზი.

⁵³⁸ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), რედ.: *ვახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი.*, თბილისი, 2013, 132.

⁵³⁹ იხ.: სადისერტაციო ნაშრომის ისტორიული ნაწილი; საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), რედ.: *ვახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი.*, თბილისი, 2013, 130.

ბრალდებულმა ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული. ეს არის სასამართლოში სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ერთგვარი ფორმა.⁵⁴⁰

პროკურორი სისხლისსამართლებრივ დევნას მხოლოდ გამოძიების სტადიაზე არ ახორციელებს, არამედ ამ ფუნქციის შესრულება მას უხდება სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც, რაც გამოიხატება პროკურორის მიერ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერაში.⁵⁴¹ სხვაგვარად რომ ითქვას, სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლის სტატუსით პროკურორის გამოსვლა, გამოძიების სტადიაზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელ ნაწილს, მის გაგრძელებას წარმოადგენს. პროკურორი მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, ხელმძღვანელობს კანონის მოთხოვნებით და საქმის გამოძიებისას მოპოვებული მტკიცებულებებით.⁵⁴² თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა მთავრდება გამოძიების სტადიაზე და მას ადგილი აღარ აქვს სასამართლოში საქმის განხილვისას.⁵⁴³

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერა არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელება ვერ იქნება გაზიარებული იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ხსენებული პოზიცია არ შეესაბამება სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანს. დევნის მიზანია, არა მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის მხილება და ბრალდება, არამედ ბრალდებულის მიმართ სასჯელის გამოყენების უზრუნველყოფაც.⁵⁴⁴ აღნიშნული კი მიიღწევა სასამართლოში საქმის განხილვის დროს პროკურორის აქტიური მონაწილეობით – სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერით, რომლის მიზანიც იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, არის სასამართლოში ბრალდებულის მხილება დანაშაულის ჩადენაში და მის მიმართ კანონით გათვალისწინებული სათანადო სასჯელის გამოყენების უზრუნველყოფა.⁵⁴⁵ მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი დევნას და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას ერთი მიზანი აქვთ. აქედან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება სასამართლო პროცესის დროს და სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერა იდენტურ ცნებებად უნდა იქნეს განხილული.

⁵⁴⁰ იხ.: *Кучин А.Ф.*, დასახ. ნაშრ., 56; *Шишкина Е.В.*, დასახ. ნაშრ., 179; *Халиулин А.Г.*, დასახ. ნაშრ., 211.

⁵⁴¹ იხ.: *მეურმიშვილი ბ.*, დასახ. ნაშრ., 59-63; *Королев Г.Н.*, დასახ. ნაშრ., 358-359; *Воронин О.В.*, დასახ. ნაშრ., 29.

⁵⁴² იხ. *გოგ შელიძე რ.*, პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ჟურნალი „სამართალი“, 2002, №9-10, 73.

⁵⁴³ იხ. *კობალაძე პ.*, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციათა ურთიერთგამიჯვნისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(22)09, 49-56.

⁵⁴⁴ იხ. *Воронин О.В.*, დასახ. ნაშრ., 26.

⁵⁴⁵ იხ. *კობალაძე პ.*, დასახ. ნაშრ., 53.

ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნა ფართო ცნებაა და მასში მოიაზრება სისხლისსამართლებრივი ბრალდებაც,⁵⁴⁶ რომლის შემადგენელ ნაწილს სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა წარმოადგენს.⁵⁴⁷

გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში პროკურორის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა თანმიმდევრობა მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის ლოგიკურ გაგრძელებას, რომელიც მიმართულია საბოლოო მიზნის – დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯისკენ. და პირიქით, თუ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს პროკურორი მივა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია შეცვალოს ბრალდება ან უარი თქვას ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე, იგი უფლებამოსილია აღნიშნული განახორციელოს ზემდგომი პროკურორის თანხმობით (მოქმედი სსსკ-ის მუხ. 250-ე).

გარდა ამისა, მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება დაისვას შემდეგი შინაარსის კითხვა: გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის დროს პროკურორი სხვადასხვა საპროცესო მდგომარეობაშია და როგორ არის პროკურორის ეს ორი ფუნქცია ერთმანეთის იდენტური? ან, თუ სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერა სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებას წარმოადგენს, მაშინ რა საჭიროა ამ ორივე ტერმინის საკანონმდებლო აქტებში (სსსკ-ში და „პროკურატურის შესახებ“ კანონში) გათვალისწინება?

ამ კითხვებს შეიძლება გაეცეს ასეთი პასუხი: მართებულია, რომ პროკურორის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტის როლი გამოძიების სტადიაზე განსხვავებულია სასამართლოში საქმის განხილვის დროს მისი საპროცესო მდგომარეობისაგან. *პირველ შემთხვევაში*, პროკურორი ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების სრული განკარგულებელია. იგი ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას და უფლებამოსილია ყველა ძირითადი, არსებითი და შემაჯამებელი საკითხი თვითონ გადაწყვიტოს. *მეორე შემთხვევაში*, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას კი, პროკურორი გვევლინება როგორც მხარე, რომელიც უშუალოდ ვერ წყვეტს ვერც ერთ საკითხს. იგი მხოლოდ ამტკიცებს, ასაბუთებს, წარადგენს სასამართლოს წინაშე მტკიცებულებებს და ცდილობს სასამართლო დაარწმუნოს გამოძიების სტადიაზე მის მიერ გაკეთებული დასკვნების სისწორეში, ვინაიდან მას აქვს ბრალდებულის დამნაშავეობის რწმენა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეს სასამართლოში არ გააგზავნიდა.⁵⁴⁸ სწორედ ამაში გამოიხატება პროკურორის მიერ სასამართლოში სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.⁵⁴⁹

⁵⁴⁶ იხ.: *Ворочихин М.А.*, Субъекты уголовного преследования (понятие, виды, правовая культура), Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Ижевск, 2002, 133; *Шишкина Е.В.*, დასახ. ნაშრ., 174-175; *Никитин Е.Л.*, დასახ. ნაშრ., 84.

⁵⁴⁷ იხ. *კობლაძე პ.*, დასახ. ნაშრ., 51.

⁵⁴⁸ იხ. *მეურმიშვილი ბ.*, დასახ. ნაშრ., 59-63.

⁵⁴⁹ იხ. *Халиулин А.Г.*, დასახ. ნაშრ., 215.

რაც შეეხება საკანონმდებლო აქტებში სისხლისსამართლებრივი დევნისა და სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერის ერთდროულად მოხსენიებას, აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა არის პროკურორის საბრალდებო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი ნაწილი, პრიორიტეტული მიმართულება,⁵⁵⁰ რომელიც თავისი სპეციფიკით გამოირჩევა. აქედან გამომდინარე, მისი კანონმდებლობაში გამოკვეთა მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებულნი, თითქოს იგი სისხლისსამართლებრივი დევნისაგან განცალკევებულია, დამოუკიდებელია. უფრო მეტიც, საპროცესო კანონმდებლობაში ცალკე უნდა იყოს მოხსენიებული არა მარტო სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერის ფუნქცია, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნის სხვა შემადგენელი ნაწილებიც, მაგალითად, „ფიზიკური დევნის“ ფუნქციაც. ამაში საგანგაშო და გასაკვირი არაფერია. პირიქით, სისხლისსამართლებრივი დევნის ასეთი დაყოფა საკანონმდებლო თვალსაზრისით, უფრო ნათლად წარმოაჩენს მის არსს.

სასამართლოში პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერა რომ სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელი ნაწილია და დევნა რომ სასამართლოშიც გრძელდება, ეს კარგად ჩანს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობიდანაც. კერძოდ, სსსკ-ის 191-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებულია, რომ „როდესაც არსებობს ამ კოდექსით დადგენილი საფუძველი, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო მხარის შუამდგომლობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთანავე, აუქმებს გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებას, აგრეთვე წყვეტს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხს.“

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, „თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, სასამართლო მხარის შუამდგომლობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას მის მიმართ. მოსამართლე უფლებამოსილია ამ პირის მიმართ გამოიყენოს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.“

გარდა ზემოთ აღნიშნული მუხლისა, სსსკ-ის 250-ე მუხლის 1-ლ ნაწილში ნათქვამია, რომ სასამართლოში საქმის განხილვის დროს „ . . . ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე პროკურორის მიერ უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებაში ან ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.“

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობიდან მოყვანილი ზემოაღნიშნული მაგალითები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა სასამართლოშიც მიმდინარეობს. მაგრამ ამ შემთხვევაში ვინ ახორციელებს მას თუ არა პროკურორი სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის სახით?!

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებლობით არასწორად არის გადაწყვეტილი სასამართლოში სისხლისსამართლებრივი

⁵⁵⁰ იხ. აბაშიძე გ., სახელმწიფო ბრალმდებელი პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბილისი, 2009, 12.

დევნის შეწყვეტის საკითხი. კერძოდ, სსსკ-ის 250-ე მუხლი 1-ლი ნაწილის შინაარსთან დაკავშირებით ლოგიკურად იბადება კითხვა: როცა პროკურორი უარს ამბობს ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე, რა საჭიროა სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ? ეს ხომ არ ნიშნავს სასამართლოს ჩარევას საბრალდებო საქმიანობის განხორციელებაში?

ამ კითხვებს ზოგიერთმა იურისტმა შეიძლება ასეთი პასუხი გასცეს: საქმის არსებითად განხილვისას სასამართლო არის ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე.

აღნიშნული მოსაზრება სავსებით მართებულია, მაგრამ პროკურორის მიერ ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე უარის თქმა იმავდროულად ნიშნავს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას ან შეცვლას და ამ შემთხვევაში სასამართლოს რა შეუძლია გააკეთოს გარდა იმისა, რომ უნდა დაეთანხმოს თავისი განჩინებით ბრალდების მხარეს. ბრალდებაზე უარის თქმის ან ბრალდების შეცვლის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია თავისი გადაწყვეტილებით შეცვალოს პროკურორის პოზიცია? რა თქმა უნდა არა. თუ სასამართლოს ეს არ ძალუძს, მაშასადამე, კანონმდებელი ამ ორგანოს უწესებს ვალდებულებას ფორმალურად დაეთანხმოს პროკურორის პოზიციას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. პრაქტიკულად პროკურორის უარი ბრალდებაზე ან ბრალდების შეცვლა სასამართლომ ცნობად უნდა მიიღოს და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება საჭიროა არ არის.

სახელმწიფო ბრალმდებლის მხრიდან ბრალდებაზე უარის თქმის (ანუ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის) შემთხვევაში, სასამართლომ უნდა გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი,⁵⁵¹ რომელიც თავისთავად გულისხმობს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას; ხოლო ბრალდების ნაწილზე უარის თქმის ან ბრალდების უფრო მსუბუქი ბრალდებით შეცვლის შემთხვევაში, პროკურორს უნდა დაევალოს სასამართლოში ბრალდების ახალი ფორმულირების წარდგენა, რომელსაც საპროცესო ფორმის დაცვით, განჩინებით ცნობად მიიღებს სასამართლო. დაახლოებით ასეთი რეგულაცია იყო მოცემული 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.⁵⁵²

⁵⁵¹ იხ. *კობალაძე პ.*, პროკურორის უარი ბრალდებაზე – ფუნქცია თუ დისფუნქცია?, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შექმნის 30 წლისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2010-2012, 80, <<http://sou.edu.ge/files/Iuridiuli%20fakulteti/gamocemebi/LawFaculty-30a.pdf>>, ბოლოს გამოხმობილია 03.01.2014.

⁵⁵² იხ. 1998 წელს მიღებული სსსკ-ის 24-ე მუხლის მე-8 ნაწილი, <https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31882&lang=ge> ბოლოს გამოხმობილია 08.08.2013; აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწერილებით იხ.: *ფაფია შეილი შ.*, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 1999, 29-32; *მეურში შვილი ბ.*, დასახ. ნაშრ., 59-63; *კობალაძე პ.*, პროკურორის უარი ბრალდებაზე – ფუნქცია თუ დისფუნქცია?, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შექმნის 30 წლისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2010-2012, 77-88,

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსსკ-ის 250-ე მუხლის 1-ლი ნაწილი საჭიროებს შემდგომ დახვეწას და სრულყოფას.

თუ გადავხედავთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას ადრინდელს თუ მოქმედს, ნათელი გახდება, რომ არ არსებობს სისხლის სამართლის პროცესის არცერთი სტადია, რომელიც გამორიცხავს სამართალწარმოების რომელიმე ეტაპზე პროკურორის მონაწილეობას. პირიქით, მისი მონაწილეობა პროცესის ყველა სტადიაზე სავალდებულოა; განსაკუთრებით სასამართლოში საქმის განხილვის დროს. პროკურორი, როგორც ბრალდების მხარე მონაწილეობას იღებს, როგორც სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის დროს, ასევე წინასასამართლო სხდომაში, პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისას.

პროკურორი სასამართლოში საქმის განხილვისას წარმოაჩენს და სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს ბრალდებითი ხასიათის მონაცემებზე. იგი სასამართლოს ბრალდების თვალსაზრისით წარუდგენს საქმის გარემოებათა ფაქტობრივ მხარეს, რომელთა საფუძველზე ცდილობს დაასაბუთოს და დაარწმუნოს სასამართლო ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში. ამის განსახორციელებლად, იგი უფლებამოსილია: განაცხადოს აცილება და შუამდგომლობა; წარადგინოს მტკიცებულებანი და მონაწილეობა მიიღოს დაცვის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში; გამოთქვას აზრი სასამართლო განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხზე; მონაწილეობა მიიღოს მხარეთა კამათში და სასამართლოს გააცნოს თავისი პოზიცია ბრალდების შესახებ. სწორედ ეს არის სასამართლოში პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, ანუ სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერა,⁵⁵³ რა დროსაც პროკურორი უფლებრივად დაცვის მხარესთან არის გათანაბრებული.

საუბარია რა სასამართლოში საქმის განხილვის დროს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე, საინტერესოა იმის გარკვევაც, თუ რა მომენტამდე და რომელ ინსტანციებში ახორციელებს პროკურორი სისხლისსამართლებრივ დევნას.

სისხლისსამართლებრივ დევნას პროკურორი ამთავრებს მაშინ, როდესაც იგი სასამართლოში შეასრულებს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრულ ბოლო მოქმედებას. მაგალითად, პირველ ინსტანციაში საქმის არსებითი განხილვის დროს, ეს შეიძლება იყოს პროკურორის მიერ გამოთქმული რეპლიკა, რის შემდეგაც ბრალდებულს მიეცემა საბოლოო სიტყვის თქმის უფლება. ამის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად (მოქმედი სსსკ-ის 252-255-ე მუხ.).

<<http://sou.edu.ge/files/Iuridiuli%20fakulteti/gamocemebi/LawFaculty-30a.pdf>>, ბოლოს გამოხმობილია 03.01.2014.

⁵⁵³ იხ. Уголовный процесс, Коллектив авторов, Под редакцией Прошлякова А.Д., Балакина В.С., Козубенко Ю.В., Учебник, Москва, 2011, 137.

პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის შესრულება მიმდინარეობს ყველა ინსტანციის სასამართლოში.⁵⁵⁴ თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული საწინააღმდეგო მოსაზრების თანახმად, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში სისხლისსამართლებრივი დევნა აღარ ხორციელდება.⁵⁵⁵ მიჩნეულია, რომ ამ დროს პროკურორი მხარს უჭერს თავის საჩივარს ან გამოთქვამს აზრს იმ საჩივრების შესახებ, რომლებიც სამართალწარმოების სხვა მონაწილეებმა შეიტანეს.⁵⁵⁶

სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებშიც, რადგან ამ ეტაპებზე პროკურორი თავისი მოქმედებებით კიდევ ერთხელ ცდილობს დაასაბუთოს მის მიერ გაკეთებული დასკვნის სისწორე და ამხილოს პირი დანაშაულის ჩადენაში.⁵⁵⁷ ზემოხსენებულ ინსტანციებში პროკურორის მიერ ბრალდების მხარდაჭერა დასტურდება მოქმედი საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის მე-2 ნაწილითაც, რომლის მიხედვით, პროკურორს უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე ან შეცვალოს ბრალდება უფრო მსუბუქი ბრალდებით. ამ „უფლებით ბრალდების მხარე სარგებლობს ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში განაჩენის გამოტანამდე“. მაშასადამე, იმ შემთხვევაში თუ პროკურორს უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე ყველა ინსტანციის სასამართლოში, მაშინ ბუნებრივია, იგი ბრალდებასაც უჭერს მხარს, ე.ი. ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართებული იქნება, თუ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის 33-ე მუხლის 1-ლი ნაწილი კიდევ უფრო დაზუსტდება და მიეთითება, შემდეგი: „*პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი ყველა ინსტანციის სასამართლოში ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას.*“⁵⁵⁸ ასეთი დამატება უფრო ნათელს გახდიდა სასამართლოში სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მასშტაბებს და აღმოფხვრიდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვან მოსაზრებებს.

⁵⁵⁴ იხ.: *ფაფია შვილი შ.*, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 1999, 26; *Воронин О.В.*, დასახ. ნაშრ., 29-30.

⁵⁵⁵ იხ. *Халиулин А.Г.*, დასახ. ნაშრ., 56-57.

⁵⁵⁶ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), რედ.: *გახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი.*, თბილისი, 2013, 132.

⁵⁵⁷ დაწვრილებით იხ. *Григоренко И.И.*, Механизм реализации уголовного преследования в российском судопроизводстве., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Воронеж, 2006, 149-169.

⁵⁵⁸ დაახლოებით იგივე იყო მითითებული 1998 წლის სსსკ-ის 44-ე მუხლის მე-14 ნაწილში: „*სახელმწიფო ბრალმძებელი – პროკურორი, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას პირველი, სააპელაციო, საკასაციო და სარევიზიო (სახელამხედველო) ინსტანციების სასამართლოებში*“, იხ.

https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31882&lang=ge, ბოლოს გამოსმოხილია 09.08.2013.

§4 შეჯამება

ამრიგად, აღნიშნულ თავში განხილულ იქნა პროკურორის როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტის უფლებამოსილებანი და როლი როგორც გამოძიების სტადიაზე, ასევე სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის დროს. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების საფუძველზე დასაბუთდა პოზიცია იმის შესახებ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნაში არ მოიაზრება გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა, არამედ იგი არის დევნის განხორციელების უზრუნველყოფის საშუალება.

გარდა ამისა, მითითებულ თავში გაკეთდა ჩამონათვალი მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ მოქმედებების, რომელთა შესრულებისას პროკურორი ახდენს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის რეალიზაციას.

ამასთან, განისაზღვრა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მასშტაბები სასამართლოში საქმის განხილვისას; დასაბუთდა აზრი სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერით სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების შესახებ. ამ კუთხით განხილულ იქნა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის პრობლემატური მუხლები და დაისვა საკითხი მათი სრულყოფის, დახვეწის და საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

თავი IX. სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა

§1 შესავალი

სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში მიმდინარე რეფორმები და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოდერნიზაცია მიმართულია პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე საზოგადოების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფისაკენ. კანონის უზენაესობის, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძვლის დამკვიდრებაში სისხლის სამართლის საპროცესო რეგულირების მექანიზმს და ამ მექანიზმში პროკურატურის როლს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მით უმეტეს მაშინ, როდესაც პროკურორს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება.⁵⁵⁹

⁵⁵⁹ იხ. *Конярова Ж.К.*, Дискреционные полномочия прокурора и проблемы их реализации на досудебных стадиях уголовного процесса., Автореферат кандидатской диссертации, Ижевск, 2008, 3 <<http://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&ved=0CCcQFjAA&url=http%3A%2F%2Fwww.usla.ru%2Fstructure%2Fdissovet%2FKonarova-aref.pdf&ei=KDYLUuy1O4LUswbTioCoCQ&usq=AFQjCNGBwJlFAFXPljmEVSyzCMGRif8uEA>>, ბოლოს გამოსმობილია 14.08.2013.

დისკრეციული უფლებამოსილება წარმოიშობა იქ, სადაც ვერ ხდება კანონის მიერ სტანდარტების ზუსტად განსაზღვრა და შესაბამისად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ რჩება მართლმსაჯულების განმახორციელებელ პირს საკუთარი დისკრეციის გამოყენების საშუალება.⁵⁶⁰

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების პრობლემატური საკითხების შესწავლა და მათი გადაჭრის გზების მოძებნა განპირობებულია არა მხოლოდ იმით, რომ პოზიტიურად წარმოჩინდეს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა ან სისხლის სამართალწარმოების დროს დაცულ იქნეს ადამიანის უფლებები, არამედ ზოგადად, საზოგადოებაში დამკვიდრდეს სამართლებრივი გარემო.⁵⁶¹

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება ნიშნავს სახელმწიფოს ტენდენციას სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ჰუმანიზაციისაკენ. ამ ფუნქციის განხორციელებით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ადაპტირდება თანამედროვე სოციალურ მდგომარეობასთან. დისკრეცია სახელმწიფოს მხრიდან თითოეული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საზოგადოების ინტერესების დაცვას ემსახურება.⁵⁶²

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობა რადიკალურ ცვლილებებს განიცდის და ვითარდება ლიბერალიზაციის მიმართულებით. შესაბამისად, ხდება ახალი გზების მოძიება და ბევრი ქვეყანა უარს ამბობს მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. შემოდის სრულიად ახალი მიდგომები, რათა უფრო მეტად ლიბერალური გახდეს სისხლის სამართლის იუსტიცია. ერთ-ერთი ასეთია დისკრეციის ინსტიტუტი.⁵⁶³

§2 დისკრეციის ცნება

2010 წლის პირველ ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს ახალი საპროცესო კოდექსი, რომელმაც ქართულ სამართლებრივ სივრცეში ბევრი სიახლე შემოიტანა. ამ სიახლეთა შორის პირველად ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ისტორიაში ოფიციალურად დაკანონდა დისკრეციის პრინციპი. კანონშემოქმედებითი საქმიანობა ერთ-ერთი ურთულესი, მნიშვნელოვანი მომენტია, რომელიც ეფუძნება შედარებითი სამართალმცოდნეობის მონაცემებს და იურიდიულ

⁵⁶⁰ იხ. *Kamisar Y., Lafave W.R., Israel J.H., King N.J.*, Basic Criminal Procedure, Cases, Comments and Questions, Eleventh Edition, Thomson West, 2005, 24.

⁵⁶¹ იხ. *Конярова Ж.К.*, Дискреционные полномочия прокурора и проблемы их реализации на досудебных стадиях уголовного процесса., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Ижевск, 2008, 3.

⁵⁶² იხ. *Конярова Ж.К.*, Дискреционные полномочия прокурора и проблемы их реализации на досудебных стадиях уголовного процесса., Автореферат кандидатской диссертации, Ижевск, 2008, 3-4 <<http://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&ved=0CCcQFjAA&url=http%3A%2F%2Fwww.usla.ru%2Fstructure%2Fdissovet%2FKonarova-aref.pdf&ei=KDYLUuy1O4LUswbTioCoCQ&usq=AFQjCNGBwJlFAFXPljmEVSyzCMGrif8uEA>>, ბოლოს გამოსმობილია 14.08.2013.

⁵⁶³ იხ. *მეფარიშვილი გ.*, დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, 21-22.

მეცნიერებას.⁵⁶⁴ მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განსაზღვრა მოხდა სხვადასხვა ქვეყნების საპროცესო გამოცდილების საფუძველზე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ სამართლებრივი მექანიზმის შემოღების წინაპირობა ეროვნული საპროცესო ტრადიციები არ ყოფილა.

„დისკრეცია“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს საკუთარი შეხედულებისამებრ თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას.⁵⁶⁵ ეს ინსტიტუტი ჩამოყალიბდა და განვითარდა ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში, ხოლო შემდგომში ასახვა ჰპოვა კონტინენტურ სამართალშიც. ინგლისში და აშშ-ში, მას განვითარების დიდი ხნის ისტორია აქვს.⁵⁶⁶ ამ ქვეყნებში გავრცელებულია ფართო, შეუზღუდავი დისკრეცია,⁵⁶⁷ ხოლო კონტინენტური სამართლის ქვეყნებში დისკრეცია გამოიყენება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში (მაგალითად, საფრანგეთი).⁵⁶⁸

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამ ტერმინს არ იცნობდა. თუმცა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ პუნქტით, იგი განსაზღვრული იყო და დღესაც არის მოცემული დისკრეციული უფლებამოსილების ცნება. მითითებული მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.⁵⁶⁹

მაშასადამე, დისკრეციული უფლებამოსილება არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის სრული თავისუფლების მინიჭებას, არამედ მასში მოიაზრება საჯარო და კერძო ინტერესების საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეირჩეს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ უწევს ანგარიშს კანონმდებლის მიერ მისთვის მინიჭებული მოქმედების თავისუფალ სივრცეს, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და ღონისძიება არის უკანონო.⁵⁷⁰

⁵⁶⁴ იხ. *მეფარიშვილი გ.*, დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, 18.

⁵⁶⁵ იხ.: *Конярова Ж.К.*, Дискреционные полномочия прокурора и проблемы их реализации на досудебных стадиях уголовного процесса., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Ижевск, 2008, 24; ასევე, <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16198>>, ბოლოს გამოხმობილია 14.08.2013.

⁵⁶⁶ დაწვრილებით იხ. *Гулиева Н.И.*, Проблемы реализации принципа дискреционного уголовного преследования в Российском и зарубежном уголовном судопроизводстве., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Ростов-на-Дону, 2004, 14-28.

⁵⁶⁷ იხ. *Kaufman I.R.*, დასახ. ნაშრ., 33-34.

⁵⁶⁸ იხ. Code de procédure pénale (français), art. 41-1, 41-2, 41-3, 51^e édition, Paris, 2010, 146-153.

⁵⁶⁹ იხ. *მეფარიშვილი გ.*, დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, 18-19.

⁵⁷⁰ იხ. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, რედ.: *ხუბუა გ.*, *თოთლაძე ლ.*, 2012, 164-165.

ცხადია, ბრალმდებლის მიერ უფლებამოსილების გადამეტება ან დისკრეციის ბოროტად გამოყენება აფერხებს სიმართლის დადგენას, რაც არის სასამართლოს უმთავრესი ფუნქცია და შეჯიბრებითობის სისტემის ფუნდამენტური მიზანი.⁵⁷¹

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების მიზანი არის ეფექტური სისხლის სამართალწარმოების განხორციელება. შესაბამისად, პროკურორის თითოეული გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერი.⁵⁷²

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების მომწესრიგებელი ნორმები განსაზღვრულია მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით (სსსკ-ის მუხ. მე-16, 105-ე, 168-ე). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ასევე ისეთი დოკუმენტის შემუშავებაც, რომლითაც პროკურორები იხელმძღვანელებენ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას.⁵⁷³ ასეთ დოკუმენტს წარმოადგენს სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც სარეკომენდაციო ხასიათისაა და დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181-ე ბრძანებით შემდეგი სახელწოდებით – „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“.

მოქმედი საპროცესო კანონის მე-16 მუხლით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით. ანუ პროკურორი უფლებამოსილია გააკეთოს არჩევანი – დაიწყოს დევნა, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს. პროკურორს გააჩნია ფართო დისკრეცია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკითხის გადაწყვეტისას, რადროსაც იგი ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესით. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, პროკურორს უნდა გააჩნდეს ასევე მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისი იქნება სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.⁵⁷⁴

მაშასადამე, საქართველოში შემოღებულია დისკრეციის ანგლო-ამერიკული ვარიანტი, რაც იმას ნიშნავს, რომ პროკურორი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას პირდაპირ არ არის შეზღუდული კანონმდებლობის მოთხოვნებით.

როდესაც სახეზეა ნორმის არარსებობა ან ისეთი ფართოა სამართლის ნორმა, რომ პიროვნული ფასეულობების გათვალისწინების საშუალებას იძლევა, მაშინ გარდაუვალი ხდება სხვადასხვაგვარობა უფლებამოსილების

⁵⁷¹ იხ. *Bessler J. D.*, The Public Interest and the Unconstitutionality of Private Prosecutors, *Arkansas Law Review*, Volume 47, Number 3, 1994, 599, <<file:///C:/Documents%20and%20Settings/USER/My%20Documents/Downloads/SSRN-id1753201.pdf>>, ბოლოს გამოსმოიბოდა 08.08.2014.

⁵⁷² იხ. *Конярова Ж.К.*, Дискреционные полномочия прокурора и проблемы их реализации на досудебных стадиях уголовного процесса., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Ижевск, 2008, 45-46.

⁵⁷³ იხ. *Kamisar Y., Lafave W.R., Israel J.H., King N.J.*, *Advanced Criminal Procedure, Cases, Comments and Questions*, Eleventh Edition, Thomson West, 2005, 984.

⁵⁷⁴ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანება, თბილისი – სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, მე-3 ნაწ.

განხორციელებისას, ვინაიდან გამორიცხულია, რომ პროცესის ყველა მონაწილემ ერთი და იგივე ფუნქციის შესრულებისას განახორციელოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილება ერთი და იმავე ღირებულებების გათვალისწინებით.⁵⁷⁵

აქედან გამომდინარე, დისკრეციული უფლებამოსილება მრავალგვარი ინტერპრეტაციისა და ლავირების შესაძლებლობას იძლევა. არასწორად მიღებული გადაწყვეტილებები ზიანის მომტანია არა მხოლოდ „სისხლის სამართალწარმოების ორბიტაში მოხვედრილი“ პირისათვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისათვის. პროკურორის ფართო დისკრეციული უფლებამოსილება უნდა მოექცეს ზოგადი პრინციპებისა და სტანდარტების ჩარჩოებში, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს უფრო თანმიმდევრულსა და გამჭვირვლეს გახდის და ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.⁵⁷⁶

ამავდროულად, პროკურორის გადაწყვეტილების თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს იმგვარად, რომ საფრთხე შეექმნას სისხლისსამართლებრივი სისტემის მოქნილობას, ეფექტურობას; თითოეული საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომასა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.⁵⁷⁷

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება არის სუვერენული ძალაუფლების ფორმა, რომელიც არ ექვემდებარება პროცესის კერძო აქტორებზე დელეგირებას.⁵⁷⁸

საუბარია რა სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით არსებობს ორი ძირითადი პრინციპი – კანონიერების (გერმანულად – Legalitätsprinzip, ფრანგულად – Legalité des poursuites) და მიზანშეწონილობის (გერმანულად – Opportunitätsprinzip, ფრანგულად – Opportunité des poursuites)⁵⁷⁹. აღნიშნულ პრინციპები ეხება პროკურორის დამოკიდებულებას ბრალდების მოცულობასა და ბედზე.⁵⁸⁰

⁵⁷⁵ იხ. *Kamisar Y., Lafave W.R., Israel J.H., King N.J.*, Basic Criminal Procedure, Cases, Comments and Questions, Eleventh Edition, Thomson West, 2005, 25.

⁵⁷⁶ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანება, თბილისი – სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, მე-2 ნაწ.

⁵⁷⁷ იხ. იქვე.

⁵⁷⁸ იხ. *Roger A. Fairfax, Jr.*, Delegation of the Criminal Prosecution Function to Private Actors, 2009, 427-428, <http://lawreview.law.ucdavis.edu/issues/43/2/articles/43-2_Fairfax.pdf>, ბოლოს გამოსმოხილია 09.08.2014.

⁵⁷⁹ იხ.: *Головки Л.В.*, Альтернативы уголовному преследованию как форма процессуальной дифференциации (современные тенденции развития)., Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2003, 29; *სტროგოვიძი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 106.

⁵⁸⁰ იხ. *მეფარიშვილი გ.*, დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, 20-21.

2.1 კანონიერების პრინციპი

კანონიერების პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში ტარდება გამოძიება, რომლის შედეგების შესაბამისად, პროკურორი ვალდებულია გამოძიების სტადიაზე დაიწყოს და განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და სასამართლოში მხარი დაუჭიროს ბრალდებას.⁵⁸¹ ამ დროს პროკურორი მოქმედებს საპროცესო კანონმდებლობით მკაცრად განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში. მისი შეხედულება ბრალდების ბედზე, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, მინიმალურია.⁵⁸² სხვა სიტყვებით რომ ითქვას, კანონიერების პრინციპი ადგენს ე.წ. ერთვარიანტიან სისტემას, რა დროსაც პროკურორმა უნდა მიიღოს ერთი კანონიერი გადაწყვეტილება – დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან უარი იქვას მის დაწყებაზე მხოლოდ კანონით განსაზღვრული ფორმალური საფუძვლის არსებობისას.⁵⁸³ ამ შემთხვევაში ფორმალური საფუძვლი შეიძლება იყოს მაგალითად – თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება ან ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, დასახელებულ პრინციპს ნაკლები შემხებლობა აქვს იმ ზოგადსამართლებრივ პრინციპთან, რომელიც ასევე „კანონიერების“ სახელწოდებით მოიხსენიება და გულისხმობს სახელწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების, მოქალაქეთა მიერ კანონის მოთხოვნათა განუხრელად დაცვას. ეს ორი პრინციპი ერთმანეთს ემთხვევა მხოლოდ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ ისინი თავიანთი იურიდიული ბუნებით, შინაარსობრივად განსხვავდებიან.⁵⁸⁴

2.2. მიზანშეწონილობის პრინციპი

მიზანშეწონილობის პრინციპის შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაიწყოს გარკვეული შეხედულებების გამო, თუნდაც არსებობდეს ამის საფუძვლი.⁵⁸⁵ მიზანშეწონილობის პრინციპი პროკურორს აძლევს საშუალებას „გადაუხვიოს კანონს“, განიტვიროთოს თავი წვრილმანი საქმეებისაგან; ასევე

⁵⁸¹ იხ.: *Головки Л.В.*, Альтернативы уголовному преследованию как форма процессуальной дифференциации (современные тенденции развития)., Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2003, 29; *სტროგოვიძი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 106.

⁵⁸² იხ.: *მეფარიშვილი გ.*, დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, 21; *სტროგოვიძი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 106.

⁵⁸³ იხ. *Головки Л.В.*, Альтернативы уголовному преследованию как форма процессуальной дифференциации (современные тенденции развития)., Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2003, 37-38.

⁵⁸⁴ იხ. იქვე, 30. კანონიერების პრინციპის შესახებ დამატებით იხ. *Bouloc B., Stefani G., Levasseur G.*, დასახ. ნაშრ., 580-582.

⁵⁸⁵ იხ. *Головки Л.В.*, Альтернативы уголовному преследованию как форма процессуальной дифференциации (современные тенденции развития)., Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2003, 29-30.

ამა თუ იმ მოსაზრებებით (მაგ. საჯარო ინტერესის გათვალისწინებით) უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე, თუ მისი დაწყება ან გაგრძელება არასასურველი შედეგით შეიძლება დამთავრდეს.⁵⁸⁶

კანონიერების პრინციპი ძირითადად დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის, ხოლო მიზანშეწონილობის პრინციპი კი საერთო სამართლის ქვეყნებისათვის. თუმცა დისკრეციის პრინციპს კარგად იცნობს, როგორც პირველი, ასევე მეორე სისტემის ქვეყნების კანონმდებლობა.⁵⁸⁷

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან დაკავშირებით არსებულ ამ ორ მიდგომას შორის მკაფიო კონტრასტის მიუხედავად, პრაქტიკაში ზღვარი მათ შორის თანდათან იშლება. კერძოდ, საერთო სამართლის ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, ბრიტანეთი), სადაც დისკრეცია ფაქტობრივად ტოტალურ ხასიათს ატარებს, დანაშაულთა უმეტესობაზე იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო იქ, სადაც კანონიერების პრინციპს აღიარებენ, სულ უფრო ნაკლები სისხლის სამართლის საქმე შედის სასამართლოში. დღესდღეობით ევროპის ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, გამოსაძიებელი საქმეების სიმრავლის, ადამიანური თუ მატერიალური რესურსების დაზოგვის, პროცესის მონაწილეთა ემოციური მდგომარეობის შემსუბუქებისა და ამავე დროს, სასჯელის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ყველა დანაშაულის ფაქტზე დევნის დაწყება კატეგორიულად სავალდებულო აღარ არის. უპირატესობა ენიჭება განრიდების სხვადასხვა ფორმებს, იზრდება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების არეალი, რაც მეტ-ნაკლები მასშტაბით კანონმდებლობებშიც აისახება.⁵⁸⁸ ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა საფრანგეთის მაგალითი.

§3 მიზანშეწონილობის პრინციპი ფრანგულ სისხლის სამართლის პროცესში

როგორც ზემოთ აღინიშნა, საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში სისხლისსამართლებრივი დევნა მიჩნეულია პროცესის დამოუკიდებელ სტადიად.⁵⁸⁹ აღნიშნულ სტადიაზე, ფრანგული საპროცესო კანონმდებლობით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მიზანშეწონილობის პრინციპს (*opportunité des poursuites*), რომლის გამოყენებაც მნიშვნელოვნად აფართოებს პროკურორის მიერ მისაღებ შესაძლო გადაწყვეტილებათა წრეს. გადაწყვეტილების მიღების დროს პროკურორი არის თავისუფალი და

⁵⁸⁶ იხ. *სტროკოვიჩი მ.ს.*, დასახ. ნაშრ., 106-107.

⁵⁸⁷ იხ. *მეფარიშვილი გ.*, დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, 20-21.

⁵⁸⁸ იხ. ცვლილება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ასამოქმედებლად, გაზეთი „24 საათი“, 10.09.11., <<http://24saati.ge/index.php/category/news/2011-09-10/19787.html>>, ბოლოს გამოსმობილია 17.08.2013; მიზანშეწონილობის პრინციპზე დაწვრილებით იხ. *Головки Л.В.*, *Альтернативы уголовному преследованию как форма процессуальной дифференциации (современные тенденции развития)*., Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2003, 29-38.

⁵⁸⁹ იხ. სადისკრეციო ნაშრომის II კარის, VII თავის, §4, 4.2.

დამოუკიდებელი.⁵⁹⁰ ამის დასტურია საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლი, რომელშიც პირდაპირ არის მითითებული, რომ პროკურორი აფასებს რა მიღებულ მასალებს, იღებს გადაწყვეტილებას საქმის შემდგომი ბედის შესახებ. მას შეუძლია არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოიყენოს ალტერნატიული მექანიზმები. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ პროკურორი ინფორმაციას აწვდის საჩივრის შემტან პირს და დაზარალებულს.⁵⁹¹ არსებობს გადაწყვეტილებათა რამოდენიმე ვარიანტი, რომელიც პროკურორის მიერ მიიღება ზემოაღნიშნულ სტადიაზე.⁵⁹²

3.1. უარი სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე (*classements sans suite*)

პროკურორის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, არ არსებობს ზიანი ან ზიანი ანაზღაურებულია და ა.შ.⁵⁹³

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარი, ფრანგული ტერმინოლოგიით, არის არა იურიდიქციული, არამედ ადმინისტრაციული გადაწყვეტილება⁵⁹⁴ და იგი არ საჩივრდება სასამართლოში. შესაძლებელია მისი მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრება. ამ დროს დაზარალებული დაცულია იმით, რომ მას უფლება აქვს აღძვას სამოქალაქო და ამის შედეგად საჯარო სარჩელები.⁵⁹⁵ აღნიშნული გადაწყვეტილება შემდგომში პროკურატურას არ ბოჭავს სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში იმავე ფაქტზე დაიწყოს სამართალწარმოება. ეს არის არა იურიდიული, არამედ ფაქტობრივი გადაწყვეტილება, რათა პროკურატურამ არ განახორციელოს მოქმედებანი სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.⁵⁹⁶

3.2. პირობითი უარი სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე (*classement sans suite sous condition*)

სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობის შეფასების თავისუფლებამ⁵⁹⁷ გამოიწვია ის, რომ პრაქტიკაში გავრცელდა გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე პირობითი

⁵⁹⁰ იხ. *Larguier J.*, დასახ. ნაშრ., 93-95.

⁵⁹¹ იხ. *Bouloc B., Stefani G., Levasseur G.*, დასახ. ნაშრ., 582-583.

⁵⁹² იხ. *Molins F.*, დასახ. ნაშრ., 12.

⁵⁹³ იხ. იქვე, 11-12,

⁵⁹⁴ იხ.: იქვე; *Bouloc B., Stefani G., Levasseur G.*, დასახ. ნაშრ., 591.

⁵⁹⁵ იხ. *Bouloc B., Stefani G., Levasseur G.*, დასახ. ნაშრ., 589-590.

⁵⁹⁶ იხ.: *Molins F.*, დასახ. ნაშრ., 11-12; *Larguier J.*, დასახ. ნაშრ., 93-95; *გუცენკო კ.ფ., გოლოგოკო ლ.ვ., ფილიძონოვი ბ.ა.*, დასახ. ნაშრ., 412. აღნიშნულ საკითხზე ასევე დაწერილებით იხ. *Guinchard S., Buisson J.*, *Procédure pénale*, Paris, 2000, 495-498.

⁵⁹⁷ იხ. *Bouloc B., Stefani G., Levasseur G.*, დასახ. ნაშრ., 592-593.

უარის შესახებ, რომელიც პირდაპირ არ არის განმტკიცებული საპროცესო კანონმდებლობით. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ პროკურორი უფლებამოსილია გადაწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობის საკითხი იმის შესაბამისად, შეასრულებს თუ არა დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირი პროკურორის მიერ ჩამოყალიბებულ გარკვეულ მოთხოვნებს. მაგალითად, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესრულება და ა.შ. თუ პირობა შესრუდება სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაიწყება და პირიქით.⁵⁹⁸ ასეთ პრაქტიკას ადგილი ჰქონდა ჩრდილო ამერიკაშიც, კერძოდ, კანადაში.⁵⁹⁹

3.3. სისხლისსამართლებრივი მედიაცია (mediation penale)

მედიაციის ინსტიტუტი, ისევე როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პირობითი უარი თავდაპირველად პრაქტიკაში დამკვიდრდა, ხოლო შემდგომში ჩამოყალიბდა საფრანგეთის სისხლის სამართლის პოლიტიკის უახლესი კონცეფციების საფუძველზე.⁶⁰⁰ ამ მიდგომამ ფაქტობრივად ჩაანაცვლა პირობითი უარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე.⁶⁰¹

სისხლისსამართლებრივი მედიაცია შეიძლება გამოყენებული იქნეს ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე.⁶⁰²

თუ რესპუბლიკის პროკურორი მიიჩნევს, რომ სისხლისსამართლებრივი მედიაცია უზრუნველყოფს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ასევე დასრუდება დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად წარმოშობილი კონფლიქტი; ამასთან, თუ ამ ზომის გამოყენება ხელს შეუწყობს დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის გამოსწორებას, მაშინ საჯარო სარჩელის აღძვრამდე პროკურორი უფლებამოსილია:

1) განახორციელოს „შეხსენება“ (procéder au rappel) დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის მიმართ მისი მოვალეობების შესახებ;

2) გააგზავნოს ეს პირი სანიტარულ, სოციალურ ან პროფესიულ სტრუქტურაში;

3) შესთავაზოს პირს, რომ ამ უკანასკნელმა მოაწესრიგოს თავისი სამართლებრივი მდგომარეობა კანონთან და კანონქვემდებარე აქტებთან მიმართებით;

4) შესთავაზოს პირს, რომ მან აანაზღაუროს დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული ზიანი;

5) მხარეთა თანხმობით აწარმოოს მედიაციის პროცედურა და ა.შ.⁶⁰³

⁵⁹⁸ იხ. გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასახ. ნაშრ., 412-413.

⁵⁹⁹ იხ. Bouloc B., Stefani G., Lvasseur G., დასახ. ნაშრ., 584-585.

⁶⁰⁰ სისხლისსამართლებრივი მედიაციის წარმოშობის შესახებ იხ. Головки Л.В., Альтернативы уголовному преследованию как форма процессуальной дифференциации (современные тенденции развития), Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2003, 84-88.

⁶⁰¹ იხ. გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასახ. ნაშრ., 413.

⁶⁰² იხ. Larguier J., დასახ. ნაშრ., 90.

პროკურორი ვალდებული არ არის ზემოთ დასახელებული ღონისძიებებიდან ყველა ერთდროულად გამოიყენოს. მას შეუძლია თავისი შეხედულებით, საქმის გარემოებების გათვალისწინებით ერთი-ერთი პირობის გამოყენება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი პირობა არის პროკურორის წინადადება „ბრალდებულისადმი“, რომელიც ამ უკანასკნელმა შეიძლება მიიღოს ან არ მიიღოს. აღნიშნულის გათვალისწინებით პროკურორი წყვეტს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არდაწყების საკითხს.⁶⁰⁴

რაც შეეხება მედიაციის პროცედურას, ზოგადად იგი შემდგენაირია: როდესაც პროკურორი მიზანშეწონილად მიიჩნევს კონფლიქტის გადაწყვეტას მხარეთა მონაწილეობით, იგი სისხლის სამართლის საქმეს გადასცემს სპეციალიზირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან ფიზიკურ პირს. სამედიაციო პროცედურების მეშვეობით, ეს ორგანიზაცია ცდილობს შეარიგოს დაზარალებული და „ბრალდებული“.⁶⁰⁵ წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე უბრუნდება პროკურორს, რომელიც გადაწყვეტს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არდაწყების საკითხს.⁶⁰⁶

3.4. სისხლისსამართლებრივი ჯარიმა შეთანხმებით (composition penale)

აღნიშნული ინსტიტუტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ რესპუბლიკის პროკურორი უფლებამოსილია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე პირს, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული⁶⁰⁷ შესთავაზოს:

- 1) ხაზინის სასარგებლოდ განსაზღვრული ჯარიმა;
- 2) სახელმწიფოს გადასცეს დანაშაულის ჩადენის იარაღი და დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მოპოვებული ნივთი;
- 3) ანაზღაურების გარეშე შეასრულოს საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოები.
- 4) გადასცეს დიდი ინსტანციის ტრიბუნალის მდივანს, მართვის ან მონადირის მოწმობა და ა.შ.⁶⁰⁸

⁶⁰³ იხ.: Code de procédure pénale (français), art. 41-1, 51^e édition, Paris, 2010, 146-147; Головки Л.В., Альтернативы уголовному преследованию как форма процессуальной дифференциации (современные тенденции развития), Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2003, 88-89.

⁶⁰⁴ იხ. Головки Л.В., Альтернативы уголовному преследованию как форма процессуальной дифференциации (современные тенденции развития), Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2003, 89.

⁶⁰⁵ იხ. იქვე, 90-91.

⁶⁰⁶ იხ.: Bouloc B., Stefani G., Levasseur G., დასახ. ნაშრ., 584-585; Larguier J., დასახ. ნაშრ., 90-91.

⁶⁰⁷ იხ.: Larguier J., დასახ. ნაშრ., 91; Code de procédure pénale (français), art. 41-2, 4-3, 51^e édition, Paris, 2010, 148-152.

⁶⁰⁸ დაწვრილებით იხ.: Code de procédure pénale (français), art. 41-2, 51^e édition, Paris, 2010, 148-149; Bouloc B., Stefani G., Levasseur G., დასახ. ნაშრ., 586.

პროკურორს შეუძლია პირს შესთავაზოს აღნიშნული ზომებიდან ერთის ან ერთდროულად რამოდენიმეს შესრულება.⁶⁰⁹ ამასთან, თუ საქმეზე დადგენილია დაზარალებული, მაშინ აუცილებლად უნდა მოხდეს ზიანის ანაზღაურებაც.⁶¹⁰

იმ შემთხვევაში თუ დანაშაულის ჩამდენი პირი ეთანხმება პროკურორის წინადადებას, სისხლის სამართლის საქმის მასალები სისხლისსამართლებრივი ჯარიმის დასამტკიცებლად იგზავნება სასამართლოში.⁶¹¹ მოსამართლეს შეუძლია პირადად დაკითხოს დაზარალებული და სავარაუდო ბრალდებული. დაკითხვა აუცილებელია დაინტერესებული პირის შეამდგომლობის შემთხვევაში. თუ მოსამართლე უარს იტყვის შეთანხმების დამტკიცებაზე, მაშინ პროკურორის წინადადება ძალას კარგავს და სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდება საერთო საწყისებზე. მოსამართლის გადაწყვეტილება არ საჩივრდება. მაგრამ თუ იგი დაამტკიცებს შეთანხმებას, მაშინ პროკურორის მიერ წამოყენებული პირობები უნდა შესრულდეს. დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის მიერ შეთანხმებულ პირობათა შესრულება აქარწყლებს სახელმწიფოს უფლებას საჯარო სარჩელის თაობაზე. პირობათა სრული მოცულობით შეუსრულებლობის შემთხვევაში პროკურორს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ყოველგვარი ახალი მტკიცებულების გარეშე.⁶¹²

§4 პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება წარმოადგენს მხოლოდ პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას (მუხ. 166-ე). საქართველოში პროკურორი სარგებლობს ფართო დისკრეციით, რის გამოც სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ იგი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს (მუხ. 105-ე, ნაწ. მე-3). ამდენად, პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილება შესაძლოა სამი ფორმით განახორციელოს. კერძოდ: სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, უარი სისხლისსამართლებრივ დევნაზე ანდა დაწყებული დევნის შეწყვეტა.

ამასთან, როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება წარმოადგენს პროკურორის უფლებას და არა მოვალეობას.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განხორციელების თავისებურებებზე საუბარი იყო წინა თავებში.⁶¹³ მოკლედ კიდევ შეიძლება

⁶⁰⁹ იხ. Code de procédure pénale (français), art. 41-2, 51^e édition, Paris, 2010, 148.

⁶¹⁰ იხ.: იქვე, art. 41-2, 148-149; *Larguier J.*, დასახ. ნაშრ., 91-92.

⁶¹¹ იხ. Code de procédure pénale (français), art. 41-2, 51^e édition, Paris, 2010, 150.

⁶¹² იხ.: იქვე, art. 41-2, 150; *Larguier J.*, დასახ. ნაშრ., 91-92; *Bouloc B., Stefani G., Levasseur G.*, დასახ. ნაშრ., 587-588.

⁶¹³ იხ. სადისკრეციო ნაშრომის VI, VII და VIII თავები.

აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება მაშინ, როდესაც გამოვლინდება დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული პირი; საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანებით დამტკიცებულ სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების მესამე თავში კი მითითებულია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება დაიწყოს:

ა) თუ სახეზეა დანაშაულებრივი ქმედება;

ბ) შეკრებილია მტკიცებულებები, რაც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია კონკრეტული პირის მიერ.

აღსანიშნავია, რომ მითითებულ დოკუმენტში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ერთ-ერთ საფუძვლად იმაზე მითითება, რომ სახეზე უნდა იყოს დანაშაულებრივი ქმედება სრულიად ზედმეტია, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მეორე საფუძველი – „ბ“ ქვეპუნქტი მოიცავს დანაშაულებრივი ქმედების არსებობასაც.

რაც შეეხება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ზემოხსენებულ ბრძანებაში მითითებულ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მეორე საფუძველს – შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რაც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია კონკრეტული პირის მიერ, აღნიშნული ნამდვილად წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მნიშვნელოვან წინაპირობას.

ასეთ შემთხვევაში პროკურორს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია მიიღოს ერთ-ერთ შემდეგი გადაწყვეტილება:

„ – ჩაატაროს ან მოითხოვოს დამატებითი გამოძიების ჩატარება;

– დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა;

– უარი თქვას დევნის დაწყებაზე და გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი;

– უარი თქვას დევნის დაწყებაზე ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების გარეშე.“⁶¹⁴

მართალია, დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, პროკურორს უფლება აქვს თავისი შეხედულებით მიიღოს ერთ-ერთი ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, მაგრამ ამ დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს უნდა მოხდეს დროულად. სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობამ ბრალდების მხარე შეიძლება მიიყვანოს არასასურველ შედეგამდე. კერძოდ, დასაბუთებული ვარაუდის არსებობის დროს, თუ პროკურორმა „*მოითხოვა დამატებითი გამოძიების ჩატარება*“ და არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, „*დამატებითი გამოძიების*“ შედეგები შესაძლებელია ბათილად იქნეს ცნობილი. ეს იმიტომ, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების

⁶¹⁴ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანება, თბილისი – სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, მე-3 ნაწ.

შემთხვევაში, შესაძლებელია დაუშვებლად იქნეს ცნობილი ბრალდების მხარის ის მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებულ იქნა მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი (სსსკ-ის მუხ. 169-ე).

გარდა ამისა, აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ უმჯობესი იქნება, თუ ზემოთ ჩამოთვლილ პროკურორის მისაღებ გადაწყვეტილებებს დაემატება უფლებამოსილება უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ალტერნატიული მექანიზმის გამოყენებით ან ამ მექანიზმის გამოყენების გარეშე, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაც პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს (სსსკ-ის მუხ. მე-16). აღნიშნული საკითხი მით უფრო აქტუალურია მაშინ, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნის შემდგომი გაგრძელება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს.

ზემოთაც აღინიშნა, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება ორ შემთხვევაში: პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (სსსკ-ის მუხ. 167-ე). პირველ შემთხვევაში, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ყოველთვის არ წარმოადგენს პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას, ვინაიდან იგი შეიძლება დაიწყოს პროკურორისაგან დამოუკიდებლად. მაგალითად, დანაშაულის ფაქტზე პირის წასწრებისას, ეს უკანასკნელი დააკავოს სხვა უფლებამოსილმა პირმა (სსსკ-ის მუხ. 172-ე). ამ შემთხვევაში პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილება შესაძლებელია გამოიყენოს პირის დაკავების შემდეგ, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მისაღწევად არ მიიჩნევს აუცილებლად პირის დაკავებას და ამ უკანასკნელს გაანთავისუფლებს (სსსკ-ის მუხ. 176-ე), ან არ გამოიტანს დადგენილებას პირის ბრალდების შესახებ ანდა საერთოდ შეწყვეტს გამოძიებას და მასთან ერთად სისხლისსამართლებრივ დევნას.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მეორე გზას – პირის ბრალდებულად ცნობას, ამ მოქმედების განხორციელება პროკურორის გარეშე წარმოუდგენელია. ამ დროს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება გამოიხატება იმაში, რომ მას შეუძლია დანაშაულის ჩამდენ სავარაუდო პირს არ წაუყენოს ბრალი; ასევე არ წარმართოს საქმე სასამართლოში განსახილველად თუ პროკურორმა იცის, რომ ბრალდება არ არის გამყარებული სათანადო მტკიცებულებებით. ამ დროს პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს ასევე დევნის დაწყების საჯარო ინტერესიც;⁶¹⁵ და პირიქით, თუ არსებობს ზემოაღნიშნული სათანადო საფუძველები პირი ცნოს ბრალდებულად.

მაშასადამე, უდავოა, რომ პროკურორი თავის დისკრეციულ უფლებამოსილებას ახორციელებს გამოძიების სტადიაზე, მაგრამ ერთობ საინტერესოა იმის გარკვევა, შეუძლია თუ არა მას დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

⁶¹⁵ იხ. Kamisar Y., Lafave W.R., Israel J.H., King N.J., *Advanced Criminal Procedure, Cases, Comments and Questions*, Eleventh Edition, Thomson West, 2005, 985.

ზემოთ უკვე დასაბუთდა აზრი იმის შესახებ, რომ პროკურორი სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც.⁶¹⁶

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, იმ საქმეებზე, რომლებიც სასამართლოს გადაეცემა განსახილველად, პროკურორი აგრძელებს თავისი ფაქტობრივი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებას. საქმის გამოკვლევის დროს პროკურორმა უნდა გადაწყვიტოს ძირითადი სტრატეგია და საქმის არსი. ხშირად, პროკურორს უწევს რთული გადაწყვეტილების მიღება მტკიცებულებების წარმოდგენის პროცესში საქმის გაუთვალისწინებელი განვითარების გამო.⁶¹⁷

მართალია, სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას პროკურორი არის ბრალდების მხარე, რომელსაც დამოუკიდებლად რაიმე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია, მაგრამ ბრალდების ბედის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, მას სასამართლოშიც გააჩნია გასაკუთრებული უფლება. კერძოდ, პროკურორს შეუძლია ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში განაჩენის გამოტანამდე უარი თქვას ბრალდებაზე (სსსკ-ის მუხ. 250-ე). ასეთი გადაწყვეტილება პროკურორმა შესაძლოა მიიღოს მიზანშეწონილობის პრინციპიდან გამომდინარე, თუ აღმოაჩენს, რომ საქმეში არსებული ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები გაბათილდა დაცვის მხარის მიერ და დარჩენილი მტკიცებულებები არასაკმარისია ბრალდების მხარდასაჭერად ან აღარ არსებობს საქმის შემდგომი გაგრძელების საჯარო ინტერესი. სწორედ ამაში გამოიხატება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სასამართლოში საქმის განხილვისას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მეცნიერი პროკურორის უფლებას უარი თქვას ბრალდებაზე კრიტიკულად უყურებს და აცხადებს, რომ სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, პროკურორი ვალდებული უნდა იყოს უარი თქვას ბრალდებაზე. პროკურორის უფლება უარი თქვას ბრალდებაზე, ამ უკანასკნელს მისცემს საშუალებას მხარი დაუჭიროს აშკარად უკანონო ბრალდებას და ამტკიცოს პირის ბრალეულობა მაშინაც, როცა ხელთ არ აქვს სათანადო მტკიცებულებები.⁶¹⁸

აღნიშნული მოსაზრება არ არის საფუძველს მოკლებული, პროკურორმა შესაძლოა მხარი დაუჭიროს ისეთ ბრალდებასაც, რომელიც არ არის გამყარებული მტკიცებულებებით, მაგრამ იგი შედეგად მიიღებს გამამართლებელ განაჩენს. ამიტომ პროკურორს არ შეიძლება ჰქონდეს ობიექტური ინტერესი იმისა, რომ მხარი დაუჭიროს უკანონო და დაუსაბუთებელ ბრალდებას.

⁶¹⁶ იხ. სადისერტაციო ნაშრომის II კარის, VIII თავის, §3.

⁶¹⁷ იხ. Roger A. Fairfax, Jr., Delegation of the Criminal Prosecution Function to Private Actors, 2009, 428-429, <http://lawreview.law.ucdavis.edu/issues/43/2/articles/43-2_Fairfax.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 09.08.2014

⁶¹⁸ კობალაძე პ., პროკურორის უარი ბრალდებაზე და სამართლებრივი შედეგები, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2010, №1, 62.

სასამართლოში პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ერთგვარ განხორციელებად შეიძლება ჩაითვალოს ასევე მისი შუამდგომლობა საქმის დაბრუნების თაობაზე, რათა ბრალდებულს შესთავაზოს განრიდება. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო ვალდებული არ არის საქმე დაუბრუნოს პროკურორს. ანუ პროკურორი არ არის საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები, მაგრამ მისი მოქმედება უნდა შეფასდეს, როგორც დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება, (სსსკ-ის მუხ. 168²-ე) ვინაიდან იგი თანახმაა უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებაზე და გამოიყენოს მისი ალტერნატიული მექანიზმი.

მაშასადამე, პროკურორი სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, თავის დისკრეციულ უფლებამოსილებას ახორციელებს როგორც გამოძიების სტადიაზე, ასევე სასამართლოში საქმის განხილვის დროს. გამოძიების სტადიაზე პროკურორი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, დაწყებაზე უარის თქმის (სსსკ-ის მუხ. 168-ე) ან შეწყვეტის თაობაზე (სსსკ-ის მუხ. 106-ე), ხოლო სასამართლოში საქმის განხილვის დროს პროკურორი იყენებს რა დისკრეციულ უფლებამოსილებას, ეს უკანასკნელი უარს ამბობს ბრალდებაზე, რაზეც იგი არ ადგენს საპროცესო დოკუმენტს. პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემდეგ, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ (სსსკ-ის მუხ. 250-ე).

§5 სრული ტესტი და მისი განმსაზღვრელი კომპონენტები

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროკურორი სარგებლობს ფართო დისკრეციით. მაგრამ არსებობს გარკვეული გარემოებები, რომლებიც პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღებისას. მნიშვნელოვანია ის, რომ პროკურორი იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი. გადაწყვეტილების მიღებისას მასზე არ უნდა მოახდინოს გავლენა სუბიექტურმა ფაქტორებმა.⁶¹⁹

პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით, საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა გადაწყვიტოს კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად მიზანშეწონილია დევნის დაწყება. გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა იხელმძღვანელოს ორი ტესტით (განსაზღვრულ კრიტერიუმთა ერთობლიობით), მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის ტესტებით, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ე.წ. სრულ ტესტს. მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში იწვებს პროკურორი სისხლისსამართლებრივ დევნას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ტესტი

⁶¹⁹ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანება, თბილისი – სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, მე-3 ნაწ.

შეფასებითია და პროკურორის განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს. საგულისხმოა ასევე ის გარემოებაც, რომ სრული ტესტის თითოეული ეტაპი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა იქნეს განხილული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ანალიზისა და შეფასების გზით და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ.⁶²⁰

5.1. მტკიცებულებითი ტესტი

როგორც აღინიშნა, მტკიცებულებითი ტესტი არის ის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რომელიც საჭიროა სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად და განსახორციელებლად.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანებით მტკიცებულებითი ტესტი განმარტებულია შემდეგნაირად: „საქმეში არსებული მტკიცებულებები ქმნის საკმარის საფუძველს სასამართლოში მსჯავრდების რეალური პერსპექტივისათვის – მტკიცებულებითი ტესტი.“

გარდა ამისა, აღნიშნული ბრძანების თანახმად, „პროკურორმა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ არ არსებობს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი ან/და თუ ნაკლებად მოსალოდნელია პირის ბრალეულობის დადასტურება სასამართლოს მიერ.

გასათვალისწინებელია ასევე, რომ გადაწყვეტილების მიღებისას არ არის აუცილებელი, პროკურორს ყველა ის მტკიცებულება ჰქონდეს ხელთ, რომელთა გამოყენებასაც სასამართლო განხილვაზე გეგმავს. საკმარისია, პროკურორი დარწმუნებული იყოს, რომ სასამართლო განხილვის სტადიაზე მას ხელთ ექნება კანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებები, რაც საკმარისი იქნება პირის ბრალეულობის დასაბუთებლად.

პირის მსჯავრდების რეალური პერსპექტივა პროკურორის მიერ ფასდება მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. ამ ეტაპზე პროკურორმა ასევე უნდა გაითვალისწინოს დაცვის მხარის არგუმენტები და ის, თუ რა ეფექტი შეიძლება მოახდინოს ამ მხარემ ბრალდების დასაბუთებაზე.“

ამდენად, მტკიცებულებით ტესტში იგულისხმება გარკვეულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც მიუთითებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობაზე, გაუგებარია პროკურორმა როგორ უნდა შეაფასოს რამდენად არსებობს რეალური პერსპექტივა სასამართლოში პირის მსჯავრდებისათვის. დასაბუთებული ვარაუდი არის ის სტანდარტი, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველია. მასზე

⁶²⁰ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანება, თბილისი – სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, მე-3 ნაწ.

დაყრდნობით ვერ მოხდება პირის მსჯავრდების რეალური პერსპექტივის განსაზღვრა. ამ ეტაპზე გარდა გამონაკლისებისა,⁶²¹ უმრავლეს შემთხვევაში პროკურორს პრაქტიკულად გაუჭირდება იმის გარკვევა ქმნის თუ არა მოპოვებული მტკიცებულებები პირის მსჯავრდების რეალურ პერსპექტივას. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას. ამასთან, პროკურორის რწმენა, რომ მას მომავალში ექნება მტკიცებულებები სასამართლოში პირის ბრალეულობის დასასაბუთებლად, ასევე არ არის საკმარისი პირის მსჯავრდების რეალური პერსპექტივის განსაზღვრისათვის.

აქედან გამომდინარე, ხომ არ აჯობებდა დასაბუთებული ვარაუდის არსებობის ყველა შემთხვევაში დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მტკიცებულებების სრულყოფილად მოპოვების შემდეგ მოხდეს იმის განსაზღვრა, არსებობს თუ არა პირის მსჯავრდების რეალური პერსპექტივა.

5.2. საჯარო ინტერესის ტესტი

სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებში საუბარია ასევე საჯარო ინტერესის ტესტზეც. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება განპირობებული უნდა იყოს საჯარო ინტერესით. „მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინაც კი, როდესაც მტკიცებულებითი ტესტი დაკმაყოფილებულია, პროკურორმა არ უნდა დაიწყოს დევნა, თუ დევნის დაწყება ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესს.“⁶²²

საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა იგულისხმება საჯარო ინტერესში. მისი განსაზღვრა არ არის მარტივი ვინაიდან იგი შეფასებითია.

„ინტერესი,“ როგორც კატეგორია სხვადასხვა მეცნიერებების (ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია) შესწავლის საგანია. ეს სიტყვა ყოველდღიურ ურთიერთობაში ფართოდ გამოიყენება, როგორც შედეგი, წესი, მიზანი ადამიანის მოქმედებისა.⁶²³ ზოგიერთი ავტორის აზრით, საპროცესო კანონმდებლობასა და იურიდიულ ლიტერატურაში სიტყვა „ინტერესი“ სწორედ ამ გაგებით გამოიყენება. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი საპროცესო ფუნქციის, მათ შორის სისხლისსამართლებრივი დევნის არსის სწორად განსაზღვრისათვის.⁶²⁴

⁶²¹ ეს შეიძლება იყოს იშვიათი შემთხვევები, როდესაც პროკურორს ხელთ აქვს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც იმდენად ღირებულია, რომ პრაქტიკულად წყვეტს სისხლის სამართლის საქმის ბედს. მაგალითად, არსებობს საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით მოპოვებული ვიდეოჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილია, თუ როგორც ჩადის პირი დანაშაულს.

⁶²² საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანება, თბილისი – სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, მე-3 ნაწ.

⁶²³ იხ.: *Шманатова В.Е.*, Публичное начало как основа уголовного преследования в уголовном процессе Российской Федерации., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Самара, 2004, 21; „ინტერესის“ განმარტების შესახებ ასევე, *Масленникова Л.Н.*, Публичное и диспозитивное начала в уголовном судопроизводстве России., Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2000, 188-233.

⁶²⁴ იხ. *Шманатова В. Е.*, დასახ. ნაშრ., 21.

ზოგიერთი მეცნიერის განმარტებით, საჯარო ინტერესი ყოველთვის ბუნდოვანი ცნება იყო. ამ ტერმინს იმიტომ იყენებენ, რომ გაამართლონ გამოსაყენებელი ღონისძიების მიზანშეწონილობა. უფრო მეტიც, ზოგან მოდური გახდა საჯარო ინტერესის, როგორც შინაარსს მოკლებული ცნების უარყოფა.⁶²⁵

არსებობს საჯარო ინტერესის სულ მცირე სამი განმარტება. პირველი განმარტების თანახმად, საჯარო ინტერესი არის ხალხის, როგორც საზოგადოების წევრთა, საერთო ინტერესი.⁶²⁶ მეორე განმარტების მიხედვით, საჯარო ინტერესი გულისხმობს საზოგადოების იმ რამოდენიმე წევრის ინტერესთა ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან ამ საზოგადოებას.⁶²⁷ მესამე განსაზღვრების თანახმად, საჯარო ინტერესი აღწერილია, როგორც მორალური კონცეფცია, რომლის შეფასებაც ხდება ისეთი ღირებულებებით, როგორცაა „მართლმსაჯულების ხელშეწყობა“ ან „პიროვნების თავისუფლების ფარგლების მაქსიმალური გაფართოება“.⁶²⁸

საჯარო ინტერესის პირველი და მესამე განსაზღვრებების თანახმად, საზოგადოების წევრებს აქვთ ერთიანი უდავო ინტერესი, სამართალდამცავი სისტემისგან მიიღონ სამართლიანი მოპყრობა. მართლაც, იმის გამო, რომ ნებისმიერ ადამიანს ტყუილად შეიძლება დაედოს ბრალი, თითოეულ პიროვნებას საზოგადოებაში აქვს საერთო ინტერესი მიიღოს სამართლიანი მოპყრობა ბრალდების ორგანოსგან. ეს ვითარება მით უფრო აქტუალურია ბრალმდებლების მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას. საერთო საზოგადოებრივი ინტერესით არის უზრუნველყოფილი ის, რომ ბრალმდებლები საზოგადოების წევრებს სამართლიანად მოექცნენ.⁶²⁹

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად, საჯარო ინტერესი არის კანონით დაცული ინტერესი, რომლის უკან დგას საზოგადოება და სახელმწიფო. სისხლის სამართალწარმოებაში საჯარო ინტერესი გამოიხატება დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯის შეუქცევადი გარემოს შექმნაში.⁶³⁰ იცავს რა საჯარო ინტერესს, პროკურორი თავის ფუნქციებს ახორციელებს ცალკეული ორგანოებისა და მოქალაქეთა ნების მიუხედავად.⁶³¹

⁶²⁵ იხ. *Bessler J. D.*, The Public Interest and the Unconstitutionality of Private Prosecutors, *Arkansas Law Review*, volume 47, Number 3, 1994, 558-559, <<file:///C:/Documents%20and%20Settings/USER/My%20Documents/Downloads/SSRN-id1753201.pdf>>, ბოლოს გამოსხობილია 08.08.2014.

⁶²⁶ იხ. *Brian Barry*, *Political Argument* 190, (1965), მითითებულია: *Bessler J. D.*, დასახ. ნაშრ., 560.

⁶²⁷ იხ. *Jeremy Bentham*, *An Introduction to the Principles of Morals and Legislation* 3 (1948), მითითებულია: *Bessler J. D.*, დასახ. ნაშრ., 560.

⁶²⁸ იხ. *Richard E. Flathman*, *The Public Interest: An Essay Concerning the Normative Discourse of Politics*, 67 (1966), მითითებულია: *Bessler J. D.*, დასახ. ნაშრ., 561.

⁶²⁹ იხ. *Bessler J. D.*, დასახ. ნაშრ., 561-562.

⁶³⁰ იხ.: *აბაშიძე გ.*, პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი (გამოძიების სტადიაზე), თბილისი, 2011, 93; საჯარო ინტერესის შესახებ ასევე, *Дикарев И.С.*, Диспозитивность в уголовном процессе России., Под редакцией профессора *Кругликова А.П.*, Волгоград, 2005, 43-44.

⁶³¹ იხ. *აბაშიძე გ.*, პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი (გამოძიების სტადიაზე), თბილისი, 2011, 93.

ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საჯარო ინტერესი არის კომპლექსური ცნება, რომელშიც მოიაზრება, როგორც სახელმწიფოს, ასევე მთლიანად საზოგადოების და მათ შორის ცალკეულ ინდივიდთა, წევრთა (მაგალითად, დაზარალებულთა, ბრალდებულთა) ინტერესები. საჯარო ინტერესის მიზანია დაიცვას საზოგადოება დანაშაულისაგან და თავიდან აიცილოს პირის არასამართლიანი, უსაფუძვლო, უკანონო ბრალდება.⁶³²

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენად ემსახურება დევნის დაწყება საჯარო ინტერესს (სსსკ-ის მუხ. მე-16). პროკურორმა აუცილებლად უნდა განსაზღვროს რამდენად არის დევნის დაწყების საჯარო ინტერესი და დევნა არ უნდა დაიწყოს როცა აშკარად გამოიკვეთება არა საჯარო, არამედ პირის დასჯის ინტერესი.⁶³³

სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებში ჩამოყალიბებულია ის გარემოებები, რომლებიც პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესის ტესტის განსაზღვრისას. ესენია:

ა) *სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები*. საჯარო ინტერესის განსაზღვრისას პროკურორმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, სახელმწიფოსათვის რამდენად პრიორიტულია მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება. სახელმწიფო რესურსი არ არის საკმარისი ყველა შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად. აქედან გამომდინარე, სწორედ შეზღუდული რესურსების ეფექტურად გამოყენების მიზნით განისაზღვრება სისხლის სამართლის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც პროკურორის მხრიდან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას.

ბ) *დანაშაულის ბუნება და სიმძიმე*. სახელმწიფო რესურსი ნაკლებად უნდა დაიხარჯოს მცირე მნიშვნელობის დანაშაულის ჩამდენთა სისხლისსამართლებრივ დევნაზე. პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი. შესაბამისად, ამ უკანასკნელმა უნდა დაადგინოს, რამდენად შეესაბამება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება საჯარო ინტერესს. გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია იმ გავლენის განსაზღვრა, რაც შეიძლება დანაშაულს ჰქონდეს საზოგადოებასა და დაზარალებულზე.⁶³⁴

დანაშაულის გავლენა საზოგადოებაზე შეიძლება შეფასდეს შემდეგნაირად: მიყენებული ზიანი მატერიალურია და მეტად მნიშვნელოვანია; დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირი შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს მოსახლეობას ან მოსალოდნელი იყოს მისგან საზოგადოებრივი წესრიგის კვლავ დარღვევა და ა.შ. ამასთან, ადვილი

⁶³² იხ. *Дикарев И.С.*, დასახ. ნაშრ., 43-44.

⁶³³ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანება, თბილისი – სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, მე-3 ნაწ.

⁶³⁴ იხ. იქვე.

შესაძლებელია საზოგადოება ნეგატიურად განეწყოს სავარაუდო ბრალდებულის დასჯისადმი, მაგრამ პროკურორმა საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. მან უნდა გაითვალისწინოს საზოგადოებისადმი მიყენებული ზიანი, წესრიგის დარღვევის ხარისხი და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები. პროკურორის გადაწყვეტილებანი შეიძლება საზოგადოებისათვის მიუღებელიც იყოს.⁶³⁵

მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი ვალდებულია დაიცვას საჯარო ინტერესი და არა რომელიმე კონკრეტული პირი, მან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულისა და მისი ოჯახის წევრების ინტერესები. დანაშაულის დაზარალებულზე ზეგავლენის შეფასების დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფიზიკური, ეკონომიკური და ფსიქიკური ფაქტორები. მნიშვნელოვანია დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის და სხვა გარემოებების გამორკვევა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე ზიანის ანაზღაურების ფაქტორი, მაგრამ ამან საზოგადოებაში არ უნდა შექმნას წარმოდგენა, რომ თითქოს დანაშაულის ჩამდენი პირი ზიანის ანაზღაურებით თავიდან იცილებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.⁶³⁶ დამნაშავე ზიანის ანაზღაურებით, რომელიც ხშირად ზარალის სიდიდის გამო სიმბოლური ხასიათისაა, თავის ადამიანურ მხარეს გამოხატავს, რითაც სამართლიანობა ნაწილობრივ მაინც აღდგება.⁶³⁷

ამასთან, ზიანის ანაზღაურება დანაშაულის ჩამდენი პირის რეალური რესოციალიზაციის საფუძველიც შეიძლება გახდეს. თვით დამნაშავემაც უნდა გაითვალისწინოს სხვისი ინტერესები. ამ უკანასკნელის ცნობიერებაში, ზიანის ანაზღაურებით უნდა მოხდეს გარდატეხა – მან უნდა შეიგნოს საკუთარი ბრალი, რაც თვითგამართლებას გამორიცხავს.⁶³⁸

გ) საჯარო ინტერესის განსაზღვრისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტური ფაქტორია ასევე *სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გაგება*. პროკურორმა აღნიშნული გარემოება აუცილებლად უნდა მიიღოს მხედველობაში განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მსუბუქ დანაშაულში პირის მხილებას. ადვილი შესაძლებელია, რომ დანაშაული უმნიშვნელო იყოს, მაგრამ დანაშაულის ჩამდენი პირის დაუსჯელობამ გამოიწვიოს დანაშაულის რეციდივი. აქედან გამომდინარე, პრევენციული თვალსაზრისით შესაძლებელია მიზანშეწონილი გახდეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.⁶³⁹

⁶³⁵ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანება, თბილისი – სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, მე-3 ნაწ.

⁶³⁶ იხ. იქვე.

⁶³⁷ იხ. *შალიკაშვილი მ.*, ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, 66.

⁶³⁸ იხ. იქვე, 66-67.

⁶³⁹ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანება, თბილისი – სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, მე-3 ნაწ.

დ) პირის ბრალეულობის ხარისხი და მისი კრიმინალური წარსული. იმ შემთხვევაშიც, როცა პროკურორს მოპოვებული აქვს საკმარისი მტკიცებულებები, აუცილებელია, რომ ამ უკანასკნელმა შეაფასოს ბრალის ხარისხი დანაშაულის მონაწილეების ბრალთან მიმართებით, ასევე გაითვალისწინოს პიროვნების დანაშაულებრივი წარსული და შემდგომ ამისა, მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან არდაწყების შესახებ.⁶⁴⁰

ე) კიდევ ერთი გარემოება, რომელიც პროკურორისათვის ყურადსაღებია, არის ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი. აღნიშნული ფაქტორი არ არის გადაწყვეტი, მაგრამ შესაძლებელია სამართალდამცავი ორგანოებისათვის აღმოჩენილმა დახმარებამ გადაწონოს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან გაგრძელების ინტერესი.⁶⁴¹

ვ) დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისათვის საჭირო და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლების შესწავლა-ანალიზი. პიროვნული მიდგომა უზრუნველყოფს ისეთი ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც სხვა გზით ვერ იქნება დადგენილი. აქედან გამომდინარე, დამნაშავის პიროვნების შესწავლა აუცილებელი ელემენტია იმ მოვლენებისა და პროცესების ჯაჭვში, რომლებიც ერთობლიობაში დანაშაულობის მთლიან სურათს ხატავენ.⁶⁴²

ეს ფაქტორი უშუალო კავშირშია დანაშაულის ჩამდენ პირთან და შეუძლია გავლენა მოახდინოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არდაწყებაზე. კერძოდ, პირის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის, ასევე ასაკის თუ სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით, პროკურორმა შეიძლება გადაწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობის საკითხი.⁶⁴³

დამნაშავის პიროვნების დახასიათება მთლიანობაში ყალიბდება ისეთი კომპონენტების გათვალისწინებით, როგორებიც არის მისი: სოციალური სტატუსი, როლი (ფუნქცია), ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ნიშნები (სამართლებრივი ცნობიერების ჩათვლით), ბიოლოგიური ნიშნები (სქესი, ასაკი, და ა.შ.), ემოციურ-ნებელობითი და სისხლისსამართლებრივი ნიშნები.⁶⁴⁴

ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტებიდან თითოეული მათგანი არანაკლებ მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა სისხლისსამართლებრივი ნიშნები, რომლებიც დანაშაულის ჩამდენ პირს

⁶⁴⁰ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანება, თბილისი – სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, მე-3 ნაწ.

⁶⁴¹ იხ. იქვე.

⁶⁴² იხ. კრიმინოლოგია, თ.წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, სამეცნიერო რედ.: დლონტი გ., თბილისი, 2008, 97.

⁶⁴³ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანება, თბილისი – სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, მე-3 ნაწ.

⁶⁴⁴ იხ. კრიმინოლოგია, თ.წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, სამეცნიერო რედ.: დლონტი გ., თბილისი, 2008, 99.

ახასიათებს იმის მიხედვით, თუ რა შემხებლობაშია იგი სისხლის სამართალთან. კერძოდ, პიროვნება, რომელსაც ადრე არაერთხელ ჰქონდა ჩადენილი დანაშაული, პირობით ვადაზე ადრე იყო გათავისუფლებული და ა.შ.⁶⁴⁵

გარდა ამისა, საინტერესოა ასევე იმის გარკვევა, თუ როგორია პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის დახასიათება (დანაშაულის სახეობა, სიმძიმის ხარისხი, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების არსებობა და ა.შ.). აღნიშნული ნიშნები ხელს უწყობენ დამნაშავის პიროვნების ტიპოლოგიური დახასიათების შექმნას, მის მიმართ გასატარებელი რესოციალიზაციის ღონისძიებების ეფექტურობის შეფასებას.⁶⁴⁶

ბ) მოსალოდნელი სასჯელი. საჯარო ინტერესის განსაზღვრისას პროკურორმა უნდა შეაფასოს სისხლისსამართლებრივი დევნის შესაძლო შედეგები და სავარაუდო სასჯელის ღონისძიება. ამასთან, უნდა განისაზღვროს ასევე რამდენად შეესაბამება დევნის განხორციელებისათვის დახარჯული დრო და რესურსები პირის ბრალდების ინტერესს.⁶⁴⁷

ზემოთ აღნიშნული გარემოებები არ არის ამომწურავი, თუმცა მათი გათვალისწინება და გაანალიზება უადრესად მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა ინდივიდუალური ფაქტორის შეფასებასა და დასკვნებს. ამასთან, ყოველ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ყველა ფაქტორის ერთდროულად განხილვა და გათვალისწინება არ არის აუცილებელი.⁶⁴⁸

§6 სრული ტესტი და მისი განმსაზღვრელი კომპონენტები ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში შემოღებულია დისკრეციის ანგლო-ამერიკული ვარიანტი, რაც იმას ნიშნავს, რომ პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-განხორციელებისას სარგებლობს ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით და არ არის შეზღუდული კანონმდებლობის მოთხოვნებით. შესაბამისად, პროკურორის მიერ თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება საქართველოს მსგავსად ინგლისშიც ანალოგიურად ხდება. კერძოდ, ინგლისში გვირგვინის ბრალმდებელი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას იღების სრული ტესტითა და მისი განმსაზღვრელი

⁶⁴⁵ იხ. კრიმინოლოგია, თ.წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2008, 101.

⁶⁴⁶ იხ. იქვე.

⁶⁴⁷ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანება, თბილისი – სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ

⁶⁴⁸ იხ. იქვე.

კომპონენტების – მტკიცებულებათა ბაზისა და საჯარო ინტერესის გათვალისწინებით.⁶⁴⁹

ისევე როგორც საქართველოში ინგლისშიც სისხლის სამართალწარმოებისას მტკიცებულებით ტესტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე გვირგვინის ბრალმდებელი უნდა დარწმუნდეს, რომ შეკრებილი მტკიცებულებები საკმარისია პირის მსჯავრდებისათვის. იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს მტკიცებულებათა ბაზა სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს და საქმე უნდა შეწყდეს.⁶⁵⁰

როდესაც შეიკრიბება საკმარისი მტკიცებულებები სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად, გვირგვინის ბრალმდებელმა უნდა გადაწყვიტოს რამოდენიმე საკითხი:

ა) შესაძლებელია თუ არა ამ მტკიცებულებების სასამართლოში გამოყენება, რაშიც იგულისხმება ის, თუ რამდენად არის დასაშვები ესა თუ ის მტკიცებულება;

ბ) რამდენად საიმედო, სანდო, უტყუარია ესა თუ ის მტკიცებულება;

გ) რამდენად არსებობს ალბათობა იმისა, რომ მტკიცებულების უტყუარობა ეჭვქვეშ დადგეს.⁶⁵¹

რაც შეეხება საჯარო ინტერესის ტესტს, ისევე როგორც საქართველოში ინგლისშიც სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად აუცილებელია საჯარო ინტერესის არსებობა. მაშინაც კი, როდესაც არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის მიმართ დევნა ავტომატურად არ იწყება. გვირგვინის ბრალმდებელი არკვევს რამდენად არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საჯარო ინტერესი, რა დროსაც იგი ითვალისწინებს გვირგვინის ბრალმდებელთა კოდექსში და გვირგვინის საბრალდებო სამსახურის დირექტორის სპეციალურ ინსტრუქციაში მოცემულ ფაქტორებს.⁶⁵² კერძოდ, გვირგვინის ბრალმდებელმა საჯარო ინტერესის განსაზღვრისას უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები:

ა) ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მნიშვნელობა;

ბ) ბრალის ხარისხი;

⁶⁴⁹ იხ. Le Code des procureurs de la Couronne, par. 4.1., 4.2., 4.3.

<http://www.cps.gov.uk/publications/docs/french_code_2013.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 17.08.2014.

⁶⁵⁰ იხ.: იქვე, par. 4.4., 4.5; Poursuites pénales, La décision d'engager des poursuites pénales, 2013, 6, <http://www.cps.gov.uk/publications/docs/decision_prosecute_french_2013.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 07.07.2014.

⁶⁵¹ იხ.: Le Code des procureurs de la Couronne, par. 4.6. <http://www.cps.gov.uk/publications/docs/french_code_2013.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 17.08.2014; Poursuites pénales, La décision d'engager des poursuites pénales, 2013, 6-7, <http://www.cps.gov.uk/publications/docs/decision_prosecute_french_2013.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 07.07.2014.

⁶⁵² იხ.: Le Code des procureurs de la Couronne, par. 4.7., 4.8., 4.9., <http://www.cps.gov.uk/publications/docs/french_code_2013.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 17.08.2014; Poursuites pénales, La décision d'engager des poursuites pénales, 2013, 7, <http://www.cps.gov.uk/publications/docs/decision_prosecute_french_2013.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 07.07.2014.

- გ) დაზარალებულის მდგომარეობა და მიყენებული ზიანი;
- დ) ბრალდებულის ასაკი;
- ე) დანაშაულის გავლენა საზოგადოებაზე;
- ვ) სისხლისსამართლებრივი დევნის პროპორციულობა.⁶⁵³

აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. როგორც ზემოთ აღინიშნა, საჯარო ინტერესის განმსაზღვრელი ფაქტორები მოცემულია გვირგვინის საბრალდებო სამსახურის დირექტორის ინსტრუქციაშიც.

§7 სუბიექტივიზმის საფრთხე დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას

როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, პროკურორი სარგებლობს ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით, რომელიც მსგავსია ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში გავრცელებული დისკრეციული უფლებამოსილებისა. აღნიშნული ცხადყო ზემოთ განხილულმა ინგლისის მაგალითმაც.

ზოგიერთი მეცნიერი აცხადებს, რომ: „ამერიკელი იურისტები საკმაოდ კრიტიკულები არიან პროკურორისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას ესოდენ ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების გამო. მათი აზრით, ფაქტობრივად შეუზღუდავი დისკრეცია აშკარად შეიცავს სუბიექტივიზმის საფრთხეს.“⁶⁵⁴ აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არდაწყების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სუბიექტურად, რომელსაც საფუძვლად დაუდებს სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემულ ობიექტურ ფაქტორებს.

არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც. შეერთებული შტატების სასამართლოები არაერთხელ შეთანხმდნენ, რომ პროკურორს აქვს ფართო უფლებამოსილება, დაიწყოს ან არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. საქმეზე *სმიტი შეერთებული შტატების წინააღმდეგ* მეხუთე სესიამ დაადგინა: „გენერალური პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, აარჩიოს, განახორციელოს დევნა თუ არა, ან უარი თქვას უკვე აღძრულ ბრალდებაზე, არის *აბსოლუტური (შეუზღუდავი)*.“⁶⁵⁵

ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, ბუნებრივად იბადება კითხვა: რამდენად მართებულია საქართველოს სისხლის საპროცესო კანონმდებლობით პროკურორისათვის ასეთი ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება როგორც დღეს აქვს? როგორ უნდა იქნეს აცილებული პროკურორის სუბიექტივიზმი დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას?

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, შეუზღუდავი დისკრეციის გამო სუბიექტივიზმისაგან თავდაცვის მიზნით,

⁶⁵³ იხ. Le Code des procureurs de la Couronne, par. 4.12. <http://www.cps.gov.uk/publications/docs/french_code_2013.pdf>, ბოლოს გამოსმოხილია 17.08.2014.

⁶⁵⁴ *მეფარიშვილი გ.*, დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, 23.

⁶⁵⁵ Kaufman I.R., დასახ. ნაშრ., 33-34.

აუცილებელია კანონმა განსაზღვროს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების საფუძვლები, რაც მას მნიშვნელოვნად შეზღუდავს ან მთლიანად გამორიცხავს. ამით ოფიციალური პირები ვერ შეძლებენ არაობიექტური სტანდარტების დამკვიდრებას სისხლის სამართალწარმოებაში.⁶⁵⁶ აღნიშნული მოსაზრების თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, უმჯობესია კონტინენტური ევროპის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობაში განმტკიცებული მიზანშეწონილობის პრინციპით ხელმძღვანელობა,⁶⁵⁷ რა დროსაც კანონით არის განსაზღვრული პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში რა კატეგორიის დანაშაულებზე რა სახის ღონისძიებები შეიძლება გამოიყენოს დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ.⁶⁵⁸

§8 სასამართლო კონტროლი - სუბიექტივიზმის საფრთხის გამორიცხვის ფექტური გზა

როგორც უკვე აღინიშნა, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს მიზანშეწონილობის პრინციპით ხელმძღვანელობა. ამ პრინციპით პროკურორს ენიჭება უფლებამოსილება გადაწყვიტოს, მიაჩნია თუ არა მართებულად დაიწყოს დევნა, თუ უფრო მოხერხებულად თვლის მისგან თავის შეკავებას. ამასთან, მიზანშეწონილობის პრინციპზე დაყრდნობით დისკრეციის პრინციპის წარმატებული გამოყენებისათვის ერთ-ერთ საკვანძო ფაქტორად მიჩნეულია პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების სწორი საკანონმდებლო განსაზღვრა.⁶⁵⁹

საფრანგეთის მაგალითის განხილვამ ცხადყო, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე პროკურორს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, მიზანშეწონილობის პრინციპის გამოყენებით არ დაიწყოს დევნა. თუმცა ეს პრინციპი ქართულ საპროცესოსამართლებრივ სივრცეშიც წარმატებით გამოიყენება. ზემოთ განხილულ იქნა სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები, სადაც პირდაპირ არის მითითებული პროკურორის მიერ დისკრეციის გამოყენებისას მიზანშეწონილობის პრინციპით ხელმძღვანელობის აუცილებლობაზე.

ამდენად, ამ პრინციპის გამოყენების ნაკლებობას ან გაუთვალისწინებლობას არ განიცდის ქართული სისხლის სამართლის პროცესი. აქ უფრო სხვა პრობლემას ხედავს ზოგიერთი ავტორი –

⁶⁵⁶ იხ.: *მეფარიშვილი ვ.*, დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, 24; *ბელთაძე ვ.*, დისკრეციონიზმი და დისკრეციის პრინციპი სისხლისსამართლებრივ დევნაში, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, №16, თბილისი, 2011, 99-107.

⁶⁵⁷ იხ. *ბელთაძე ვ.*, დისკრეციონიზმი და დისკრეციის პრინციპი სისხლისსამართლებრივ დევნაში, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, №16, თბილისი, 2011, 99-107.

⁶⁵⁸ იხ. საფრანგეთის მაგალითი, სადისერტაციო ნაშრომის II კარის, IX თავის, §3.

⁶⁵⁹ იხ. *ბელთაძე ვ.*, დისკრეციონიზმი და დისკრეციის პრინციპი სისხლისსამართლებრივ დევნაში, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, №16, თბილისი, 2011, 105-106.

დისკრეციის გამოყენების ფარგლების განუსაზღვრელობა და საპროცესო კანონმდებლობაში დისკრეციის გამოყენების საფუძვლების არ არსებობა.⁶⁶⁰ მაგრამ ამაშიც არ არის პრობლემა. პროკურორისათვის მინიჭებული ფართო დისკრეციული უფლებამოსილება თავისთავად არ არის ცუდი. შესაძლებელია მოხდეს ისეთი შემთხვევა, რა დროსაც საჭირო გახდეს პროკურორის მოქმედება ფართო დისკრეციის ფარგლებში. ამიტომ არ არის მიზანშეწონილი დისკრეციის გამოყენებისას პროკურორი მოექცეს კანონით მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში. ამასთან, ამ შემთხვევაშიც არ იქნება პროკურორის სუბიექტივიზმი მთლიანად გამორიცხული. პროკურორმა შესაძლებელია მიიღოს არაობიექტური გადაწყვეტილება და არ დაიწყოს დევნა მაშინაც, როცა მისი მოქმედებების მიზანშეწონილობა კანონით იქნება განსაზღვრული. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტივიზმის საფრთხე მაინც არსებობს. საჭიროა მისი გამორიცხვის გზების მოძებნა. საფრანგეთის მაგალითის გათვალისწინებით, ეს გზა შეიძლება იყოს პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების კანონმდებლობით განსაზღვრა.

„ქართული დისკრეციის“ (ხაზგასმა ჩემია – ბ.მ.) პრობლემაც სწორედ იმაშია, რომ არ არსებობს დისკრეციის ფარგლებში პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი.⁶⁶¹ 2014 წლის 24 ივლისამდე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარი სასამართლოში არ საჩივრდებოდა. მისი გასაჩივრება ერთჯერადად შეიძლებოდა ზემდგომ პროკურორთან. (სსსკ-ის მუხ. 168-ე). ზემოთ აღნიშნული ნორმა არა მხოლოდ ზღუდავდა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, არამედ ფართო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საჯარო ინტერესის დაცვის სადარაჯოზე მდგომ პროკურორს ერთგვარად წააქეზებდა კიდევ მიეღო პირადი მოსაზრებებით გაჯერებული, მიკერძოებული გადაწყვეტილება, იმ იმედით, რომ პროკურორის გადაწყვეტილება სასამართლოში გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

2014 წლის 24 ივლისს მოქმედი საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლში შევიდა ცვლილება, რომლითაც დაზარალებულს მიეცა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება მაშინ, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. სხვა დანარჩენ შემთხვევებში – ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულების ჩადენისას პროკურორის უარი პირის მიმართ დევნის დაწყებაზე დაექვემდებარა ისევ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრებას.

⁶⁶⁰ იხ.: ბელთაძე ვ., დისკრეციონიზმი და დისკრეციის პრინციპი სისხლისსამართლებრივი დევნაში, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, №16, თბილისი, 2011, 105-106; მეფარიშვილი გ., დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, 18-29.

⁶⁶¹ იხ. მეფარიშვილი გ., დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, 24, 28.

გარდა ამისა, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის 106-ე მუხლის 1^ლ ნაწილში შესული ცვლილების თანახმად, დაზარალებულს უფლება მიეცა ასევე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი შეწყვეტის შესახებ გაასაჩივროს სასამართლოში, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით შემუშავებული განმარტებითი ბარათის თანახმად, ასეთი ცვლილებები იმიტომ გახდა საჭირო, რომ შემცირდეს დაზარალებულის ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვის რისკი და გაიზარდოს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებაზე კონტროლი. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ზემდგომი პროკურორი ან სასამართლო გააუქმებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან შეწყვეტის დადგენილებას, სისხლისსამართლებრივი დევნა სავალდებულო წესით განახლდება და მისი განხორციელება დაეკისრება სხვა პროკურორს. ამასთან, დევნის განახლება მოხდება მაშინ, თუ არ არის გასული სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა.⁶⁶²

კანონმდებლის აღნიშნული პოზიცია სრულიად გასაგებია იმ ნაწილში, რომ სასამართლო კონტროლი ნამდვილად ეფექტური მექანიზმია, რათა პროკურორმა ბოროტად არ გამოიყენოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილება. ასეთი პრაქტიკა უცხო არ არის ევროპის ქვეყნებისათვის (მაგალითად, საფრანგეთი)⁶⁶³, მაგრამ აქვე ბუნებრივად იბადება კითხვა: რა კრიტერიუმით არის შერჩეული მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის არსებობის შემთხვევაში პირის მიმართ დევნაზე უარის თქმის ანდა შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება? განმარტებით ბარათში ასახული პოზიცია, რომ პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე კონტროლის დაწესება მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის არსებობის შემთხვევაში, ვერ გამოდგება არგუმენტად. ხომ შეიძლება პროკურორმა თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში სამართალწარმოების მონაწილის საზიანო გადაწყვეტილება მიიღოს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის შემთხვევაშიც? მით უმეტეს, რომ პრაქტიკაში ხვედრითი წილი პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დევნის შეწყვეტაზე და დაწყებაზე უარის თქმის, შეიძლება უფრო მეტი იყოს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენისას, ვიდრე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის არსებობისას.

აქედან გამომდინარე, სასამართლო კონტროლო პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაზე უნდა დაწესდეს ან ყველა კატეგორიის დანაშაულის არსებობისას ან საერთოდ უნდა გამოირიცხოს კონტროლის ეს მექანიზმი.

თუმცა მართებულად უნდა ჩაითვალოს იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ პროკურორის მიერ დისკრეციული

⁶⁶² იხ. <https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2083578&lang=ge>, ბოლოს გამოხმობილია 22.08.2014.

⁶⁶³ იხ. Bouloc B., Stefani G., Lvasseur G., დასახ. ნაშრ., 589-590.

უფლებამოსილების გამტკიცებლად განსახორციელებლად უმჯობესია სასამართლო კონტროლის შემოღება. საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება.⁶⁶⁴

ძლიერი და საჯარო სასამართლო კონტროლი არის ის ერთადერთი გზა, რამაც პროკურორი უნდა აიძულოს, რომ მიუკერძოებელი იყოს დისკრეციული გადაწყვეტილების მიღებისას.⁶⁶⁵ ამასთან, პროკურორი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იყოს შეუზღუდავი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი უნდა სარგებლობდეს ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით ყველა კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხის გადაწყვეტისას. მისი მოქმედებები პირდაპირ არ უნდა იყოს გაწერილი კანონში. თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, უნდა არსებობდეს სასამართლო კონტროლი, რომელიც გამორიცხავს პროკურორის სუბიექტივიზმს.

§9 დაზარალებულის უფლებები სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით

თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს ძირითადი მოვალეობა სამართლებრივი ნორმების შექმნა, მათ დაცვაზე კონტროლის განხორციელება და დანაშაულის ჩამდენ პირთა დასჯაა. სამართალდამრღვევთა დასჯის მონოპოლია მხოლოდ სახელმწიფოს აქვს. დანაშაულის შედეგად დაზარალებულებს ეკრძალებათ, რომ სამართლიანობის აღსადგენად თვითონ გაუსწორდნენ დანაშაულის ჩამდენს. დაზარალებულს რომ ჰქონოდა დამნაშავის დასჯის უფლებამოსილება ამით ერთ უსამართლობას მეორე უსამართლობა შეემატებოდა. ამიტომ თვითიუსტიცია აკრძალულია.⁶⁶⁶

სახელმწიფომ დამნაშავის დასჯის მონოპოლიის განხორციელებისას, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის კანონიერი ინტერესები. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო ამ ვალდებულებას არ შეასრულებს მართლმსაჯულებისა და მართლწესრიგის მიმართ მოსახლეობას ნდობა დაეკარგება. სახელმწიფო არ არის ვალდებული დაზარალებულის ნებისმიერი სურვილი დააკმაყოფილოს, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნა და დამნაშავის დასჯა უპირველეს ყოვლისა საზოგადოების ინტერესების შესაბამისად ხდება, მაგრამ სახელმწიფომ ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ დანაშაულის მსხვერპლს კვლავ არ მიაღვეს ზიანი.⁶⁶⁷

⁶⁶⁴ იხ. *მეფარიშვილი გ.*, დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, 24.

⁶⁶⁵ იხ. იქვე.

⁶⁶⁶ იხ. *თუმანიშვილი გ.*, დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, თბილისი, 2009, №2, 64.

⁶⁶⁷ იხ. იქვე.

გამოძიების პროცესში მნიშვნელოვანია დაზარალებულისა და პროკურორის ურთიერთობა. ამასთან, შესაძლებელია დაზარალებულს ურთიერთობა ჰქონდეს პროკურატურის ყველა იმ სამსახურთან, რომლებიც ვალდებული არიან დაიცვან მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები. სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ დაზარალებულის საჭიროებების, მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინება. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.⁶⁶⁸

იურიდიულ ლიტერატურაში არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება, რომ დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში ფართო უფლებამოსილება უნდა გააჩნდეს.⁶⁶⁹ ზოგიერთი ავტორი პირდაპირ აცხადებდა, რომ დაზარალებული მრავალი წლის განმავლობაში გვევლინებოდა სისხლის სამართლის პროცესის აქტიურ მხარედ, რომელსაც ფართო უფლებამოსილება გააჩნდა. დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით კი დაზარალებულის პროცესუალური მდგომარეობა დაყვანილია მოწმის ფუნქციამდე, რაც არ შეესაბამება თანამედროვე სისხლის სამართლის პოლიტიკას.⁶⁷⁰

მართლაც, დაზარალებულს უფლება არ ჰქონდა სასამართლოში გაესაჩივრებინა პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის შესახებ. დანაშაულის მსხვერპლს შეეძლო საჩივრით მიემართა მხოლოდ ზემდგომი პროკურორისათვის. 2014 წლის 24 ივლისამდე მოქმედმა საპროცესო კანონმდებლობამ, მას მოუსპო სასამართლო კონტროლის მეშვეობით საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესაძლებლობა, რაც უპირველეს ყოვლისა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლთან.⁶⁷¹

თითოეული ადამიანის უფლება საკუთარი ინტერესების დასაცავად მიმართოს სასამართლოს, თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს დაზარალებულზეც, რომლის უფლებებიც ადვილი შესაძლებელია არსებითად დაირღვეს სისხლის სამართალწარმოების დროს,⁶⁷² განსაკუთრებით ისეთი ფართო დისკრეციის პირობებში, როგორც დღეს არსებობს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაზარალებულს აღარ აქვს უფლება წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართალწარმოების

⁶⁶⁸ იხ. Criminal Prosecution, Preliminary Paper / Law Commission, Wellington, 1997, 87-88, <<http://www.nzlii.org/nz/other/nzlc/pp/PP28/PP28.pdf>>, ბოლოს გამოსხმობილია 23.08.2014.

⁶⁶⁹ იხ.: *ჩხვიძე ი.*, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(37)13, 117-124; *კარიაული დ.*, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, სამეცნიერო ნაშრომების კრებული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 132-135.

⁶⁷⁰ იხ. *თუმანიშვილი გ.*, დასახ. ნაშრ. 63-64.

⁶⁷¹ იხ.: *მეფარიშვილი გ.*, დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, 28-29; *თუმანიშვილი გ.*, დასახ. ნაშრ. 70.

⁶⁷² იხ. *თუმანიშვილი გ.*, დასახ. ნაშრ. 70.

მიმდინარეობისას. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით პირს უფლება აქვს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. (სსსკ-ის მუხ. 92-ე). აღნიშნული კი დანაშაულის მსხვერპლს გარკვეულ უხერხულობებს უქმნის. პრაქტიკულად იგი გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის მოლოდინშია, რის შემდეგაც ეძლევა შესაძლებლობა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ხშირ შემთხვევაში დაზარალებულს სჭირდება სამართლებრივი დახმარება, რაც დამატებით დროს და ხარჯებს მოითხოვს.⁶⁷³

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ოპონენტებმა შეიძლება გამოთქვან მოსაზრება, რომ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, კანონდებლობა არ უკრძალავს დაზარალებულს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მიმართოს სასამართლოს ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით ეს ვერ მოხდება, ვინაიდან ადვილი შესაძლებელია სასამართლომ გამოიტანოს არა გამამტყუნებელი, არამედ გამამართლებელი განაჩენი. ამდენად, სისხლის სამართალწარმოების დასრულება ზიანის უდავო ანაზღაურების წინაპირობას წარმოადგენს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მართებულია, *გ.თუმანიშვილის* მოსაზრება იმის შესახებ, რომ დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში უნდა იყოს არა როგორც პროცესის „შიშველი ობიექტი“, არამედ პროცესის აქტიური სუბიექტი, რომელიც ერთგვარ დახმარებას გაუწევს სამართალდამცავ ორგანოებს სიმართლის დადგენაში. აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ეს 1998 წლის საპროცესო კანონმდებლობით იყო განსაზღვრული. დაზარალებული საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე ფაქტობრივად მეორე ბრალმდებელს წარმოადგენდა, რაც ყოველად მიუღებელია. დაზარალებულს უნდა მიენიჭოს ისეთი უფლებები, რომელთა საშუალებითაც ეს უკანასკნელი თავიდან აიცილებს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების უსამართლო ხელყოფას.⁶⁷⁴

როგორც ზემოთ აღინიშნა 2014 წლის 24 ივლისს მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომელმაც გარკვეულწილად გააუმჯობესა დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა (სსსკ-ის მუხ. 56-ე, 57-ე). აღნიშნული ცვლილებებიდან აღსანიშნავია დაზარალებულის უფლება ზემოქმედება მოახდინოს პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებაზე. კერძოდ, მას შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილება დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან დევნის შეწყვეტის შესახებ, როცა ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ დისკრეციის ფარგლებში მიღებული პროკურორის გადაწყვეტილება, რომელსაც საფუძვლად უდევს *მიზანშეწონილობის პრინციპი იცვლება კანონიერების პრინციპით*. ამ შემთხვევაში

⁶⁷³ იხ. *შალიკაშვილი მ.*, ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, 115-116.

⁶⁷⁴ იხ. *თუმანიშვილი გ.*, დასახ. ნაშრ. 87.

სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება სავალდებულო წესით თუ გასული არ არის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა (სსსკ-ის მუხ. 106-ე, 168-ე).

რა თქმა უნდა მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ეს ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ ზემოთაც აღინიშნა,⁶⁷⁵ რომ დაზარალებულს უფლება უნდა ჰქონდეს სასამართლოში გაასაჩივროს ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან შეწყვეტის შესახებ.

დაზარალებულის მიერ ამ უფლების პრაქტიკული რეალიზაციით, ეს უკანასკნელი ფაქტობრივად ზემოქმედებას ახდენს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე. მართალია, დაზარალებული უშუალოდ არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყები აქტიური სუბიექტი, როგორც ეს ზოგიერთ ქვეყანაშია, მაგრამ ამ უფლების გამოყენებით, იგი ცდილობს დაიცვას თავისი კანონიერი უფლებები და ინტერესები.

§10 ქმედების მცირე მნიშვნელობა და მისი მიმართება სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობასთან

საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.“

სისხლის სამართლის დოგმატიკაში არსებობს ქმედების მცირე მნიშვნელობის სამგვარი გაგება:

1) იგი წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველ გარემოებას;

2) მიუხედავად დანაშაულის ჩადენისა, იგი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ მატერიალურ-სამართლებრივ გარემოებას;

3) *ქმედების მცირე მნიშვნელობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის დამაბრკოლებელ პროცესუალურ-სამართლებრივ გარემოებას.*⁶⁷⁶

მ.ტურავა აღნიშნავს, რომ მოქმედი სსკ-ის ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის ნორმის შინაარსიდან კარგად ჩანს, რომ ქმედების მცირე მნიშვნელობა ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველია. თუმცა იგი არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ნიშანს, რომლის არსებობის შემთხვევაში ქმედების შემადგენლობა არ არსებობს, არამედ ინტერპრეტაციის პრინციპს,

⁶⁷⁵ იხ. სადისერტაციო ნაშრომის II კარის, IX თავის, §8.

⁶⁷⁶ იხ.: *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, 58-59; *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი, 2013, 70-71.

რომელიც შესაძლებლობას იძლევა მცირე მნიშვნელობის ქმედებები შეფასდეს, როგორც ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველი გარემოებები.⁶⁷⁷

ავტორი განმარტავს, რომ გერმანიაში ქმედების მცირე მნიშვნელობა წვრილმან დანაშაულებზე არ გამოირიცხავს ქმედების შემადგენლობას და წარმოადგენს დანაშაულს, მაგრამ გერმანული სისხლის სამართლის საპროცესო წესები ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესაძლებლობას, თუ ჩადენილია უმნიშვნელო ქმედება და არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესი.⁶⁷⁸ ამის შესაძლებლობა არსებობს დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობითაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულია *მ.ტურავას* მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართულ სისხლის სამართალში ქმედების მცირე მნიშვნელობა წარმოადგენს არა პროცესუალურ, არამედ მატერიალურ-სამართლებრივ პრობლემას. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მართებული იქნებოდა მისი ამოღება სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან. ასეთ შემთხვევაში პროკურორს მიეცემოდა საშუალება დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიეღო გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არდაწყების შესახებ,⁶⁷⁹ სრული ტესტის შემადგენელი კომპონენტების გათვალისწინებით.

§11 შეჯამება

ამრიგად, ზემოაღნიშნულ თავში განხილულ იქნა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არდაწყების ან შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტისას პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება და მასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები.

კერძოდ, განისაზღვრა დისკრეციული უფლებამოსილების არსი, მისი გამოყენებისათვის აუცილებელი კომპონენტები და განმსაზღვრელი ფაქტორები. გამოითქვა მოსაზრებები „ქართული დისკრეციული უფლებამოსილების“ კიდევ უფრო სრულყოფისა და დახვეწის თაობაზე.

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებით არ უნდა იზღუდებოდეს ან იღახებოდეს სისხლის სამართალწარმოების მონაწილეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

გარდა ამისა, აღნიშნულ თავში განიმარტა სისხლის სამართალწარმოების ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორებიცაა: კანონიერება და მიზანშეწონილობა. განისაზღვრა მათი დამოკიდებულება

⁶⁷⁷ იხ.: *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, 60; *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი, 2013, 71.

⁶⁷⁸ იხ.: *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, 62; *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი, 2013, 72.

⁶⁷⁹ იხ.: *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, 65.

დისკრეციულ უფლებამოსილებასთან. მიზანშეწონილობის პრინციპის უკეთ გაგებისა და გაანალიზებისათვის განხილულ იქნა საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში მიზანშეწონილობის პრინციპზე დაყრდნობით სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწევის შემთხვევები.

ამასთან, სისხლის სამართლის სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, მართებულად იქნა მიჩნეული დასკვნა იმის შესახებ, რომ ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო ქმედების შემადგენლობის გამორიცხვა წარმოადგენს არა პროცესუალურ, არამედ მატერიალურ-სამართლებრივ პრობლემას და იგი შემსებლობაში არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობასთან.

სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, დისკრეციის ინსტიტუტის დანერგვა ქართულ სისხლის საპროცესოსამართლებრივ სივრცეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი სიახლეა. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით პროკურორს გააჩნია შეუზღუდავი დისკრეცია, რომლის მიმართაც სკეპტიკურად არის განწყობილი მეცნიერთა ნაწილი. ისინი „ქართულ დისკრეციაში“ ხედავენ სუბიექტივიზმის საფრთხეს და მიაჩნიათ, რომ ასეთი სახის დისკრეცია ზიანის მომტანია საზოგადოებისათვის. აუცილებელია კანონმდებლობით განისაზღვროს დისკრეციის პირობები, რითაც თავიდან იქნება აცილებული კონკრეტულ საქმეებზე დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას პროკურორის სუბიექტური მიდგომები. ამასთან, მათი აზრით, უნდა დაიხვეწოს პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები.

ჩატარებული კვლევის შედეგად, ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ დღეს პროკურორისათვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება არ არის უკანონობისა და საქმისადმი სუბიექტური დამოკიდებულის სინთეზი. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლების საკანონმდებლო წესით ზუსტი განსაზღვრა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ეს გარკვეულწილად შეზღუდავს პროკურორს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არდაწყების შესახებ საკითხის განხილვა-გადაწყვეტისას. გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი უნდა იყოს თავისუფალი და იხელმძღვანელოს სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებში ასახული ფაქტორებით, რომლებიც სარეკომენდაციო ხასიათისაა. ადვილი შესაძლებელია, პროკურორმა საქმის ვითარებიდან გამომდინარე, აღმოაჩინოს და იხელმძღვანელოს ისეთი განმსაზღვრელი ფაქტორებითაც, რომლებიც არ არის მოცემული სახელმძღვანელო პრინციპებში, მაგრამ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არდაწყების თაობაზე უნდა იყოს უადრესად თანმიმდევრული, ლოგიკურად დასაბუთებული და მტკიცებულებათა ბაზით გაჯერებული.

ასეთმა მსჯელობამ ოპონენტები შეიძლება მიიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას სუბიექტივიზმის საფრთხეს შეიცავს. რა თქმა უნდა ეს ასეც

არის. ყოველ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს პროკურორი შესაძლებელია სუბიექტურად მიუღვეს და მიიღოს არასამართლიანი გადაწყვეტილება. დისკრეცია ყოველთვის შეიცავს სუბიექტივიზმის საფრთხეს შეზღუდული იქნება იგი თუ შეუზღუდავი. ამის აღმოსაფხვრელად მთავარია ეფექტური გასაჩივრების მექანიზმის საკანონმდებლო წესით განსაზღვრა, რაც დღევანდელი საპროცესო კანონმდებლობის ხარვეზს წარმოადგენს.

თავი X. სახელმწიფო თანამდებობის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განხორციელების თავისებურებანი

§1 შესავალი

სახელმწიფო თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა მოითხოვს დიდ პასუხისმგებლობასა და გამბედაობას. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ თვითონ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და ჩაატაროს გამოძიება საკუთარი აპარატის მიმართ. უმნიშვნელოვანესია დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის გამოვლენა და მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება და სახელმწიფოს წინსვლა. ამისათვის კი საჭიროა სამართალდამცავ ორგანოებს ჰქონდეთ შესაბამისი უფლებამოსილება, რათა მოითხოვონ და შეკრიბონ საკმარისი მტკიცებულებები თანამდებობის პირთა მიმართ.⁶⁸⁰

ამასთან, უმთავრესია ასევე დამოუკიდებლობა იმ პროკურორებისა, რომლებიც იძიებენ ასეთი კატეგორიის საქმეებს. მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა თავისუფლად მიიღონ გადაწყვეტილება და არ ეშინოდეთ უმაღლეს ხელისუფალთა შურისძიების ან მათ საქმიანობაში ჩარევისა. ამ პირობათაგან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში ძალზედ რთულია, პრაქტიკულად შეუძლებელია მაღალი თანამდებობის პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება.⁶⁸¹

იმისათვის, რომ თავიანთი ფუნქციები ეფექტურად განახორციელონ, პროკურორები, მოსამართლეების მსგავსად, უნდა იყვნენ არა მხოლოდ დამოუკიდებლები, არამედ მათ უნდა ჰქონდეთ ასევე იმუნიტეტი უკანონო ზეგავლენისაგან, განსაკუთრებით პოლიტიკურისგან. იმავედროულად,

⁶⁸⁰ იხ. *რინგლერი ს. მ.*, სახელმწიფო თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება, თარგმანი: *თოდუა ი.*, <http://www.parliament.ge/files/legal_issues/publications/saxelmcifo_tanamdeboba.pdf>, ბოლოს გამოსმობილია 24.08.2014.

⁶⁸¹ იქვე.

პროკურორები თავიანთი ქმედებისთვის უნდა იყვნენ ანგარიშგადღებულნი და იმოქმედონ გამჭვირვალედ მათი მოვალეობების შესრულებისას.⁶⁸²

საუბარია რა თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივ დევნაზე, აუცილებელია იმის განმარტებაც თუ რას ნიშნავს სახელმწიფო თანამდებობა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „სახელმწიფო თანამდებობა არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის ადგილსა და სოციალურ-შრომით როლს საჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.“⁶⁸³

გარდა ამისა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი (მუხ. 1-ლი) განმარტავს ასევე სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობასაც, რომელიც „არის საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გათვალისწინებული ის სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკურია და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრება შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით.“ სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს წარმოადგენენ:

- ა) საქართველოს პრეზიდენტი;
- ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი;
- გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრი;
- დ) აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;
- ე) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები.⁶⁸⁴

გარდა ამისა, საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ (მუხ. მე-2) განსაზღვრულია იმ საჯარო მოსამსახურეთა ჩამონათვალი, ვინც ითვლება თანამდებობის პირად.

„სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე იმ დაწესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას.“⁶⁸⁵

⁶⁸² იხ. Young-Chul K., The Effective System of Criminal Investigation and Prosecution in Korea, 90, <http://www.unafei.or.jp/english/pdf/RS_No60/No60_11VE_Kim.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 16.07.2014.

⁶⁸³ იხ. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, რედ.: ხუბუა ვ. და თოთლაძე ლ., 2012, 219-220.

⁶⁸⁴ იხ. იქვე.

⁶⁸⁵ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის“ შესახებ, მუხ. 1-ლი; იხ. ასევე, განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, რედ.: ხუბუა ვ. და თოთლაძე ლ., 2012, 219-220.

§2 სახელმწიფო თანამდებობის პირები და კორუფცია

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, სახელმწიფო თანამდებობის პირების დანაშაულებრივი საქმიანობა უმრავლეს შემთხვევაში უკავშირდება კორუფციას.⁶⁸⁶ მისი ტიპური გამოვლინებებია: მექრთამეობა, საჯარო საკუთრების არადანიშნულებისამებრ გამოყენება კერძო ინტერესებისათვის, ინტერესთა კონფლიქტი და ა.შ.⁶⁸⁷

თანამდებობის პირების კორუფციულ საქმიანობასთან დაკავშირებით გამოძიების ჩატარება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება დაკავშირებულია განსაკუთრებულ სირთულეებთან. ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ კორუფციული დანაშაულები ხშირად ჩადენილია ფარულად. თანამდებობის პირები არ არიან ის ადამიანები, რომლებიც დამნაშავეებს ჰგვანან.⁶⁸⁸

თანამდებობის პირის მაღალი მდგომარეობა სახელმწიფო სტრუქტურაში კიდევ უფრო ართულებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ გამოძიებას. ასეთი პირებს დაკავებული მაღალი თანამდებობა საშუალებას აძლევთ ისარგებლონ ნდობით; მათ ურთიერთობა აქვთ პოლიტიკურ და ფინანსურ ელიტასთან. აქედან გამომდინარე, ამგვარ საქმეებზე მომუშავე პროკურორებმაც და გამომძიებლებმაც უნდა იმოქმედონ ფრთხილად და გონიერულად.⁶⁸⁹

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროკურორის როლი ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების დროს. ასეთ შემთხვევებში პროკურორის ფუნქციის არსებითობა გამოიხატება იმაში, რომ მან საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ფარგლებში გამომძიებელს უნდა მისცეს დეტალური მითითებები ამა თუ იმ საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩასატარებლად; მუდმივად აკონტროლოს სამართალწარმოების პროცესი და არ დაუშვას შეცდომები; მაქსიმალურად კონსპირაციულად იმოქმედოს როგორც მან ასევე გამომძიებელმა; არ დაუშვას გამოძიების შედეგების გამჟღავნება და ასეთი

⁶⁸⁶ კორუფცია (corruptu) ლათინური სიტყვაა და პირდაპირი აზრით წახდენას, გაფუჭებას, მოსპობას, განადგურებას, დანგრევას, დარღვევას, ცდუნებას, გარყენას, გახრწნას, მოსყიდვას, დამახინჯებას, ფალსიფიკაციას ნიშნავს. კორუფცია არ არის მხოლოდ პარკა და მექრთამეობა; მისი სპექტრი, მოქმედების ველი ერთობ ფართოა. ეს ცნება სახელმწიფო მასშტაბის უკანონობასაც და დამნაშავეთა დაუსჯელობასაც გულისხმობს. კორუფცია კრიმინალური ცნობიერების ნაყოფია. იხ.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3657>, ბოლოს გამოსხმობილია 01.11.2013 საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, კორუფცია საჯარო სამსახურში განმარტებულია, როგორც საჯარო მოსამსახურის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა. იხ. დასახ. კანონის მუხ. მე-3.

⁶⁸⁷ იხ. ენციკლოპედიური ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3657> ბოლოს გამოსხმობილია 01.11.2013; რინგლერი ს.მ., დასახ. ნაშრ.

⁶⁸⁸ იხ. რინგლერი ს.მ., დასახ. ნაშრ.

⁶⁸⁹ იხ. იქვე.

საფრთხის არსებობის შემთხვევაში, მის აღსაკვეთად გაატაროს ყველა კანონით გათვალისწინებული ღონისძიება.

§3 თანამდებობის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების წინაპირობები

როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიებისა ჩატარება და ამ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან და მის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურები. კერძოდ, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, გათვალისწინებულია თანამდებობის პირთა ის წრე, რომელთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მარტივად არ ხდება და იგი გარკვეულ წინაპირობებზეა დამოკიდებული (სსსკ-ის მუხ. 167). ეს პირები სარგებლობენ იმუნიტეტით.

იმუნიტეტი (immunitas (immunitatis) ნიშნავს ვალდებულებებისაგან განთავისუფლებას, შეღავათს) სამართლის სუბიექტების განსაზღვრულ წრეზე სამართლებრივი ნორმების გაუვრცელებლობის აღმნიშვნელი საერთო სამართლებრივი ტერმინია.⁶⁹⁰

იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, ტერმინები – „იმუნიტეტი“ და „პრივილეგია“ სინონიმებია. იმუნიტეტი ფაქტობრივად პრივილეგიაა. იგი მაღალი სტანდარტით უზრუნველყოფს კანონმდებლობით განსაზღვრული თანამდებობის პირების პირად ხელშეუხებლობას. ასეთი სტანდარტის დაწესება აუცილებელია იმიტომ, რომ ჩვეულებრივ მოხელესთან ან მოქალაქესთან შედარებით, არსებობს საფრთხე მაღალი თანამდებობის პირთა პირადი ხელშეუხებლობის დარღვევისა.⁶⁹¹

კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული თანამდებობის პირების მიმართ განსაკუთრებული პროცედურებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება განპირობებულია იმით, რომ ეს პირები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აუცილებელია მათ შეუნარჩუნდეთ დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, დაცულ იქნეს მათი მორალური და სხვა ღირებულებები.⁶⁹²

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ იმუნიტეტის შემდეგ სახეებს: დიპლომატიური იმუნიტეტი, მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირთა

⁶⁹⁰ იხ.: სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4404>>, ბოლოს გამოსმობლია 27.08.2014; *Галиуллин Ш.Р.*, Судебный контроль за законностью и обоснованностью уголовного преследования, реализуемого в отношении специальных субъектов уголовного судопроизводства России., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2008, 24.

⁶⁹¹ იხ. *Галиуллин Ш.Р.*, დასახ. ნაშრ., 24-25.

⁶⁹² იხ. იქვე 25-26.

იმუნიტეტი, სადეპუტატო იმუნიტეტი, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა იმუნიტეტი.⁶⁹³

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს სუბიექტთა წრეს, რომელთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მოითხოვს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირთა თანხმობას. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, გენერალური აუდიტორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის ბრალდებისათვის საჭიროა საქართველოს პარლამენტის თანხმობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობა; საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლის ბრალდებისათვის კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა. თუმცა ზემოხსენებული თანამდებობის პირების დაკავება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც მათ წაასწრებენ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ან ჩადენისთანავე. სხვა შემთხვევებში მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება – ეს იქნება დაკავებით, თუ პირის ბრალდებით შეუძლებელია ზემოხსენებული შესაბამისი თანხმობის გამოთხოვის გარეშე (სსსკ-ის მუხ. 169-ე, 173-ე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის 04 აპრილს მოქმედი საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში და 169-ე მუხლის მე-7 ნაწილში შესული ცვლილების თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრის ბრალდებისათვის საჭირო აღარ არის პარლამენტის თანხმობა. თუმცა მისი დაკავება არ შეიძლება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ უკანასკნელს წაასწრებენ დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული პარლამენტის წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს (კონსტიტუციის მუხ. 52-ე).

მაშასადამე, პარლამენტის წევრის ბრალდებულად ცნობისათვის, ანუ ამ გზით მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად საჭირო არ არის პარლამენტიდან თანხმობის გამოთხოვა, ხოლო დაკავებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროს ასეთი თანხმობა აუცილებელია. მოცემული კონკრეტული საკითხისადმი კანონმდებლის ასეთი მიდგომა სრულიად გაუგებარია. პარლამენტის წევრი არის ის თანამდებობის პირი, რომელიც მსგავსად სხვა ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობის პირებისა შეიძლება გახდეს უკანონო ზემოქმედების მსხვერპლი. ამდენად, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გზების გამარტივება მიზანშეუწონელია.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს და დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირს, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების განსაკუთრებული წესები არსებობს. ზემოთ დასახელებული სახელმწიფო თანამდებობის პირებისაგან განსხვავებით, არ შეიძლება პრეზიდენტისა და დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის დაკავება დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე. (სსსკ-ის 173-ე მუხ.). მათი

⁶⁹³ იხ. *Галиуллин Ш.Р.*, დასახ. ნაშრ. 26.

ბრალდებისათვის საჭირო წინაპირობები გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციასა და სხვა ნორმატიული აქტებში.

აქედან საყურადღებოა პრეზიდენტის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად საჭირო წინაპირობა. საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფო დაღატაკისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პარლამენტს შეუძლია პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება.

როგორც ჩანს, იმუნიტეტი თანამდებობის პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სრულად არ ათავისუფლებს, არამედ მასში მოიაზრება ის დამატებითი პროცესუალური გარანტიები, რომელთა საფუძველზეც დაცული უნდა იყოს პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი ინტერესები ისე, რომ ამით ზიანი არ მიაღვეს საჯარო ინტერესსაც.⁶⁹⁴

მაშასადამე, იმუნიტეტის მიზანი არის საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებით აღჭურვილი თანამდებობის პირის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება მის მიმართ დაწყებული ან დასაწყები სისხლის სამართალწარმოების პროცედურების გართულებაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ პირის უსაფუძვლო სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთან, ასეთი ხელშეუხებლობა არ უნდა იქნეს ბოროტად გამოყენებული.⁶⁹⁵ ანუ ამ დროს დაცული უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპი, ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის. თანამდებობის პირის იმუნიტეტის ფარგლები უნდა განისაზღვროს იმ ზომით, რა დოზითაღვეს საჭიროა მისი ხელშეუხებლობის დასაცავად, მაგრამ ამის განსაზღვრა უნდა მოხდეს ისე, რომ ზიანი არ მიაღვეს საჯარო ინტერესს.⁶⁹⁶

გარდა ამისა, პროპორციულობის პრინციპში მოიაზრება არა მხოლოდ იმუნიტეტის ფარგლების განსაზღვრა, არამედ იმუნიტეტის აუცილებლობა (საჭიროება), კანონიერება და ხანგრძლივობა (ვადა).⁶⁹⁷

ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საყურადღებოა შემთხვევა, როდესაც საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანხმობა არ მისცეს შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, გენერალური აუდიტორის, მოსამართლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად იმ ვადით, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ასეთ ვითარებაში არ უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა (მოქმედი სსსკ-ის 167-ე მუხ. მე-2 ნაწ.)

⁶⁹⁴ იხ. *Галиуллин Ш.Р.*, დასახ. ნაშრ. 46-47.

⁶⁹⁵ იხ. იქვე.

⁶⁹⁶ იხ. იქვე, 47-49.

⁶⁹⁷ იხ. იქვე.

კანონმდებლის ეს მოთხოვნა სრულიად გასაგებია, მაგრამ საინტერესოა, ბრალდების მხარემ უნდა გააგრძელოს თუ არა გამოძიება – მტკიცებულებების შეგროვება თანამდებობის პირის დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით? ამ კითხვაზე პასუხი დადებითია. მტკიცებულებათა შეგროვების პროცესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს და გამოძიების დასრულების შემდეგ, ბრალდების მხარე დაელოდოს იმ ვადის გასვლას, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი. მაგრამ აქვე იბადება შემდეგი შინაარსის სხვა კითხვები: ზემოაღნიშნული საფუძვლებით სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების შემთხვევაში აქვს თუ არა პირს, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაიწყო, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოძიების ჩატარებისა და მტკიცებულებების შეგროვების უფლება? დასახელებული საფუძვლებით თანამდებობის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება და ამავდროულად ბრალდების მხარის მიერ შესაძლო დანაშაულზე გამოძიების გაგრძელება ხომ არ ზღუდავს და ეწინააღმდეგება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს?

მოქმედი სსსკ-ის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას სისხლის სამართლის პროცესში ჩნდება დაცვის მხარე, რომელიც ბრალდების მხარესთან უფლებრივად თანასწორია და სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მანამდე, სანამ პირი არ შეიძენს ბრალდებულის სტატუსს, ანუ არ დაიწყება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაცვის მხარე ფაქტობრივად არ არსებობს. პირს, რომლის მიმართაც დევნა არ დაიწყო, თუმცა ფორმალურად, მაგრამ მაინც არ აქვს შექმნილი ბრალდებულის სტატუსი. ამიტომ იგი არ არის უფლებამოსილი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაატაროს საკუთარი გამოძიება. მაშასადამე, ასეთ ვითარებაში არ არის უფლებრივი თანასწორობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, დაცვის მხარე რეალურად არ არსებობს, მაშინ როდესაც ბრალდების მხარე თავისუფლად აგრძელებს მტკიცებულებათა შეგროვების პროცესს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საპროცესო უფლებების უქონლობამ თანამდებობის პირი შესაძლოა გარკვეულწილად წააქეზოს კიდევ არამართლზომიერი, უკანონო გზებით ჩაერთოს სისხლის სამართალწარმოებაში, რომელიც მის მიმართ მიმდინარეობს. იგი შესაძლოა შეეცადოს ისარგებლოს თავისი ავტორიტეტით, გავლენით და ხელი შეუშალოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას; გაანადგუროს მტკიცებულებები; შეაშინოს ან შეაგულიანოს მოწმეები; შეეცადოს თანხმობის გამცემი ორგანო ან თანამდებობის პირი დაარწმუნოს მის ბრალდებასთან დაკავშირებით ბრალდების მხარისაგან ზედმიწევნით დეტალური ინფორმაციის მიღებაში და დევნის დაწყებამდე, წინასწარ გახდეს მისთვის ცნობილი ბრალდების არსი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თანამდებობის პირს, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამის განხორციელების უფრო კარგი შესაძლებლობა აქვს ვიდრე სხვა ჩვეულებრივ პიროვნებას.

როგორც უკვე აღინიშნა, თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისას, პროკურორი მაქსიმალურად კონსპირაციულად და ფრთხილად უნდა მოქმედებდეს. თანამდებობის პირის მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებები დროზე ადრე არ უნდა გამჟღავნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს იმის საფრთხე, რომ ბრალდების მხარეს ხელი შეეშლება და სასამართლოში ვერ წარადგენს მტკიცებულებათა, ერთობლიობას, რომელიც დააკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.⁶⁹⁸

ამდენად, თანამდებობის პირის იმუნიტეტის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს სისხლისსამართლებრივი დევნის წარმატებით დასრულებაზე. ამასთან, იმუნიტეტის გამო თანამდებობის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების შემთხვევაში იზღუდება და ირღვევა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. აღნიშნული გამოიხატება იმაში, რომ ბრალდების მხარე აგრძელებს გამოძიებას – მტკიცებულებათა შეგროვების პროცესს მაშინ, როდესაც პირი, რომლის მიმართ არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოძიებას ვერ ატარებს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში, საპროცესო უფლებების არქონით, იზღუდება ასეთი პირის კანონიერი ინტერესები და შესაბამისად, ირღვევა პროპორციულობის პრინციპი, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი. აუცილებელია ამ კუთხით მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის დახვეწა და სრულყოფა. კერძოდ, საჭიროა ქართულ სამართლებრივ სივრცეში ისეთი საპროცესო მექანიზმის შემოტანა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულების წინასასამართლო გამოძიების დროს, ასეთი პირის აღჭურვას მთელი რიგი საპროცესო უფლებებით.

ამ მხრივ საყურადღებოა საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში არსებული „ასისტირებული მოწმის“ (témoin assisté) ინსტიტუტი. საფრანგეთში დიდი ხნის განმავლობაში გამოძიების ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა პროკურორის მოთხოვნაში მითითებული პირის სტატუსი, ვინაიდან ეს პირი ჯერ კიდევ არ იყო ბრალდებული და ვერ სარგებლობდა დაცვის უფლებით. თუმცა მეორე მხრივ, აშკარა იყო, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ადრეული იყო ამ პირის მიმართ, ვინაიდან პროკურორის მოთხოვნაში წინასწარი გამოძიების წარმოების შესახებ სწორედ ეს პირი ფიგურირებდა.⁶⁹⁹ ეს პრობლემა გადაიჭრა იმით, რომ საფრანგეთის სისხლის საპროცესო სამართალმა შემოიღო „ასისტირებული მოწმის“ ინსტიტუტი. ეს არის პირი, რომელიც ჩვეულებრივი მოწმისაგან

⁶⁹⁸ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი – სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში (სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილი).

⁶⁹⁹ იხ.: Code de procédure pénale, (français), art. 113-1, 113-2, 51^e édition, Paris, 2010, 362-363; *Larguier J.*, Procédure pénale, 18^e édition, Paris, 2001, 161-162, 173-174; *გუცენკო კ.უ., გოლოგო ლ.კ., ვილიმონოვი ბ.ა.,* დასახ. ნაშრ., 429-430.

განსხვავდება იმით, რომ მას ჰყავს დამცველი და შეძენილი აქვს ბრალდებულის უფლებები. მაგალითად, „ასისტირებულ მოწმეს“ უფლება აქვს დაესწროს ყველა დაკითხვას, დაკითხვამდე გაეცნოს სისხლის სამართლის საქმეს.⁷⁰⁰

ქართულ სისხლის სამართლის პროცესში „ასისტირებული მოწმის“ ინსტიტუტის კარგად დამუშავებული ვარიანტის შემოტანა ურიგო არ იქნებოდა დანაშაულში მხილებული თანამდებობის პირის – „სავარაუდო ბრალდებულისათვის“ საპროცესო უფლებების მინიჭების თვალსაზრისით. ამ საპროცესო მექანიზმით, თანამდებობის პირი შეძლებდა კანონიერი გზებითა და საშუალებებით შეეგროვებინა დანაშაულთან დაკავშირებული გამამართლებელი მტკიცებულებები. ამით თავიდან იქნებოდა აცილებული მაღალი რანგის თანამდებობის პირთა მიერ მათი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეებში უკანონო ჩარევა.

§4 თანამდებობის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პრობლემები

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტში საუბარია მთავარი პროკურორის მიერ პროკურატურის მუშაკის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე, რაც მის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამ პუნქტში აქცენტი გადატანილია არა დევნის *განხორციელებაზე*, არამედ *მის დაწყებაზე*, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ პროკურატურის მუშაკის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება – დაკავებით თუ პირის ბრალდებით აუცილებლად უნდა მოხდეს მთავარი პროკურორის მიერ. ამასთან, აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს პროკურატურის მუშაკის მიმართ დაწყებული დევნის მთავარი პროკურორის მიერ განხორციელებასაც.

მაშასადამე, პროკურატურის მუშაკის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების დროს, კანონმდებლობით განსაზღვრულია დევნის დამწყები და განმახორციელებელი თანამდებობის პირი – მთავარი პროკურორი რასაც ვერ ვიტყვით მაღალი რანგის სხვა თანამდებობის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-განხორციელებაზე. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში არ არის განსაზღვრული სახელმწიფო თანამდებობის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყები სუბიექტი, რითაც ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ დევნის დაწყება, ეს იქნება დაკავებით თუ პირის ბრალდებით, შეუძლია შესაბამისად, დაკავების უფლებამოსილებით ან სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების უფლებით აღჭურვილ ნებისმიერ თანამდებობის პირს.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მთავარ პროკურორს ევალება თანამდებობის პირთა⁷⁰¹

⁷⁰⁰ იხ.: Code de procédure pénale, (français), art. 113-3-113-8, 51^e édition, Paris, 2010, 363-365; გუცენკო კ.გ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასახ. ნაშრ., 429-430.

⁷⁰¹ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი დაწვრილებით იხ. ზემოაღნიშნულ მუხლში.

მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, რაშიც იგულისხმება საპროცესო მოქმედებათა მთელი კომპლექსი, მაგრამ არა დევნის დაწყება. როგორც ზემოთ აღინიშნა, არც ამ კანონით, არც საპროცესო კანონმდებლობით და არც სხვა საკანონმდებლო აქტებით არ არის განსაზღვრული, თუ ვინ არის უფლებამოსილი დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა თანამდებობის პირთა მიმართ (გარდა პროკურატურის მუშაკისა).

იმ შემთხვევაში თუ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას განემარტავთ ფართო გაგებით და მასში მოვიაზრებთ დევნის დაწყებასაც, მაშინ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სადაღ არაფერი იქნება. მაგრამ მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება სხვადასხვა მნიშვნელობით არის მოცემული. დევნის დაწყება და განხორციელება მიხნეულია სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების ეტაპებად. ასე მაგალითად, სსსკ-ის 166-ე მუხლში მითითებულია, რომ „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა.“ აღნიშნული ჩანაწერით დასტურდება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პირველი ეტაპია, რომელსაც შემდგომში მოსდევს დევნის განხორციელება. ანუ დევნის დაწყება ცალკეა გამოყოფილი და დევნის განხორციელებაში არ მოიაზრება.

მაშასადამე, საპროცესო კანონმდებლობა იცნობს, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ასევე მისი განხორციელების ეტაპებს. ისინი პროცესუალური თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და შესაბამისად სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვა გააჩნიათ. თუმცა ორივე მათგანი სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ამდენად, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში არ არის თანმიმდევრულად გადმოცემული სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპები. მითითებულ კანონში თანამდებობის პირთა მიმართ (გარდა პროკურატურის მუშაკისა) სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე მთელი აქცენტი გადატანილი და უგულვებელყოფილია დევნის დაწყების ეტაპი, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის ერთობ მნიშვნელოვანი და საყურადღებო მომენტია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ამ კუთხით კანონმდებლობის სრულყოფა და თანამდებობის პირთა მიმართ დევნის დამწყები სუბიექტის განსაზღვრა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბუნებრივად იბადება კითხვა: *მაღალი რანგის თანამდებობის პირების (გარდა პროკურატურის მუშაკებისა) დაკავება ან/და ბრალდება, ანუ მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება შეუძლია თუ არა შესაბამისად, დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ მუშაკს, რომელიც აწარმოებს გამოძიებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქციას ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებამოსილებით აღჭურვილ სხვა პროკურორს?* მათ თანამდებობის პირების დაკავება ან ბრალდება კანონმდებლობით პირდაპირ არ ეკრძალება, რაც არ არის მართებული. მხოლოდ მთავარი პროკურორი უნდა იყოს უფლებამოსილი დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა „პროკურატურის შესახებ“

საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი თანამდებობის პირების მიმართ. მით უმეტეს, რომ პროკურატურის მუშაკის მიმართ დევნის დაწყება მხოლოდ მთავარი პროკურორის უფლებამოსილებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე კი გამოდის, რომ პარლამენტის წევრის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება დაიწყოს რიგითმა პროკურორმა ან დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირმა, ხოლო პროკურატურის მრჩევლის მიმართ, მხოლოდ მთავარმა პროკურორმა, რაც არასწორია. თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას, დიდ პასუხისმგებლობას და სწორედ ამიტომ კანონმდებელი მთავარ პროკურორს ანდობს მის განხორციელებას. ბუნებრივია, თუ მთავარი პროკურორი ახორციელებს თანამდებობის პირთა დევნას, შესაბამისად, მას კანონმდებლობით პირდაპირ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლებამოსილებაც. მაშასადამე, მათი დაკავებაც და ბრალდებაც მთავარი პროკურორის უფლებას უნდა წარმოადგენდეს.

§5 თანამდებობის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხოლოდ მთავარი პროკურორია უფლებამოსილი განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა როგორც პრეზიდენტის ასევე, პარლამენტის წევრის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საერთო სასამართლოების მოსამართლის, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრის, მთავრობის წევრის, სახალხო დამცველის, გენერალური აუდიტორის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საგანგებო და სრულუფლებიანის ელჩისა და დესპანის, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის, პროკურორის, პროკურატურის გამომძიებლის ან პროკურატურის მრჩევლის მიერ დანაშაულის ჩადენისას.

სხვა დანარჩენი თანამდებობის პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება ხდება საერთო წესით.

შესაბამისი თანხმობის გამოთხოვის შემთხვევაში, ზემოთ დასახელებული პირების მიმართ მთავარი პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ეს უკანასკნელია უფლებამოსილი დააკავოს ბრალდებული ან გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ; ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს; შეწყვიტოს ანდა შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა; შეცვალოს ბრალდება; ბრალდებულთან დადოს საპროცესო შეთანხმება და სასამართლოში წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ სისხლის

სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე; გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის ძებნის შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მთავარი პროკურორია უფლებამოსილი გადაუდებელი აუცილებლობისას თანამდებობის პირი – ბრალდებულის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ გამოიტანოს დადგენილება; ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების მოთხოვნით, ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შესაჩერებლად სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით.

ამდენად, მთავარი პროკურორის მიერ თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა არ გამოიხატება მხოლოდ ბრალდებულის დაკავებაში ან პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანაში, არამედ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, მთავარი პროკურორის მიერ განსახორციელებელია ზემოხსენებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რაც სისხლისსამართლებრივ დევნას წარმოადგენს.

რაც შეეხება უშუალოდ ბრალის წაყენებას ან სასამართლოში ზემოთ დასახელებულ შუამდგომლობათა განხილვის პროცესში, ასევე სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვაში მონაწილეობას, ასეთ შემთხვევებში მთავარი პროკურორი უფლებამოსილია საქმეში ჩართოს ქვემდგომი პროკურორი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრალის წაყენება შესაძლებელია მოხდეს არა მხოლოდ ქვემდგომი პროკურორის, არამედ მთავარი პროკურორის დავალებით გამომძიებლის მეშვეობითაც. მაშასადამე, ამ დროს ადგილი აქვს მთავარი პროკურორის მიერ უფლებამოსილების დელეგირებას ქვემდგომ პროკურორზე ან გამომძიებელზე. ანუ გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას მთავარი პროკურორი უშუალოდ ახორციელებს ძირითადი გადაწყვეტილებების მიღების გზით. სხვა დანარჩენ შემთხვევაში, იგი უფლებამოსილებას ანიჭებს ქვემდგომ პროკურორს ან გამომძიებელს მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივ დევნაში.

მაგალითად, 2010 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ერთ-ერთი მაღალი რანგის თანამდებობის პირის – დ.მ-ს მიმართ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ პირის ბრალდების შესახებ დადგენილება და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ შუამდგომლობა შეადგინა საქართველოს მთავარმა პროკურორმა. დ.მ-ს ბრალდება წარუდგინა გამომძიებელმა, ხოლო სასამართლოში დ.მ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლო პროცესზე მონაწილეობა მიიღო არა მთავარმა პროკურორმა, არამედ იმ პროკურორმა, რომელიც ახორციელებდა გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას.⁷⁰²

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მთავარი პროკურორი თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მათ არჩევითი ან დანიშნითი თანამდებობა აქვთ დაკავებული და მოქმედებენ თავიანთი კომპეტენციის

⁷⁰² იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №086100001.

ფარგლებში. უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ ამ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა, თუნდაც მათ დანაშაული ჩადენილი ჰქონდეთ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, ხორციელდება არა მთავარი პროკურორის მიერ, არამედ საერთო საწყისებზე – დაბალი რანგის პროკურორის მეშვეობით.

მაგალითად, 2012 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა ზ.გ-ს მიმართ. ვინაიდან ეს უკანასკნელი იყო პროკურატურის ყოფილი თანამშრომელი, სამართალწარმოება მიმდინარეობდა არა მთავარი პროკურორის, არამედ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის მონაწილეობით.⁷⁰³ ზ.გ-ა რომ ყოფილიყო პროკურატურის მოქმედი მუშაკი, მაშინ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას განახორციელებდა მთავარი პროკურორი.

§6 თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილების დელეგირების აუცილებლობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მოითხოვს დიდ ძალისხმევას და პასუხისმგებლობას. ამიტომაც კანონმდებელმა ასეთი კატეგორიის საქმეებზე დევნის წარმოება დააგადა ასევე მაღალი თანამდებობის პირს – მთავარ პროკურორს, რომელიც წარმოადგენს მთავარ სახელმწიფო ბრალმძებელს.

თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. პრაქტიკულად ადვილი წარმოსადგენია მთავარი პროკურორის მიერ პირის ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. ამ დროს მას გამოაქვს დადგენილება თანამდებობის პირის ბრალდების შესახებ და მისივე დავალებით ბრალდების წაყენება ხდება სხვა ქვემდგომი პროკურორის ან გამომძიებლის მიერ.

გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დაკავებით, ვინაიდან ამ დროს მხოლოდ მთავარი პროკურორია უფლებამოსილი შეადგინოს დაკავების ოქმი. ერთი შეხედვით, თითქოს არც ეს უნდა იყოს პრობლემა, მაგრამ რეალურად „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილში ჩამოთვლილი თანამდებობის პირების მთავარი პროკურორის მიერ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დაკავებისას, შესაძლებელია შეიქმნას გარკვეული სირთულეები. ეს სირთულეები კი შეიძლება გამოიხატოს შემდეგში: დანაშაულის ჩადენის ფაქტზე პირის წასწრების შემთხვევაში, ამ უკანასკნელის დაკავებას მთავარი პროკურორი ყოველთვის ვერ მოახდენს იმის გამო, რომ იგი დანაშაულის ჩადენის

⁷⁰³ იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №086130412001.

ადგილზე ვერ იქნება. ეს შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც თანამდებობის პირს წაასწრეს ქრთამის აღების ფაქტზე, რის შემდგომაც მაშინვე მოხდა მისი დაკავება; პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი; პირი შესაძლოა მიიმალოს (სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და ა.შ. ამ დროს დანაშაულის ჩადენის ადგილზე უნდა მივიდეს მთავარი პროკურორი, რომელიც ბრალდებულს განუმარტავს მის უფლებებს და მოახდენს დაკავების ოქმის შედგენას, რასაც იგი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ყოველთვის ვერ მოახერხებს. მაგალითად, როდესაც პარლამენტის წევრს, მოსამართლეს, პროკურორს თუ პროკურატურის მრჩეველს ქრთამის აღების ფაქტზე წაასწრებენ, მთავარი პროკურორი ყოველთვის ვერ დაესწრება ოპერაციის დასრულებას და შესაბამისად, ვერ მოახდენს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით თანამდებობის პირის დაკავებას. უფრო მეტიც, შესაძლებელია ერთდროულად მოხდეს რამოდენიმე თანამდებობის პირის დანაშაულის ჩადენის ფაქტზე წაასწრება და დაკავება, დანაშაულის ჩადენის ადგილები კი ტერიტორიულად დაშორებული იყოს. ამ შემთხვევაშიც მთავარი პროკურორი ვერ მოახერხებს დაკავების ოქმების შედგენას და შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას.

ზემოაღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მთავარმა პროკურორმა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული თანამდებობის პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს და ამ უკანასკნელმა ეს უფლებამოსილება მთლიანად უნდა გადასცეს სხვა თანამდებობის პირს. რა თქმა უნდა ეს ასე არ არის. იმის გამო, რომ მთავარმა პროკურორმა შეიძლება ვერ შეძლოს თანამდებობის პირის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში დაკავება და შესაბამისად დევნის დაწყება, მან ამ უფლებამოსილების დელეგირება უნდა მოახდინოს სისხლის სამართლის საქმის საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორზე ან პროკურატურის გამომძიებელზე. იმ შემთხვევაში თუ მთავარ პროკურორს ექნება იმის შესაძლებლობა თვითონ მოახდინოს თანამდებობის პირის დაკავება, რა თქმა უნდა კანონმდებლობით მას ამის უპირატესი უფლება უნდა ჰქონდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა ამ კუთხით როგორც საპროცესო კანონმდებლობის ასევე „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის დახვეწა და სრულყოფა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროკურატურის გამომძიებლის საგამომძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება საქმეები: საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, მოსამართლის, სახალხო დამცველის, გენერალური აუდიტორის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, პროკურატურის მუშაკის, პოლიციელის, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის

მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე.⁷⁰⁴ მაშასადამე, ზემოთ დასახელებული თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებს იძიებს მხოლოდ პროკურატურის გამომძიებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავარი პროკურატურის გარდა, ასეთი საქმეების გამოძიების წარმოების უფლება აქვს პროკურატურის სხვა დანაყოფებსაც. გამონაკლისია მხოლოდ პროკურატურის მუშაკი, რომლის დანაშაულსაც „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იძიებს მთავარი პროკურატურა. მთავარ პროკურატურაში შექმნილია სპეციალური დეპარტამენტი – გენერალური ინსპექცია, რომლის უშუალო მოვალეობას შეადგენს პროკურატურის მუშაკთა ჩადენილი დანაშაულების სრული მოცულობით გამოძიება, ასევე პროკურატურის მუშაკთა დისციპლინურ გადაცდომებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება.⁷⁰⁵ ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან პრაქტიკულად პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება იმავე ან პროკურატურის სხვა რგოლის წარმომადგენელს ძალიან უძნელდება, იქმნება ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე.

§7 შეჯამება

ამრიგად, მოცემულ თავში განხილულ იქნა თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი დევნის თავისებურებანი. კერძოდ, საუბარი შეეხო იმ სირთულეებს, რომლებიც თან სდევს ასეთ პირთა მიმართ დევნის დაწყებას და განხორციელებას. ყურადღება გამახვილდა თანამდებობის პირის იმუნიტეტზე, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეჩერების საფუძველზე და მიეთითა ის ნაკლოვანებები, რაც თან სდევს აღნიშნულ პროცესს.

გარდა ამისა, მითითებულ თავში დაისვა საკითხი იმის თაობაზე, რომ იმუნიტეტის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება გარკვეულწილად ზღუდავს თანამდებობის პირის უფლებას, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით თანახმად, ჩაატაროს საკუთარი გამოძიება – შეაგროვოს დანაშაულთან დაკავშირებული გამამართლებელი მტკიცებულებები, იყოლიოს დამცველი და ა.შ. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად გამოითქვა მოსაზრება ქართულ სისხლის საპროცესოსამართლებრივ სივრცეში „ასისტირებული მოწმის“ ინსტიტუტის შემოღების შესახებ.

ზემოაღნიშნულ თავში გამოითქვა ასევე აზრი „პროკურატურის შესახებ“ კანონში სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ არსებული უზუსტობების აღმოფხვრის თაობაზეც. კერძოდ, დასახელებული კანონის მე-

⁷⁰⁴ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის №34 ბრძანება სისხლის სამართლის საქმეთა საგამომძიებო და ტერიტორიული საგამომძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე.

⁷⁰⁵ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 28 ივლისის №33-ე ბრძანება, საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ.

9 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, რომელიც შეეხება მთავარი პროკურორის მიერ თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი დევნას, მოითხოვს შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას.

დასკვნა

ამრიგად, ჩატარებული კვლევა წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ნაშრომს, რომელშიც კომპლექსურად არის შესწავლილი და გადმოცემული სისხლისსამართლებრივი დევნის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის თეორიული და ისტორიული საფუძვლები.

ქართულ სისხლის საპროცესო სამართალში სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია პირდაპირ კავშირშია შეჯიბრებითობის პრინციპთან. ბოლო წლებში გატარებულმა სწრაფმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, სრულიად ახალი, განსხვავებული საპროცესო კანონმდებლობის მიღებამ, სისხლის სამართალწარმოებისას ძალიან ბევრი გადაუჭრელი პრობლემა წარმოშვა; მათ შორისაა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების და განხორციელებისას არსებული პრობლემატური საკითხებიც, რომლებიც გაანალიზებულია წარმოდგენილ ნაშრომში და მოცემულია მათი სამართლებრივი რეგულირების გზები.

სადისერტაციო ნაშრომის ისტორიული ნაწილის განხილვისა და ანალიზის საფუძველზე, სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება გამოიყოს რამოდენიმე ეტაპი, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოშობასა და განვითარებას შეეხება:

ა) ოფიციალური დევნის პრინციპი ძველ ქართულ სამართალში; ასევე ამ პრინციპის წარმოშობისა და განვითარების ისტორიული წინამძღვრები.

ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ *ოფიციალური დევნის პრინციპი, რომელიც სამძებრო, იგივე ინკვიზიციური პროცესის ძირითადი ელემენტია, სათავეს იღებს რომის სამართლიდან*; იგი გადის განვითარების გარკვეულ ეტაპებს და საბოლოოდ XIV საუკუნეში იღებს ჩამოყალიბებულ სახეს. ეს პრინციპი ეფექტური იარაღია პროკურორის ხელში საჯარო ინტერესის დაცვის სადარაჯოზე.

ქართული სამართალწარმოების ისტორიული ტიპებისა და ქართული სამართლის ძეგლების გაცნობით დგინდება, რომ საქართველოში XII-XVIII საუკუნეებში არსებობდა „ოფიციალური დევნის პრინციპი“, რომელიც განსხვავდება თანამედროვე სისხლისსამართლებრივი დევნისაგან, მაგრამ იგი მიჩნეულ უნდა იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნის წინამორბედად, ჩანასახად.

რა თქმა უნდა იმ პერიოდის სამძებრო პროცესის ძირითადი ელემენტის – „ოფიციალური დევნის პრინციპისა“ და თანამედროვე სისხლისსამართლებრივ დევნას შორის ზუსტ იდენტურობაზე ძნელია საუბარი, ვინაიდან ეს დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემასა და მოწყობაზე, სამართალგანვითარებაზე და ა.შ, მაგრამ მათ შორის მაინც შეიძლება პარალელურობის გავლენა. კერძოდ:

1. სამძებრო პროცესის მოქმედების დროს „ოფიციალური დევნა“ იწყება ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივით; თანამედროვე სისხლისსამართლებრივი დევნაც სახელმწიფოს ინიციატივით ხორციელდება, სპეციალური წარმომადგენლის – პროკურორის მეშვეობით.

2. სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება ემსახურება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის იდეას და საჯარო ინტერესს; ქართული სამართლის წყაროებში ასახული სამძებრო პროცესის დროს მოქმედი „დევნის პრინციპი“ ორიენტირებულია სახელმწიფოსა თუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად, რასაც იმ პერიოდის ცენტრალური ხელისუფლება მთელი საზოგადოების ინტერესის საზიანოდ მიიჩნევს.

3. თანამედროვე სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებათა ერთობლიობაა, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩამდენი პირის წინააღმდეგ; როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, „ოფიციალური დევნის პრინციპი“ ერთჯერადი მოქმედების ხასიათს არ ატარებს, იგი კომპლექსური ხასიათისაა და დანაშაულის ჩამდენის დასჯის მიზნისაკენ მიისწრაფვის.

ბ) ოფიციალური დევნის პრინციპის წარმოშობა და განვითარება რუსეთში.

აღნიშნული საკითხი პირდაპირ კავშირშია ქართულ სისხლის სამართალწარმოებასთან, მათ შორის სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტთან, ვინაიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოში მოქმედებდა რუსული კანონმდებლობის ქართულად თარგმნილი ვარიანტი.

რუსეთშიც ისევე როგორც სხვა ქვეყნებში სისხლის სამართლის პროცესის განვითარების თვალსაზრისით, თითქმის იგივე გზა გაიარა. 1801-1917 წლებში, რევოლუციამდელ რუსეთში სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფო დაწესებულების - პროკურატურის მეშვეობით ხორციელდებოდა და მისი შექმნა დაკავშირებულია პეტრე I-ლის სახელთან. ex officio, საჯარო საწყისი, როგორც ყველა სხვა, ასევე ამ ქვეყანაშიც სისხლის სამართლის სამძებრო პროცესის ტიპს უკავშირდება.

საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერება და კანონმდებლობა იცნობდა სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტს. სამეცნიერო ლიტერატურაში სისხლისსამართლებრივი დევნა განმარტებული იყო, როგორც იმ საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანს წარმოადგენდა დანაშაულის ჩამდენი პირის მხილება.

გ) სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით.

1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ იქნა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც ახლებურად განსაზღვრა სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების, ბრალდების, დაცვის და სასამართლოში საქმის განხილვის საპროცესო წესები.

აღნიშნულმა კოდექსმა სისხლისსამართლებრივი დევნა განმარტა, როგორც ამ კოდექსით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლისა და

სისხლის სამართლის საპროცესო კანონებით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების უზრუნველყოფა.

აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დევნა არ განიხილებოდა ერთჯერად მოქმედებად, არამედ იგი წარმოადგენდა სხვადასხვა საპროცესო (მათ შორის საგამოძიებო) მოქმედებათა ერთობლიობას.

სადისერტაციო ნაშრომში აღინიშნა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების, მისი არსის ირგვლივ არსებობს არაერთგვაროვანი მოსაზრებები. ამ მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის იურიდიული ბუნების შესახებ ერთობ რთულია დასკვნის გაკეთება. ამას ხელი შეუწყო იმ ფაქტორმაც, რომ 2010 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შესულმა ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომელიც დღესაც მოქმედებს, საერთოდ არ გაითვალისწინა სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება, თუმცა საპროცესო კანონმდებლობით ტერმინი – სისხლისსამართლებრივი დევნა ხშირად გამოიყენება.

აღსანიშნავია, რომ მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების გაუთვალისწინებლობა არ არის მართებული. სისხლისსამართლებრივი დევნის არსის უკეთ გაგებისა და გაანალიზებისათვის, ასევე არაერთგვაროვანი განმარტებებისა და შეხედულებების თავიდან აცილების მიზნით, უმჯობესი იქნება სსსკ-ის მე-3 მუხლში (ძირითად ტერმინთა განმარტება) შევიდეს ცვლილება და მოხდეს სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების განსაზღვრა.

ჩატარებული კვლევის შედეგად, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ნორმების ანალიზით და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი დევნის ცნება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სისხლისსამართლებრივი დევნა – სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილი პირის მიერ წარმოებული საპროცესო საქმიანობა, რომელშიც მოიაზრება საჯარო ინტერესის დაცვის, დანაშაულის ჩამდენი პირის მხილებისა და დასჯის მიზნით, ფაქტობრივი მონაცემების (ფაქტებისა და მტკიცებულებების) შეფასების შემდეგ, ბრალდებულის მიმართ შესაბამისი საპროცესო მოქმედებების, მათ შორის საბრალდებო საქმიანობის განხორციელება, როგორც გამოძიების სტადიაზე, ასევე სასამართლოში საქმის განხილვისას.

სადისერტაციო ნაშრომში გატარებული მსჯელობის გათვალისწინებით, შეიძლება გაკეთდეს ასევე შემდეგი შინაარსის დასკვნები:

ა) სისხლისსამართლებრივი დევნა არ არის მხოლოდ საბრალდებო საქმიანობა. სისხლისსამართლებრივი დევნა საპროცესო საქმიანობაა. იგი მოიცავს სისხლისსამართლებრივ ბრალდებას, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. საბრალდებო საქმიანობა იწყება მას შემდეგ, რაც გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე პირი ბრალდებულად იქნება ცნობილი. სისხლისსამართლებრივი დევნა კი შეიძლება დაიწყოს მანამდეც

– პირის დაკავებით. თუმცა სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა დაიწყოს პირის ბრალდებითაც.

ბ) სისხლისსამართლებრივი დევნა მიმართულია კონკრეტული პირის წინააღმდეგ; დევნის პრაქტიკული რეალიზაცია ხდება იმ მომენტიდან, როდესაც „სისხლის სამართალწარმოების ორბიტაში“ მოხვდება დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირი – ბრალდებული. მანამდე წარმოებული საპროცესო თუ საგამოძიებო მოქმედებები, თუნდაც ისინი მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის ერთადერთი სუბიექტის პროკურორის მიერ იყოს შესრულებული, ვერ ჩაითვლება დევნად, ვინაიდან ეს პროცესი ემსახურება ფაქტობრივი გარემოებების დადგენას.

გ) როგორც უკვე აღინიშნა, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, საპროცესო მოქმედება უშუალოდ მიმართული უნდა იყოს დანაშაულის ჩამდენი სავარაუდო პირის წინააღმდეგ. ანუ *მოქმედება შედეგობრივად უნდა აისახოს ბრალდებულზე*. სხვაგვარად რომ ვთქვათ, *ეს მოქმედება არ უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ რაიმე კონკრეტული ფაქტის ან გარემოების დადგენას*, არამედ იგი მიმართული უნდა იყოს ბრალდებულის წინააღმდეგ (მაგალითად, ბრალდებულს შეეზღუდოს გადაადგილების თავისუფლება, ქონებით სარგებლობის ან განსაზღვრულ პირებთან ურთიერთობის უფლება, კონკრეტული ადგილების მონახულების უფლება და ა.შ.). *სისხლისსამართლებრივი დევნის სწორედ ამგვარი გაგება და განმარტება განასხვავებს მას გამოძიებისაგან*. სხვა დანარჩენ შემთხვევებში ზღვარი სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების არაიდენტიფიკაციის შესახებ ვერ გაივლება. სისხლის სამართალწარმოებისას ბრალდებულის გამოჩენის შემდეგ საქმის სასამართლოში გაგზავნამდე გამოძიება და დევნა პარალელურად ხორციელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთდროულად სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების მიმდინარეობის რეჟიმში ტარდება საპროცესო თუ საგამოძიებო მოქმედებები. აქედან გამომდინარე, გარკვევა იმისა, თუ რომელია სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელი საპროცესო მოქმედება და რომელი გამოძიების, ერთობ რთულია. საგამოძიებო მოქმედებების სისხლისსამართლებრივ დევნაში მოაზრება უსაფუძვლოა, ვინაიდან მათი დანიშნულებაა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. ეს მოქმედებები წარმოადგენენ არა სისხლისსამართლებრივი დევნის, არამედ გამოძიების შემადგენელ ნაწილს, თუნდაც ეს მოქმედებები გარკვეულწილად ზღუდავდნენ კიდევ ადამიანის უფლებებს.

მაშასადამე, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი შეიძლება იყოს იმის გარკვევა, თუ რისკენ ან ვისკენ არის მიმართული მოქმედება, ფაქტის დადგენას ემსახურება თუ კონკრეტული პირს უწესებს გარკვეულ პირობებს.

დ) ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სისხლისსამართლებრივ დევნას გააჩნია თავისი შემადგენელი კომპონენტები. კერძოდ, ესენია:

1. ფიზიკური დევნა, რომელშიც იგულისხმება ბრალდებულის დაკავება და საპროცესო გაფორმება;

2. სისხლისსამართლებრივი ბრალდება, რომელიც შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს:

- ა) ბრალდება წინასასამართლო გამოძიების სტადიაზე,
- ბ) სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერა.

3. სხვა საპროცესო მოქმედებები, რომელთა შესრულებითაც ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა (იხ. დანართი №1).

ე) მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება პროკურორის უფლებამოსილებაა, დევნის დაწყება დაკავებისთანავე დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთან:

1. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დაკავებისთანავე უკავშირდება დევნის დამწყები სუბიექტის პრობლემას, ვინაიდან დაკავების უფლება აქვს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ სუბიექტთა ფართო წრეს: გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, აწარმოებს გამოძიებას ან ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას (სსსკ-ის მუხ. 172-ე). ამ ჩამონათვალის გაკეთებით კანონი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლებამოსილებას ფაქტობრივად ანიჭებს არა მხოლოდ პროკურორს, არამედ გამოძიებელს და უფრო მეტიც, ოპერატიულ მუშაკს, რაც არ არის მართლზომიერი და საპროცესო ნორმებს შორის წინააღმდეგობაზე მიუთითებს (სსსკ-ის მუხ. 166-ე, 167-ე, 172-ე).

აღნიშნული პრობლემატური საკითხის გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს შემდეგნაირად: საპროცესო კანონმდებლობაში პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ დაკავების უფლებით აღჭურვილი თანამდებობის პირები იმავდროულად არიან სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყები სუბიექტებიც. ანუ სამართლებრივად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლების დელეგირება უნდა მოხდეს დამკავებელ თანამდებობის პირებზე. ამით გაფართოვდება სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყებ სუბიექტთა წრე, მაგრამ აღმოიფხვრება ის უზუსტობები, რომლებზეც ზემოთ იყო მსჯელობა.

2. სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში ტერმინი – სისხლისსამართლებრივი დევნა არასწორად არის გამოყენებული, რაც კიდევ უფრო ართულებს სისხლისსამართლებრივი დევნის არსის სწორად გაგებას. მასში მოიაზრება დაკავებადღე „ცხელ კვალზე“ დადევნების მომენტიც, რაც წინააღმდეგობაში მოდის სისხლისსამართლებრივი დევნის დაკავებისთანავე დაწყებასთან. მიზანშეწონილია, აღნიშნული ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „*პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილზე და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება ცხელ კვალზე დადევნება მისი დაკავების მიზნით.*“

3. პროკურორს, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტს, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, შეზღუდული აქვს უფლება მოპოვებული მტკიცებულებების შეფასების შემდეგ, სასამართლოს ნებართვის გარეშე, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაკავებით დაწყების შესახებ. პირის დაკავების შესახებ სასამართლოდან განჩინების გამოთხოვა სხვა არა არის რა თუ არა სასამართლოს ნებართვა სისხლისსამართლებრივი დევნის

დაწყების თაობაზე. ამასთან, მოქმედი სსსკ-ის 166-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის 171-ე მუხლის 1-ლ ნაწილთან. პირველ შემთხვევაში, საპროცესო კანონი პროკურორს სრულ თავისუფლებას ანიჭებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების კუთხით, მეორე შემთხვევაში, კი ზღუდავს და დაკავებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას ბრალდების მხარისაგან მოითხოვს სასამართლოს ნებართვას.

მოქმედა საპროცესო კანონმდებლობამ სისხლისსამართლებრივი დევნა და დაკავება ისე დააკავშირა ერთმანეთთან, რომ პირის დაკავების შემთხვევაში დევნაც ავტომატურად იწყება. შესაბამისად, დასახვეწია სსსკ-ის 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც პროკურორს ავალდებულებს პირის დაკავების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს. აღნიშნული მოთხოვნა სასამართლოს მხრიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკითხის გადაწყვეტაში პირდაპირ ჩარევას ნიშნავს, რაც არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. მით უმეტეს, რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დაკავებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას არ სჭირდება არანაირი ნებართვა.

ვ) ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება დაიწყოს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციამდე და ამ გზით გამოძიების დაწყებამდეც. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც პირს წაასწრებენ დანაშაულის ადგილზე და მოხდება მისი ფაქტობრივი დაკავება. ამ დროს შეიძლება არ იყოს დანაშაულის შესახებ განცხადება ან მოხსენებითი ბარათი, მაგრამ პირის ფაქტობრივი დაკავებით სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება, რაც სისხლის სამართლის პროცესის დაწყების მაუწყებელია.

ამასთან, მცდარია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თითქოს სისხლისსამართლებრივი დევნა ყველა შემთხვევაში ავტომატურად იწყება გამოძიების დაწყებასთან ერთად. გამოძიება არის მტკიცებულებათა შეგროვების პროცესი კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით. ანუ გამოძიების ეტაპზე დგინდება გარემოებები, რომლებიც შემდგომში საფუძვლად დაედება კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას და განხორციელებას. დევნა თავისი პროცესუალური მნიშვნელობით შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული პირისა. ამდენად, გამოძიების დაწყება თავისთავად არ ნიშნავს დევნის დაწყებას.

ხ) როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოძიების სტადიაზე მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, პროკურორს უფლება აქვს დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის ბრალდებულად ცნობითაც. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, საბრალდებო საქმიანობის განხორციელების ექსკლუზიური უფლება პროკურორს აქვს, ვინაიდან პირის ბრალდება მისი უფლებამოსილებაა.

პირის ბრალდებულად ცნობა შედგება ორი ნაწილისაგან: ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანა და ბრალის (ბრალდების) წაყენება. სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე, მაგრამ ეს მოქმედება აქსცესორული ბუნებისა, პირობითი ხასიათი აქვს და დევნის შემდგომი გაგრძელება დამოკიდებულია ერთ-ერთ მნიშვნელოვან საპროცესო მოქმედებაზე, რომელსაც ბრალის (ბრალდების) წაყენება ეწოდება. მაშასადამე, ზემოთ დასახელებული ორივე საპროცესო

მოქმედება ერთმანეთს განსაზღვრავს და ისინი წარმოადგენენ სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელ ელემენტებს.

ამასთან, პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანით შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ კი არ დაიწყოს, არამედ გაგრძელდეს კიდევ. ამ შემთხვევას მაშინ აქვს ადგილი, როცა პირი დაკავებულია.

თ) სადისერტაციო ნაშრომში განხილულ იქნა აშშ-ში ბრალდების წაყენების თავისებურებანი და ეს პროცესი შედარდა ქართული საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ ბრალდების წაყენებას. გაირკვა, რომ საქართველოში ბრალდების წაყენების პროცედურები განსხვავდება აშშ-ი ბრალდების წაყენების თავისებურებებისაგან. კერძოდ, საქართველოს მსგავსად პირის ბრალდების შესახებ გადაწყვეტილებას აშშ-იც პროკურორი იღებს, თუმცა პირის ბრალდება ხდება სასამართლოში შესაბამისი საჩივრის (საბრალდებო დოკუმენტის) შეტანის გზით. ანუ პირისათვის ოფიციალური ბრალდების წაყენება სასამართლოში ხდება.

ი) სისხლისსამართლებრივი დევნის დროულად დაწყებას და განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს საკითხი პირდაპირ კავშირშია ბრალდებულის უფლებასთან – მის მიმართ განხორციელდეს სწრაფი მართლმსაჯულება, დაცულ იქნეს პიროვნების უფლებები და კანონიერი ინტერესები.

გარდა ამისა, სისხლისსამართლებრივი დევნის დროული და სწრაფი წარმოება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობაზეც აისახება.

კ) ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თვალსაზრისით, *პირის დაკავების ოქმი და პირის ბრალდების შესახებ დადგენილება თანაბარი მნიშვნელობის საპროცესო დოკუმენტებად უნდა იქნეს მიჩნეული*, ვინაიდან ორივე შემთხვევაში პირი იძენს ბრალდებულის სტატუსს და აღიჭურვება საპროცესო უფლებებითა და მოვალეობებით.

ლ) სადისერტაციო ნაშრომში განხილულ იქნა ასევე ინგლისში და საფრანგეთში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თავისებურებები და მათი მსგავსება ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში ასახულ დევნის ინსტიტუტთან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებში და საქართველოში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ერთმანეთისაგან განსხვავდება. კერძოდ, ინგლისში სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტებად მოიაზრებიან, როგორც პოლიცია, ასევე გვირგვინის საბრალდებო სამსახური. ანუ გარკვეული კატეგორიის საქმეებზე პოლიცია უფლებამოსილია დაიწყოს და განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა, რაც საქართველოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით არ არის დაშვებული. თუმცა ინგლისშიც, ისევე როგორც საქართველოში, სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად საჭიროა არსებობდეს ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი – საკმარისი მტკიცებულებები და საჯარო ინტერესი.

საყურადღებოა ასევე საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყები (ინიციატორი) სუბიექტები. ამ ქვეყანაში დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, დევნის დაწყების უფლებამოსილებით სარგებლობენ პროკურორი, დაზარალებული და ასევე

ზოგიერთი საჯარო მოხელეც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორის როლი მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-განხორციელებისას. საქართველოსაგან განსხვავებით საფრანგეთში სისხლისსამართლებრივი დევნა პროცესის დამოუკიდებელი სტადიაა. პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება აღძრას (დაიწყოს), როგორც დანაშაულებრივ ფაქტზე, ასევე კონკრეტული პირის მიმართ.

მ) სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად, პროკურორი ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, რაც მიუთითებს გამოძიების სტადიაზე პროკურორის მიერ გამოძიების პროცესის გაკონტროლების ქმედითი საპროცესო მექანიზმების არსებობაზე. პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების არც ფორმა და მით უმეტეს არც შემადგენელი კომპონენტი. *გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის შესრულების უზრუნველყოფის საშუალებაა.*

ნ) სადისერტაციო ნაშრომში განისაზღვრა ის საპროცესო მოქმედებები, რომელთა ჩატარებისას გამოძიების სტადიაზე ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა.

ო) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში უსისტემოდ არის გაბნეული სისხლისსამართლებრივი დევნის ამსახველი ნორმები, რის გამოც უმჯობესი იქნება თუ მოქმედი საპროცესო კოდექსის მე-18 თავში მოთავსდება ყველა ის საპროცესო მოქმედება და ნორმა, რომელიც თავისი შინაარსით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ან განხორციელებას უკავშირდება.

პ) პროკურორი სისხლისსამართლებრივ დევნას მხოლოდ გამოძიების სტადიაზე არ ახორციელებს, არამედ ამ ფუნქციის შესრულება მას უხდება სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც, რაც გამოიხატება პროკურორის მიერ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერაში. ეს არის სასამართლოში სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ერთგვარი ფორმა. გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში პროკურორის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა თანმიმდევრობა მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერით ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯა.

ჟ) პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელება მიმდინარეობს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ვინაიდან პროკურორი, როგორც ბრალდების მხარე მონაწილეობას იღებს, როგორც სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის დროს ასევე წინასასამართლო სხდომაში, პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართებული იქნება თუ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის 33-ე მუხლის 1-ლი ნაწილი კიდევ უფრო დაზუსტდება და დაემატება შემდეგი: „ . . . პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი ყველა ინსტანციის სასამართლოში

ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას“. ასეთი დამატება უფრო ნათელს გახდის სასამართლოში სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას და აღმოფხვრის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვან მოსაზრებებს.

რ) ჩატარებული კვლევის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა მთავრდება მას შემდეგ, რაც პროკურორი სასამართლოში შეასრულებს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრულ ბოლო მოქმედებას. კერძოდ, პირველ ინსტანციაში საქმის არსებითი განხილვის დროს, ეს შეიძლება იყოს პროკურორის მიერ გამოთქმული რეპლიკა.

ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნა დასრულდება მაშინაც, როცა გამოძიების სტადიაზე პროკურორი გამოიტანს დევნის შეწყვეტის დადგენილებას ან სასამართლოში უარს იტყვის ბრალდებაზე.

ს) პროკურორი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას პირდაპირ არ არის შეზღუდული კანონმდებლობის მოთხოვნებით. მას გააჩნია ფართო, შეუზღუდავი დისკრეცია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-არდაწყების ან შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტისას, რაც შეიცავს სუბიექტივიზმის საფრთხეს. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ეფექტური სასამართლო გასაჩივრების მექანიზმის საკანონმდებლო წესით განსაზღვრა, რაც დღევანდელი საპროცესო კანონმდებლობის ხარვეზს წარმოადგენს. კერძოდ, ამ მხრივ საჭიროა დაზარალებულის უფლებების უფრო მეტად გაფართოება, რაც უნდა გამოიხატოს იმაში, რომ ამ უკანასკნელს მიეცეს უფლება ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულზე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

ტ) პროკურორი დისკრეციულ უფლებამოსილებას ახორციელებს როგორც გამოძიების სტადიაზე ასევე სასამართლოში საქმის განხილვის დროს. გამოძიების სტადიაზე პროკურორი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, დაწყებაზე უარის თქმის ან შეწყვეტის თაობაზე, ხოლო სასამართლოში საქმის განხილვის დროს, პროკურორს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია უარი თქვას ბრალდებაზე.

უ) სადისერტაციო ნაშრომში გამოითქვა მოსაზრება თანამდებობის პირთა უფლებების დაცვის მიზნით, ქართულ საპროცესოსამართლებრივ სივრცეში ასისტირებული მოწმის ინსტიტუტის შემოტანის შესახებ. კერძოდ, მიზანშეწონილია, რომ მოქმედ სსსკ-ის მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 20¹-ნაწილი: „ასისტირებული მოწმე – პირი, რომელიც სარგებლობს იმუნიტეტით და მის მიმართ არ დაიწყო ან შეჩერდა სისხლისსამართლებრივი დევნა იმ მოტივით, რომ შესაბამისმა ორგანომ ან თანამდებობის პირმა არ გასცა თანხმობა.“

ამასთან, საჭიროა ასევე ასისტირებულ მოწმესთან მიმართებაში მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას დაემატოს მუხლი შემდეგი რედაქციით:

მუხლი 49¹. ასისტირებული მოწმის უფლება-მოვალეობანი

1. ასისტირებულ მოწმეს აქვს მოწმის ყველა უფლება-მოვალეობანი.

2. გარდა ამისა, ასისტირებულ მოწმეს უფლება აქვს:

ა) იყოლოს დამცველი საკუთარი ხარჯით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფოს ხარჯზე;

ბ) დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება ამ კოდექსით დადგენილი წესით;

გ) მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად;

დ) მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს.

მოქმედი სსსკ-ის 167-ე მუხლს ასისტირებულ მოწმესთან დაკავშირებით უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 ნაწილი:

„ამ მუხლის მე-5 ნაწილში მითითებული პირების მიმართ იმუნიტეტის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეჩერების შემთხვევაში, ეს პირები ავტომატურად იძენენ ასისტირებული მოწმის სტატუსს.“

ფ) ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, მხოლოდ მთავარი პროკურორი უნდა იყოს უფლებამოსილი დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი თანამდებობის პირების მიმართ. მით უმეტეს, რომ პროკურატურის მუშაკის მიმართ დევნის დაწყება მხოლოდ მთავარი პროკურორის უფლებამოსილებაა. თუმცა შესაძლებელია მთავარმა პროკურორმა, საჭიროების შემთხვევაში, ამ ფუნქციის დელეგირება მოახდინოს ქვემდგომ პროკურორზე ან პროკურატურის გამომძიებელზე.

შესაბამისად, „პროკურატურის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში, რომელიც შეეხება მთავარი პროკურორის მიერ თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივ დევნას, მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილება და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„კანონით დადგენილი წესით იწყებს და ახორციელებს სისხლისსამართლებრივი დევნას საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს სახალხო დამცველის, გენერალური აუდიტორის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის, პროკურორის, პროკურატურის გამომძიებლის ან პროკურატურის მრჩევლის მიერ დანაშაულის ჩადენისას; იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება დაკავებით და მთავარი პროკურორი ვერ იწყებს დევნას, იგი უფლებამოსილია დევნის დაწყების უფლებამოსილებით (იგულისხმება

მხოლოდ პირის დაკავება) აღჭურვის ქვეშევრდომი პროკურორი ან პროკურატურის გამომძიებელი.“

მიზანშეწონილია ცვლილება შევიდეს ასევე „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლ პუნქტში, რომელშიც მითითებულია, რომ „*პროკურატურა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას.*“ დასახელებული მუხლის 1-ლ პუნქტში მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ პროკურატურა არა მარტო ახორციელებს, არამედ „*იწვებს*“ კიდევ სისხლისსამართლებრივ დევნას.

ბიბლიოგრაფია

* * *

ნორმატიული მასალა:

- საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 24 აგვისტო, 1995 წელი;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბილისი, 20 თებერვალი, 1998 წელი;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბილისი, 09 ოქტომბერი, 2009 წელი;
- საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“, თბილისი, 21 ოქტომბერი, 2008 წელი;
- საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, თბილისი, 30 აპრილი, 1999 წელი;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თბილისი, 25 ივნისი, 1999 წელი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის“ შესახებ, თბილისი, 31 ოქტომბერი, 1997 წელი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, თბილისი, 17 ოქტომბერი, 1997 წელი;
- საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204-სსმ 2005წ. №14;
- საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3287-სსმ I, №6, 09.03.2004.წ.;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 08 ოქტომბრის №181 ბრძანება, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის №34 ბრძანება, სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 28 ივლისის №33-ე ბრძანება, საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ;

საქართველოს მთავარი პროკურორის 2010 წლის 29 სექტემბრის №112 ბრძანება, უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე;

Code de procédure pénale, (français) 51^e édition, Paris, 2010;

* * *

ელექტრონული ნორმატიული მასალა:

Уголовно-процессуальный Кодекс Российской Федерации, 2001 (С изм. и доп., вступ. в силу 25.05.2014), <<http://www.up-kodeks.ru/>>, ბოლოს გამოსმობლია, 19.09.2014;

Le Code des procureurs de la Couronne, <http://www.cps.gov.uk/publications/docs/french_code_2013.pdf>, ბოლოს გამოსმობლია, 19.09.2014;

* * *

ქართული ჟურნალ-კრებულები და მიმოხილვები პერიოდულ გამოცემებში:

ბელთაძე ვ., დისკრეციონიზმი და დისკრეციის პრინციპი სისხლისსამართლებრივ დევნაში, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, 2011, №16, 99-107;

ბელთაძე ვ., სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის არსი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2⁽³⁷⁾ 13, 136-147;

გაბისონია ი. სისხლისსამართლებრივი დევნის საპროკურორო ფუნქციის განხორციელების ზოგიერთი კონცეფტუალური საკითხი, ჟურნალი „სამართალი“, 1997, №7-8, 25-31;

გაბისონია ი., პროკურატურის თეორიის მეთოდოლოგიური, ტერმინოლოგიურ-ცნებითი და კლასიფიკაციის პრობლემები, ჟურნალი „სამართალი“, 1998, №1-2, 18-25;

გაბისონია ი., საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი კონცეფტუალურ – ინსტიტუციური საკითხები (მოკლე მიმოხილვა), ჟურნალი „სამართალი“, 2001, №5, 57-61;

გაბრიჩიძე ნ., საპროცესო შეთანხმება, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2004, №3, 54-63;

გოგ შელიძე რ., პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ჟურნალი „სამართალი“, 2002, №9-10, 71-75;

გოგ შელიძე რ., როგორი უნდა იყოს გამომძიებლის ხვალინდელი დღე?, სტატია წიგნში: სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, რედ.: შენგელიას რ., თსუ, 2003, 442-449;

თუმანიშვილი გ., დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, 2009, №2, 63-88;

იასეშვილი თ., სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დაუშვებლობა, ჟურნალი „სამართალი“, 1999 №3, 47-50;

იოსავა ვ., მამნიაშვილი მ., ფუნქციები შეგვიზღუდეს, მაინც ჩვენ გვედავებიან, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №282, 11 ნოემბერი, 1997;

კარიაული დ., დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, სამეცნიერო ნაშრომების კრებული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 132-135;

კერესელიძე კ., საგამოძიებო ფუნქცია და წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, სტატია წიგნში: სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, რედ.: შენგელიას რ., თსუ, 2003, 529-540;

კობლაძე პ., პროკურორის უარი ბრალდებაზე და სამართლებრივი შედეგები, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2010, №1, 62-68;

კობლაძე პ., სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციათა ურთიერთგამიჯვნისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3⁽²²⁾ 09, 49-56;

კობახიძე კ., სისხლისსამართლებრივი დევნის ნორმების გარკვევისათვის (სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა), ჟურნალი „სამართალი“, 2001, №8, 51-55;

მამნიაშვილი მ., გამომძიებელი სისხლის სამართლის პროცესში, სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, სამეცნიერო ნაშრომების კრებული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 123-131;

მამნია შვილი მ., გამომძიებლის უფლებამოსილების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი, სოხუმის უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, ტომი I, 2007, 355-358;

მამნია შვილი მ., სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი, კრებული „მარჯი“, 2008, №1, 178-191;

მარჯანი შვილი თ., კერძო ბრალდების საქმეთა სამართალწარმოების ახლებური გააზრება, ჟურნალი „სამართალი“, 1993, №11-12, 47-52;

მახარაძე ა., კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის იურიდიული ბუნება, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2007, №3, 46-62;

მეფარი შვილი გ., დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, 18-29;

მეფარი შვილი გ., სისხლისსამართლებრივი დევნა ცაიტნოტში, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 31 ოქტომბერი, 1997;

მეფარი შვილი გ., სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების თანაფარდობისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“, 1996, №1, 22-26;

მეურმი შვილი ბ., პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი, ჟურნალი „სამართალი“, 2001, №8, 59-63;

ვაფია შვილი შ., *მეურმი შვილი ბ.*, სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურატურის ფუნქცია, ჟურნალი „სამართალი“, 2001, №1-2, 49-53;

ქარქაშაძე გ., თუ ამგვარი გამოძიება გსურთ და იგუებთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №282, 11 ნოემბერი, 1997.

ჩხეიძე ი., დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2⁽³⁷⁾ 13, 117-124;

ხაჭვანი თ., შეჯიბრებითობის პრინციპი (შედარებითი ანალიზი), ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2⁽³³⁾ 12, 59-71;

ხოფერიან ნ., სამძებრო და შეჯიბრებითობის პრინციპების თანაფარდობა, ჟურნალი „სამართალი“, 1996, №5-6, 28-32;

ხუბუა გ., ფედერალიზმი და სუბსიდიარობის პრინციპი, ჟურნალი „სამართალი“, 1999, №5, 19-24;

ელექტრონული:

ბენიძე, დ., შეჯიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, სამეცნიერო შრომების კრებული, <<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00--off-0ekonomik--00-1--0-10-0--0--0prompt-10--..-4-----0-01--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=ekonomik&cl=CL4.2&d=HASHfda9fd570df09c458b7b5.2.4>>, ბოლოს გამოსვლობლია, 19.09.2014;

კობალაძე პ., პროკურორის უარი ბრალდებაზე – ფუნქცია თუ დისფუნქცია?, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შექმნის 30 წლისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2010-2012, 77-88, <<http://sou.edu.ge/files/Iuridiuli%20fakulteti/gamocemebi/LawFaculty-30a.pdf>>, ბოლოს გამოსვლობლია 03.01.2014;

მამნია შვილიძე მ., ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ასპექტები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შექმნის 30 წლისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2010-2012, 47-61, <<http://sou.edu.ge/files/Iuridiuli%20fakulteti/gamocemebi/LawFaculty-30a.pdf>>, ბოლოს გამოსვლობლია 03.01.2014;

რინგლერი ს.მ., სახელმწიფო თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება, თარგმანი თოდუა ი., <http://www.parliament.ge/files/legal_issues/publications/saxelmcifo_tanamdeboba.pdf>, ბოლოს გამოსვლობლია 01.11.2013;

ცვლილება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ასამოქმედებლად, გაზეთი „24 საათი“, 10.09.11., <<http://24saati.ge/index.php/category/news/2011-09-10/19787.html>>, ბოლოს გამოსვლობლია 17.08.2013;

* * *

უცხოენოვანი ჟურნალ-კრებულები:

Барабаш А.С., Уголовное преследование в стадии предварительного расследования, // Фундаментальные и прикладные проблемы управления расследованием преступлений: Сб. научн. Трудов (в двух частях), Часть первая – М.: Академия управления МВД России, 2005, 202-205;

Костерина Н.В., Судебный контроль в современном состязательном процессе., Сборник научных трудов: Проблемы состязательного правосудия, Под редакцией Будникова В.Л., Волгоград, 2005 125-130.

ელექტრონული:

Воронин О.В., Прокурорское уголовное преследование в различных стадиях и производствах отечественного уголовного процесса, Вестник Томского государственного университета. Право. №1 (7), 2013, 24-32, <<http://cyberleninka.ru/article/n/prokurorskoe-ugolovnoe-presledovanie-v-razlichnyh-stadiyah-i-proizvodstvah-otechestvennogo-ugolovnogo-protssessa>>, ბოლოს გამოსხმობილია 01.08.2014;

Aubusson de Cavarlay B., The Prosecution Service Function within the French Criminal Justice System, 185-205, <http://download.springer.com/static/pdf/220/chp%253A10.1007%252F978-3-540-33963-2_5.pdf?auth66=1411650247_b0a0b0d5f3a2bdacc34f94a476f70b90&ext=.pdf>, ბოლოს გამოსხმობილია, 23.09.2014;

Bessler J.D., The Public Interest and the Unconstitutionality of Private Prosecutors, Arkansas Law Review, Volume 47, Number 3, 1994, 511-602, <<file:///C:/Documents%20and%20Settings/USER/My%20Documents/Downloads/SSRN-id1753201.pdf>>, ბოლოს გამოსხმობილია 08.08.2014;

Kaufman I.R., Criminal Procedure in England and the United States: Comparisons in Initiating Prosecutions, Fordham Law Review, 1980, Volume 49, Issue 1, Article 8, 26-39, <<http://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2457&context=flr>>, ბოლოს გამოსხმობილია, 05.07.2014;

Lewis C., The Prosecution Service Function within the English Criminal Justice System, 2006, 151-184, <http://link.springer.com/chapter/10.1007%2F978-3-540-33963-2_4#page-1>, ბოლოს გამოსხმობილია, 23.09.2014;

Molins F., L'action public, 2009, (dernière mise à jour: 2013), 1-27, ხელმისაწვდომია: <<http://bu.dalloz.fr.domino-ip2.univ-paris1.fr>>;

Roger A. Fairfax, Jr., Delegation of the Criminal Prosecution Function to Private Actors, 2009, 411-456, <http://lawreview.law.ucdavis.edu/issues/43/2/articles/43-2_Fairfax.pdf>, ბოლოს გამოსხმობილია 09.08.2014;

Smith G., Police Complaints and Criminal Prosecutions, The Modern Law Review, Vol. 64, No. 3 (May, 2001), 372-392, <<http://www.jstor.org/stable/1097006?seq=1>>, ბოლოს გამოსხმობილია 18.06.2014;

Wade M., The Power to Decide – Prosecutorial Control, Diversion and Punishment in European Criminal Justice Systems Today, 2006, 27-126, <http://link.springer.com/chapter/10.1007%2F978-3-540-33963-2_2#page-1>, ბოლოს გამოხმობილია 23.09.2014;

Young-Chul K., The Effective System of Criminal Investigation and Prosecution in Korea, 77-92, <http://www.unafei.or.jp/english/pdf/RS_No60/No60_11VE_Kim.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 16.07.2014;

* * *

ქართულენოვანი ლიტერატურა:

აბაშიძე გ., პროკურორი – გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, თბილისი, 2011;

აბაშიძე გ., პროკურორი გამოძიების სტადიაზე, თბილისი, 2012;

აბაშიძე გ., პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი (გამოძიების სტადიაზე), თბილისი, 2011;

აბაშიძე გ., სახელმწიფო ბრალმდებელი პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბილისი, 2009;

აბაშიძე ი., პროკურორი წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ბათუმი, 2008;

აქუბარდია ი., დაცვის ხელოვნება, თბილისი, 2011;

ბენიძე ვ., დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბილისი, 2003;

ბუაძე კ., საპროცესო შეთანხმების აქტუალური საკითხები საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, ქუთაისი, 2014;

გაბისონია ი., პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, (ძირითადი კონცეფტუალური საკითხების შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), თბილისი, 1999;

გოგ შელიძე რ., ფალსიფიკატი ა., კრიმინალისტიკა, თბილისი, 2004;

გუცენკო კ.ფ., გოლოგო ლ.ვ., ფილიძონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თარგმანი რუსულიდან, სამეცნიერო რედ.: გოგ შელიძე რ., თბილისი, 2007;

გზამკვლევი საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რედ.: ქოქრაშვილი თ., 2010;

დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსული გამოცემიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო: *ნინიძე თ.*, თბილისი, 1993;

ვანგიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტომი II, თბილისი, 1948;

ვანგიშვილი ალ., სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი, 1955;

კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I, თბილისი, 1970;

კრიმინოლოგია, თ.წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2008;

ლექვეიშვილი მ., სასამართლო პროცესი მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, 1963;

ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2012;

მეიშვილი ზ., *ჯორბენაძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები (2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით), თბილისი, 2007;

პრადელი ე., შედარებითი სისხლის სამართალი, ნაწილი II, თარგმნა: *სუმბათაშვილი ე.*, სამეცნიერო რედაქტორი: *ნინიძე თ.*, თბილისი, 1999;

პრაქტიკული სახელმძღვანელო სისხლის სამართლის საპროცესო საკითხებში (სახელმძღვანელო პროკურორების და გამომძიებლებისათვის), საქართველოს გენერალური პროკურატურა, 2007;

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, რედ.: *ფალიაშვილი ა.*, *თალაკვაძე ლ.*, თბილისი, 1988;

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მეორე გამოცემა, რედ.: *მამნიაშვილი მ.*, *გახოკიძე ჯ.*, *გაბისონია ი.*, თბილისი, 2013;

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, რედ.: *მამნიაშვილი მ.*, *გახოკიძე ჯ.*, *გაბისონია ი.*, თბილისი, 2012;

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, რედ.: *მამნიაშვილი მ.*, *გახოკიძე ჯ.*, *გაბისონია ი.*, თბილისი, 2013;

სისხლის სამართლის პროცესი, რედ.: *ფაღიაშვილი ა.*, თბილისი, 2002;

სისხლის სამართლის საქმის ელექტრონული წარმოების სახელმძღვანელო, თბილისი, 2010;

სტროგოვიჩი მ., სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 1948;

სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბილისი, 1963;

სურგულაძე ივ., ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, ტომი I, თბილისი, 2000;

სურგულაძე ივ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში, ტომი I, თბილისი, 1952;

ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009 წელი;

ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011;

ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი, 2013;

ფაღიაშვილი ა., საპროკურორო ზედამხედველობა სსრ კავშირში, თბილისი, 1970;

ფაღიაშვილი შ., სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 1999;

ფაღიაშვილი შ., თევზაძე ა., მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დევნის აღძვრა, თბილისი, 2002;

ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ი.დოლიძემ*, თბილისი, 1965;

შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011;

ჭანტურიძე გ., საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში, თბილისი, 2007;

ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისი, 1984;

Cristine Van Den Wingaert, ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, ინგლისურიდან თარგმნა: წიქარიშვილი კ., გამოცემის მეცნიერული რედ.: გვენეტაძე ნ., თბილისი, 2002;

ელექტრონული:

სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რედ.: გოგ შელიძე რ., თბილისი, 2009, <http://www.tbappeal.court.ge/upload/r_1266.pdf>, ბოლოს გამოხმობილია 23.05.2013;

* * *

დამხმარე ლიტერატურა ქართულ და უცხო ენებზე:

განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, რედ.: ხუბუა გ., თოთლაძე ლ., 2012;

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, რედ.: აბულაძე ი., ტომი I, თბილისი, 1991.

Энциклопедический словарь, Томъ XXV, Праяга – Просрочка отпуска, Издатели: Брокгаузъ Ф.А. (Лейпцигъ), Ефронъ И.А. (С.- Петербургъ), С.- Петербургъ; Типо-Литография Ефрона И.А., Прачешный пер., №6, 1898;

* * *

უცხოენოვანი ლიტერატურა:

(ინგლისურ ენაზე)

Anderson J.F., Thompson B., American Criminal Procedures, Durham, North Carolina, 2007;

Kamisar Y., LaFave W.R., Israel J.H., King N.J., Basic Criminal Procedure, Cases, Comments and Questions, Eleventh Edition, Thomson West, 2005;

Kamisar Y., LaFave W R., Israel J.H., King N.J., Advanced Criminal Procedure, Cases, Comments and Questions, Eleventh Edition, Thomson West, 2005;

(ფრანგულ ენაზე)

Bouloc B., Stefani G., Levasseur G., Procédure pénale, 23^e édition, Paris, 2012;

Guinchard S., Buisson J., Procédure pénale, Paris, 2000;

Larguier J., Procédure pénale, 18^e édition, Paris, 2001;

Pradel J., Droit pénal comparé, 3^e édition, Paris, 2008;

Prade J., Droit pénal comparé, Paris, 1995;

(რუსულ ენაზე)

Аристархов А.Л., Осуществление следователем уголовного преследования., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Санкт-Петербург, 2008;

Безлепкин Б.Т., Уголовный процесс России, Учебное пособие, Издание второе, переработанное и дополненное, Москва, 2004;

Белоусова Е.А., Прекращение уголовного преследования в стадии предварительного расследования., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Санкт-Петербург, 2004;

Бубнов Р.Г., Взаимоотношения субъектов уголовного преследования по делам публичного и частно-публичного обвинения., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Самара, 2006;

Бушкова Е.Н., Надзор прокурора за процессуальной деятельностью следователя и дознавателя в досудебном производстве., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2011;

Ворочихин М.А., Субъекты уголовного преследования (понятие, виды, правовая культура)., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Ижевск, 2002;

Галиуллин Ш.Р., Судебный контроль за законностью и обоснованностью уголовного преследования, реализуемого в отношении специальных субъектов уголовного судопроизводства России., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2008;

Головко Л.В., Дознание и предварительное следствие в уголовном процессе Франции, Москва, 1995;

Головко Л.В., Альтернативы уголовному преследованию как форма процессуальной дифференциации (современные тенденции развития)., Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2003;

Горлова С.В., Уголовное преследование как проявление публичности в уголовном процессе., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Челябинск, 2006;

Григоренко И.И., Механизм реализации уголовного преследования в российском судопроизводстве., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Воронеж, 2006;

Громов Н.А., Уголовный процесс России, Учебное пособие, Москва, 1998;

Гулиева Н.И., Проблемы реализации принципа дискреционного уголовного преследования в Российском и зарубежном уголовном судопроизводстве., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Ростов-на-Дону, 2004;

Дикарев И.С., Диспозитивность в уголовном процессе России., Под редакцией профессора *Кругликова А.П.*, Волгоград, 2005;

Донской Д.Д., Функция уголовного преследования на этапе досудебного производства., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Ростов-на-Дону, 2005;

Дубина И.А. Задачи досудебного уголовного судопроизводства и роль прокурора в их достижении., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Волгоград, 2006;

Жогин Н.В., *Фаткуллин Ф.Н.*, Возбуждение уголовного дела, Москва, 1961;

Ильин С.И., Уголовное преследование в досудебном производстве., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2007;

Козубенко Ю.В., Уголовное преследование: вопросы теории и практики., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Екатеринбург, 2006;

Колузакова Е.В., Участие потерпевшего, его представителя в уголовном преследовании по делам публичного обвинения., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Нижний Новгород, 2008;

Конярова Ж.К., Дискреционные полномочия прокурора и проблемы их реализации на досудебных стадиях уголовного процесса., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Ижевск, 2008;

Королев Г.Н., Теоретические и правовые основы осуществления прокурором уголовного преследования в Российском уголовном процессе., Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Нижний Новгород, 2005;

Крюков В.Ф., Правовой статус прокурора в уголовном преследовании (досудебное и судебное производство)., Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2012;

Кучин А.Ф., Правовой механизм публичного уголовного преследования., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Нижний новгород, 2004;

Ларин А. М., Расследование по уголовному делу: Процессуальные функции, Москва, 1986;

Масленникова Л.Н., Публичное и диспозитивное начала в уголовном судопроизводстве России., Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2000;

Мельников Н.В., Прокурорская власть и личность. Правовые средства обеспечения конституционных прав и свобод граждан России, Москва, 2003;

Никитин Е.Л., Актуальные проблемы прокурорской деятельности при осуществлении уголовного преследования., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Санкт-Петербург, 2000;

Николаев М.В., Участие потерпевшего в уголовном преследовании по делам публичного и часто-публичного обвинения., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Кемерово, 2008;

Руководство по расследованию преступлений, Коллектив авторов, Рук. авт. колл. *Гриненко А.В.*, Учебное пособие, Москва, 2002;

Савицкий В.М., Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве, Москва, 1975;

Сапронова Т.П., Особенности процессуального положения лиц осуществляющих уголовного преследования в суде., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Санкт-Петербург, 2005;

Строгович М.С., Курс советского уголовного процесса, том 1, Москва, 1968;

Строгович М.С., Курс Советского уголовного процесса, Москва, 1958;

Строгович М.С., Уголовный процесс, Москва, 1946;

Строгович М.С., Уголовное преследование в советском уголовном процессе, Москва, 1951;

Тишкова Е.И., Следователь как субъект уголовного преследования., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Воронеж, 2003;

Уголовно-процессуальное право Российской Федерации, Коллектив авторов, Под редакцией *Лупинская П.А.*, Учебник, Москва, 2003;

Уголовный процесс, Коллектив авторов, Под редакцией *Прошлякова А.Д., Балакишина В.С., Козубенко Ю.В.*, Учебник, Москва, 2011;

Халиулин А.Г., Уголовное преследование как функция прокуратуры Российской Федерации (проблемы осуществления правовой реформы), Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 1997;

Цапаева Т.Ю., Участие прокурора в доказывании на предварительном следствии, Самара, 2004;

Чельцов М., Советский уголовный процесс, Москва, 1962;

Чельцов М.А., Уголовный процесс, Москва, 1948;

Чельцов М.А., Советский уголовный процесс, Москва, 1951;

Чельцов-Бebutov М.А., положение личности в уголовном процессе, часть 1, Москва, 1948;

Шишкина Е.В., Институт уголовного преследования., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Саратов, 2008;

Шманатова В.Е., Публичное начало как основа уголовного преследования в уголовном процессе Российской Федерации., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Самара, 2004;

Элькинд П.С., Сущность советского уголовно-процессуального права. Л.: ЛГУ, 1963;

Яковенко В.В., Уголовное преследование и роль прокурора в его осуществлении., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2006;

ელექტრონული:

Criminal Prosecution, Preliminary Paper / Law Commission, Wellington, 1997, <<http://www.nzlii.org/nz/other/nzlc/pp/PP28/PP28.pdf>>, ბოლოს გამოსმობილია 23.08.2014;

Poursuites pénales, La décision d'engager des poursuites pénales, 2013, <http://www.cps.gov.uk/publications/docs/decision_prosecute_french_2013.pdf>, ბოლოს გამოსმობილია 07.07.2014;

Гриненко А.В., Уголовный процесс: учебник - 2-е изд., перераб. - М., 2009, <<http://vse-uchebniki.com/ugolovnyiy-protsess-uchebnik/ponyatie-ugolovnogo-presledovaniya-ego.html>>, ბოლოს გამოსმობილია 19.06.2013;

Еникеев З.Д., Механизм уголовного преследования: Учебное пособие. –Уфа: Изд-во Башкирск. ун-та, 2002, <http://www.pravo.vuzlib.org/book_z268_page_6.html>, ბოლოს გამოსმობილია 12.04.2014;

Еникеев З.Д., Уголовное преследование, Учебное пособие, Уфа: Изд-во БашГУ, 2000, <http://www.pravo.vuzlib.org/book_z260_page_5.html>, ბოლოს გამოსმობილია 12.04.2014;

Картохина О.А., Начало и прекращение уголовного преследования следователями органов внутренних дел., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, СПб., 2003, <<http://kalinovsky-k.narod.ru/b/kartoh/03.htm>>, ბოლოს გამოსმობილია 06.07.2014.

Конярова Ж.К., Дискреционные полномочия прокурора и проблемы их реализации на досудебных стадиях уголовного процесса., Автореферат кандидатской диссертации, Ижевск, 2008, <<http://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&ved=0CCcQFjAA&url=http%3A%2F%2Fwww.usla.ru%2Fstructure%2Fdissovet%2FKonarova-aref.pdf&ei=KDYLUuy1O4LUswbTioCoCQ&usq=AFQjCNGBwJIFAFXPIjmEVsyzCMGRif8uEA>>, ბოლოს გამოსმობილია 14.08.2013;

Сухарева, Н.Д., Прекращение уголовного преследования на стадии предварительного расследования: Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, Иркутск, 2002, <<http://www.law.edu.ru/book/book.asp?bookID=114261>>, ბოლოს გამოსმობილია 15.06.2013;

Уголовный процесс России., Учебное пособие, *Коврига З.Ф.* (ред.), *Кузнецов Н.П.* (ред.); Глава. 4. Уголовное преследование; §1.Понятие и виды уголовного преследования, <<http://bookfi.org/book/529335>>, ბოლოს გამოხმობილია 14.06.2013;

Уголовный процесс, Под редакцией проф. Алексеева, 1995, <<http://www.bibliotekar.ru/ugolovnyi-process-3/191.htm>>, ბოლოს გამოხმობილია 06.07.2014;

* * *

სასამართლოს გადაწყვეტილებები და სისხლის სამართლის საქმეები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2014 წლის 10 აპრილის განჩინება, საქმე №1გ/355;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 07 ნოემბრის განაჩენი; საქმე №1/ბ-555-12;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 თებერვლის №1427-14 განჩინება;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №086100050;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №086110011;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №086090017;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №086090024;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №08621111001;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №086170811001;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №086100006;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №086090006;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №086090009;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №086100001;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №086130412001;

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №74058063;

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №7405890;

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №7405958;

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმე №74058071.

* * *

სხვა ელექტრონული რესურსები:

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4404;>

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16198;>

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3657;>

https://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=2083578&lang=ge;

[https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=30346&publication=6;](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=30346&publication=6)

[https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31882&publication=0&lang=ge;](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31882&publication=0&lang=ge)

[https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=30346&publication=7&lang=ge;](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=30346&publication=7&lang=ge)

[https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31882&lang=ge.](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31882&lang=ge)

